საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჯ.კანკაძე, თ. რუხაძე, გ.ტაბატაძე, ა.კანკაძე

უახლესი ეკონომიკური ლექსიკონი

თბილისი
2018 წ.

უახლესი ეკონომიკური ლექსიკონი შეიცავს 3000-ზე მეტ ტერმინს. მასში ფართოდ არის მოცემული ეკონომიკური, იურიდიული, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა სიტყვათა განმარტებები.

ლექსიკონი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ-ეკონომისტებს, ისე პრაქტიკოსებს, ბაკალავრებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს.

მეცნიერ-რედაქტორები: პროფ. *თეიმურაზ ჩხეიძე*

პროფ. *მზია მოისწრაფიშვილი*

რეცენზენტები: პროფ. *ნოდარ დუმბაძე*

პროფ. *მაკა გუდიაშვილი*

ა

აბანდონი (ფრანგ. abandon) □ ა) იძულების გარეშე საკუთრებაზე ან მისი გამოყენების უფლებაზე უარის თქმა; ბ) ცალმხრივი უარი სავალო მოთხოვნაზე, როდესაც ერთ-ერთი მხარე უარს ამბობს თავის უფლებებზე საერთო საქმიდან შენატანის (წილის) გატანის გარეშე; გ) ნებაყოფილობით (სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე) საქმიდან გასვლა და ჯარიმის გადახდა; დ) ოპციონის ვადის ისე გასვლა, რომ მესაკუთრემ ვერ (არ) გამოიყენა იგი; ე) საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაოს მიტოვება შეიძლება გახდეს მისი სამუშაოდან დათხოვნის საფუძველი.

აბანდონი დაზღვევაში □ ზღვეულის უარი დაზღვეული საქონლის ფლობაზე მზღვეველის სასარგებლოდ, სადაზღვევო თანხის სრულად მიღების მიზნით (გამოიყენება დაზღვეული საქონლის დაკარგვის, ან ისეთი დაზიანებისას, როდესაც მისი აღდგენა ტექნიკურად შეუძლებელია ან ეკონომიკურად გაუმართლებელი). განცხადება აბანდონის შესახებ შეიძლება დაფიქსირდეს სადაზღვევო შემთხვევის მომენტიდან მხოლოდ ექვსთვიან ინტერვალში და იგი გარდა ბრიტანეთისა არც ერთ ქვეყანაში არ მოითხოვს მზღვეველის დამოწმებას. განცხადების ძალაში შესვლის შემდეგ ყველა უფლება დაზღვეულ საქონელზე ეკუთვნის მზღვეველს. აბანდონი დაზღვევაში გავრცელებულია საზღვაო გადაზიდვებში, გემის ან ტვირთის დაზღვევისას.

აბანდონმენტი □ დაზღვეული ქონების დაკარგვის, განადგურების ან სხვა მსგავს შემთხვევაში, საკუთრების უფლებაზე უარის თქმისა და აღნიშნული ფაქტის საფუძველზე, მზღვეველის მიერ დაზღვევის თანხის მთლიანად გადახდა მესაკუთრისათვის.

ABC-დებიტორების ანალიზი □ დებიტორული დავალიანების კლასიფიკაცია მათი მნიშვნელობის და კონტროლის მეთოდების მიხედვით: A – ყველაზე მეტად ფასეული; B – შუალედური; C – იაფფასიანი.

აბდიკაცია □ უარის თქმა ხელმძღვანელის თანამდებობაზე, პასუხისმგებლობის მოხსნა რამდენიმე თანამდებობის შეთავსებაზე, შეუძლებლობის ან მორალური მოსაზრებით.

აბერაცია □ რწმენის საჯაროდ უარყოფა, საკუთარ თვალსაზრისზე, შეხედულებაზე საქვეყნოდ უარის თქმა, ჭეშმარიტებიდან გადახვევა.

აბზაცი □ 1. ტექსტის ნაწილი, რომლის პირველი სტრიქონი ოდნავ შეწეულია. 2. ტექსტის ნაწილი ორ შეწეულ სტრიქონს შორის.

აბოლიციონიზმი □ (ლათინურად abolito გაუქმება, მოსპობა). საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც ცდილობს რომელიმე კანონის გაუქმებას.

აბონემენტი □ განსაზღვრული ვადით რაიმეთი სარგებლობის უფლება. მაგალითად, ტელეფონით სარგებლობისათვის, ადგილით □ თეატრში და სხვა. ამ უფლების დამადასტურებელი საბუთი.

აბონენტი □ აბონემენტის მქონე პირი ან დაწესებულება.

აბონემენტური სეიფი □ სეიფი ბანკში, რომელიც ქირავდება კლიენტზე მასში ფულის, ძვირფასი ნივთების და/ან დოკუმენტების შენახვის მიზნით. სეიფის გახსნა შესაძლებელია ერთდროულად მხოლოდ ორი გასაღების საშუალებით, გაქირავების შემდეგ ერთი გადაეცემა კლიენტს. ამრიგად, სეიფის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ კლიენტისა და ბანკის თანამშრომლის ერთდროული ქმედებით. სეიფის ყოველი გაღება (გახსნა) ფიქსირდება სპეციალურ წიგნში.

აბორიგენი □ ამა თუ იმ ქვეყნის ან ადგილის მკვიდრი მოსახლე, რომელიც შემდგომ დასახლებულთაგან განსხვავდება, როგორც ამ ქვეყნის თავდაპირველი, ძირძველი ბინადარი.

აბრევიატურა □ სიტყვათა პირობითი შემოკლება წერისას, მხოლოდ პირველი ან საწყისი ასოების შეერთებით ახალი სიტყვის მიღება (მაგალითად, აშშ □ ამერიკის შეერთებული შტატები, ან გაერო □ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია).

აბსენტეიზმი □ 1. თავის არიდება არჩევნებში მონაწილეობისგან. 2. მიწათსარგებლობის ფორმა, როდესაც მიწა, როგორც წარმოების საშუალება, გამოყოფილია მიწათმფლობელისაგან. მიწის მესაკუთრე არ მონაწილეობს წარმოების პროცესში, მაგრამ ღებულობს არაშრომით ფულად შემოსავალს, მოგებასა და რენტას.

აბსოლუტიზმი □ შეუზღუდავი მონარქია, რომელიც სახელმწიფოს თვითნებურად და ერთპიროვნულად მართავს. თვითმპყრობელობა.

აბსოლუტური უპირატესობა □ ქვეყნის შესაძლებლობა, აწარმოოს რაიმე საქონელი ერთეულ პროდუქციაზე, უფრო ნაკლები რესურსების ოდენობით, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში.

აბსოლუცია □ განთავისუფლება, მაგალითად, სასამართლოს დადგენილებით დამნაშავის განთავისუფლება სასჯელისაგან.

აბსორბცია □ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში იმ ემიგრანტების ჩაბმა, რომლებმაც მიიღეს მოცემული ქვეყნის მოქალაქეობა.

აბსტრაქცია □ განყენებული ცნება ან თეორიული განზოგადება, რომელიც ადამიანის აზროვნების შედეგად მიიღება. გულისხმობს მოვლენების განხილვას პრაქტიკისაგან

მოწყვეტით, კერძო და არა არსებითი მნიშვნელობის ფაქტების უგულებელყოფით.

აბსურდი – უაზრობა, შეუსაბამობა, აბდაუბდა.

აგენტი – ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც რაიმე ქმედებას ასრულებს სხვა პირის (პრინციპალის) სახელით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე. აგენტი, ჩვეულებრივ, მოქმედებს მინდობილობის ან მასსა და პრინციპალს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

აგენტი ფისკალური – საგადამხდელო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის მხარდამჭერი პირი, სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში.

აგიტაცია – ზეპირი ან წერილობითი პოლიტიკური მუშაობა ფართო მასებზე ზემოქმედებისა და განწყობილების შეცვლის მიზნით, გარკვეული იდეების, მოწოდებებისა და ლოზუნგების გავრცელება.

აგორა – სახალხო კრება ძველ საბერძნეთში, აგრეთვე ადგილი, სადაც ეს კრება იმართებოდა.

აგრარული სექტორი – ეკონომიკის სექტორი, რომლის შემადგენლობაშიც შედის სოფლის მეურნეობაში დასაქმებული, კვების პროდუქტებისა და ნედლეულის მწარმოებელი მოსახლეობა.

აგრეგატი – ა) იხმარება საზოგადოების ეკონომიკური საქმიანობის დახასიათებისათვის და წარმოადგენს ეკონომიკის ცალკეული ელემენტების მიერ შესრულებული მარტივი ოპერაციების ჯამს. იანგარიშება ეროვნულ ანგარიშებში წარმოდგენილი ბალანსების შედეგების შეკრებით. ბ) წარმოადგენს ეკონომიკური სიდიდეების გამსხვილების (აგრეგირების) შედეგს.

აგრეგატი ფულადი – ფინანსური საშუალებების სახეობები, რომელთა დაჯგუფება ხდება ფორმების (ნაღდი ფული, სხვადასხვა ანგარიშის ფორმები, ფასიანი ქაღალდებით გამოხატული ქონებრივი უფლებები) და ლიკვიდობის (აქტივების ნაღდ ფულად გარდაქმნის მახასიათებლი) ხარისხის მიხედვით. ფულადი აგრეგატის სახეობებია:

M0 – ნაღდი ფულის მოცულობა მიმოქცევაში;

M1 – ნაღდი ფულის, ჩეკების და მოკითხვამდე საბანკო ანაბრების მოცულობა;

M2 – ნაღდი ფულის, ჩეკების, მოკითხვამდე საბანკო ანაბრებისა, და მცირე, მოკლე ვადიანი ანაბრების მოცულობა;

M3 – ნაღდი ფულის, ჩეკების, ანაბრების მოცულობა;

L – ნაღდი ფულის, ჩეკების, ანაბრებისა და ფასიანი ქაღალდების მოცულობა.

აგრესია – თავდასხმა, აგრესია შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა მიზნითა და ფორმით. ხშირად იხმარება შეიარაღებული თავდასხმის პირობებში. არსებობს ეკონომიკური აგრესიის ფორმებიც.

აგრესიული პოლიტიკა დივიდენდის – წარმოადგენს სააქციო კომპანიის მიერ დივიდენდის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ შესაძლო ტიპს, რომელიც ითვალისწინებს დივიდენდების გადახდის მუდმივ ზრდას (მყარი პროცენტით წინა პერიოდში გაცემული დივიდენდის სიდიდესთან), მიუხედავად კომპანიის საქმიანობის რეალური ფინანსური შედეგისა. ასეთი პოლიტიკა ზრდის აქციების საბაზრო ფასს და კომპანიის იმიჯს, ეს კი იზიდავს პოტენციური ინვესტორებისაგან დამატებით ემისიას, ამავე დროს, მას აქვს ნაკლი – იკარგება მისი მართვის მოქნილობა და წარმოიქმნება მუდმივი ფინანსური დაძაბულობა. ასეთი პოლიტიკის გატარება ხელეწიფებათ მხოლოდ რეალურად წარმატებულსა და

ფინანსურად მდგრად სააქციო კომპანიებს, თავისი სასი-სოცხლო ციკლის ადრეულ სტადიებზე. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს პოლიტიკა არ არის უზრუნველყოფილი მუდმივი ფინანსური ზრდით გაკოტრება გარდაუვალია.

აგრესიული პოლიტიკა ფასის ა) საკუთარ საქონელზე დაბალი ფასის დაწესებით დიდი ხარჯის მქონე კონკურენტების ბაზრიდან გაძევება; ბ) მოგების გაზრდა საქონელზე მაღალი ფასის შენარჩუნებით.

აგრესიული პოლიტიკა ფინანსირების აქტივების ფინანსი-რების პოლიტიკის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც ახორციელებს საწარმო, რომელსაც მიაჩნია, რომ საკუთარი და ხანგრძლივი სასესხო კაპიტალით უნდა ფინანსირდებოდეს მხოლოდ არასაბრუნავი აქტივები, ხოლო საბრუნავი აქტივები მოკლევადიანი სასესხო კაპიტალით, ანუ მიმდინარე აქტივები უნდა დაიფაროს მიმდინარე ფინანსური დავალებებით. აქტივების ფინან-სირების ასეთი პოლიტიკა საშუალებას იძლევა საწარმოო საქმიანობას საკუთარი მინიმალური კაპიტალით გაუძ-ღვეთ და მივიღოთ მაღალი მოგება საკუთარ კაპიტალზე (მაღალია ფინანსური ლევირიჯის ეფექტი). ამავე დროს, გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას გადახდისუნარიანობის სერიოზული პრობლემა (დაბალია საწარმოს ფინანსური მდგრადობა).

აგრესიული საინვესტიციო პორტფელი აგრესიული საინვეს-ტიციო პორტფელის ფორმირებისას, აქცენტი კეთდება უახლოეს პერიოდში შემოსავლის მაქსიმიზაციაზე, ამიტომ იგი შეივსება აქციებით, რომლებიც ამ მომენტისათვის მათზე დიდი მოთხოვნით ხასიათდება და არსებობს მათი მომგებიანობის სწრაფი ზრდის ვარაუდი. აგრესი-ული საინვესტიციო პორტფელი, როგორც წესი, ხასიათ-

დება მაღალი რისკით და არ იძლევა საინვესტიციო კაპიტალის „გადარჩენის“ გარანტიას, რადგან აგრესიული პორტფელი განსხვავდება იმ ფასიანი ქაღალდებისაგან, რომლებიც სტაბილურობითა და მაღალი მომგებიანობით ხასიათდებიან.

აგრესიული ფასიანი ქაღალდები – ფასიანი ქაღალდები, რომელთა პერსპექტივა ითვალისწინებს მათში დაბანდებული კაპიტალის სწრაფ ზრდას.

აგრომერაცია – სამრეწველო წარმოებისა და შრომითი რესურსების ტერიტორიული კონცენტრაცია.

ადაპტაცია – შეგუება, შეთანაწყობა, მიერთება, შეთვისება.

ადგილობრივი გადასახადი – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შესაბამის ტერიტორიაზე შემოღებული საქართველოს ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში (ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტი) სავალდებულო შესატანი, რომელიც დაწესებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

ადგილობრივი მოსაკრებელი – ადგილობრივ ბიუჯეტში ერთჯერადი სავალდებულო გადასახადი, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადით ან უამისოდ, კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ან/და სარგებლობის უფლების მინიჭებისთვის.

ადგილსამყოფელი – 1. ადგილი, სადაც იმყოფება განსაზღვრული იურიდიული ან ფიზიკური პირი; 2. საწარმოს იურიდიული მისამართი.

ადენდუმი □ 1. საზღვაო ვაჭრობის ხელშეკრულების ან დოკუმენტის (კერძოდ, ჩარტერის) დამატება, რომელიც ცვლის ან ავსებს მის ამა თუ იმ პირობას. 2. დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულების დამატება.

ადვალორემი □ საბაჟო გადასახადი, რომელიც საქონლის ღირებულების გარკვეული პროცენტის სახით ამოიღება.

ადვოკატი □ იურისტი, რომელიც გამოდის ბრალდებულის დამცველად სასამართლოში. სასამართლო საქმეებში ნდობით აღჭურვილი პირი, სადავო საკითხებში. ფირმის და ა.შ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

ადმინისტრატორი □ 1. დაწესებულებაში (ორგანიზაციაში) პასუხისმგებელი განმკარგულებელი, რაიმეს მომწყობი; 2. ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორატის (გამგეობის) ან სარევიზიო კომისიის წევრი, აგრეთვე პირი, რომელიც დამოუკიდებლად, ან ერთ, ან მეტ პირთან ერთად უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები ბანკის სახელით (საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“).

ადმინისტრატორის აქციები □ ადმინისტრატორების კუთვნილი სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციები, რომლებიც განიხილება როგორც ადმინისტრატორების პასუხისმგებლობის გარანტია სააქციო საზოგადოებაში მათი საქმიანობის მთელი პერიოდისათვის.

ადმინისტრაცია □ მართვა-გამგებლობა, ხელმძღვანელობა. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები. საწარმოს ან ორგანიზაციის მართვის ორგანო და მართვის მუშაკები.

ადმინისტრაციული კოდექსი □ (administrative code) კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღს-

რულების, ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

ადმინისტრაციული წარმოება – (administrative office work) ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე, ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის მიზნით.

ადმინისტრირება – (administer) მართვა, ხელმძღვანელობა; ბრძანებებისა და მითითებების გაცემის მეშვეობით ბიუროკრატიული მართვა.

ადჟასტერი – დისპაშერი, დისპაშ-გათვლების დარგის სპეციალისტი, რომელიც ავარიის შედეგად მიღებულ ზარალს ანაწილებს გემის, ტვირთის მეპატრონესა და ფრახტს შორის. როგორც წესი, ამ ფუნქციას ასრულებს სპეციალიზებული ფირმები.

ადრესატი – პირი, რომელსაც ეგზავნება საფოსტო ამანათი, წერილი, დეპეშა და სხვა.

ადრესანტი – საფოსტო ამანათის, წერილის, დეპეშის და მისთანების გამგზავნი.

აე – ამერიკული ექსპრესი.

ავალი – ფინანსური თავდებობის ფორმა, რომლის შესაბამისად მესამე მხარე (როგორც წესი, კომერციული ბანკი) გადახდის გარანტიას იძლევა, რომ თამასუქი, ჩეკი ან სხვა ვალდებულება იქნება დაფარული (გადახდილი). ავალი შეიძლება მოიცავდეს მთელ ვალდებულებას ან მის წინასწარ შეთანხმებულ ნაწილს. ავალისტის ვალდებულების ამღებთან ერთად ეკისრება სოლიდარული პასუხისმგებლობა, რომ ვალი დროულად იქნება დაფარული. იმ შემთხვევაში, თუ ავალისტს, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარავს აღნიშნულ ვალ-

დებულებას, უჩნდება უფლება შესაბამისი თანხის ანაზღაურება მოთხოვოს პირს, ვისთვისაც მან გასცა ავალი. ავალი ფორმდება სასესხო ვალდებულების ავერსზე ან მასზე თანდართულ დოკუმენტზე, რომელსაც „ალონჟი“ ეწოდება.

ავალირებული ბრინჯაო □ თამასუქი, რომელიც შეიცავს ავალს. ავალი ზრდის თამასუქის საიმედოობას.

ავანსი (advance) [ფრანგ. avance] □ ფულადი თანხა, რომელიც გაიცემა წინასწარ შემდგომი გადახდის ანგარიშში: საქონლის მიწოდებისთვის, მომსახურებისთვის, სამუშაოთა შესრულებისთვის. ავანსი, ისევე როგორც ბე, გვევლინება ხელშეკრულების დადების დამამტკიცებელ საშუალებად, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ხელშეკრულების რეალური შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას. ვალდებულების შეუსრულებლობისას ავანსი ექვემდებარება დაბრუნებას.

ავანტაჟი □ სამეურნეო ოპერაციაში ხელსაყრელი მდგომარეობა. გამორჩენა, სარგებელი, ხეირი.

ავანტიურიზმი □ ფრანგულად რისკს ნიშნავს, ისეთი მოქმედება, რომელიც არ ითვალისწინებს რეალურ პირობებს და საზოგადოებრივ კანონზომიერებას. ავანტიურა სარისკო მოქმედებაა, რომელიც წამოწყებულია ადვილი წარმატების მიღწევის იმედით და ხშირად მარცხით მთავრდება.

ავარია □ რაიმე მანქანის, მექანიზმის (მაგ.: თვითმფრინავის, ავტომანქანის, გემის) დაზიანება. რაც სახიფათოა ადამიანის სიცოცხლისათვის.

ავერსი □ მონეტის ან მედლის წინა მხარე, საპირისპიროს ეწოდება რევერსი.

ავიზო – უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას. ეს ტერმინი განსაკუთრებით ფართოდ იხმარება საბანკო სისტემაში.

ავისტა – 1. ფასიანი ქაღალდი, რომელზედაც გადახდის ვადა არ არის მითითებული და რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს იყოს წარმოდგენილი. 2. წარწერა თამასუქზე ან სხვა ფასიან ქაღალდზე, რომელიც ადასტურებს მისი გადახდის შესაძლებლობას.

ავტარკია – თვითკმაყოფილება, დამოუკიდებლობა. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც გულისხმობს სხვა სახელმწიფოებისაგან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და საკუთარი მოთხოვნილების თვითუზრუნველყოფას, იმპორტის შეზღუდვას და იმავდროულად ექსპორტის განვითარებას. ამ გზით ერთი სახელმწიფოს ფარგლებში იქმნება კარჩაკეტილი მეურნეობა. წმინდა სახით ავტარკიული სახელმწიფოს პოლიტიკა უფრო ხშირად ვლინდება კაპიტალიზმის წინა პერიოდში, ნატურალური მეურნეობის განვითარების საფუძველზე. ასეთი პოლიტიკის რეალიზაციისათვის არსებობს მრავალი გზა, რომელთაგან მთავარია: შემოტანილ საქონელზე მაღალი საბაჟო გადასახადი, სხვა სახელმწიფოსთან ეკონომიკური კავშირის განვითარების შეზღუდვა, საექსპორტო საქონელზე გაზრდილი ფასების დაწესება და სხვ. თანამედროვე მსოფლიოში უფრო აგრესიული პროცესები ვითარდება და ავტარკიულ პოლიტიკას ნაკლებად მიმართავენ.

ავტონომია (ბერძნ. autos-camnomos-კანონი) – თვითმართველობა, ტერიტორიების, საწარმოების მართვის ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც მათ აქვთ მნიშვნე-

ლოვანი სამეურნეო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებები და შესაძლებლობა.

ავუარი (ფრანგულად ქონება, სიმდიდრე). ცალკეული პიროვნების, სახელმწიფოს ან ბანკის ქონება (უცხო ვალუტა, ფასიანი ქაღალდები, ოქრო და სხვ.), ანაბარი, რომელიც უცხოეთის ბანკებში ინახება.

აზარტი რისკი, ძლიერი გატაცება, თავდავიწყება. აზარტული გატაცება ხშირად ხდება აუქციონით გაყიდვისას ან გარიგებების დროს ბირჟის სავაჭრო დარბაზში.

აკვიზიტორი სადაზღვეო ან სატრანსპორტო კომპანიის აგენტი/მუშაკი, რომელიც ახდენს ახალი ტვირთის/დაზღვევის მოზიდვას და/ან არსებული ხელშეკრულებების განახლებას.

აკვიზიცია ბირჟაზე გარკვეული სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული აქციების სრული ოდენობით შესყიდვაზე აქციონერთა შეთანხმება. ასეთი მოქმედება ფაქტობრივად მთელი ობიექტების (საწარმოს) შესყიდვას ნიშნავს.

აკვიზიციური ხარჯები მზღვეველსა და დამზღვევს შორის სიცოცხლის დაგროვებითი დაზღვევის ხელშეკრულების დადებისათვის გათვალისწინებული აუცილებელი დაკავება (გარკვეული წილი).

აკრედიტაცია ა) ატესტაცია, პროცესი, რომლის შედეგადაც პირი (იურიდიული/ფიზიკური) უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ იღებს ოფიციალურ აღიარებას, რომ იგი კომპეტენტურია შეასრულოს გარკვეული სამუშაოები; ბ) პირისათვის რაიმე რწმუნების, უფლებამოსილების მინიჭება.

აკრედიტივი ფულადი ან სხვა სახის საანგარიშსწორებო დოკუმენტი, რომლის მიხედვით ერთი ბანკი, საკრედიტო დაწესებულება ავალებს მეორეს მისცეს წარმომდგენს განსაზღვრული თანხა. აკრედიტივი საგარეო

ვაჭრობაში გამოიყენება, როგორც ანგარიშსწორების გარკვეული ფორმა.

აკუმულაცია ფულადი სახსრების □ პირის, ფირმის, ქვეყნის მიერ ფულადი სახსრების თანდათანობითი დაგროვების პროცესი.

ალიანსი □ ფართო გაგებით, კავშირი ან გაერთიანება. მაგალითად, კოოპერატორთა კავშირი (ალიანსი), საერთაშორისო კავშირი (ალიანსი) და სხვა ცალკეულ პირთა, პარტიათა ან სახელმწიფოთა გაერთიანება რაიმე მიზნის მიღწევისათვის.

ალონჟი □ თამასუქზე მიკრული დამატებითი ფურცელი, მიღებული მყიდველისაგან, რომელზეც აღნიშნულია სათავდებო გარანტია.

ალპარი (at par და parity) □ ნომინალი. ტერმინი, გამოიყენება ბირჟაზე და აღნიშნავს იშვიათ მოვლენას, როდესაც ტოლი ხდება ფასიანი ქაღალდის/ ვალუტის საბირჟო კურსი და მისი ნომინალი.

ალტერნატივა (alternative) □ ორი ერთმანეთის გამომრიცხავი შესაძლებლობისაგან ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა.

ამალგამაცია □ 1. (*ქიმ.*) ამალგამის მიღება; ლითონის გახსნა ვერცხლისწყალში; 2. (*ტექ.*) ლითონის დაფარვა ვერცხლისწყლით; დაამალგამება; 3. (*მთ.-მადნ.*) ოქროს და ვერცხლის მიღება ფხვიერი მადნისაგან; 4. (*გადატ.*) სხვადასხვა რისამე შეერთება, შერწყმა.

ამბალაჟი □ 1. საფუთავი მასალა; 2. შეფუთვის ხარჯები.

ამონაგები რეალიზაციიდან □ სახსრები რომელიც იქნა ან იქნება მიღებული მყიდველებისაგან მათთვის მიწოდებული საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემდეგ.

ამორტიზაცია (ლათ. amortisatio-გადახდა) □ აქტივების ფასეულობების შემცირება მათი ექსპლუატაციის პროცესში.

ამორტიზაცია, ამავე დროს, არის ვალის თანდათანობითი დაფარვა პერიოდული შესატანებით.

ამორტიზაციის გრაფიკი – ცხრილი, სადაც მოცემულია სესხის ყოველთვიური დაფარვის გრაფიკი: ყოველთვიურად დაფარული სესხის ძირითადი თანხა და პროცენტი; ასევე, სესხის დარჩენილი ნაშთი.

ანაბარი (bank deposite) – ა) ბანკში შესანახად შეტანილი დანაზოგი; ბ) კომერციულ ბანკში ან არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებაში პირის მიერ შეტანილი ფულადი სახსრები, რომლებზედაც საკუთრების უფლებას იძენს სადეპოზიტო დაწესებულება და რომელსაც, როგორც წესი, ერიცხება პროცენტები.

ანაბარი ვადიანი (term deposit; fixed-term deposit) – საკრედიტო დაწესებულებაში განსაზღვრული ვადით შეტანილი ფული (ანაბარი), რომელსაც ერიცხება პროცენტი. საკრედიტო დაწესებულებას ამ ვადის განმავლობაში ანაბარზე აქვს საკუთრების უფლება, მაგრამ ვადის გასვლისთანავე ვალდებულია დააბრუნოს ანაბარი დარიცხული პროცენტთან ერთად.

ანაზღაურება (offset, refund; repayment) – შესრულებული სამუშაოს მიყენებული ზარალის, გაწეული ხარჯების სანაცვლოდ მიღებული საზღაური.

ანალიზი – რისამე შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით (შდრ. სინთეზი). მათემატიკური ანალიზი – უმაღლესი მათემატიკის მთავარი ნაწილი, რომელიც შეიცავს დიფერენციალურ და ინტეგრალურ აღრიცხვას.

ანალოგი – მსგავსი, იდენტური, რაც ანალოგიის საფუძველს იძლევა.

ანალოგიური გაყიდვების მეთოდი – ფასის დადგენა იმ ფასებით, რომელიც ჩამოყალიბებულია ანალოგიურ საქონელზე, არა უმეტეს ბოლო 60 დღის განმავლობაში.

ანალოგიური საქონელი – სხვადასხვა საქონელი, რომელსაც აქვს ერთნაირი მახასიათებლები, კერძოდ: ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა და/ან მწარმოებელი.

ანარქია (anarchia) – „უმთავრობობა, ხელისუფლების უქონლობა, არეულობა“ 1. ანარქიზმისთვის დამახასიათებელი უარყოფა ყოველგვარი ხელისუფლებისა და სახელმწიფოსი; 2. *გადატ.*სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი. წარმოების ა.– *ეკონ.* კაპიტალისტური მეურნეობისათვის დამახასიათებელი საზოგადოებრივი წარმოების უგეგმობა, რასაც გარდაუვალად მოსდევს პერიოდული ეკონომიკური კრიზისები.

ანგარიშგება (reporting) – ფინანსური ანგარიშის წარმოება დადგენილი ფორმის მიხედვით წარმოება-დაწესებულების მუშაობის შესახებ.

ანგარიში (account) – ტერმინს მრავალი მნიშვნელობა აქვს _ ეკონომიკაში იგი მოიაზრება, როგორც საბანკო ანაბარი, რომელსაც განსაზღვრული საიდენტიფიკაციო ნომერი აქვს და რომელიც საშუალებას იძლევა მისი დახმარებით ვაწარმოოთ უნაღდო ანგარიშები.

ანგარიში მიმდინარე (current account) – საბანკო ანგარიშის ისეთი ფორმა, რომ შეიძლება მასზე არსებული თანხის შესაბამისი ჩეკის გამოწერა. თანხას პროცენტი არ ერიცხება.

ანგარიში სადეპოზიტო (deposit account) – ანგარიში ბანკში. მასზე არსებული თანხა იძლევა შემოსავალს პროცენტის სახით. ასეთი ანგარიშიდან თანხის გამოტანა შეიძლება მხოლოდ წინასწარი შეტყობინების საფუძველზე.

ანგარიშსწორება – (calculation/settlement/payment)- ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება

ვალდებულია კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან ანგარიშის მფლობელის მითითების საფუძველზე (ანგარიშზე არსებული თანხის ფარგლებში) აწარმოოს გადახდები, ხოლო შემოსული თანხა ჩარიცხოს ანგარიშზე. იგივე ოპერაციები შესაძლებელია განხორციელდეს ნაღდი ფულით.

ანგარიშსწორება ბანკთაშორის (interbank calculations) – ბანკებს შორის ანგარიშსწორება ხდება მათ შორის არსებული ურთიერთობების და/ან კლიენტებთან ანგარიშსწორე-ბისა და სალაროს მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

ანგარიშსწორება კრედიტით (calculation by the credit) – ანგარიშსწორება სესხის სახით აღებული ფულით, რომელიც გაიცემა მყიდველზე კონკრეტული საქონლის შესაძენად ბანკის მიერ.

ანგარიშსწორება საბირჟო (exchange calculation) – ფასიან ქაღალდზე საბირჟო გარიგებების ანგარიშსწორება ითვალისწინებს საპირისპირო მოთხოვნათა ურთიერთ-ჩათვლას და მიწოდება-გადახდის პრინციპით კონტროლს.

ანგარიშსწორება საერთაშორისო (international payment) – საგარეო ვაჭრობის, კრედიტების, ინვესტირების, არაკო-მერციული ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი ფულადი ანგარიშსწორება სხვადასხვა ქვეყნის იური-დიულ/ფიზიკურ პირებს შორის. საერთაშორისო ანგარიშსწორებას ასრულებენ კომერციული ბანკები უნაღდო ანგარიშსწორებით.

ანგარიშსწორება უნაღდო (clearing settlements) – ანგარიშსწო-რება, რომელიც სრულდება ნაღდი ფულის გარეშე, გადარიცხვებით გადამხდელის ანგარიშსწორების ანგა-რიშიდან მიმღების ანგარიშსწორების ანგარიშზე. ანგარიშსწორების ცენტრს წარმოადგენს ბანკი.

ანდერრაითი (inderwrite) – სადაზღვევო და ფინანსური კომპანიების და ბანკების საქმიანობის ნაირსახეობა, რომლის დროსაც გარკვეული პირი ან ორგანიზაცია ანდერრაითერი წინასწარ დადგენილი პირობების შესაბამისად, და სპეციალური ანაზღაურების ხარჯზე, იძლევა ნებართვას აქციების, ობლიგაციების (განთავსებაზე) გასაღებაზე.

ანკლავი (enclave) – სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიით და რომელსაც არა აქვს ზღვის ნაპირი (მაგ., სან-მარინოს რესპუბლიკა იტალიაში).

ანტაგონიზმი – პოლიტიკური დაპირისპირების უკიდურესი ფორმა, რომელიც ხასიათდება პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების შეურიგებლობით. კონფლიქტოლოგიური ან კლასობრივი თეორიების ფარგლებში მიჩნეულია, რომ მოცემული პოლიტიკური სისტემისათვის დამახასიათებელი ანტაგონისტური წინააღმდეგობები (ვთქვათ, წინააღმდეგობა მემამულეებსა და გლეხებს შორის ფეოდალურ საზოგადოებაში) შეუძლებელია გადაიჭრას ამ სისტემაში, ამიტომ მიიჩნევენ, რომ ანტაგონისტური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ მთელი სისტემის რადიკალური შეცვლით.

ანტერპრენიორი – 1. კერძო თეატრის, ცირკის და ა.შ. მფლობელი, არენდატორი. 2. მეწარმე.

ანტიციპაცია – ფულის გადახდა სავალო ვალდებულების საფუძველზე დათქმულ ვადამდე. რისამე ვადაზე ადრე შესრულება.

ანუიტეტი (ინგლ. annuity) – სესხის სახეობა. გარკვეული ზომის ფულადი თანხა, რომელსაც უხდიან კრედიტორს მისგან მიღებული სესხის დასაფარავად, პროცენტის ჩათვლით.

აპელაცია (appeal) – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

აპოლოგია – ვისიმე ან რისამე ზღვარგადასული, გადამეტებული ქება; რაიმეს ან ვინმეს დაცვა.

აჟიო (იტალ. aggio) – 1. ფულის ნიშნებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების კურსის აწევა (საპირისპიროა დიზაჟიო). იგივეა, რაც ლაჟი; 2. ქაღალდის ფულის ოქროზე, ან „სუსტი“ ვალუტის „ძლიერ“ ვალუტაზე გადაცვლის საკომისიო.

არაამორტიზირებული ძირითადი საშუალება – ძირითადი საშუალება, რომელიც ექსპლუატაციის დროს არ კარგავს თავის ღირებულებას.

არამატერიალური აქტივი – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, სხვისთვის იჯარით გადაცემისა და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, საბადოების დამუშავების უფლება, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

არაპირდაპირი გადასახადი – გადასახადი (დღგ. აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით, რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მიმწოდებლის ან

მომსახურების გამწევს, რომელიც იწოდება გადასახადის გადამხდელად.

არაპირდაპირი დანახარჯები – ხარჯები, რომელიც პირდაპირ კავშირში არ არის წარმოებულ ან რეალიზებულ პროდუქციის თვითღირებულებასთან და მათი მოცულობა პირდაპირპროპორციულად არ იცვლება წარმოებულ ან რეალიზებულ პროდუქციასთან ერთად.

არაპროცენტული მარჟა – სხვაობა ბანკის არაპროცენტულ შემოსავლებსა და საპროცენტო ხარჯებს შორის, სხვაობა გაყოფილ, ერთობლივ ან ბანკის შემოსავლიან აქტივებზე.

არარეზიდენტი – იურიდიული პირი/ფილიალი/წარმომადგენლობა/მუდმივი დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც არ არის რეზიდენტი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და ფიზიკური პირი, რომლის არარეზიდენტობის საკითხს ბანკი ადგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მოქალაქეობის მიხედვით;

არასანქცირებული წვდომა – ინფორმაციის ან სისტემაზე წვდომა იმ პირის მიერ, რომელსაც არ აქვს ამის უფლება.

არასტაციონარული ბიზნესი – მოძრავი ბიზნესი, რომელიც ხასიათდება ცვალებადი ადგილმდებარეობით.

არბიტრაჟი (arbitration) – 1. დავის გადაწყვეტის წესი, მოდავე მხარეების მიმართვა დამოუკიდებელი არბიტრაჟისადმი, რომლებიც ასრულებენ მოსამართლე ექსპერტების როლს. 2. სახელმწიფო ორგანო, რომელიც დაარსებულია საწარმოების, ორგანიზაცია, დაწესებულებებს შორის ქონებრივი დავის გადასაწყვეტად, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობის შემთხვევაში აღძრული სარჩელის გადასაწყვეტად.

არბიტრი – სამედიატორო მსაჯული შუამავალი, რომლის დანიშნულება მოდავე მხარეთა დავის გადაწყვეტაა.

არენდა – უძრავი ქონების დაქირავება სათანადო ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით ერთ-ერთი მხარე – არენდის გამცემი აძლევს მეორე მხარეს – არენდის ამღებს ქონებას დროებით სარგებლობაში გარკვეული ქირის სანაცვლოდ. არენდით აღებული ქონება (მიწა, შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი, სამრეწველო და სავაჭრო ობიექტები და სხვ.) შესაძლოა არენდის ამღებმა გამოისყიდოს.

არისტოკრატია – 1. კლასობრივ საზოგადოებაში: უმაღლესი წოდება, გაბატონებული კლასის პრივილეგირებული ფენა, დიდგვაროვნები. 2. კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელიმე კლასის ან სოციალური ჯგუფის ზედაფენა. 3. (ისტ.) სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც ძალაუფლება დიდებულთა მცირერიცხოვანი პროვილეგირებული კლასის ხელშია (მაგ.: ძველ საბერძნეთსა და რომში).

არტიკული □ („ნაწილი, ნაწევარი“) 1. გამოშვებული ნაწარმის, საქონლის ტიპი; 2. (*მოძვ.*) რუსეთში – კანონის ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტის მუხლი, პარაგრაფი.

ასეანი - (Association of South East Asian Nations) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია, სახელმწიფოთშორისი ორგანიზაცია.

ასიგნაცია – ქაღალდის ფული.

ასიგნება (assignare) – (დანიშვნა, გამოყოფა); 1. საკანონმდებლო ორგანოს მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის მინიჭებული უფლება, რათა მან ხაზინის მეშვეობით გასწიოს გარკვეული ხარჯები; 2. კომპანიის მოგების განაწილება დივიდენდზე, რეზერვების შევსებასა და გადასახადებზე; 3. ფისკალური წლის განმავლობაში

საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მიზნებისათვის დამტკიცებული მოცულობის ფარგლებში ხარჯის გაწევის უფლებამოსილება, რომელიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით. ასიგნების გარეშე ხარჯის გაწევა და ვალდებულებების აღება დაუშვებელია.

ასიგნებანი – ფულადი სახსრები, რომელიც გამოყოფილია სახელმწიფო და სხვა წყაროებიდან გარკვეული საჭიროებისათვის, ან გარკვეული ორგანიზაციებისათვის, პირებისათვის. მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტური ასიგნება სოფლის გზების მშენებლობისათვის.

ასიმილაცია – ინვესტორების მიერ ახალი ფასიანი ქაღალდების შეძენა ანდერრაიტერის მიერ მათი სრული გაყიდვის შემდეგ.

ასორტიმენტი (ფრანგ. Assortiment) – სხვადასხვა სახეობისა და ხარისხის (მაგ., ქსოვილების) ერთობლიობა.

ასოციაცია (ლათ. Associatio-დაკავშირება, შეერთება) – ფიზიკური და/ან იურიდიული პირების ნებაყოფლობითი გაერთიანება, ერთობლივი თანამშრომლობის მიზნით.

ატაშე (Attache, attacher მიმაგრება, განწესება, მივლენა) – 1. დიპლომატიური თანამდებობა; 2. ოფიციალური პირი, რომელიც დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ირიცხება როგორც რომელიმე დარგის სპეციალისტი (მაგალითად, სამხედრო ატაშე, პრესატაშე და სხვ.).

აუდიტი (ლათ. Audit) – საწარმოების, ორგანიზაციების ასოციაციების, ფონდების, კავშირების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ფინანსური ანალიზი, ბუღალტრული კონტროლი, რევიზია, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტების (აუდიტორული სამსახურები, აუდიტორები) დამოუკიდებელი სამსახურები ატარებენ.

აუდიტორი – 1. პირი, რომელიც აუდიტორულ საქმიანობას ახორციელებს; 2. ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს

საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემული აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი. იგი აუდიტორულ საქმიანობას ეწევა ინდივიდუალურად, ლიცენზიის საფუძველზე ან/და აუდიტორული ფირმის მეშვეობით.

აუდიტორის დასკვნა (conclusion of the auditor) – დადგენილი ფორმის დოკუმენტი: ა) შეიცავს აუდიტორის აზრს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისას დადგენილი ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისობისა და საბუღალტრო ანგარიშგების უტყუარობის შესახებ; ბ) აქვს იურიდიული მნიშვნელობა ყველა იურიდიული და ფიზიკური პირის, სახელმწიფოს მმართველი და ადმინისტრაციული ორგანოების, ადგილობრივი თვით-მართველობისა და სასამართლოსათვის; გ) განკუთვნილია ეკონომიკური სუბიექტის საბუღალტრო ანგარიშგების ნებისმიერი მომხმარებლისათვის.

აუდიტორის რისკი (audit risk) – ალბათობა იმისა, რომ აუდიტორის (სუბიექტის) მიერ კომპანიის საბუღალტრო საქმიანობის შესახებ გაცემული დასკვნა შეიცავს უზუსტობას: ნაჩვენებია მნიშვნელოვანი დარღვევა, როდესაც რეალურად დარღვევას არ აქვს ადგილი და პირიქით. აუდიტორული რისკი წარმოადგენს დაზ-ღვევის საგანს.

აუდიტორული პროცედურები – არის აუდიტორული შემოწ-მების პროცესის განხორციელების ხერხების ერთობ-ლიობა. აუდიტორული პროცედურები იყოფა: კლიენტის შიდა კონტროლის პროცედურებსა და ტესტებზე; უშუალო შემოწმების პროცედურებზე. შიდა კონტ-როლის პროცედურების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბანკის შიდა კონტროლის სისტემა ფინანსურ ანგარიშგებას გაყალბებისაგან იცავს. შემოწმების პროცე-

დურები უშუალოდ მტკიცებულებების (მოწმობის) მიღების აუდიტორული ხერხების ერთობლიობას წარმოადგენს, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშ-გება ან მისი ფრაგმენტი მნიშვნელოვან (არსებით) ცდომილებებს არ მოიცავს.

აუდიტორული შემოწმება (auditorial control) – აუდიტი. სამუშაო რომელიც სრულდება სამეურნეო სუბიექტის სამეწარ-მეო საქმიანობის (აღრიცხვა, ანგარიშგება, დაბეგვრა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა) სისრულისა და სისწორის მოქმედ კანონმდებლობასა და სუბიექტის წესდებასთან შესატყვისობის დასადგენად.

აუტსაიდერი (ინგლ.outsider გარეშე) – საწარმო, რომელიც არ შედის გაერთიანებაში.

აუქციონი (auction) – გარკვეულ ადგილზე, სპეციალურად ორგანიზებული და პერიოდულად მოქმედი ბაზარი, სადაც საჯარო ვაჭრობის წესით, წინასწარ განსაზ-ღვრულ დროს, იყიდება საქონელი. საქონელი რჩება მეტი საფასურის გადამხდელ პირს.

აუცილებელი მარჟა □ არის სავაჭრო ანგარიში, რომელიც უნდა იყოს თავისუფალი, რათა სასურველი მოცულობის პოზიციის გახსნა შეძლონ, აღსანიშნავია, რომ პოზიციის შენარჩუნების დროს მარჟის უსაფრთხოების ღირებუ-ლება შეიძლება შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს), თუ კონკრეტულად რომელი მოქმედება უნდა ჩატარ-დეს, დამოკიდებულია ინსტრუმენტებზე, რომლებიც საერთო ღია პოზიციაში მონაწილეობენ. კომპანიის მოთხოვნების თანახმად, მარჟალური უზრუნველყოფა უნდა შეადგენდეს საწყისი მარჟის სიდიდის არანაკლებ 10%-ს.მოცემული სიდიდე აუცილებელი მარჟაა.

„აფეთქება“ – ფასიანი ქაღალდების მიწოდება, რომლებიც თითქმის დაუყოვნებლივ ვრცელდება.

აფერა (ფრანგ. Affaire საქმე) – საეჭვო ხასიათის მქონე გარიგება, თაღლითობა.

აფილირება – ფრანგულად მიერთებას ნიშნავს. აფილირებულად ჩაითვლება ყველა ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც თავისი კაპიტალით მიუერთდა რომელიმე სტრუქტურას (ამხანაგობას, სააქციო საზოგადოებას, გაერთიანებას, ბანკს, ფონდს, და სხვ.) და გააფორმა ხელშეკრულება ახალი გაერთიანების ერთობლივი მართვის შესახებ.

აფინაჟი (ფრანგ. Affinago - გაწმენდა) – ლითონების (ოქრო, პლატინა, ვერცხლი) მინარევებისაგან გამოყოფის პროცესი, მაღალი სინჯის საბოლოო პროდუქტის მიღების მიზნით.

აფიშა – განცხადება, შეტყობინება, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული წერილობითი განცხადება სანახაობის (სპექტაკლის, კონცერტის და სხვ.) შესახებ.

აფორფე – საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება გადასაყვანი თამასუქის გათვალისწინებით, რეგრესის უფლებების გარეშე, ე.ი. თამასუქის მყიდველი გადაუხდელობის მთელ რისკს საკუთრივ კისრულობს და უფლება არა აქვს პრეტენზია განუცხადოს თამასუქის ადრინდელ მფლობელს.

„აფრენა“ – ეკონომიკის განვითარების ფაზა, რომელსაც ახასიათებს სამეურნე ზრდის ავტომატიზმი.

აქსელერატორი – მაკროეკონომიკაში კოეფიციენტი, რომელიც გამოხატავს ინვესტიციების მატების შეფარდებას შემოსავლის, სამომხმარებლო მოთხოვნის ანდა მზა პროდუქციის მატებასთან.

აქსელერაცია – დაჩქარება. გამოიყენება ეკონომიკურ სიდიდესთან ურთიერთდამოკიდებულების გარკვევისათვის.

აქტი – რისამე დამამტკიცებელი ოფიციალური დოკუმენტი.

აქტივი – საკუთრების ობიექტი, რომელიც ეკუთვნის ინდივიდს ან ფირმას და აქვს ფულადი შეფასება. არსებობს აქტივების სამი სახე: ა) ფიზიკური აქტივები – წარმოებრივი შენობები და მოწყობილობა, მიწა, ხანგრძლივი მოხმარების სამომხმარებლო საქონელი (ავტომობილები, სარეცხი მანქანები და ა.შ.); ბ) ფინანსური აქტივები – ნაღდი ფული, საბანკო ანგარიშები, აქციები; გ) არამატერიალური აქტივები – სავაჭრო მარკები და ა.შ.

აქტივები (რისკის მიხედვით შეწონილი) არის საქართველოს ეროვნული ბანკისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიდგომის შესაბამისად, ბანკის აქტივები გამრავლებული აქტივების თითოეული კატეგორიის რისკიანობის ხარისხის შესაბამისი სპეციალური წონითი კოეფიციენტი. საბოლოო მსესხებლის საწარმოებისა და მოქალაქეების დაკრედიტების რისკი – ათვლის წერტილად მიიღება, სადაც რისკის კოეფიციენტი 100%-ის ტოლია. უფრო ნაკლები რისკიანობის დაბანდებას ნაკლები წონითი კოეფიციენტი მიეკუთნება, ხოლო რისკ გარეშე კოეფიციენტი 0-ის ტოლია.

აქტივების შემოსავლიანობა, ანუ მოგებისა და აქტივების თანაფარდობა (ROA) არის ბანკის ერთობლივი აქტივების შემოსავლიანობა, რომელიც სუფთა მოგების (გადასახადის დაბეგვრის შემდეგ) ერთობლივ აქტივებთან თანაფარდობით გაიანგარიშება.

აქტიური – სადაზღვევო საქმის ორგანიზატორი. სადაზღვევო ტექნიკის სპეციალისტი, რომელიც სადაზღვევო შესატანებისა და პრემიების დარიცხვას ანგარიშობს.

აქტიური ოპერაციები – ბანკის მიერ თავისი ფინანსური რესურსების განლაგება ბრუნვაში გაშვებისა და მოგების მიღების მიზნით.

აქცეპტანტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც თავის თავზე იღებს ვალდებულებას გაანაღდოს თამასუქი, ანგარიში.

აქცეპტი (ლათ. Acceptus-მიღებული) – გადამხდელის ვალდებულება (თანხმობის დადასტურება) დადგენილ ვადაში გაანაღდოს თამასუქი (ტრატა), გასანაღდებლად წარმოდგენილი ანგარიში, დააკმაყოფილოს განაღდების სხვა მოთხოვნები. აქცეპტი ფორმდება საგადასახადო მოთხოვნაზე წარწერით – „აქცეპტებულია“ და ხელმოწერით. აქცეპტს უწოდებენ აგრეთვე ერთ-ერთი მომლაპარაკებელი მხარის თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე მეორე მხარის წინადადებით (ოფერტით).

აქცეპტირებული თამასუქი – ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას, რომ სესხის ამღები გარკვეული დროის შემდეგ, ბანკის მეშვეობით, გადაიხდის კუთვნილ თანხას. ბანკი ამ შემთხვევაში შუამავლის როლს ასრულებს.

აქცეპტირებული ჩეკი – ჩეკი, რომელსაც ბანკის მხრივ მასში აღნიშნული თანხის განაღდების გარანტია აქვს.

აქცია (shares/stocks) – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს აქციონერის მიმართ სააქციო საზოგადოების ვალდე-ბულებებს და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგა-დოებაში. გამოცხადებულ აქციათა მრავალი ფორმა არსებობს, მათში ძირითადია, პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციები.

აქცია გამოცხადებული (announced share) – აქცია, რომლის გამოშვება ნებადართულია მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეგისტრირებული ემისიის პროსპექტით.

აქცია ვინკულირებული – სახელობითი აქციები, რომლებიც გადაეცემა მესამე პირებს, მათი გამომშვები სააქციო (აქციონერული) საზოგადოების ნებართვით.

აქცია მარტივი, (ჩვეულებრივი) – იძლევა დივიდენდის მიღების შესაძლებლობას წლის მანძილზე სამეურნეო შედეგების მიხედვით და ხმის უფლებას, აქციონერთა კრებაზე.

აქცია პირობითი – კონსიგნაციაში ინგლისურ-ამერიკული გამოთქმა იმ აქციების აღსანიშნავად, რომლებიც უკვე კოტირებულია ბირჟაზე, თუმცა მათი „ფიზიკური“ გამოშვება ჯერაც არ დაწყებულა.

აქცია პლურალური – აქცია, რომელიც აქციონერს აქციონერთა საერთო კრებაზე რამდენიმე ხმის უფლებას აძლევს.

აქცია პრემიარული – აქციები, რომლებიც იმავე ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციებთან შედარებით იძლევა უფლებას მხოლოდ კაპიტალისა და მოგების ნაწილზე. ისინი, როგორც წესი, ნაწილდება ხელფასზე.

აქცია პრივილეგირებული (preference/privileged share/senior stock) – აქცია, რომლის დივიდენდის განაკვეთი და მიღების წესი განსაზღვრულია საზოგადოების წესდებით.

აქცია სპეციალური – ოქროს-აქცია, რომლის მფლობელია სახელმწიფო ორგანიზაცია.

აქცია ჩვეულებრივი (ordinari share) – ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია აქციონერის ყველა ქონებრივი უფლება. კერძოდ, მოგების სიდიდის მიხედვით დივიდენდის მიღების უფლება; აქციონერთა საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობის და ხმის უფლება; კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ ქონების ნაწილის მიღების უფლება.

აქციდენცია – შემთხვევითობა. საგნის შემთხვევითი არაარსებითი თვისება.

აქციების დანაწევრება – აქციების რაოდენობრივი გაზრდა აქციონერულ კომპანიაში, რაც არ იწვევს ამ კომპანიის კაპიტალის ღირებულების ზრდას.

აქციების კოტირება – საფონდო ბირჟაზე აქციის საბაზრო ფასის განსაზღვრა.

აქციზი (excise tax) – საერთო-სახელმწიფოებრივი არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. საქართველოში აქციზური საქონლის წარმოება ან იმპორტი იბეგრება აქციზით, თუ ეს საქონელი განთავისუფლებული არ არის გადასახადისაგან.

აქციზის გადამხდელი (excise tax payer) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს ან ეწევა მის იმპორტს საქართველოში. დამკვეთის მიერ მიწოდებული ნედლეულისაგან საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადამხდელად ითვლება საქონლის მწარმოებელი.

აქციზური მარკა (excise mark) – აქციზური გადასახადის ბიუჯეტში ამოღების ერთ-ერთი ფორმა. აქციზურ საქონელზე დაკრული მარკა აღნიშნავს კონკრეტულ საქონელზე გადასახადის გადახდას.

აქციის აღწერა – აქციების რეგისტრი, რომელშიც მითითებულია აქციონერების სახელი და იურიდიული მისამართი.

აქციონერი – აქციების მფლობელი პირი, რომელსაც აქვს აქციები და აქედან გამომდინარე, სარგებლობს ყველა უფლებით.

აღიარებული საგადასახადო დავალიანება – გადასახადი ან/და სანქცია, რომელიც წარმოშობილია: ა) გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ან სხვა ვალდებული პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციის საფუძველზე; ბ) „საგადასახადო მოთხოვნის“ საფუძველზე, რომელსაც გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი, ან სხვა ვალდებული პირი ეთანხმება, ან რომლის გასაჩივრების ვადა გასულია; გ)

არბიტრაჟის/სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღრიცხვა (accounting) – პირველადი დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებელთა ფორმირების მეთოდი.

აღრიცხვა ანალიზური – სამეურნეო ოპერაციების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საშუალებების დეტალური საბუღალტრო აღრიცხვა, ანალიზური ანგარიშგების დახმარებით.

აღრიცხვა ქონების – საწარმოს, ორგანიზაციის ქონებრივი ფასეულობების რეგისტრაცია, მათი შეტანა მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის წიგნში.

გ

ბაზარი – 1) საქონლისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვის, სავაჭრო გარიგებების დადების ადგილი; 2) ეკონომიკური ურთიერთობანი, რომელიც დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების გაცვლასთან, რომელთა საფუძველზე მოთხოვნა, მიწოდება და ფასი ყალიბდება, ტერიტორიების მასშტაბების მიხედვით განარჩევენ მსოფლიო, ზონალურ, რეგიონულ, ქვეყნის ბაზრებს, ხოლო თითოეული ქვეყნის მიხედვით – შიდა და საგარეო ბაზრებს. კონკურენციის დონის მიხედვით ბაზრები იყოფა მაღალკონკურენციულ(თავისუფალ), მონოპოლიური კონკურენციის, ოლიგოპოლისტურ, მონოპოლისტურ (დახურულ) ბაზრებად. განარჩევენ ასევე ლეგალურ (ოფიციალურ) და არალეგალურ (ჩრდილოვან, შავ) ბაზრებს. ფასიანი ქაღალდების ბაზრებს ყოფენ პირველად და მეორად ბაზრებად.

ბაზარი აგრარული – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბაზარი.

ბაზარი არასრულყოფილი □ ბაზარი, რომელიც მუშაობს მცირე (არ აქვს სხვადასხვა სახის საქონელი) ასორტიმენტით.

ბაზარი აქციების □ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, ფასიანი ქაღალდების აქციების გამყიდველებსა და მყიდველებს შორის.

ბაზარი ბანკთაშორისი □ სასესხო კაპიტალის ბაზრის ნაწილი, სადაც საკრედიტო დაწესებულებების დროებით თავისუფალი ფულადი რესურსები მიიზიდება და განთავსდება ბანკების მიერ ურთიერთშორის, უპირატესად, ბანკთაშორისი დეპოზიტების ფორმით, მოკლე ვადით.

ბაზარი ორმხრივი □ ბანკთაშორისი სადეპოზიტო ბაზარი, სადაც მყიდველისა და გამყიდველის კურსი იდენტურია.

ბაზარი საერთაშორისო □ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყიდველების ბაზარი, საზღვარგარეთის მომხმარებლის, მწარმოებლის, შუალედური გამყიდველების ჩათვლით.

ბაზარი სამომხმარებლო □ ცალკეული პირები და ოჯახური მეურნეობები, რომლებიც საქონელს საკუთარი მოხმარებისათვის იძენენ.

ბაზარი სასესხო კაპიტალის □ სასაქონლო ურთიერთობათა სპეციფიკური სფერო, სადაც გარიგების ობიექტია სესხად მისაცემი ფულადი კაპიტალი და მასზე მოთხოვნა და მიწოდება ყალიბდება.

ბაზარი სპოტი - ბაზარი, სადაც რეალური საქონლით ვაჭრობა დაუყოვნებელი მიწოდებით ხდება.

ბაზარი შრომის □ სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდების ფორმირების სფერო. შრომის ბაზარი მხოლოდ ისეთ პირობებშია შესაძლებელი, როცა მუშა თავისი შრომის უნარის მესაკუთრეა. შრომის ბაზრის საშუალებით სამუშაო ძალის გაყიდვა განსაზღვრული ვადით ხორციელდება.

ბაზელის შეთანხმება – არის ბანკის კაპიტალის საკმარისობის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც 1987 წელს აშშ-ს, კანადის, იაპონიისა და ცხრა დასავლეთ-ევროპული ქვეყნის შეთანხმებით იქნა მიღებული.

ბაზისი (basis) – წანამატი ან ფასჩამოკლება იმ საქონლის საბირჟო კოტირებაზე, რომელიც ვაჭრობის საგანია. იგი საქონლის ხარისხზე, მიწოდების პირობებზე, გადასახდელებსა და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ბაზისი მიწოდების (basis delivery) – მიწოდების საბაზრო პირობები. გარიგების პირობები, რომლებიც განსაზღვრავს ვალდებულებებს გამყიდველსა და მყიდველს შორის.

ბაზრიდან გამოსვლა – ფირმა გადის ბაზრიდან, თუ იგი საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში ვერ იღებს მოგებას.

ბაიბეკი – გრძელვადიანი საქონელგაცვლითი ოპერაცია, რომლის დროსაც კრედიტით მიღებული ძირითადი ფონდების ღირებულება ანაზღაურდება მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებიდან (ამონაგებიდან). თანხა, როგორც წესი, გამოიყენება მსხვილი ობიექტების (ქარხნების, სასტუმროების, ელსადგურების და სხვა.) მშენებლობისათვის. წარსულში, ჩვენი სამეურნეო პრაქტიკის პირობებში, ასეთ ოპერაციებს საკომპენსაციო შეთანხმებებს უწოდებდნენ.

ბალანსი (ფრანგ. Balanse-სასწორი) – შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი. ორი ნაწილის რაოდენობრივი თანაფარდობა, რომელიც ერთმანეთის ტოლი უნდა იყოს, რადგან ერთი და იმავე რაოდენობის ფულის, საქონლის მიღებასა და ხარჯვას წარმოადგენენ. ბალანსს ადგენენ, როგორც ნატურალურ, ისე ღირებულებრივ მაჩვენებლებში. ბალანსი გამოიყენება ანალიზის, აღრიცხვისა და დაგეგმვისათვის. ბალანსი წარმოადგენს

ბიუჯეტთან ურთიერთობის ძირითად დოკუმენტს მას წარუდგენენ საგადასახადო ინსპექციას.

ბალანსი ბუღალტრული ბუღალტრული აღრიცხვის დოკუ-მენტი, რომელიც წარმოადგენს ფირმის ფინანსური და სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი სურათის მაჩვე-ნებლით ერთობლიობას განსაზღვრული თარიღისათვის. ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან (ცხრილისაგან). ბალანსის აქტივი გამოხატავს ფირმის სამეურნეო საშუალებების შემადგელობასა და განლაგებას, ხოლო ბალანსის პასივი ამ საშუალებების წარმოქმნის წყაროებსა და მათ განლაგებას.

ბალანსი კაპიტალის ქვეყანაში კაპიტალის მოდინების და ქვეყნიდან მისი უკუდენის სხვაობა.

ბალანსი ლიკვიდური საბუღალტრო ანგარიშგების ბალანსი, რომელიც ახასიათებს ფირმის, კომპანიის ქონებრივ მდგომარეობას, მათი როგორც იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტის თარიღისათვის.

ბალანსი მატერიალური ბალანსი, რომელიც მატერიალური რესურსების შემოსავლებისა და ხარჯვის წყაროებს, მასშტაბებსა და მათი მოცულობის შესაბამისობას აფიქსირებს.

ბალანსირება ბუღალტერიაში ბალანსის შეჯამება.

ბალანსის უწყისი ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას ფლობს კომპანია, როგორია მისი ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი კონკრეტული თარიღის მდგო-მარეობით.

ბალანსი შემოსავლისა და გასავლის ფინანსური ბალანსი, რომლის განყოფილებებში, დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, შემოსავლისა და გასავლის წყაროები და სიდიდეები მითითებული და დადგე-ნილია მათი შესაბამისობა, ან ერთი ნაწილის მეორეზე

გადამეტება. თუ გასავალი სჭარბობს შემოსავალს, მაშინ ბალანსს უწოდებენ დეფიციტურს.

ბანდეროლი – 1. საფოსტო გზავნილი (წიგნი, გაზეთი და მისთ.), რომელსაც ქაღალდი აქვს შემოკრული; 2. საქონელზე დაკრული იარლიყი, ქაღალდის ლენტი იმის ნიშნად, რომ გადახდილია ბაჟი ან სხვა გამოსაღები.

ბანკთაშორისი ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურსა და საბანკო დაწესებულებას ან საბანკო დაწესებულებებს შორის;

ბანკი (იტალ. banco-მერხი, სკამი) – ფინანსური ორგანიზაცია დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ფულისა და ფასიანი ქაღალდების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევს მთავრობას, საწარმოებს მოქალაქეებსა და სხვა ბანკებს. ბანკები ინახავენ ფულს, გასცემენ კრედიტს, ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აკონტროლებენ ფულადი სახსრების მოძრაობას, ფულისა და ქაღალდების მიმოქცევას, ეწევიან საგადასახდელო და საანგარიშსწორებო მომსახურებას.

ბანკი აქცეპტანტი – ბანკი, რომელმაც თავის თავზე აიღო ანგარიშის განაღდების ვალდებულება.

ბანკი იპოთეკარი – სპეციალიზებული კომერციული ბანკი, რომელიც აწარმოებს იპოთეკური კრედიტების გაცემას, ე.ი. კრედიტების გაცემას უძრავი ქონების გირავნობის ქვეშ ან უძრავი ქონების შეძენისათვის.

ბანკირთა სახლი – კერძო საბანკო დაწესებულება, რომელიც ეკუთვნის ცალკეულ ბანკირს ან ბანკირთა ჯგუფს, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ამხანაგობის სახით.

ბანკირი – ფულადი კაპიტალის მენეჯერი და მესაკუთრე, რომე-ლიც წარმართავს საბანკო ოპერაციებს.

ბანკის კაპიტალი – ისეთი სახის საბანკო ფონდებს წარმოადგენს, რომლებიც მეანაბრეების წინაშე მისი ვალდებულებების უზრუნველყოფას ემსახურება. იგი საქართველოს „პირველადი (საბიზნესო) საბანკო კაპიტალის“ ცნების იდენტურია.

ბანკის ლიკვიდობა – არის ბანკის მიერ მეანაბრეებისა და სხვა კრედიტორების მოთხოვნების დროულად დაკმაყოფილების შესაძლებლობა.

ბანკის მარკეტინგული სტრატეგია – არის მიზნობრივ ბაზრებზე ბანკის მიერ ჩამოყალიბებული და მიღებული განსაზღვრული მიზნების მიღწევის ხერხი, რომელიც საბანკო მომსახურებისა და პროდუქტების წესების გამოყენებასა და საბოლოოდ მათი მომხმარებლისათვის მიწოდებაზე არის დაფუძვნებული.

ბანკის მომგებიანობა – არის ბანკის საქმიანობის და ბანკის მიერ მიღებული მოგების გამომსახველი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მომსახურების განხორციელების მიზნით მის განკარგულებაში არსებული რესურსების გამოყენებით მიიღწევა.

ბანკის საქმიანობის რეგულატორები – ცნება, რომლებითაც მეურნე სუბიექტების საქმიანობის ნორმები და წესები განისაზღვრება. ყველა რეგულატორი შეიძლება შედგენილი იყოს შემდეგის გათვალისწინებით: მოქმედი კანონმდებლობის, მიღებული საქმიანი პრაქტიკის; აქციონერების ან ბანკის ხელმძღვანელების სურვილის; რეგულატორებად გამოიყენება ასევე ბანკის წესდება და მმართველის ბრძანებები და განკარგულებები.

„ბანკის ფილიალი“ – ბანკის ქვედანაყოფი, სადაც უშუალოდ ხორციელდება საბანკო საქმიანობა ან მისი ნაწილი.

ბანკნოტი – ქაღალდი ან ნაღდი ფული, რომელსაც მიმოქცევაში უშვებს ცენტრალური (ეროვნული) ბანკი. იგი მაღალლიკვიდური ფულადი მასის ძირითადი ნაწილია.

ბანკომატი – საბანკო აპარატის პროგრამირებული მოწყობილობა, რომელიც ბანკის კლიენტს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოოს არართული ოპერაციები, თავისი ანგარიშიდან, პლასტიკური ბარათის გამოყენებით. ძირითადად, იყენებენ ნაღდი ფულის გასაცემად.

ბანკროტი (იტალ. Bankrotto) – გაკოტრებული მოვალე. იურიდიული ან ფიზიკური პირი გაკოტრებულად ცხადდება მაშინ, როცა დავალიენების თანხა, რომელიც გამოთხოვილია გასანაღდებლად და ვადაში არ არის დაფარული, აჭარბებს უძრავი ან მოძრავი ქონების დოკუმენტირებულ ღირებულებას.

ბაჟი – გადასახადის სახეობა, რომელსაც ახდევინებენ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც სპეციფიკურ ურთიერთობაში შედიან სახელმწიფოსთან ან ერთმანეთთან, მაგ., საჯარო ხელშეკრულების დადებისას, ფასიანი ქაღალდების გადაცემისას, საქონლის საზღვარზე გადატანისას და ა.შ.

ბარათი სადისკონტო – საკრედიტო ბარათი, რომლითაც ხდება შეღავათების მიცემა.

ბარათი ფულადი – ბარათი, რომლითაც შესაძლებელია ნაღდი ფულის მიღება ავტომატიდან (ბანკომატიდან), აგრეთვე ფულის სწრაფი გადარიცხვა, გადამხდელის მიმდინარე ანგარიშიდან, გადასახდელის მიმღების მიმდინარე ანგარიშზე.

ბარატრია – გემის კაპიტნისა და ეკიპაჟის მიზეზით ტვირთისათვის განზრახ მიყენებული ზიანი. ბარატრიის რისკი დაზღვევას ექვემდებარება.

ბარელი – ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მოცულობისა და ტევადობის საზომი სხვადასხვა სიდიდისა, დაახლოებით 159 ლიტრს უდრის.

ბარიერი – მაღალი საბაჟო გადასახადი, გამოიყენება უცხოური საქონლის შემოტანის შეზღუდვის მიზნით.

ბარტერი – გაცვლა-გამოცვლა. საქონელგაცვლა, საქონლის უვალუტო, მაგრამ ეკვივალენტური გაცვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს საქონელზე მსოფლიო ან სახელ-შეკრულებო ფასები. ბარტერული გაცვლითი ოპერა-ციები ძირითადად სავალუტო სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ბარტერული გარიგება – საქონლის უშუალო გაცვლა საქონელზე, მისი ღირებულების გადაანგარიშების საფუძველზე.

ბასორამა – განათებული სარეკლამო პანელი, რომელიც სახლის სახურავზე მაგრდება.

ბენეფიციარი – პიროვნება, რომლის სასარგებლოდ ხორციელ-დება გადახდა ან წარედგინება აკრედიტივი. სადაზ-ღვევო პოლისის მიხედვით კუთვნილი თანხის მიმღები.

ბენილუქსი – სამი ევროპული ქვეყნის (ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი) საბაჟო-ეკონომიკური შეთანხმება, რომე-ლიც ეკონომიკური, სოციალური და საფინანსო საქ-მიანობის კოორდინაციას გულისხმობს.

ბიზნესანალიზი – ბიზნეს-სესხის ოფიცრის მიერ მსესხებლის კრედიტუნარიანობის დადგენის მიზნით ამ უკანას-კნელის სამუშაო ადგილის მონახულება, ფინანსური ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

ბიზნესგეგმა – ბიზნეს-ოპერაციის, ფორმის მოქმედების გეგმა, პროგრამა, რომელიც მოიცავს მონაცემებს ფირმაზე, საქონელზე, მის წარმოებაზე, გასაღების ბაზრებზე, მარკეტინგზე ოპერაციების ორგანიზაციასა და მათ ეფექტიანობაზე.

ბიზნესი (ინგ.business-საქმე, მეწარმეობა) მოგების მომტანი ეკონომიკური საქმიანობა; საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, რომელსაც მოაქვს შემოსავალი ან პირადი სარგებელი.

ბიზნესმენი – საქმიანი ადამიანი, მეწარმე, პირი, რომელიც დაკავებულია საკუთარი ბიზნესით, აქვს თავისი საქმე მოგების ან სხვა რაიმე სარგებლის მიღების მიზნით.

ბილი (ინგ. Bill) – კანონპროექტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია პარლამენტის მიერ.

ბირჟა (გერმ. Borse, ლათ.bursa-ქისა) – დაწესებულება, სადაც ხდება მსხვილი ფინანსური და სავაჭრო გარიგებები; საბითუმო ბაზარი, სადაც იდება საქონლის დიდი პარტიებით ყიდვა-გაყიდვის გარიგებები. ბირჟა სავაჭრო ოპერაციებში შუამავლის როლის თამაშით საქონლის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის კონტრაქტების დამყარებას და საბითუმო, საბაზრო ფასების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, **საბირჟო საჯარო** ვაჭრობების საშუალებით. ერთმანეთისაგან განასხვავებენ: **სასაქონლო ბირჟებს**, სადაც ვაჭრობენ მატერიალური ფასეულობებით; **საფონდო ბირჟები**, სადაც ვაჭრობენ ფასიანი ქაღალდებით; **სავალუტო ბირჟები**, სადაც ვაჭრობენ ვალუტით; **უნივერსალური ბირჟები**, სადაც ვაჭრობენ სხვადასხვაგვარი საქონლით; **შრომის ბირჟა** ხელს უწყობს უმუშევრების დასაქმებასა და იმ პირების შრომით მოწყობას, ვისაც სურს სამუშაო ადგილის გამოცვლა.

ბირჟის ბაჟი – ბირჟის წევრების და მომსვლელებისაგან, საბირჟო გარიგებების შესასრულებლად ბირჟის კომიტეტის მიერ აკრეფილი გადასახდელი.

ბირჟის ბიულეტენი – ბირჟის ყოველდღიური პერიოდული ბეჭდვითი ორგანო, რომელიც ფასიანი ქაღალდების

კურსსა და საქონლის ფასებს, თითოეული საბირჟო ფასეულობის ბრუნვის თანხას, ფასების ცნობარს აქვეყნებს.

ბირჟის ბრუნვა □ ფასიან ქაღალდებსა ან საქონელზე (თუ საუბარია სასაქონლო ბირჟაზე) გარიგებათა რაოდენობა; რომელიც დაიდო ბირჟაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში. იგი გაიანგარიშება, როგორც რეალიზებული საქონლის ან ფასიანი ქაღალდების ფასების ჯამი.

ბირჟის გარეშე ბრუნვა □ ბირჟის გარეშე გარიგებები □ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა შუამავალი ფირმების მეშვეობით, რომლებიც გვერდს უვლიან საფონდო ბირჟას, დილერებს; არ არიან მყიდველებისა და გამყიდველების საბირჟო აგენტები.

ბირჟის გარიგება □ შეთანხმება ყიდვა-გაყიდვის, უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთგადაცემის შესახებ, საბირ-ჟო ვაჭრობის მონაწილეებს შორის, საბირჟო საქონელზე, საჯარო ვაჭრობათა მსვლელობის დროს.

ბირჟის საბჭო □ საფონდო და სასაქონლო ბირჟების მართვის ორგანო, რომლის ფუნქციები ბირჟის კომიტეტის ფუნქ-ციების ანალოგიურია.

ბირჟის ფირმა □ ფირმა, რომელმაც ბირჟის წევრობა იყიდა და ბირჟის მუშაობაში დამოუკიდებლად მონაწილეობს.

ბიურო □ რომელიმე დაწესებულების საკონტროლო-განმკარგუ-ლებელი ორგანო, ან ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფი.

ბიუროკრატია (ფრანგ.bureau-ბიურო, კანცელარია, ბერძ. kratos-ძალაუფლება) □ უმაღლესი ჩინოვნიკური აპარატი, ად-მინისტრაცია; მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნე-ბულია ფორმალიზმზე.

ბიუჯეტი (ინგლ. Budget-ჩანთა) □ სახელმწიფოს, ფირმის, ოჯახის შემოსავალ-გასავლის ნუსხა დროის გარკვეული

მონაკ-ვეთისთვის; ხარჯთაღრიცხვა, ჩვეულებრივ, ერთი წლისათვის. ბიუჯეტი დგება არსებული და დახარ-ჯული ფულადი სახსრების რაოდენობის აღრიცხვისა და მათი ურთიერთშესაბამისობისათვის. ეკონომიკური სუბიექტების მიხედვით, რომლებისათვისაც დგება ბიუჯეტი, შეიძლება განვასხვავოთ: სახელმწიფო, რეგიონული, ადგილობრივი (მუნიციპალური), ოჯახის (სამომხმარებლო) ბიუჯეტები. არის აგრეთვე საწარმოს (ფირმის) ბიუჯეტიც, რომელიც შემოსავლებისა და ხარჯვის სახით დგება.

ბლანკი – ქაღალდის სუფთა ფურცელი, რომლის თავში დაბეჭდილია დაწესებულების სახელწოდება და მისამართი. ბლანკი გამოიყენება მიმოწერისათვის ან ისეთი რაიმე დოკუმენტის შესადგენად, რომელიც შემდგომ ხელმოწერითა და ბეჭდით დასტურდება.

ბლოკადა – ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკური იზოლაცია (გამიჯვნა), რომლის მიზანია მოშალოს ქვეყნის ეკონო-მიკა, მოუსპოს მას ნედლეულის წყაროები და გასაღების ბაზები, გაწყვიტოს სავაჭრო, საფინანსო, საკრედიტო და სხვა ეკონომიკური კავშირები.

ბოიკოტი (ინგ. Boycott) – ეკონომიკური ბრძოლის მეთოდი, რომელიც სავაჭრო და სხვა ეკონომიკური ურთიერ-თობების მთლიან ან ნაწილობრივ შეწყვეტაში, ზოგი-ერთი საქონლის ყიდვაზე უარის თქმაში მდგომარეობს.

ბონდი (bond) – 1) გარანტია, გირაო, წინდი;2) საბაჟო სანიშნე, რომელზედაც აღნიშნულია გადასაადგილებელი საქონ-ლის დასახელება და მისი შეფასება საბაჟო გადასახადის გადახდამდე; 3) აქტივებით უზრუნველყოფილი ობლი-გაციები, რომელიც არ იძლევა საკუთრების უფლებას კაპიტალის წილზე, მაგრამ იძლევა ფიქსირებულ შემოსავალს.

ბონი – მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულება, რომელიც გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის, როგორც ფულის ერთეულის შემცვლელი. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი.

ბონიტეტი – ტყის მასივების პროდუქტიულობის მაჩვენებელი.

ბონიფიკაცია – ისეთი საქონლის ფასწანამატი, რომელიც ხელშეკრულებით ან სტანდარტით განსაზღვრულ მაჩვენებლებზე უკეთესია. საექსპორტო საქონელზე გადასახდელების დაბრუნება (დაკლება) მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით. საქონელზე ფასდაკლება იმ შემთხვევაში, თუ იგი უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე შეთანხმებით იყო განსაზღვრული.

ბონუსი (ლათ. Bonus-კეთილი, კარგი) – დამატებითი დაჯილდოვება, წახალისება, წანამატი, პრემია; გამყიდველის მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად საქონლის ღირებულების დამატებითი ფასდაკლება, რომლის მიხედვითაც იგი საქონელს მუდმივ მყიდველზე ყიდის.

ბონუსური ემისია – ჩვეულებრივ, მაშინ ხორციელდება, როცა კომპანიას რამდენიმე წლის მანძილზე არ გაუნაწილებია მოგება აქციებზე და, ამგვარად, დააგროვა მნიშვნელოვანი რეზერვები ან მოახდინა ძირითადი კაპიტალისა და კაპიტალის დაგროვილი რეზერვების გადაფასება.

ბორდერო – საბუღალტრო დოკუმენტებიდან ამონაწერი ან იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც ანგარიშგების სახით შესაბამის ორგანოებს ეგზავნება.

ბოსი – წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელი (პატრონი), მესვეური.

ბრაკერაჟი – საქონლის ხარისხის შემოწმება, წუნის გამოვლინების მიზნით, წუნდება.

ბრანდმაუერი – სარეკლამო ფარი, რომელსაც, ჩვეულებრივ, შენობის ყრუ კედელზე ამაგრებენ.

ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემა ინგლ. Bretton Woods system) – ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო ანგარიშგების საერთაშორისო სისტემა, რომელიც ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე მიიღეს 1944 წლის 1-22 ივლისს. სახელწოდება მომდინარეობს აშშ-ის შტატ ნიუ-ჰემპშირის კურორტ ბრეტონ-ვუდსიდან (ინგლ. Bretton Woods). ამ სისტემამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). დოლარი გახდა საერთაშორისო ფულის ერთ-ერთი სახეობა, ოქროსთან ერთად. ეს იყო გარდამავალი ეტაპი ოქროს სტანდარტიდან თავისუფალ კონვენტაციამდე მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

სისტემის მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი იყო ჯონ მეინარდ კენსი. სისტემის ფარგლებში აშკარად გამოკვეთილი იყო აშშ-ის, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ლიდერის როლი, რადგან ყველა სახის ვალუტის დოლარზე მიბმა მას მრავალ უპირატესობას აძლევდა. სისტემამ იარსება XX საუკუნის 70-იან წლებამდე, სანამ თვითონ აშშ არ გამოვიდა სისტემის წინააღმდეგ და უკვე იამაიკის კონფერენციაზე ქვეყნები შეთანხმდნენ საკუთარი ვალუტის მეტ-ნაკლებად ცურვაზე, ერთმანეთის მიმართ.

ბრიფინგი – ხანმოკლე თათბირი ან პრესკონფერენცია (უპირატესად საერთაშორისო და მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე) ჟურნალისტებისთვის, სადაც

სპეციალური წარმომადგენელი განმარტავს მთავრობის პოზიციას გარკვეული საკითხის მიმართ.

ბროკერი (ინგ.broker) – ბირჟის მუშაკი, ბაზრის მონაწილე, საბაზრო ურთიერთობათა აგენტი, რომელიც საქონლის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის გამყიდველებსა და მყიდველებს შორის შუამავალის როლში გამოდის.

ბრუნვა კაპიტალის – კაპიტალის ციკლური მოძრაობა, წრე-ბრუნვა, რომლის სიჩქარე ერთი სრული ციკლის გავლის დროით იზომება.

ბრუტო (იტალ.brutto-უხეში) – საქონლის წონა ტარასა და შესაფუთთან ერთად (საპირისპიროა ნეტო) საერთო შემოსავალი ხარჯების გარეშე.

ბრუტო მოგება – გაყიდვის ღირებულება წარმოების დანახარ-ჯების მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია გადასა-ხადების გადახდამდე.

ბრძანება – სახელმწიფო მართვის ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულების, კომერციული ორგანიზაციის ხელმძ-ღვანელის აქტი, რომელიც მოიცავს მუშაკისათვის აუცილებელ მითითებებს; საბირჟო ტერმინი, რომელიც ნიშნავს გარიგების დადების დავალებას, რომელსაც კლიენტი ბროკერს აძლევს.

ბუკლეტი – მხატვრულად გაფორმებული რამდენიმეგვერ-დიანი წიგნაკი. ტექსტი ან სურათები, რომლის გვერ-დები დაბეჭდილია გრაგნილზე, რომელიც იკეცება არა როგორც წიგნის ფურცლები, არამედ თანამიმდევრო-ბით და ინახება გაუჭრელი. კითვისას ასეთი წიგნაკი გაიშლება გრძელ ფურცლად. უფრო ხშირად ასე ფორმდება საბავშვო სურათებიანი წიგნები.

ბუმი – სახალხო მეურნეობის დარგებში დეპრესიის ან სტაგნაციის შემდეგ ხანმოკლე აღმავლობა, გამოცოც-

ხლება. ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ან საქონლის ფასის ხელოვნურად გადიდებასაც ნიშნავს, რაც ხშირად სენსაციაში (ზედმეტ ხმაურში) გადადის. გადატანითი მნიშვნელობით კი რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული სენსაციაა.

ბუმი ეკონომიკური □ საქმიანი ციკლის ფაზა, წარმოების, ვაჭრობის, საქმიანი აქტივობის ხელოვნურად გამოწვეული მოკლევადიანი აღმავლობა. იგი მაღალი ერთობლივი მოთხოვნის შედეგია, რომელიც ბუნებრივად ხდება ან □ სტიმულირებით, ექსპანსიონისტურ ფულად- საკრედიტო პოლიტიკით.

ბუნებრივი დონე უმუშევრობის □ ობიექტურად ჩამოყალიბებული, შედარებით სტაბილური უმუშევრობის გრძელვადიანი დონე, განპირობებული ბუნებრივი მიზეზებით (კადრების დენადობა, მიგრაცია, დემოგრაფიული ფაქტორები), რომელიც ეკონომიკის ზრდის დინამიკასთან დაკავშირებული არ არის.

ბუნებრივი მონოპოლია □ ოფიციალურად აღიარებული გარდუვალი მონოპოლია, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და გაყიდვაზე, რის მიხედვითაც მონოპოლიზმი განპირობებულია ან მონოპოლისტის ბუნებრივი უფლებებით, ან მთლიანად სახელმწიფოსა და მოსახლეობისათვის ეკონომიკური ხელსაყრელობის მოსაზრებით. ბუნებრივი მონოპოლია წარმოიქმნება იმ დარგებში, სადაც მოქმედებს, ერთი მხრივ საავტორო უფლება, მეორე მხრივ, სახელმწიფოს ინტერესებშია ჰქონდეს ერთიანი მილსადენი, ენერგეტიკული ქსელები, რკინიგზის მაგისტრალები. სახელმწიფო მონოპოლია წარმოიქმნება იმ სფეროში, სადაც მისი არსებობა განპირობებულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოსაზრებით.

ბუნებრივი ოლიგოპოლია – დარგი მცირერიცხოვანი ფირმებით, მაგრამ საკმაოდ დიდი ეფექტიანი წარმოებისათვის.

ბურჟუა – ფეოდალიზმის ეპოქაში ქალაქის შეძლებული მცხოვრები. თანამედროვე გაგებით, ბურჟუაზიული კლასის წარმომადგენელი, კერძო მესაკუთრე.

ბურსა – ლითონის ფულის სატარებელი ტყავის ჩანთა(ქისა). ბურსას თანამედროვე ბირჟის სახელწოდების წარმოშობას უკავშირებენ.

ბუფერული ანგარიში – ბუფერულ ანგარიშად კომპანია **TeleTrade**-ის ანგარიში მიიჩნევა, რომელიც „მასტერ ინვესტის“ პროექტის ეგიდით მასტერის კომისიის გასაანგარიშებლადაა გათვლილი. აღნიშნული სახის ანგარიში მომგებიანი გარიგებების წინასაარჩევნო საკომისიოს დარიცხვისთვისაა.

შემდგომში დაკარგული გარიგებების გათვალისწინებით დარიცხული თანხების კორექტირებას ახდენენ. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის დასასრულს მასტერის საბოლოო საკომისიო მის ანგარიშზე ირიცხება.

თუ გარიგებების მომგებიანობა შეადგენს 100% -ს, მაშინ მთლიანი საკომისიო მასტერს გადაეცემა, თუ დაკარგულ გარიგებებსაც ჰქონდა ადგილი, მაშინ მთლიანი საკომისიო დაკარგული გარიგებების რაოდენობამდე მცირდება.

თუ საანგარიშო პერიოდი წამგებიანია, მასტერი საკომისიოს არ იღებს, ხოლო ინვესტორის ანგარიშზე (ინვესტ-ანგარიში) ადრე დარიცხული მთლიანი თანხა ირიცხება

ბუღალტერია (გერმ. buch-წიგნი და halten-დაჭერა) – 1) ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წიგნებისა და უწყისების წარმოება დოკუმენტაციის განსაზღვრული წესებისა და ფორმების დაცვით,

ფინანსური და მატერიალური რესურსების ფიქსაცია, მათი მიღება და მოძრაობა შესაბამისი მონაცემების ბუღალტრულ ანგარიშებში შეტანის საშუალებით. ბუღალტერია ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენება საწარმოებში (ფირმებში), მაგრამ მისი გამოყენება შეიძლება ოჯახშიც და ქვეყნის მასშტაბითაც; 2) საწარმოს (ფირმის) სპეციალური განყოფილება, რომელიც აწარმოებს ბუღალტრულ ოპერაციებს, მათ რიცხვში დარიცხვებს ხელფასზე.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (შემდგომში ბასს) □ ბუღალტრული საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

ბუშელი □ ფხვიერი და თხევადი ნივთიერებების ტევადობისა და მოცულობის ერთეული ინგლისსა (36,3ლ) და აშშ-ში (35,2ლ).

გ

გაანგარიშება □ რისამე რაოდენობის გამოთვლა, ანგარიშით განსაზღვრა, დადგენა; მაჩვენებლის ტექნიკური გამოანგარიშება.

გაანგარიშებითი მოგება □ საწარმოს საერთო, მთლიანი მოგება, ყველა წყაროს ხარჯზე, რესურსების საფასურისა და მოკლევადიანი კრედიტებისათვის პროცენტების გამოკლებით, მაჩვენებელი გამოიყენება სამეურნეო ანგარიშის სისტემაში.

გაბარიტი □ საგნების ზღვრული გარემოხაზულობა.

გადაზიდვები □ ტვირთის, საქონლის, მგზავრების ტრანსპორტირება.

გადაზიდვები შერეული – ტვირთის, მგზავრების გადაადგილება რამდენიმე სახეობის ტრანსპორტის (სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო) გამოყენებით.

გადაზღვევა (reinsurance) – ოპერაცია ორ სადაზღვევო კომპანიას შორის, რომლის დროსაც, დაზღვევის (გადაზღვევის) ხელშეკრულებით, ერთ-ერთი მხარე თავის თავზე იღებს რისკის ნაწილს, სადაზღვევო პრემიის გადახდის სანაცვლოდ.

გადამუშავებული საქონელი – გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული საქონლის გადამუშავების შედეგად მიღებული ან წარმოებული პროდუქტი.

გადამხდელი (გადამხდელი პირი) – საგადასახადო სისტემის გადამხდელი პირი, რომელიც აწარმოებს გადახდებს.

გადამხდელი ბანკი – ბანკი, რომელიც ასრულებს გადამხდელის საგადასახადო ოპერაციებს, ახდენს გადარიცხვას.

გადამხდელის ბანკი – ბანკი, რომელიც ემსახურება გადამხდელს.

გადარიცხვა (transfer) – უნაღდო ანგარიშსწორების ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც გადამხდელის საბანკო ანგარიშიდან მიმღებ საბანკო ანგარიშზე თანხების გადატანა წარმოებს საბანკო ან სხვა საანგარიშსწორებო ტექნოლოგიების მეშვეობით.

გადასახადები (ინგლ. taxes) – აუცილებელი გადასახადები, რომელიც ამოიღება ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან და შედის სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში. გადასახადები სახსრების ძირითადი წყაროა, რომელიც შედის სახელმწიფო ხაზინაში. ამავე დროს, სამეურნეო ცხოვრების ეკონომიკური პროცესები რეგულირდება გადასახადების მეშვეობით. გადასახადე-

ბის სისტემა მოიცავს განშტოებულ სტრუქტურას, მასში წარმოდგენილია უამრავი სხვადსხვა სახისა და ტიპის გადასახადი. გადახდის განაკვეთის სიდიდე დგინდება კანონმდებლობით. ამოღების დონის მიხედვით გადასახადები იყოფა: სახელმწიფო და ადგილობრივად. გადასახადით დაბეგვრის ობიექტების მიხედვით არსებობს პირდაპირი გადასახადი, რომელიც ამოიღება უშუალოდ შემოსავლიდან (საშემოსავლო გადასახადი ხელფასიდან, მოგებიდან) და არაპირდაპირი ფასსა და მომსახურებაზე დანამატის სახით (აქციზი), დამატებითი ღირებულების გადასახადი, ამოიღება ფულადი სახით.

გადასახადების ადმინისტრირება გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფორმების, მეთოდებისა და წესების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

გადასახადების გადამხდელები იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც კანონის შესაბამისად მოვალენი არიან გადასახადი გადაიხადონ.

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი საგადასახდო ორგანოს მიერ, გადასახადის გადამხდელისათვის, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მიკუთვნებული ნომერი.

გადასახადების ჰარმონიზაცია გადასახადების სისტემატიზაცია და უნიფიკაცია, იმ ქვეყნების საგადასახადო

სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის კოორდინაცია, რომლებიც საერთაშორისო რეგიონულ დაჯგუფებებში შედიან. ჰარმონიზაცია გამოიხატება იმ საბაჟო კავშირების შექმნაში, რომლებიც ერთიანი საბაჟო პოლიტიკის გამტარებელ სახელმწიფოებს აერთიანებს.

გადასახადი (tax/duty/levy) – ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის, აუცილებელი არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადი საბირჟო – საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ბრუნვის ფედერალური გადასახადი; ადგილობრივი გადასახადი ბირჟაზე განხორციელებული გარიგებებიდან.

გადასახადი საკუთრების - უძრავი ქონების(მიწა, შენობები) ნაღდი ქონებრივი საკუთრების გადასახადი, რომელიც გამოიყენება ზოგ ქვეყანაში და აიკრიფება მუნიციპალური გადასახადის სახით, საკუთრების ობიექტის პროპორციული შეფასების ოდენობით.

გადასახადი საწარმოთა ქონების – იურიდიული პირის ქონების გადასახადი, რომელიც შედის სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

გადასახადის გადამხდელი – საქართველოს საგადასახადო და საქართველოს საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გადახდის ვალდებულების მქონე პირი.

გადაფასება – შეფასების შეცვლა, საქონლის, ძირითადი საშუალების, ქონების ღირებულების ახალი შეფასება, ანაბრების ნომინალური ღირებულებების შეცვლა, რაც დაკავშირებულია მატერიალურ და მორალურ ცვეთასთან, ინფლაციასთან, ფასების მოძრაობასთან.

გადაყიდვა - ერთ პირთან საქონლის ყიდვა მეორე პირზე გაყიდვის მიზნით.

გადაწყვეტილება - სახელმწიფოს, რეგიონების, საწარმოების (ფირმების), ეკონომიკური მოქმედების ხერხი, წესი, რომელსაც ირჩევენ მათი ხელმძღვანელები ვარიანტების ანალიზის შედეგად დასახული მიზნებიდან გამომდინარე და შეზღუდული რესურსების არსებობის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება დაპროგრამებული – არჩევანი, რომლისკენაც მივყავართ ეტაპების ან ქმედების კონკრეტული თანმიმდევრობის გზას. შესაძლო ალტერნატივების რიცხვი ამ შემთხვევაში, როგორც წესი, შეზღუდულია.

გადახდა – ფულადი ვალდებულების დაფარვა ანგარიშსწორებით ან ურთიერთჩათვლით.

გადახდევინება – იძულებითი ამოღება, ზღვევინება, ფულის აუცილებელი გადახადა.

გადახდისუნარიანი მოთხოვნა – საქონლისა და მომსახურებაზე მოთხოვნა, რომელიც მათი მყიდველების ფულადი სახსრებითაა უზრუნველყოფილი.

გადახდისუნარიანობა – სახელმწიფოს, იურიდიული და ფიზიკური პირის უნარი, სრულად შეასრულოს თავისი საგადასახადო ვალდებულება. ნაღდი ფულადი სახსრები, რომელიც აუცილებელია, საკმარისია ამ ვალდებულებათა შესასრულებლად, ე.ი. გადასახდელების განსახორციელებლად.

გადახდისუნარიანობა ფირმის – სახელმწიფოს მიერ თავისი ფინანსური მოვალეობის დროული და სრულად შესრულების უნარის დაკარგვა, რაც მათი სავალუტო-ფინანსური მდგომარეობით, საკუთარი საშუალებების უქონლობით, ბიუჯეტისა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტურობითაა განპირობებული.

გადახდისუნარიანობის რისკი □ ალბათობა იმისა, რომ ბანკი შეიძლება გაკოტრდეს.

გაკოტრება (bankruptcy) □ ფინანსური კრახი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს უუნარობით, დააკმაყოფილოს კრედიტორების მოთხოვნები და სხვა ვალდებულებები.

გალა □ დიდი საზეიმო სანახაობა. მაგალითად, გალა-კონცერტი, საღამო-გალა და ა.შ.

გალანტერეა □ წვრილმანი საქონლის ნაირსახეობა, რომელიც ჰიგიენური, კოსმეტიკური, მოსართავი და მოსაკაზმის დანიშნულებით გამოიყენება.

გალვანომეტრი □ მცირე ძაბვის დენის საზომი ხელსაწყო.

გალომეტრი □ ხსნარში მარილის შემცველობის განმსაზღვრელი ხელსაწყო.

გალონი □ თხევადი და ფხვიერი ამორფული ნივთიერებების მოცულობითი საზომი ერთეული. უდრის დაახლოებით 4,5 ლიტრს ინგლისში, ხოლო 3,8 ლიტრს □ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

განაღდების ლიმიტი □ ემიტენტის მიერ ბარათის მფლობელისადმი დადგენილ განსაზღვრულ ვადაში ბარათის მეშვეობით ფულადი სახსრების განკარგვის უფლების ზღვრული სიდიდე.

განგსტერი □ ბანდიტური ბრბოს წევრი, მისი მონაწილე, რომელიც გავლენიანი პირის (დაწესებულების) მფარველობით სარგებლობს, ეწევა ყაჩაღობას, ძარცვას, დაშინებას, შანტაჟსა და ა.შ.

განვითარებისა და რეკონსტრუქციის ეროვნული ბანკი □ საერთაშორისო ბანკი, შექმნილი 1990წ-ს, 42 ქვეყნის მთავრობათა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ოპერაციებს აწარმოებს 1991 წლიდან. შტაბ-ბინა ლონდონშია. შექმნის მიზანია აღმოსავლეთ და

ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის საკრედიტო დახმარების გაწევა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას.

განმეორებითი სესხი □ სესხი, რომელიც გაიცემა მანამდე არსებული სესხის დაფარვის შემდგომ ან, რომლითაც იფარება მის გაცემამდე არსებული სესხი, მსესხებლის მიერ გრაფიკით გათვალისწინებული პერიოდის სრულად გასვლამდე.

გაპი (ინგ. Gap-განხეთქილება, განსხვავება) □ საბირჟო საქონელზე ფასების მკვეთრი შემცირება, რომლის დროსაც წინა დღის მინიმალური საბირჟო ფასი მიმდინარე დღის მაქსიმალურ ფასზე მაღალია, ან ფასების დიდი ზრდა, რომლის დროსაც წინა დღის მაქსიმალური ფასი მიმდინარე დღის მინიმალურ ფასზე ნაკლებია.

გარანტი (ფრანგ. Garantir-უზრუნველყოფა, თავდება) □ პირი, რომელიც იძლევა გარანტიას, თავდებობას. გარანტის სახით შეიძლება აგრეთვე გამოვიდეს სახელნწიფო და მისი ორგანოები, დაწესებულებები, ფირმები.

გარანტია საბანკო (bank guarantee) □ შეთანხმების ფორმა, რომლის შესაბამისად, კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ბანკი იხდის განსაზღვრულ პირგასამტეხლოს.

გამომუშავება საათობრივი (hourly output) □ საათის განმავლობაში მუშაკის მიერ შექმნილი პროდუქციის რაოდენობა. საათობრივი გამომუშავება ახასიათებს თუ მუშა რა ღირებულების პროდუქციას ქმნის, სთ განმავლობაში.

გამოსყიდვა □ ფასიანი ქაღალდების, კონტრაქტების, საქონლის ყიდვა, მათზე გარიგების მიხედვით დადებული ვალდებულებების შეწყვეტის მიზნით.

გამოქვითვა (deduct) □ ერთობლივი შემოსავლის შემცირება იმ ხარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია ერთობლივი

შემოსავლის მიღებასთან და რომელთა გამოქვითვა დასაშვებია საგადასახადო კოდექსით.

გარიგება (transaction) – ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

გარიგების ფაქტობრივი ფასი (contract price) – კონტრაგენტების მიერ ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პროდუქციის ყიდვა-გაყიდვის ფასი.

გასაღების წყვილი – ასიმეტრიულ კრიპტოსისტემაში დახურული და მასთან მათემატიკურად დაკავშირებული ღია გასაღები. გასაღების წყვილი იქნება ხელმოწერის მიერ ან/და მისი მოთხოვნის საფუძველზე, ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატის გაცემის მიერ.

გასტარბაიტერი (გერმ. castarbeiter-მუშა ემიგრანტი) – უცხოელი მუშა რომელიც განვითარებული ქვეყნის მიერ არის მიწვეული დაბალგანვითარებული ქვეყნიდან.

გასტრონომი – 1. გემრიელი საჭმელების მცოდნე და მოყვარული. 2. გასტრონომიული მაღაზიის სახელწოდება.

გაუნაწილებელი მოგება/ზარალი – კომპანიის არსებობის განმავლობაში დაგროვილი მოგება ან ზარალი, რომელიც აისახება ბალანსის კაპიტალის ნაწილში.

გაფორმების ეკონომიკური ზონა – შემოსავლების სამსახურის სპეციალურად შექმნილი კონტროლის ზონა, სადაც ხორციელდება საქონლის გაფორმება.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება – ხარჯი, რომელიც საჭიროა პროდუქციის დასამზადებლად, ნედლეულის, მუშახელისა და ზედნადები ხარჯების ჩათვლით.

გაცვლა (ინგ. Exchange) – ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური ოპერაცია, კვლავწარმოების ერთ-ერთი სტადია,

რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი პირი გადასცემს მეორე პირს ნივთს, საგანს, საქონელს და სანაცვლოდ იღებს ფულს ან საქონელს.

გედონისტიკური ფასი – საქონლის იმპლიციტური ანუ ფარული ფასი. საქონლის მოცემული რაოდენობა შეიძლება განაწილდეს მისი ხარისხის განმსაზღვრელი მრავალი მახასიათებლის მიხედვით. საქონლის ფასი ნაწილობრივ შეიძლება დაკავშირებული იყოს მის კონკრეტულ მახასიათებლებთან და ამის საფუძველზე შეფასდეს ხარისხის ცვლილებებიც.

გეგმა (plan/programme) – გარკვეული პერიოდის მანძილზე შესასრულებელ სამუშაოთა და სხვა, მისი მიზნების, შინაარსის, მოცულობის, მეთოდების, თანმიმდევ-რობის, შესრულების ვადის, ფინანსების და დაფი-ნანსების წყაროს მითითებით (თვის, კვარტლის ან წლის მიხედვით).

გეგმა ეკონომიკური – მთელი ეკონომიკური სისტემის, ქვეყნის რეგიონების, დარგების, საწარმოების, კომპანიების მომავალი მდგომარეობის გამიზნული მოდელი, აღწერა, სურათი. გეგმა აფიქსირებს მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებს მდგომარეობას საგეგმო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს სასურველი ზღვრების მიღწევის გზებს. ხერხებს, აუცილებელ რესურსებს. გეგმები არის პერსპექტიული (გრძელვადიანი, 10-15 წლისათვის და საშუალო ვადიანი 3-5 წლისათვის, დირექტიული (რომელიც მკაცრ შესრულებას ექვემდებარება) ინდიკა-ტორული, ანუ სარეკომენდაციო ხასიათის გეგმები, რომელიც ახლოა პროგნოზებთან.

გეიმი – ჩოგბურთში თამაშის პარტია ან კიდევ მოთამაშის მიერ დაგროვილი ქულების გარკვეული რაოდენობა.

ინგლისურ ენაზე გეიმი ნიშნავს თამაშს. სხვადასხვა გაგებით საბირჟო ტერმინოლოგიაშიც გამოიყენება.

გეიშა – მსახიობი ქალი, რომლის მოვალეობაა მაყურებლის (მდიდართა სახლებში – სტუმრების, საჩაიეში, დუქნებში – კლიენტების) გართობა მახვილსიტყვაობით, ცეკვით, სიმღერით და ა.შ.

გენეზისი – წარმოშობა, აღმოცენება, გაჩენა, ფართო გაგებით – ჩასახვა და შემდგომი განვითარების პროცესი.

გენერაცია – დემოგრაფიული თვალსაზრისით, ახალ თაობას ნიშნავს.

გეოპოლიტიკა – პოლიტიკური დოქტრინა, რომლის მიხედვით საზოგადოების განვითარება ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის გეოგრაფიულ პირობებთან და არა მარტო სოციალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობასთან.

გეტო – შუა საუკუნეებში, ევროპის ქალაქებში საგანგებოდ გამოყოფილი განსაკუთრებული რაიონები, უბნები, სადაც იძულებით იყო მოსახლეობის გარკვეული რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი, საიდანაც მათ ეკრძალებოდათ სხვა რაიონებში გადასახლება.

გვარდია – თავდაპირველად სახელმწიფოს მეთაურის ან მთავარსარდლის პირადი დაცვის მიზნით იქმნებოდა. თანამედროვე გაგებით – არმიის რჩეული ნაწილები, რომელთათვის დამახასიათებელია მტკიცე დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა ერთგულება და მამაცობა.

გილდი – 1. შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში: ვაჭრებისა და ხელოსნების გაერთიანება, რომელიც იცავდა თავისი წევრების ინტერესებს. 2. რევოლუციამდელ რუსეთში: ვაჭართა წოდებრივი თანრიგი კაპიტალის რაოდენობის მიხედვით. მაგ., პირველი გილდის ვაჭარი.

გირავნობა – მოძრავ-უძრავი ქონების გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, ისე რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, კრედიტორს აქვს უფლება მოითხოვოს დაგირავებული ნივთის რეალიზაცია, ან მოიპოვოს ამ ნივთზე საკუთრების უფლება.

გირაო – ფასეული აქტივი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვალდებულების უზრუნველსაყოფად; მევალისათვის ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად (საგარანტიოდ) ჩაბარებული ქონება.

გლობალიზაცია – მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება წარმოადგენს. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები, ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციისას, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები.

გონგი – განუსაზღვრელ სიმაღლეზე ხმის ასაწევი ხელსაწყო, რომელიც სიგნალის მისაცემად იხმარება. ბირჟებზე ვაჭრობის დაწყებას ან დამთავრებას ამცნობს.

გრადაცია – დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე თანდათანობით გადასვლა და ა.შ. მაგალითად, საქონლის ხარისხოვანი გრადაცია, მართვის ფუნქციათა გრადაცია და სხვა.

გრანტი (grant) – უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები, ფულადი ან ნატურალური ფორმით.

გრატისი – ტერმინი გამოიყენება საერთაშორისო ვაჭრობაში და პირდაპირი გაგებით უფასოს ნიშნავს. მაგალითად,

სავაჭრო ნიმუშები, რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო გარიგებისათვის, ან ისეთი მომსახურების ოპერაციის შესრულება რომელიც არ ანაზღაურდება.

გრატიფიკაცია (ლათ. Gratification-დაჯილდოება) □ მუშაკების ფულადი პრემია, წახალისება, სტიმულირება მათი საქმიანობის ხარისხიანად შესრულებისათვის.

გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები □ არის ბანკის მიერ დაბანდებები და სახსრების წყაროები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია.

გრძელვადიანი კონტრაქტი □ კონტრაქტი წარმოებაზე, მონტაჟზე, მშენებლობაზე ან ასეთ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევაზე, რომელიც არ დასრულებულა იმ კალენდარულ წელს, რომელშიც დაიწყო კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურება, გარდა იმ კონტრაქტისა, რომელიც დასრულდა კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დაწყებიდან 6 თვის განმავლობაში.

გუდვილი (goodwill) □ ა) ფირმის საქმიანი კავშირებისა და არამატერიალური აქტივების: რეპუტაცია, ტექნიკური კომპეტენცია, საფირმო ნიშანი, იმიჯი, მყარი კლიენტურა და სხვ. პირობითი ღირებულება; ბ) სხვაობაა კომპანიის დარეგისტრირებულ ბალანსსა და საფონდო ბირჟაზე არსებულ ფირმის ფასს შორის.

გულდენი □ თავდაპირველად ოქროს, ხოლო მე-15-19 საუკუნეებიდან ვერცხლის მონეტა და ფულის ერთეული გერმანიაში, ავსტრიასა და სხვა მეზობელ ქვეყნებში, შემორჩა მხოლოდ ჰოლანდიაში, სადაც აგრეთვე ფლორინი ეწოდება.

დ

დაბალანსება – გათანაბრება შემოსავლისა და გასავლის, აქტივისა და პასივისა და სხვ.

დაბალანსებული ბიუჯეტი – ბიუჯეტი, რომელშიც დანახარჯებსა და შემოსავლებს შორის შესაბამისობა დაცულია.

დაბანდებული კაპიტალი – ფიზიკური და ფულადი კაპიტალი, რომელიც დაბანდებულია გარკვეულ საქმეში, ბიზნესში, წარმოებაში, ვაჭრობაში, მეცნიერულ კვლევაში ან ეკონომიკის, მეურნეობის სხვა სფეროში.

დაბეგვრა – ფინ. გადასახადის შეწერა, ფულადი ან ნატურალური გამოსაღების დაწესება.

დაგეგმვა – გეგმის შედგენა, მართვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მენეჯმენტის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი ფუნქცია, ორგანიზაციის მიზნებისა და გადაწყვეტილებების შერჩევის პროცესები, რომლებიც აუცილებელია მათი მიღწევისათვის.

დაგროვება – შემოსავლის, მოგების ნაწილის შენახვა მომავალი საჭიროებისათვის, მოგების ნაწილის კაპიტალად გადაქცევა; მასალების, ქონების მარაგის გაზრდა, კაპიტალის, ძირითადი საშუალებების გადიდება სახელმწიფოს, საწარმოების, მეწარმეების, საოჯახო მეურნეობების მიერ.

დაგროვება ფულადი – საზოგადოების (სახელმწიფოს), საწარმოების, მოსახლეობის წმინდა შემოსავალი ფულად ფორმაში.

დავალიანება – ფინანსური ვალდებულების, ფულადი სესხების თანხა, რომელიც უნდა დაიფაროს, დაბრუნდეს განსაზღვრულ დროში. თუ ამ ვადისათვის დავალიანება არ დაიფარება, მაშინ ის ვადაგადაცილებული ხდება.

დაზღვევა – საწარმოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების ფულადი სახსრების ხარჯზე, სპეციალური სარეზერვო

ფონდების (დაზღვევის ფონდების) შექმნა, რომლებიც განკუთვნილია არახელსაყრელი მოვლენებით, უბედური შემთხვევებით გამოწვეული ზიანის, დანაკარგის ანაზღაურებისათვის.

დაზღვევის პოლისი – დაზღვევის მოწმობა, რომელსაც მზღვეველი აძლევს დაზღვეულს, მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დაზღვევის პოლისში ასახულია დაზღვევის ძირითადი პირობები (დაზღვევის ობიექტი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო შენატანების ოდენობა და ვადები). დაზღვევის პოლისი, როგორც წესი, სახელობითია, ზოგ შემთხვევაში კი წარდგენის უფლებით.

დაკრედიტების კონსერვატიული მიდგომა – მსესხებლისადმი ინდივიდუალური მიდგომის სწორ შეფასებაში და კონტროლში, აგრეთვე საკრედიტო პორტფელის მართვისადმი ფრთხილ და წინდახედულ მიდგომაში გამოისახება.

დაკრედიტების ლიმიტები – შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს: 1) დაკრედიტების მოცულობაზე ცალკეული მსესხებლისა და მსესხებლის ჯგუფზე; 2) ვალუტის სახეობაზე, დაფარვის ვადაზე, უზრუნველყოფის ტიპზე; 3) ქვეყნებსა და რეგიონებზე და სხვა. დაკრედიტების ლიმიტების შემოღება საკრედიტო პორტფელის ფორმირებაზე კონტროლის ძირითად სესხს წარმოადგენს. ლიმიტები შეიძლება ნორმატივების სახით ან აბსულუტური ზღვრული სიდიდეებით დადგინდეს.

დაკრედიტების სტანდარტები – არის დოკუმენტი, რომლის მიხედვით საკრედიტო პოლიტიკის დეტალიზება ხორციელდება და განისაზღვრება: ფინანსური ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის წესი; უზრუნველყოფისადმი

გარანტიებისა და თავდებობისადმი მოთხოვნები; საკრედიტო პროცესის ორგანიზაციის ადმინისტრაციული სტანდარტები და წესები; მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზის თანმიმდევრობა; დოკუმენტაციის გაფორმებისადმი მოთხოვნები; დაკრედიტების განსაკუთრებული სახეობებისადმი სათანადო მიდგომა.

დამატებული ღირებულება (added value) – სხვაობა საწარმოს (ფირმის) მიერ გაყიდული პროდუქციის ღირებულებასა და ფირმის მიერ მისი წარმოებისათვის შეძენილი და გამოყენებული მასალის ღირებულებას შორის, ანუ დამატებული ღირებულება ტოლია შემოსავლისა, რომელიც შეიცავს ხელფასის ეკვივალენტს, იჯარის ღირებულებას, პროცენტებს და მოგებას.

დამატებული ღირებულების გადასახადი – არის არაპირდაპირი გადასახადი, საქონლის, სამუშაოს, მომსახურების წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში შექმნილი ღირებულების ნაწილი, აგრეთვე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანილი ყველა დასაბეგრი საქონლის ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში სავალდებულო შენატანი. დღგ ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე. საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ზოგიერთი სახე ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

დამნო – ზარალი. განსაკუთრებული სახის გადასახადი, რომელსაც კლიენტი უხდის ბანკს საკომისიო, საპროცენტო, საფოსტო და სხვა ხარჯების გარდა იმისათვის, რომ ინკასოზე საქალაქთაშორისო თამასუქები მიიღოს. ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დროს ის დანაკარგებია,

რომელმაც შეადგინა განსხვავება მათ ნომინალურ ფასსა და გაყიდვის მომენტში არსებულ კურსს შორის.

დამფუძნებელი (founder) – დამაარსებელი; სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირის შექმნაში მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი.

დანაკლისი (pack; shortage) – გადასახადის გადამხდელის კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგის ბუღალტრულ ჩანაწერებთან შედარებისას გამოვლენილი ნაკლებობა.

დანახარჯები (cost; charges; outlay) – ამა თუ იმ საქმიანობის დროს, ნებისმიერი სახის რესურსის გამოყენებისას გაწეული ხარჯი.

დანახარჯები არასაწარმოო (non-operation costs) – წარმოებული პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები, რომ-ლებიც დაერიცხება რა პროდუქციის საწარმოო თვითღირებულებას, წარმოქმნის სრულ თვითღირებუ-ლებას.

დანახარჯები ზღვრული (marginal costs) – პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებაზე გაწეული დანა-ხარჯები. იანგარიშება როგორც მთლიანი დანახარჯების ზრდის ფარდობა პროდუქციის რაოდენობის ზრდის მაჩვენებელთან.

დანახარჯები ირიბი/ზედნადები (overhead costs) – საწარმოს დანახარჯების ნაწილი (საამქროს და საერთო-საქარხნო ზედნადები ხარჯები), რომელთა დარიცხვა კონკრე-ტული პროდუქციის თვითღირებულების ერთეულზე პირობით გაანგარიშების გარეშე შესაძლებელია, ასეთებია: საწარმოო შენობის იჯარა, ელექტროენერგია, საკანცელარიო საქონელი, დამხმარე მასალები და ა.შ.

დანახარჯები მუდმივი (fix/constant costs) □ საწარმოს დანახარ-ჯები იმ რესურსებზე, რომელთა რაოდენობა მოკლე-ვადიან პერიოდში არ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობაზე. ამორტიზაციის ანარიცხები, ზედნადები ხარჯები, პროცენტი კრედიტისათვის, მმართველობითი ხარჯები და სხვა.

დანახარჯები პირდაპირი □ საწარმოო დანახარჯები, რომელიც საერთოსაგან განსხვავებით, განეკუთვნება კონკრეტულს, ერთი სახის პროდუქციას.

დანახარჯი საერთო □ 1) მასალების, საწარმოო სიმძლავრეებისა და მომსახურების დანახარჯი, რომელიც განეკუთვნება ერთობლივად წარმოებულ რამდენიმე სახეობის პროდუქციას; 2) ერთობლივი დანახარჯი, კონკრეტული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის დანახარჯები საწარმოო თვითღირებულების ანალოგი.

დანახარჯი საწარმოო □ დანახარჯი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის წარმოებასთან.

დარეზერვება (ლათ. Resercare-შენახვა) □ 1. რესურსების შენახვა მარაგში, რეზერვში; 2. რომელიმე საკითხზე ხელახლა მიბრუნების უფლების დატოვება.

დარიცხვის მეთოდი □ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომლის მიხედვითაც ოპერაციის (ტრანზაქციის) შემოსავლად ან ხარჯად აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას (მიუხედავად იმისა, თანხა მიღებულია ან გადახდილია თუ არა). ალტერნატიული მეთოდია საკასო მეთოდი, რომლის მიხედვითაც ოპერაციის (ტრანზაქ-ციის) შემოსავლად ან ხარჯად აღიარება ხდება მაშინ, როცა კომპანია იღებს შემოსავალს ან გასცემს თანხას.

დასაბეგრი მოგება (taxable income/profit იურიდიული პირი, გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება),

როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობ-ლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

დატო – საგადამხდელო თამასუქზე ხელის მოწერის თარიღი, სიტყვასიტყვით – „დღევანდელი რიცხვით“.

დაუბალანსებელი ლიკვიდურობის რისკი – არის იმის ალბა-თობა, რომ ცვალებადი დეპოზიტებსა და კრედიტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის გარკვეული სახსრები საჭირო მომენტში მიუღწევადი აღმოჩნდება, რაც ბანკი-სათვის მოულოდნელი ზარალის მიღების საწინდარი გახდება.

დაფარვა – აქვს ფართო მნიშვნელობა და იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით, ძირითადად, იგი ნიშნავს ან ფულადი სახსრებით უზრუნველყოფას გაცემისათვის, ვალების დაფარვისათვის, ფულადი სახსრების შეტანის ასანაზ-ღაურებლად ან გამოსყიდვისათვის, ფასიანი ქაღალ-დების, ოფციონების უკუშესყიდვისათვის.

დაფარვა სესხის – ვალის, მსესხებლის მიერ იმ სახსრების დაბრუნება, რომელიც მან კრედიტორებისაგან მიიღო. დაფარვა ხორციელდება ერთბაშად მთლიანად ან ცალკეულ ნაწილებად, ამასთან, გარკვეული ვადის დაცვით.

დაფინანსება – მთელი ქვეყნის, მეურნეობის, რეგიონების, საწარმოების, მეწარმეების, მოქალაქეების, აგრეთვე ეკონომიკური საქმიანობის, სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამებისა და სახეების უზრუნველყოფა აუცილე-ბელი ფინანსური რესურსებით.

დაქირავებითი სამუშაო – დაქირავებით სამუშაოდ ითვლება ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირ-

დება საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის შრომის კანონმდებლობით.

დაცვა სოციალური – სახელმწიფოს მიერ მიღებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მოსახლეობის სოციალური დაცვისა და მხარდაჭერისაკენ.

დაცვა ფულის – ფულის დაცვა გაყალბებისაგან.

დახასიათება – 1. ვისიმე ან რისიმე განმასხვავებელი ნიშნების აღწერა, ჩამოთვლა; 2. ოფიციალური დოკუმენტი კონკრეტული ადამიანის საქმიანობის შესახებ.

დახურვა – მოცემული გამოშვების საბოლოო ოპერაციის ფასი საფონდო ბირჟაზე საოპერაციო დღის ბოლოს; ყველა დაინტერესებული მხარის საბოლოო შეხვედრა ახალი სახის ფასიანი ქაღალდების მიწოდების დღეს; საბუღალტრო ბალანსის შედეგების შეჯამება.

დახურვა აკრედიტივის – ჩანაწერი აკრედიტივზე ფულის გაცემის ოპერაციის შეწყვეტის შესახებ.

დახურვა ანგარიშების - ანგარიშსწორებისა და მიმდინარე ანგარიშების მოქმედების შეწყვეტა იმ იურიდიული და ფიზიკური პირების განცხადების საფუძველზე, რომელთა სახელებზეც გახსნილია ეს ანგარიშები, სასამართლო ორგანოების ან თვით ბანკების გადაწყვეტილებით, სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.

დახურვა კრედიტის – კრედიტის გაცემის შეწყვეტა, საკრედიტო ხაზის დახურვა.

დახურული გასაღები – ელექტრონულ მონაცემთა უნიკალური ერთობლიობა, რომელიც გენერირდება ავტომატურ რეჟიმში, გამოიყენება ელექტრონულ დოკუმენტებზე ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად.

დახურული ეკონომიკა – ქვეყნის ეკონომიკა, რომლის მთავრობა ყოველ მხრივ ზღუდავს საგარეო-ეკონომიკურ კავშირებს, ესწრაფვის ავტარკიას, იზოლაციას.

დებენტურა (ლათ. Debere-მევალედ ყოფნა) – საბაჟოს ცნობა დაბრუნებაზე.

დებეტი (ლათ debet-მას მართებს) – 1. ორმხრივი ცხრილის ფორმის მქონე ბუღალტრული ანგარიშის ერთ-ერთი (მარცხენა) მხარე. საწარმოს ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების (აქტივების) მოძრაობისა და მდგომარეობის რეგისტრაციის ანგარიშის დებეტის მხარეს მითითებულით ფასეულობათა არსებობა თავის დასაწყისისათვის და მათი შემოსვლით თვის მანძილზე. საშუალებების წყაროების (პასივის) მდგომარეობისა და მოძრაობის რეგისტრაციის ანგარიშებში დებეტის მხარეს აისახება წყაროების, მაგალითად, საწარმოებისათვის მოვალეობის მხრივ სესხების დაბრუნების შემცირება; 2) ვალი, დავალიანება კრედიტის დაუბრუნებლობის შედეგად.

2. საბუღალტრო დავთრის მარცხენა გვერდი, რომელშიც შეიტანება ანგარიშის ყველა ყველაზე ნაღდი შემოსავალი, აგრეთვე ყველა ვალი და დანახარჯი, რომ-ლებიც ამ ანგარიშზე აღირიცხება (საპირისპირო კრედიტი).

დებეტის ბარათი (ინგ.debet cards) – ერთ-ერთი სახეობის პლასტიკური ფული, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია გადასახადების განხორციელება იმ თანხის ოდენობით, რომელიც ბანკში მიმდინარე ანგარიშზე არსებული ანაბრის ტოლია; ის არ ასრულებს მფლობელისათვის დამატებითი მყიდველობით უნარიანობის ფუნქციას.

დებიტორი (ლათ. Debitor-მოვალე) □ ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ფულადი ან ქონებრივი დავა-ლიანება.

დებიტორული დავალიანება □ დებიტორული ანგარიში/ანგა-რიშსწორება სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქ-მნილი ვალების ჯამი, რომელიც საწარმოს ეკუთვნის ფიზიკური და/ან იურიდიული პირისაგან.

დებურსი □ აუნაზღაურებელი დანახარჯები.

დეგრადაცია (degradation) □ კომპანიის მართვის დაკარგვა, ეკონომიკური მაჩვენებლების ისეთი დაცემა, რომლის გამოსწორება შეუძლებელია.

დეგრესია □ საგადასახადო სისტემაში გადასახადების სიდიდის თანდათანობით შემცირება (დაცემა), ან კიდევ უფრო შემცირებული პროცენტის პროპორციული დაბეგვრა.

დეგუსტაცია □ კვების პროდუქტების ხარისხის დადგენის მიზნით, მათი ორგანოლეპტური წესით (გემოს ფერის, სურნელების) შემოწმება.

დევალვაცია □ ქაღალდის ფულის ინფლაციის შედეგად ვალუტის სტაბილიზაციის მეთოდი, ფულის რეფორმა. ბრუნვიდან იღებენ გაუფასურებული ქაღალდის ფულის ნიშნებს და ცვლიან მყარი საკრედიტო ფულით, რომელიც კურსის მიხედვით ოქროსადმი სტაბილურ დამოკიდებულებას ინარჩუნებს. დევალვაციას ახორცი-ელებს სახელმწიფო, ფულის ერთეულში ოქროს შემცველობის შემცირების გზით, იმ ზომით, რა ზომითაც იგი განიცადა გაუფასურებულმა ქაღალდის ფულმა, მაგრამ ფულის ნიშნები მიმოქცევიდან არ ამოიღება. არსებობს ღია და ფარული დევალვაცია.

დევიზები – საგადასახდელო საშუალებანი უცხოეთის ვალუტაში, რომლითაც ხორციელდება საერთაშორისო ანგარიშსწორება.

დეზავუირება – ნდობით აღჭურვილი პირის მიმართ უნდობლობის გამოცხადება და ნდობის სტატუსის გაუქმება.

დეზიგნაცია (ინგ.designation) – კრედიტორი პირების ხელის მოწერა: გაფუჭებული საქონლის ჩამონათვალი.

დეზინვესტიცია – ქვეყნის კაპიტალის მარაგის შემცირება, რომელსაც ადგილი აქვს მაშინ, როცა ახალი ინვესტიციები არასაკმარისია, რათა დაფაროს კაპიტალის მოხმარება; ფირმის მიერ თავისი საწარმოს ნაწილის გაყიდვა ან დახურვა.

დეზინტეგრაცია – დაშლა, მთლიანი სტრუქტურის ნაწილებად დაყოფა, დასუსტება, ერთიან სისტემაში კავშირების დარღვევა.

დეზინფორმაცია – აშკარად მცდარი, დამახინჯებული, ყალბი ცნობების გავრცელება, ვისიმე შეცდომაში შეყვანის მიზნით.

დეზორგანიზაცია (ლათ.desorganisation-წესრიგის დარღვევა) – საზოგადოებრივი წესრიგის, დისციპლინის დარღვევა; სახელმწიფო, ადმინისტრაციული, სამეურნეო და სხვა ორგანოების ნორმალური საქმიანობის მოშლა.

დეიურე (კლასიკ. ლათ. de iure) – გამოთქმა, რომელიც ნიშნავს „კანონზე დაყრდნობით“, პარალელურად არსებობს გამოთქმა დეფაქტო – ფორმალურად. ეს ტერმინები გამოიყენება პოლიტიკურ სიტუაციებში. მაგალითად, რაიმე პრაქტიკა შეიძლება არსებობდეს *დე ფაქტო*, სადაც ხალხი/საზოგადოება მისდევს გარკვეულ პრინციპს/შეთანხმებას როგორც კანონს, თუმცა სამართლებრივად ამგვარი კანონი არ არსებობს. მეორე მხრივ, რაიმე

პრაქტიკა შეიძლება არსებობდეს *დე იურე*, თუმცა საზოგადოების მიერ ცნობილი/აღიარებული არ იყოს.

დეკლარანტი – პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით, ან პირი, რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება.

დეკლარაცია (ლათ. Declaratio-განცხადება, გამოცხადება) – ეკონომიკური ქცევის კანონითა და კანონით გათვალისწინებული გამოცხადება, შეტყობინება სახელმწიფო ორგანოებისადმი – მათ მიერ მოთხოვნილი მონაცემების შესახებ შემოსავლებზე ან გადასახადი საქონლის რაოდენობაზე, რაც აუცილებელია გადასახადების, ბაჟის სიდიდის დადგენისათვის.

დეკორტი – საქონელზე ფასის დაკლება იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება ადრე იქნა გადახდილი, ან მოწოდებული საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლები უფრო დაბალია, ვიდრე ამას გარიგება ითვალისწინებდა.

დეკრეტი – სამთავრობო საკანონმდებლო აქტი, რომელიც იმავე საკითხზე ადრე მიღებული კანონის შეცვლას ითვალისწინებს.

დეკრეტული ფული – ფულადი ნიშნები, რომელიც შემოღებულია ფულის სახით ხელისუფლების ორგანოების დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებით. დეკრეტული ფულის ნამდვილი ფასი, მყიდველობითი უნარი განისაზღვრება არა მხოლოდ იმ სიდიდით, რომელიც აღნიშნულია ნიშანზე, არამედ ფასების დონით, საქონლის რაოდენობით, რომელიც შეიძლება შეძენილ იქნეს მოცემული ოდენობით.

დეკუვერი – დაუფარავი. ქონების დასაზღვევ ღირებულებასა და შეფასებას შორის განსხვავება, რომელიც დაზღვევის რისკის ქვეშ რჩება.

დელეგირება – უფლებამოსილებათა გადაცემა სხვა პირისათვის.

დელისტინგი (ინგ. delictum) – საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების ამოღება ვაჭრობის სიიდან, როცა მისი შემოწმების შედეგად გამოვლინდება უზრუნველყოფის დაბალი დონე.

დელიქტი (ლათ. delictum) – უკანონო მოქმედება, სამართალ-დარღვევა, რომელმაც გამოიწვია ზარალის მიყენება და რომელსაც თან ახლავს მისი ანაზღაურების მოვალეობა.

დელკლედერი – თავდებობა, როდესაც სავაჭრო აგენტი თავდებად უდგება სხვა პირის მიერ ვალდებულების შესრულებას საკომისიო გარიგების დროს, ხშირად ასეთი თავდებობა განსაკუთრებული გასამრჯელოთი ანაზღაურდება.

დელფი – დელფის მეთოდი ითვალისწინებს სხვადსხვა ექსპერტის შეხედულებათა შეკრებას და გაანალიზებას, რის საფუძველზეც მიიღება პროგნოზული თვალსაზრისი რაიმე საკითხზე. მაგალითად, მსხვილი სამეცნიერო-ტექნიკური პროექტების შემუშავების დროს.

დემარკაცია – სასაზღვრო ხაზის, ზოლის გატარება, საზღვრის დადგენა.

დემარკეტინგი (demarketing) – გამყიდველის მცდელობა, შეამციროს მოთხოვნა თავის საქონელზე, იმ სიტუა-ციაში, როდესაც მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას და მას არ აქვს საშუალება გაზარდოს წარმოება.

დემერჯი – პირგასამტეხლო, რომელსაც ტვირთის პატრონი იხდის სატრანსპორტო საშუალებების (გემის) დაგვია-ნებით დატვირთვისათვის.

დემოგრაფია – მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის გამრავლების, რაოდენობის სიმჭიდ-როვისა და სხვა მახასიათებელ მაჩვენებლებს.

დემოკრატია – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის; სამეურნეო ცხოვრებაში დემოკრატია სამუშაოს საკუთარი სურვილითა და სამეურნეო მოსაზრებით არჩევას ნიშნავს, როდესაც გამორიცხულია ადმინისტრაციული, იდეოლოგიური ან სხვა სახის ზეგავლენა.

დემონეტიზაცია – ძვირფასი ლითონის (ოქრო, ვერცხლი) მონეტის მიერ ფულის ფუნქციის დაკარგვა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული წესით ხორციელდებოდა. ფულის ფუნქციის დაკარგვის შემდეგ მონეტის შეფასება ხდება მასში ძვირფასი ლითონის შემცველობის ღირებულებით.

დემონსტრაცია – მასობრივი მსვლელობა, რაიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განწყობილების გამოსახატავად; ვაჭრობაში, საჯარო ვაჭრობაზე ან გამოფენაზე საქონლის ნიმუშების გამოფენა.

დემონტაჟი – დაშლა. მაგალითად, მანქანის შემადგენელ ნაწილებად დაშლა, ეკონომიკური სისტემის დაშლა და ა.შ.

დემპინგი (ინგ. dumping-გადაყრა, მოშორება) – საქონლის გაყიდვა როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე მისი წარმოების დანახარჯებზე უფრო იაფად. ფასების ხელოვნური დაცემის პოლიტიკა. მსხვილი მონოპოლიები დემპინგის მეშვეობით ანადგურებენ კონკურენტებს და იპყრობენ გასაღების ბაზრებს. მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში მთელი რიგი ქვეყნები ეწინააღმდეგებიან დემპინგს სპეციალური კანონის მიღებით, ადგენენ ანტიდემპინგურ საბაჟო გადასახადებს.

დემუნიციპალიზაცია – მუნიციპალური საკუთრების საწარმოს, კერძო პირებსა და კერძო ფირმებზე გაყიდვა.

დენაციონალიზაცია (ფრანგ. Denationalisation) – სახელმწიფო საკუთრების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომელიც იმის გამო ხდება, რომ სახელმწიფო საწარმოები რესურსებს დაბალი ეფექტიანობით იყენებს.

დენომინაცია (ლათ. Denomination-სახელის გამოცვლა) – ფულის ნიშნის ნომინალური ღირებულების შემცირება ფულის ერთეულის სახელწოდების შეუცვლელად, რასაც თან ახლავს ძველი ფულის ნიშნების გამოცვლა ახლით, დენომინაცია ხშირად ინფლაციის შედეგია და გარკვეულწილად ხელს უწყობს ფულის მიმოქცევის მოწესრიგებას.

დეპარტამენტი – რიგ სახელმწიფოებში უწყების (სამინისტროს) სამახურის ან დარგის მართვის ორგანოს უწოდებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო დეპარტამენტი ეწოდება.

დეპო (depot) – ლოკომოტივებისა და ვაგონების სადგომი, სათანადოდ მოწყობილი. სახანძრო დ. – სახანძრო მანქანების სადგომი.

დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია – არის ფედერალური სააგენტო, რომელიც ბანკებისათვის მიბარებული განსაზღვრული მოცულობის დეპოზიტე-ბის დაბრუნების გარანტიას უზრუნველყოფს და რომელიც სადაზღვევო პრემიების სიდიდეს განსაზ-ღვრავს.

დეპოზიტი (ლათ. Depositum-შესანახად დატოვებული ნივთი) – ფულადი ანაბრები ბანკში (საბანკო დეპოზიტები); ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები, რომლებიც

გადაცემულია შესანახად საკრედიტო დაწესებულებაში, რაც წარმოებულია გადასახდელების სახით, მოთხოვ-ნილი საზღაურის გასაცემად; ჩანაწერები საბანკო წიგნებში, რომელიც მოიცავს ან ადასტურებს კლიენტის მოთხოვნებს ბანკის მიმართ.

დეპოზიტორი – დეპოზიტის მფლობელი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც ორგანიზაციამ უნდა გადაუხადოს ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მას რაიმე მიზეზის გამო ადრე არ ჰქონდა მიღებული.

დეპოზიტური ბანკები – ბანკები, რომლებიც ახორციელებენ საბანკო ოპერაციებს, ძირითადად, დეპოზიტების (ანაბრების) მოზიდვის ხარჯზე.

დეპოზიტური ვალუტა – საბანკო დოკუმენტები, მაგალითად, ჩეკები,საბანკო ვალდებულებები, რომლებიც გამოდის დაგროვების საშუალებად და სავალდებულოა განაღდდეს წარმოდგენისთანავე.

დეპოზიტური ოპერაციები – საკრედიტო დაწესებულებების, ბანკების ოპერაციები ფულადი სახსრების მოზიდვის მიზნით, ანაბრების სახით, და ამ ანაბრების განთავსება, ე.ი. ფულადი სახსრების დაკრედიტება მიღებული დეპოზიტების ხარჯზე.

დეპოზიტური რესურსები – სახსრები, რომლებიც მოთავსე-ბულია ბანკებში შენახვისა და შემდგომში გამოყენე-ბისათვის მეანაბრეებზე სარგებლის გაცემის პირობით.

დეპონენტი (ლათ. Deponentus-გადადება) – იგივეა, რაც დეპო-ზიტორი; ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც შესანახად გადასცა საკრედიტო დაწესებულებას (ბანკს) ფული ან ფასიანი ქაღალდები; პირი რომელმაც განსაზღვრულ დროს არ მიიღო მის მიერ მისაღები

ფულადი შემოსავლები ან გასაცემები, რომლებიც სწორედ ამის გამო დეპოზიტად გადაიქცა.

დეპონირება – ფულისა და ფასიანი ქაღალდების გადაცემა შესანახად საკრედიტო და სხვა დაწესებულებებში.

დეპოპულაცია – მოსახლეობის რიცხვის ზრდის ტემპის კლება.

დეპორტაცია – სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ გარკვეულ პირთა იძულებით გადაადგილება (გაშვება).

დეპორტი (deport) – ა) ვადიანი საბირჟო გარიგება დადებული იმ მოსაზრებით, რომ მოხდება ფასიანი ქაღალდების და/ან ვალუტის კურსის დაცემა, რაც მოგვცემს საკურსო სხვაობის მიღების საშუალებას; ბ) პრემია კონტრაქტის ვადის გაგრძელებისათვის.პრემია მიეცემა მხარეს, რომელმაც მოახდინა ვადის პროლონგაცია. გ) ფასთა შორის სხვაობა არსებულ, ახლო და/ან გრძელ ვადაში მოწოდებულ საქონელს შორის.

დეპრესია (ლათ. depressio-დათრგუნვა) – ეკონომიკის ერთ წერტილზე გაყინვა, რომელიც ხასიათდება წარმოებისა და საქმიანი აქტივობის აღმავლობის შეწყვეტით, საქონელსა და მსახურებაზე დაბალი მოთხოვნით, უმუშევრობით.

დერივატი (ლათ. Derivatus გამოყოფილი) – ხელშეკრულება (ოფციონი, ფიუჩერსი), რომელიც ეფუძნება ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, საქონლის კურსებს; მფლობელს შესაძლებლობას აძლევს დააფიქსიროს მისი თვალ-საზრისით ყიდვის (გაყიდვის) ხელსაყრელი ფასი.

დერივატივები – სტაბილურობის დაკარგვა, ეკონომიკური პროცესების ჩამოყალიბებული რიტმის, დინამიკის დარღვევა, მკვეთრი ნახტომების, მწვავე დაცემების წარმოქმნა საწარმოო და ფინანსურ სფეროებში.

დესტაბილიზაცია □ საგარეო პოლიტიკური ქმედება, რომელიც სხვა ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალით ღია ჩარევის გარეშე ამ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის საფუძვლიან ცვლილებას ითვალისწინებს. დ–ის მიღწევა სამხედრო, დიპლომატიური, ეკონომიკური და სოციალური მეთოდებით შეიძლება. არ არის აუცილებელი, დ–ის მიზანი იყო სამიზნე ქვეყანაში სოციალური ძვრების გამოწვევა და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების დაშლა. უმრავლეს შემთხვევაში, დ–ის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის – მთავარი მიზანი სამიზნე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ცვლილებაა, რაც ხელმძღვანელობის შეცვლით მიიღწევა ხოლმე. წარმატებულმა დ–მ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალება ან სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს. დ. ცივი ომის პერიოდში ზესახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ჩვეულებრივ მეთოდად განიხილებოდა.

დესტრუქცია (ლათ.destructio-დანგრევა) □ ჩამოყალიბებული სტრუქტურის, ეკონომიკური, საწარმოო კავშირების მოშლა მეურნეობაში, ეკონომიკის დაშლა, დანგრევა.

დე-ფაქტო □ სინამდვილეში, ფაქტობრივად მომხდარი მოვლენა (საპირისპიროა დე-იურე).

დეფექტი □ საქონლის ზადი, წუნი, ნაკლი, ხარვეზი.

დეფინიცია □ ცნების ძირითადი შინაარსის მოკლე, ზუსტი განსაზღვრა.

დეფიციტი (ლათ. Deficit- ნაკლებობა) □ სახსრების, რესურსების უკმარისობა, დასახულთან, დაგეგმილთან ან აუცილებელ დონესთან შედარებით, ბიუჯეტთან მიმართებაში დეფიციტს უწოდებენ შემოსავლებზე დანახარჯების გადამეტებას.

დეფლატორი □ ფასის ინდექსი, რომელიც ზომავს წლიდან წლამდე ფასის ცვლილებას და ტოლია საბაზო წელი-წადში ფასების დონის შეფარდების, საცდელი წლის ფასების დონესთან, გამოსახულს პროცენტებში.

დეფლაცია დეზინფლაცია (ინგ. Deflation, ლათ. Deflation-გამო-ბერვა, შებერვა) □ მიმოქცევიდან ფულის მასის ამოღება მისი ზრდის აღკვეთისა და ინფლაციის ტემპების შემცირების მიზნით. დეფლაცია ძირითადად ხორციელ-დება გადასახადების გაზრდის, ხელფასის ზრდის თავიდან აცილების ან გაყინვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირების საშუალებით, საკრედიტო რესტრუქციის (კრედიტების მოცულობის შემცირების) გზით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გაზრდის ხარჯზე.

დეფლაციური პოლიტიკა □ მთავრობის მარეგულირებელი ღონისძიებების ერთობლიობა სახელმწიფო ფინანსებისა და ფულად-საკრედიტო სფეროში, რომლის მიზანია ინფლაციის შეკავება და საგადასახადო ბალანსის გაჯანსაღება იმ საქმიანი აქტივობის ზოგიერთი სახის შეზღუდვის საშუალებით, რომელსაც შეუძლია ეკონო-მიკური ზრდის შენელება.

დეფოლტი □ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაზე უარის გაცხადება.

დეფორმაცია □ ეკონომიკაში გარეშე ფაქტორების გავლენით, ეკონომიკური სტრუქტურებისა და ელემენტების ფორ-მების შეცვლა, მათი გადაგვარება. ხშირად ეკონომიკური წონასწორობის დარღვევასაც უწოდებენ.

დეცენტრალიზაცია □ მართვის სისტემა, როდესაც ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთი ფუნქცია თვითმმართვე-

ლობის ადგილობრივ ორგანოებს გადაეცემა, მმართველობის ძირეულ ორგანოთა ხელისუფლების გაძლიერება.

დიგრესია - უკან დახევა, გადახრა.

დივერსია – სპეციალურად მომზადებული პირის (პირების) მიერ უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მავნებლური მოქმედება (დანგრევა, აფეთქება, ხანძრების გაჩენა და სხვ.).

დივერსიფიკაცია (ლათ. Diversus-სხვადასხვა და facere-კეთება) – ასორტიმენტის გაფართოება, პროდუქციის სახის შეცვლა, რომელსაც საწარმო (ფირმა) აწარმოებს, მაგალითად, ახალი სახის წარმოების ათვისება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, ეკონომიკური სარგებლის მიღების, გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით.

დივიდენდი (ლათ. Dividendus - გაყოფას დაქვემდებარებული) – მოგების ნაწილი, რომელსაც იღებენ აქციონერები მათ მიერ დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად.

დიზაინი (ინგლ. Design) – სამრეწველო ნაკეთობის მხატვრული დაპროექტება.

დიზაჟიო – საბირჟო გარიგების დროს ფასიანი ქაღალდების ნომინალური კურსის დაწევა, დაკლება (საპირისპიროაჟიო).

დილერი (ინგლ. Dialer-მოვაჭრე აგენტი) – კერძო პირი ან ფირმა, საფონდო ბირჟის წევრები, რომლებშიც საბირჟო ოპერაციებს აწარმოებენ არა უბრალო შუამავალ-აგენტების სახით, არამედ მოქმედებენ თავისი სახელითა და თავის ხარჯზე, ე.ი. საქმეში დებენ საკუთარ ფულს, დამოუკიდებლად ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების ყიდვა-გაყიდვას; ბიზნესის მონაწილე, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც პროდუქციას ყიდულობს ბითუმად და ვაჭრობს ცალობით ან მცირე პარტიებით.

დილერობა – იმ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები, რომლებსაც აწარმოებენ ან რეალიზაციას უკეთებენ მწარმოებელი კომპანიები, მფლობელები ან დისტრიბუტორები.

დინარი – წვრილი ფული ირანში. ამჟამად ფულის ერთეულია ერაყში, ალჟირში, ტუნისში. ძველ საქართველოში მისხლის წონის ოქროს ფული, პერპერა.

დიპლომი – მოწმობა, სიგელი, რომლითაც აჯილდოებენ. დიპლომით აჯილდოებენ იმ ფირმებს (ან პირებს), რომლებიც საუკეთესო სახის საქონელს წარადგენენ გამოფენაზე ან გაიმარჯვებენ რაიმე შეჯიბრებაში.

დირექტივა – სახელმძღვანელო განკარგულება, რომელსაც ზემდგომი ორგანო (თანამდებობის პირი) ქვემდგომს აძლევს უთუო შესასრულებლად.

დირექტ-მეილი – რეკლამის კოლექტიური საშუალება, როდესაც პოტენციურ მყიდველს სარეკლამო მასალა ფოსტით ადგილზე ეგზავნება.

დირექტორთა საბჭო – 1. დირექტორთა გაერთიანება (კოლეგია), რომელიც ერთობლივად ახორციელებს მართვას. მას სათავეში, როგორც წესი, უდგას მთავარი დირექტორი;

2. იგივეა, რაც დირექცია. დირექტორატი ბანკის (bank's board of directors, directorate of bank) გამგეობა, რომელიც პასუხისმგებელია ბანკის საქმეების მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე .

დირექცია – საწარმოს (ფირმის), კომპანიის ხელმძღვანელი ორგანო.

დისიდენტი – პირი, რომელიც არ იზიარებს ქვეყანაში არსებულ იდეოლოგიას და არსებული წესწყობილების საწინააღმდეგო და გამთიშველ მოქმედებას ეწევა.

დისკონტი (diskount) – ფასჩამოკლება, ლათ. Computare-გათვალისწინება) ა) სხვაობა საქონლის შეძენის და განაღდების მომენტში არსებულ ფასს შორის; ბ) სხვაობა ფორვარდულ კურსსა და ვალუტის დაუყოვნებლივ მიწოდების კურსს შორის; გ) განსხვავებული მიწოდების ვადების პირობებში სხვაობა ერთი და იგივე საქონლის ფასებს შორის; დ) ფასდაკლება, როდესაც საქონლის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ხარისხს; ე) ვალუტის ოფიციალურად გამოცხადებული კურსიდან კლებით გადახდა; ვ) პროცენტი, რომელსაც იღებს ბანკი ვექსილის განაღდებისას.

დისკონტიორი – თამასუქების გამნაღდებელი კერძო პირი ან საბანკო დაწესებულება.

დისკონტირება დანახარჯების - მომავალი ხარჯების დაყვანა ამჟამინდელი პერიოდის მნიშვნელობამდე; თანხის დღევანდელი ეკვივალენტის დადგენა, რომელიც მომავალში უნდა იქნეს გადახდილი. მომავალი თანხის ამჟამინდელი ღირებულება დისკონტირებული მამრავლის დახმარებით განსაზღვრება, რომელიც საბანკო სარგებლის ნორმასა და ვადაზე, დისკონტირების პერიოდზეა დამოკიდებული.

დისკრედიტაცია – ნდობის დაკარგვა. კონკურენტის მიმართ ისეთი ქმედება, რომელიც მის ავტორიტეტს , პრესტიჟს აქვეითებს.

დისკრიმინაცია – რომელიმე პირის ან ორგანიზაციის ქონებრივი მდგომარეობის შეზღუდვა ან ჩამორთმევა. საგარეო ვაჭრობაში რომელიმე სახელმწიფოს მიმართ განსაკუთრებით მკაცრი პირობების განხორციელება, მაღალი საბაჟო გადასახადების, ტარიფების, კვოტების გამოყენება,

რაც მას სხვებთან შედარებით უფრო მძიმე პირობებში აყენებს.

დისპაჩი – გემის ვადაზე ადრე დატვირთვისა ან გადმოტვირთვისათვის გასაცემი პრემიული ანაზღაურება, რომელსაც გემის მფლობელი უხდის ტვირთის პატრონს.

დისპოზიცია (ლათ.distribution-განაწილება) – ეკონომიკური საქმიანობის ან მისი ნაწილის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შეიცავს აკრძალვებს, შეზღუდვებს ან მითითებებს, რომელიც ზღუდავს მოქმედების შესაძლებელ, კანონიერ არეს. ის შეიძლება დაფიქსირდეს კანონებში, შეთანხმებებში, ხელშეკრულებებში.

დისპონენტი – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც ბანკის კომისიონერის ანგარიშზე გარკვეული ფულადი სახსრები აქვს.

დისტანცია – საერთოდ მანძილს ნიშნავს. ეკონომიკის მართვის სისტემაში დამორჩილების (დაქვემდებარების) იერარქიული საფეხურების აღსანიშნავადაც ხმარობენ.

დისტილატი (distillate) – ნედლეულის გამოხდით მიღებული თხევადი პროდუქტი. მაგალითად, ნავთობის დისტილატებია: ნავთი, ბენზინი, დიზელის საწვავი, მაზუთი და სხვა.

დისტრიბუტორი (ინგ. Distribution-განაწილება) – ფირმა, მეწარმე, რომელიც ახორციელებს განსაზღვრული სახის საქონლის ბითუმად შესყიდვასა და გასაღებას. დისტრიბუტორებს აქვთ უპირატესი უფლება და შესაძლებლობა, შეიძინონ და გაყიდონ მოწყობილობა, ტექნიკური სიახლეები, პროგრამული კომპიუტერული უზრუნველყოფა. ფირმას შეიძლება ჰყავდეს თავისი საქონლის გამყიდველი, საკუთარი დისტრიბუტორი, სადაც დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ის არის მისი, ერთადერთი

წარმომადგენელი (გენერალური დისტრიბუტორი). ამავე დროს, გამყიდველსა და მყიდველს უწევს საშუამავლო მარკეტინგულ მომსახურებას, ემსახურება მოწყობილობის მონტაჟს და გაწყობას, მათი გამოყენების საქმეს. ასეთ მომსახურებას დისტრიბუტორულს უწოდებენ.

დიურაცია (ხანგრძლივობა) □ არის ისეთი სახის მაჩვენებელი, რომელიც ობლიგაციის დაფარვის ვადის დადგომამდე დარჩენილი ვადის და ინვესტორის მიერ ფულადი სახსრების ნაკადების მიღების გრაფიკს ითვალისწინებს. მისი გაანგარიშება პერიოდული გადასახადების სუფთა, მიმდინარე შეწონილი ღირებულების ობლიგაციის ფასზე გაყოფით გაიანგარიშება, სადაც ობლიგაციის ფასი განსაზღვრულია, როგორც სამომავლო ფულადი ნაკადის სუფთა, მიმდინარე ღირებულება. დიურაცის ანალიზი ფასიანი ქაღალდის პორტფელის შეფასებისას და საბანკო აქტივებისა და პასივების მართვისას გარღვევის სიღრმისეული ანალიზისას გამოიყენება.

დიფერენტი □ ამა თუ იმ საქონელზე ფასების სხვაობა მისი დაკვეთისა და ფაქტობრივი შესყიდვის მომენტში.

დიფერენციალი (differential) – 1) პრემია ან ფასდაკლება, საბაზრო ხარისხის ნაცვლად, ისეთი ხარისხის საქონლის მიწოდებისას, რომლის მიწოდება დასაშვებია ფიუჩერსის (კონტრაქტის) პირობებით; 2) კომპენსაცია, რომელიც მიეცემა დილერს არასტანდარტული ფასიანი ქაღალდებით დადებული გარიგებისათვის.

დიფერენციალური დანახარჯები (diferential costs) □ დამატებითი, ზრდადი ხარჯები, რაც განპირობებულია წარმოების მცირე მოცულობით.

დიფერენციალური რენტა (differential rent) – 1) მიწის რენტის ერთ-ერთი ფორმა დამატებითი შემოსავალი, რომელსაც

მიიღებს მეპატრონე მისი მიწის ნაკვეთის მაღალი მოსავლიანობისა და შესაბამისად შრომის მეტი ეფექტიანობის გამო; 2) დამატებითი შემოსავალი, რომელიც მიიღება უფრო მომგებიანი რესურსების გამოყენებით.

დიქტატი (გერმ. Diktat) – 1. უსამართლო შეთანხმება, ხელშეკრულება და სხვ., რომელსაც ერთი სახელმწიფო თავს ახვევს მეორეს. 2. იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკა უფრო სუსტი ქვეყნებისათვის თავისი პირობების თავზე მოხვევა.

დოკი ნაგებობა, სადაც აწარმოებენ გემის კორპუსის წყალქვეშა ნაწილის წმენდას, შეღებვას, რემონტს და სხვ.

დოკუმენტაცია დოკუმენტებით დასაბუთება.

დოკუმენტი (Documentum) 1. რისამე დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი; რაიმე უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. 2. ვისიმე ვინაობის დამადასტურებელი მოწმობა;

დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება ზუსტად დადგენა იმისა, რომ ციფრული ხელმოწერა შექმნილია ხელმოწერის სერთიფიკატში მოცემული ღია გასაღების შესაბამისი დახურული გასაღების გამოყენებით; დოკუმენტი არ შეცვლილა მასზე ციფრული ხელმოწერის შექმნის შემდეგ.

დოლარი ამერიკის შეერთებულ შტატებში ფულის ერთეული, რომელიც 100 ცენტს უდრის. დოლარი თანამედროვე პირობებში მსოფლიო ფულის ფუნქციასაც ასრულებს (დაახლოებით 60%). როგორც ფულის ერთეული, გავრცელებულია სხვა ქვეყნებშიც.

დოლარიზაციის კოეფიციენტი კომერციულ ბანკებში განთავსებული უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობის შეფარდება დეპოზიტების საერთო ოდენობასთან.

დომენი □ დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფოს კუთვნილი ქონება (მიწა, ტყეები, წიაღისეული და სხვ.)

დომინიონი □ ბრიტანეთის ყოფილ იმპერიაში შემავალი სახელმწიფოები (კოლონიები), სადაც მთავრობის მეთაურად ინიშნებოდა ინგლისელი მონარქის წარმომადგენელი □ გენერალ-გუბრნატორი.

დომინირება □ 1. მბრძანებლობა, გაბატონება; 2. სიტუაცია, რომლის დროსაც ბაზარზე გაყიდული საქონლის მოცულობის მაჩვენებლის მიხედვით ლიდერი რამდენჯერმე აღემატება უახლოეს კონკურენტს ან როცა ლიდერს კონკურენტთან შედარებით აქვს გაცილებით უფრო ნაკლები დანახარჯები და შესაბამისად, უფრო მაღალი რენტაბელობა. მსოფლიო პრაქტიკაში დომინირებად ითვლება, სიტუაცია, როცა გაყიდვების მოცულობა ოთხმაგად გადააჭარბებს უახლოესი კონკურენტის ანალოგიურ მაჩვენებელს.

დომიმილი □ ფიზიკური ან იურიდიული პირის ადგილსამყოფელი, ქვეყანა ან სხვა გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული ერთეული.

დონორი (donor) □ ორგანიზაცია, რომელიც ხელშეკრულების ან წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს ჰუმანიტარულ საქონელს მიმღებისათვის, უსასყიდლოდ გადასაცემად.

დოსიე □ დოკუმენტის ან მასალების ერთობლიობა, რომელიც გროვდება რაიმე საქმის გამო და იძლევა ამომწურავ ინფორმაციას ამ საქმისა თუ საკითხის შესახებ.

დოტაცია (ლათ. Dotatio-საჩუქარი, შენაწირი) □ სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრები ზარალიანი საწარმოების ფინანსური მხარდაჭერისათვის. დოტაცია მძიმე ტვირთად აწვება სახელ-

მწიფო ბიუჯეტს, ბადებს მის დეფიციტურობას, რის შედეგადაც საჭიროა დამატებითი ფულადი ემისიის განხორციელება, რაც ინფლაციას იწვევს.

დოუ-ჯონსი – უმსხვილეს კომპანიათა ჯგუფის აქციათა კურსის საშუალო მაჩვენებელი (ინდექსი). პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ამავე სახელწოდების კომპანიამ გამოიყენა.

დოქტრინა – პოლიტიკური სისტემის მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია. მაგალითად, ამერიკის პრეზიდენტის მონროს დოქტრინა „ამერიკა მხოლოდ ამერიკელებისათვის“ (1923 წ.) ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ პრინციპად იქცა.

დრაგომანი – დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საკონსულოებთან, უპირატესად აღმოსავლეთის ქვეყნებში ოფიციალური თარჯიმანი.

დრაქმა – 1. ვერცხლის ფულის ერთეული თანამედროვე საბერძნეთში. 2. ვერცხლის ფული ძველ საქართველოში (უდრიდა 20-25 კაპ-ს).

დროის რეალური რეჟიმი – საანგარიშგებო პერიოდში ელექტრონული საგადასახადო საბუთების შესრულებისა და გადაცემის პროცესის უწყვეტად და დაუყოვნებლივ განხორციელება;

დუბლიკატი – დოკუმენტის ასლი, პირი, მეორე ცალი, რომელსაც დედნის შემცვლელი იურიდიული ძალა აქვს. ხშირად დედნის დაკარგვის შემთხვევაში გაიცემა.

დუოპოლია – შედგება ორი სიტყვისაგან: ორი და ვყიდი, ვვაჭრობ. ისეთი საბაზრო სისტემა, როდესაც არის გარკვეული საქონლის მხოლოდ ორი მომწოდებელი, რომელთა შორის არ არსებობს შეთანხმება გასაღების ბაზრის ფასებისა და სხვ. შესახებ.

დურაცია (ხანგრძლივობა) □ არის ისეთი სახის მაჩვენებელი, რომელიც ობლიგაციის დაფარვის ვადის დადგომამდე დარჩენილ ვადას და ინვესტორის მიერ ფულადი სახსრების ნაკადების მიღების გრაფიკს ითვალისწინებს. მისი გაანგარიშება პერიოდული გადასახადების სუფთა მიმდინარე შეწონილი ღირებულების ობლიგაციის ფასზე გაყოფის გზით გაიანგარიშება, სადაც ობლიგაციის ფასი განსაზღვრულია როგორც სამომავლო ფულადი ნაკადის სუფთა მიმდინარე ღირებულება. დიურაციის ანალიზი ფასიანი ქაღალდების პორტფელის შეფასებისას და საბანკო აქტივებისა და პასივების მართვისას გარღვევის სიღრმისეული ანალიზისას გამოიყენება.

დურო □ ძველებური ესპანური ვერცხლის მონეტა, დაახლოებით 20 რეალს უდრის.

დღიური გამომუშავება □ მუშაკის მიერ ერთ ცვლაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა.

დღიური შეკვეთა □ შეკვეთა მოქმედების ერთდღიანი ვადით. ნებისმიერი შეკვეთა ითვლება ერთდღიანად, თუ მასში მითითებული არ არის ვადა.

ე

ეგზემპლარი □ ერთგვაროვანი საგნების (მაგ., წიგნების, ჟურნალების...) ცალკეული ნიმუშები; ცალი, ცალეული.

ეგზოგენური მტპ. □ ეგზოგენური (გარეგანი მიზეზებით წარმოქმნილი) ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივი ფუნქცია. გულისხმობს ტექნოლოგიური პროგრესის გარედან მართვას. წარმოების ავტონომიური ფაქტორი.

ედემი □ ბიბლიური ლეგენდის მიხედვით □ პირველი ადამიანის ადგილსამყოფელი, □ სამოთხე, რომელიც ვი-

თომდა ამქვეყნად არსებობდა. გადატ. თვალწარმტაცი, ყველაფრით შემკული ადგილი, □ წალკოტი.

ეესი □ **(საერთო ბაზარი)**, ევროპული ეკონომიკური გაერთიანება, დაარსდა 1957 წელს რომში, აერთიანებდა ევროპის 12 მსხვილ სახელმწიფოს. ხელმძღვანელი ორგანოა კომისია და მინისტრთა საბჭო, რომელიც ბელგიაში (ბრიუსელში) იმყოფება.

ევაკუაცია □ ადამიანების (მოსახლეობის), საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ორგანიზებული გაყვანა იმ ადგილებიდან, სადაც რაიმე საფრთხეა მოსალოდნელი.

ევალუაცია □ ეროვნული ფულის რომელიმე კონვერტირებულ ვალუტაში გადაყვანა (გადაანგარიშება).

ევოლუცია □ ბუნებასა და საზოგადოებაში მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც მოყვება თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებები. არსებობს ეკონომიკის განვითარების ევოლუციური და რევოლუციური გზები.

ევრისტიკა (ბერძნ.heuristiko-გამოვძებნი, აღმოვაჩენ) □ ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის, გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდი, რომელიც ემყარება ინტუიციას, მიხვედრილობას, ანალოგიას, გამოცდილებას და გამომგონებლობას, ამასთან, ადამიანის გონების განსაკუთრებულ თვისებებს და მის უნარს, გადაწყვიტოს ამოცანები, რომლისთვისაც ფორმალური მათემატიკური ალგორითმი, ამოხსნის წესი უცნობია.

ევრობაზარი □ ევროვალუტის ბაზარი სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი, სადაც ოპერაციები ხორციელდება ევროვალუტაში. იგი შექმნილია ევროპაში გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს.

ევროდოლარი – ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ბანკებში განთავსებული საბანკო დეპოზიტები დოლარებში.

ევროვალუტა – 1) ბანკების ფულადი სახსრები, რომლებიც მოთავსებულია სხვა, ძირითადად, ევროპის ქვეყნებში და ასახულია ამ ქვეყნის ვალუტაში.

ევროპის სასამართლო (european court) – ევროკავშირის ერთ-ერთი ინსტიტუტი, მისი სხდომები ტარდება ლუქსემბურგში. წარმოადგენს უმაღლეს არბიტრს. მისი გადაწყვეტილება გადასინჯვას არ ექვემდებარება.

ევროპული ვალუტის ერთეული – ევრო (სიმბოლო: €; საბანკო კოდი: EUR) ევროპის კავშირის ოფიციალური ვალუტა და ერთადერთი ფულადი ერთეული 300 მილიონი ევროპელისთვის ევროგაერთიანების ქვეყნებში.

ევროქარდი (ინგლ. Eurocard) – საერთაშორისო საკრედიტო ბარათი, ევროპულ საბანკო სისტემის მონაწილე ქვეყნებში სარგებლობის უფლებით.

ეთიკა – 1. ფილოსოფიური მოძღვრება ზნეობის, მორალის შესახებ; 2. გარკვეული საზოგადოებრივი წრის პროფე-სიის წარმომადგენელთა ყოფაქცევის ნორმები, მორალი.

ეკვივალენტი – რისამე ტოლფასი, თანაბარღირებული რამე.

ეკვივალენტური საქონელი (equivalent commodity) – საქარ-თველოს საქონელი, რომელიც საბაჟო ტერიტორიაზე გადამუშავების საბაჟო რეჟიმში დეკლარილებული შემოსატანი საქონლის ნაცვლად გამოიყენება კონკრე-ტული პროდუქციის მისაღებად.

ეკიუ – ძველებური ფრანგული ვერცხლის ან ოქროს ფული. თანამედროვე პირობებში წარმოადგენს საერთაშორისო სავალუტო ერთეულს, რომელიც შემოღებულ იქნა 1979 წლიდან ევროპის სავალუტო სისტემაში.

ეკონომი □ ძვ. საოჯახო მეურნეობის გამგე, მნე.

ეკონომია □ რესურსების ყაირათიანი, მომჭირნეობით ხარჯვა.

ეკონომიკა □ 1. მოცემული საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობანი, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას. მაგ., სოციალიზმის ეკონომიკა, კაპიტალიზმის ეკონომიკა. 2. ამა თუ იმ ქვეყნის (რაიონის და მისთ.) სამეურნეო ცხოვრება, მეურნეობის მდგომარეობა. 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მეურნეობის რომელიმე დარგის საფინანსო-მატერიალურ მხარეს.

ეკონომიკა გეგმიური □ ეკონომიკური სისტემა, რომელშიც პროდუქციისა და მომსახურების წარმოებასა და განაწილების გადაწყვეტილებებს ერთი პირი (ორგანიზაცია) იღებს. ყველაზე ხშირად ტერმინი გამოიყენება ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკის აღსანიშნავად, სადაც ასეთი ორგანიზაცია მთავრობაა.

ეკონომიკა მათემატიკური □ თეორიული ეკონომიკის მიმართულება, რომელიც მათემატიკური მეთოდებითა და მოდელებით ახდენს ანალიზს, პროგნოზირების, დაგეგმვისა და პროგრამირებისათვის საჭირო ეკონომიკური მაჩვენებლების გათვლა.

ეკონომიკა საბაზრო რეგულირებადი □ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც არეგულირებს სახელმწიფო ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემით □ გადასახადებით, დოტაციებით, საპროცენტო განაკვეთებით და ა.შ.

ეკონომიკა სტატიკური □ ეკონომიკა, რომელშიც რესურსები, ტექნიკა და ტექნოლოგია, აგრეთვე მომხმარებელთა გემოვნება არ იცვლება. ასეთი ეკონომიკის მომავალი ადვილად პროგნოზირებადია.

ეკონომიკა ღია – მსოფლიოს სამეურნეო კავშირებში (სისტემებში) ინტეგრირებული ეკონომიკა, რომლის ყოველ სუბიექტს უფლება აქვს განახორციელოს საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, დადოს საფინანსო გარიგებები.

ეკონომიკა შეთანხმებული (agreed economy) – ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა, რომლის დროსაც სახელმწიფოსა და საწარმოების წარმომადგენელთა შორის მუდმივად ხორციელდება ურთიერთობა ეკონომიკური და მმართველობითი ინფორმაციის შესაბამისობის მისაღწევად.

ეკონომიკა შერეული (mixed economy) – ეკონომიკის ორგანიზაციის ფორმა, რომლის პირობებში კერძო სექტორი იმართება საბაზრო მექანიზმით, ხოლო საზოგადოებრივი ინსტიტუტები და მთავრობა ეყრდნობა რა საბაზრო მექანიზმს, ზემოქმედებს ეკონომიკაზე დირექტივებითა და ფისკალური ბერკეტებით.

ეკონომიკა ჩრდილოვანი (black /shadow economy) – არაკონტროლირებადი ეკონომიკა. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება, რომლის შედეგებსაც მალავენ სახელმწიფოს მმართველი ორგანოებისაგან, რათა თავი აარიდონ გადასახადებს.

ეკონომიკური გაერთიანება – ქვეყნების ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან შეთანხმებული, ერთობლივი ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად, ერთობლივი საქმიანობის კოორდინაციისათვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის პარიზის 1960 წ. 14

დეკემბრის კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაცია.

ეკონომიკური კიბერნეტიკა – კიბერნეტიკის მიმართულება, რომელიც ამ მეცნიერების მეთოდებსა და საშუალებებს იყენებს ეკონომიკურ სისტემებში პროცესების კვლევის და ორგანიზაციისათვის.

ეკონომიკური კრიზისი (economic crisis / growth recession) – ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, მრეწველობის მნიშვნელოვანი დაგეგმა; საწარმოო კავშირების დარღვევა; საწარმოთა გაკოტრება; უმუშევრობის ზრდა.

ეკონომიკური მაჩვენებელი (economic indicator) – სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების განზოგადებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრები.

ეკონომიკური საქმიანობა (economic activity) – ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზნით, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა.

ეკონომიკური სისტემა (economic system) – ისტორიულად ჩამოყალიბებული და ქვეყანაში მოქმედი პრინციპების, კანონების და კანონმდებლობით განმტკიცებული ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ძირითადი ეკონომიკური ურთიერთობების ფორმასა და შინაარსს.

ეკონომიკური ციკლი (business/trade cycle) – ეკონომიკაში წლების მანძილზე პერიოდულად განმეორებადი აღმასვლა და დაცემა. ეკონომიკური ციკლი რამდენიმე ფაზისაგან შედგება: აღმასვლა, კრიზისი, დეპრესია, გამოცოცხლება.

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები – მათემატიკური აპარატის, მათემატიკური დამოკიდებულების გამოყენება ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრისათვის, გაანგარიშებისათვის.

ელადა – საბერძნეთის სახელწოდება.

ელასტიკური (ბერძნ. Elasticos-მოქნილი) – დრეკადი, მოქნილი.

ელდორადო – ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების არარსებული ქვეყანა, ვითომ მდიდარი ოქროთი და თვალ-მარგალიტით, რომელსაც ეძებდნენ სამხრეთ ამერიკაში პირველი ესპანელი დამპყრობლები.

ელემენტი – მთელის შემადგენელი ნაწილი. მაგალითად, საწარ-მოსათვის საამქრო მისი სტრუქტურული ელემენტია.

ელექტორატი – მოქალაქეთა რაოდენობა, რომელსაც ხმის მიცემის დროს არჩევის უფლება აქვს; ამომრჩევლები, რომლებიც რომელიმე პოლიტიკურ პარტიას აძლევენ ხმას.

ელექტროკარი – ელექტროამძრავიანი ურიკა, რომელსაც ძირითადად საწარმოებში, საწყობებსა და დიდ სავაჭრო ცენტრებში იყენებენ ტვირთის გადასატანად.

ელექტრონული არქივი – საგადასახადო სისტემის ან ბანკის საოპერაციო დღის პროგრამის მონაცემთა ისტორიული თარიღის ელექტრონული ასლი;

ელექტრონული დოკუმენტი (ელექტრონული შეტყობინება) – ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ან იურიდიული მნიშვნელობის არმქონე ფაქტს;

ელექტრონული დოკუმენტის ნამდვილობა – ელექტრონული ნამდვილობა,თუ მან წარმატებით გაიარა სისტემაში არსებული შემოწმების პროცედურები და მისი ციფრული ხელმოწერის ნამდვილია;

ელექტრონული საბანკო მომსახურება – დაშორებული კლიენტების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მომსახურება. ელექტრონულ საბანკო მომსახურებას შეიძლება მივაკუთნოთ: მომსახურება პლასტიკური ბარათით, კლიენტის ადგილზე მომსახურება სისტემა „ბანკთა კლიენტი“, ავტომატური მომსახურება ტელეფონის მეშვეობით, მომსახურება ინტერნეტის გამოყენებით და სხვა.

ელექტრონული საგადასახადო საბუთი – კლიენტის ან ბანკის მიერ ფორმირებული ელექტრონული საბუთი, რომელიც წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილეთა შესაბამის ანგარიშებზე ოპერაციების შესრულების საფუძველს;

ელექტრონული ფოსტა – გამომთვლელი მანქანებით მოსარგებლეთა შორის შეტყობინებების გადაგზავნის სისტემა, რომელშიც კომპიუტერი შეერთებულია საზოგადოებრივ (ან სპეციალურ) სატელეფონო სისტემასთან და მიღების დახმარებით თავის თავზე იღებს შეტყობინების შენახვისა და გაგზავნის ფუნქციებს.

ელექტრონული ფული – გადასახადების ელექტრონული სისტემა – უნაღდო ანგარიშსწორება მყიდველებსა და გამყიდველებს, ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის, რომელიც კომპიუტერული ქსელის, კავშირგაბმულობის სისტემის მეშვეობით, ინფორმაციის კოდირებისა და მისი ავტომატური დამუშავების საშუალებების გამოყენებით ხორციელდება.

ელექტრონული ციფრული ხელმოწერა – კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით დამუშავებული სპეციალური სისტემის (ორგანიზატორის მიერ ტირაჟირებული) კრიპტოგრაფიული ალგორითმით ელექტრონული საბუთის დამუშავების შედეგად მიღებული სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც ადასტურებს ელექტრონული საბუთის ნამდვილობას, მთლიანობას, ხელმომწერი პირის ვინაობის და რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატიული აქტითა და მხარეებს შორის ხელშეკრულებით.

ელექტრონული შეტყობინება – ელექტრონული საბუთი, რომელიც საანგარიშსწორებო ოპერაციების შესრულებისას უზრუნველყოფს თავისუფალი ფორმატის ინფორმაციის გაცვლას (დასტური, ამონაწერი ანგარიშიდან, შეტყობინება დანაწილებული ელექტრონული საგადასახადო საბუთის შესახებ და სხვა).

ელიმინაციის ფასების მერყეობა (ლათ. Eliminare - გაძევება) – საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მერყეობის აღმოფხვრა.

ელიმინირება (ლათ. Elimino-გარეთ გამაქვს, გაძევება) – ანალიზის, ანგარიშის, კონტროლის პროცესში განხილვისაგან იმ ნიშნების, ფაქტორების, მაჩვენებლების გამორიცხვა, რომელიც შესასწავლ, გასანაღდებელ, გასაკონტროლებელ პროცესებთან, მივლინებებთან აშკარად არ არიან დაკავშირებული.

ელიტა (ფრანგ. elite-საუკეთესო, რჩეული) – ზედაფენა, ე.წ. რჩეული საზოგადოება; სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური ხელმძღვანელი ზედაფენა, საფინანსო და კომერციული სტრუქტურების უმაღლესი მენეჯმენტი,

რომელიც ეყრდნობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და ძალოვანი სტრუქტურების მხარდაჭერას.

ემანსიპაცია – ვინმეზე დამორჩილებისაგან, მონობისა, ჩაგვრისა და ყოველგვარი მოძველებულისაგან განთავისუფლება, თავის დახსნა.

ემბარგო (ესპან embargo - ყადაღის დადება, აკრძალვა) – სახელმწიფოს მიერ ქვეყანაში გარკვეული სახის საქონლის, ფასეულობის, ოქროს, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის გატანის ან შემოტანის აკრძალვა.

ემბლემა – იდეისა და ცნების პირობითი ან სიმბოლური გამოსახვა. ემბლემა კეთდება საქონლის თვალსაჩინო ადგილზე, როგორც ხარისხის ემბლემა და სავაჭრო ნიშანი.

ემბრიონი – ჩანასახი (ადამიანის ან ცხოველის).

ემიგრანტი – პირი, გასახლებული თავისი ქვეყნიდან სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური მიზეზების გამო.

ემიგრაცია (ლათ. Emigrare-წასვლა) – იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში.

ემისარი – პიროვნება, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში გარკვეული (უპირატესად საიდუმლო) დავალებით.

ემისია (emissio - გამოშვება) – ფასიანი ქაღალდების, ფულის ნიშნების მიმოქცევაში გაშვება ყველა ფორმით. ფულის ემისია ნიშნავს არა მხოლოდ ფულის ნიშნების ბეჭდვას, არამედ მიმოქცევაში ნაღდი და უნაღდო ფულის მთელი მასის გაზრდას.

ემისია ფასიანი ქაღალდების – ნებისმიერი ემიტენტის, სახელმწიფოს, საკრედიტო დაწესებულების აქციონერული კომპანიების მიერ მიმოქცევაში გამოშვებული აქციები,

სერთიფიკატები, ობლიგაციები და სხვა ფასიანი ქაღალდები.

ემისიური ბანკი – ემისიური ორგანო, რომელიც პასუხის-მგებელია ფულის ემისიისათვის, როგორც წესი, ეს არის ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკი.

ემისიური მოგება – მოგება ფასიანი ქაღალდების გავრცელები-საგან, რომელსაც იღებენ ბანკები, სხვა ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულებებზე შუამავლობის შედეგად ფასიანი ქაღალდების ემიტენტებსა და მათ მყიდველებს შორის საშუამავლო მომსახურების გაწევისათვის.

ემისიური ფასი – ფასი, რომლის მიხედვითაც ფასიანი ქაღალ-დები იყიდება მათი გამოშვებისთანავე, ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის ფასი. ჩვეულებრივ, ეს ფასი ტოლია ნომინალური ღირებულების.

ემიტენტი – ნებისმიერი ორგანო ან ორგანიზაცია (სახელმწიფო ბანკი, ფინანსურ-საკრედიტო დაწესებულება, საწარმო, კომპანია), რომელიც მიმოქცევაში უშვებს ფულსა და ფასიან ქაღალდებს, აწარმოებს ემისიას.

ემულსია – სითხე, რომელშიც მიკროსკოპული სიდიდის მეორე (სხვა) სითხის წვეთებია შეწონასწორებულ მდგომარეო-ბაში. მაგალითად, ემულსიას წარმოადგენს რძე, საღე-ბავი და სხვა.

ენერგია – მატერიის ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა მისი მოძრაობა.

ენთუზიაზმი – აღფრთოვანებისა და გატაცების უმაღლესი დონე. ენთუზიასტებად ხშირად ისეთი ადამიანები იგულისხმებიან, რომლებიც საქმისადმი უდიდეს თავ-დადებას იჩენენ, ყველა ღონეს ხმარობენ გარკვეული იდეიის რეალიზაციისათვის.

ენტროპია (ბერძნ. entropia-მოსახვევი, გარდაქმნა) – ინფორმაციის თეორიაში ეს არის სიდიდე, რომელიც სისტემის გაურკვევლობის ხარისხს ახასიათებს.

ენციკლოპედია – მეცნიერული საცნობარო გამოცემა (ჩვეულებრივი ლექსიკონის სახით), რომელიც ასახავს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს.

ეპიზოდი – ცალკეული მოვლენა, შემთხვევა, მთელი მოვლენის (პროცესის) ერთი ასე თუ ისე დამთავრებული ნაწილი.

ეპითეტი – ზედდართული, თანამედროვე გაგებით, ეპითეტი რაიმე საგნის დასახელებას ერთვის მისი მნიშვნელობის გაძლიერებისათვის.

ეპისტოლე – ძველ რომაულად და ძველ ბერძნულად წერილს ან წერილობით გზავნილს ნიშნავს.

ეპოქა – დროის ხანგრძლივი მონაკვეთი, რომელსაც ახასიათებდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენები.

ერზაცი – რისამე არასრულფასოვანი შემცვლელი. მაგალითად, ხელოვნური ტყავი, ხელოვნური ქურქი და სხვ.

ერთვალუტიანი საბანკო ანგარიში – ანგარიში, რომელზეც აღნიშნულია ფულადი სახსრები ერთ კონკრეტულ ვალუტაში.

ერთობლივად მოქმედ პარტნიორთა (აქციონერთა) ჯგუფი – ახლონათესაურ კავშირში მყოფ პარტნიორთა ჯგუფი ან პარტნიორები (აქციონერები), რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ბანკის გარდა, სხვა კომერციული ინტერესებით.

ეროვნული შემოსავალი – ქვეყანაში გარკვეული პერიოდის მანძილზე (როგორც წესი, ანგარიშობენ წლის განმავლობაში) მატერიალური წარმოების ყველა დარგში

ახლად შექმნილი ღირებულება. ჩვეულებრივ, წარმოადგენს განსხვავებას ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტსა და მის შექმნაზე დახარჯული წარმოების საშუალებათა ღირებულებას შორის.

ერუდიცია □ ღრმა განსწავლულობა, შემეცნების მაღალი დონე. მრავალმხრივი ცოდნა მეცნიერების რომელიმე დარგში.

ესენცია □ დისტილაციის გზით მცენარეებისაგან მიღებული კონცენტრირებული ხსნარი, რომელსაც ხმარებისათვის შემდგომ გამხსნელში აზავებენ და იყენებენ კვებისა და ფარმაცევტულ მრეწველობაში, აგრეთვე პარფიუმერიაში.

ესკალატორი □ ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობა, მოძრავი კიბე, რომლითაც ხდება მგზავრის, ტვირთის ტრანსპორტირება. სხვადსხვა ტიპის ესკალატორებს იყენებენ თანამედროვე წარმოებაში.

ესკიზი □ წინასწარი მონახაზი. მაგალითად, ჩაფიქრებული კონსტრუქციის წინასწარი მონახაზი. კეთდება როგორც წესი, მინიატურაში, მაგრამ პროპორციების დაცვით. ესკიზი შეიძლება დატანილ იქნას ქაღალდზე.

ესპერანტო □ ხელოვნური საერთაშორისო ენა. მისი შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის ვარშაველ ექიმს ლ. ზამენჰოფს მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში. ესპერანტოს სიტყვების შერჩევას საფუძვლად დაედო ევროპის ასე თუ ისე უფრო გავრცელებული ენები.

ესტიმატიური ღირებულება (ლათ. estimated value) □ უძრავი ქონების მიახლოებითი, დაგეგმილი ღირებულება ექსპერტის შეფასების თანახმად.

ესტრადა □ დარბაზის ან სივრცის ამაღლებული ნაწილი, სადაც ეწყობა სანახაობითი ღონისძიებანი. ბირჟებში ესტრადის

ნაცვლად ხშირად იყენებენ პოდიუმს, საიდანაც ვაჭრობას წარმართავენ.

ეტალონი □ 1. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში. მაგ., მეტრის ეტალონი. 2. მეტისმეტად ზუსტი საზომი ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ სხვა ხელსაწყოების შესამოწმებლად.

ეტაპი □ რომელიმე პროცესის განვითარებაში დროის მონაკვეთი, სტადია. მაგალითად, აქციების გამოშვების პირველი ეტაპი, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპი და სხვ.

ეტიკეტი □ 1. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული საფაბრიკო ან სავაჭრო ნიშანი, რომელზედაც ნაჩვენებია სახელწოდება, ფასი და სხვ. (იარლიყი). 2. თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რაც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში.

ეტიკეტური ფასი □ საცალო ფასი, რომელიც მითითებულია საქონელზე მიმაგრებულ ეტიკეტკაზე, იარლიყზე;

ეფექტი □ მიღწეული შედეგი მატერიალურ, ფულად, სოციალურ (სოციალური ეფექტი) გამოსახულებაში.

ეფექტიანობა □ შეფარდებითი ეფექტი, პროცესის, ოპერაციის, პროექტის შედეგიანობა, განსაზღვრული, როგორც ეფექტის, შედეგის შეფარდება დანახარჯებთან, რომელმაც მისი მიღება განაპირობა.

ეფექტიანობა ექსპორტის □ ექსპორტის სარგებლიანობა, რომელიც იზომება ექსპორტირებული საქონლის საგარეო ვაჭრობის ფასებით გამოხატული ღირებულების შეფარდებით, მის შიდა ფასებით აღებულ ღირებულებასთან.

ეფექტიანობა იმპორტის □ იმპორტის სარგებლობა, რომელიც ფასებს შიდა ბაზარზე შიდა ფასით რეალიზებული იმპორტული საქონლის ღირებულების შეფარდებით,

საგარეო ვაჭრობის ფასებითაა გამოხატული მათ ღირებულებასთან.

ექსკურსი □ მოხსენების (ტექსტის) მთავარი საკითხისაგან გადახვევა თანმდევი საკითხების გასაშუქებლად.

ექსპედიტორი □ პირდაპირი მნიშვნელობით გამგზავნი, მიმწოდებელი. ეკონომიკაში ექსპედიტორს უწოდებენ იმ პირს, რომელიც საქონლის (მზა პროდუქციის) გამგზავნის (მიმწოდებლის) ან წარმოების (დაწესებულების) მომარაგების ფუნქციებს ასრულებს.

ექსპერიმენტი □ ცდა; მაგალითად, რომელიმე საქონლის მცირე პარტიებად სავაჭრო ქსელში შეტანით ადგენენ მოთხოვნილებას (მაზანდას), რაც შემდგომში ამ საქონლის წარმოების გადიდების ან შემცირებისათვის არის საჭირო.

ექსპერტი □ გამოცდილი, გარკვეულ საკითხში მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც გამოკვლევისათვის იწვევენ, თუ საჭიროა ამა თუ იმ მოვლენის (საკითხის) ღრმა და კვალიფიციური შესწავლა.

ექსპერტიზა □ სპეციალისტების მიერ რისამე საფუძვლიანი შემოწმება და შედეგების ჩამოყალიბება, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

ექსპლუატაცია □ სხვისი შრომის ნაყოფის მითვისება. მანქანა-მოწყობილობის გამოყენების აღსანიშნავადაც იყენებენ.

ექსპოზიცია □ საქონლის ნიმუშების გამოფენა.

ექსპონატი □ გამოფენაზე გამოტანილი საქონლის ნიმუში.

ექსპორტი (ლათ.exporto - გამაქვს) □ საზღვარგარეთ საქონლის გატანა, რომელიც უცხოელ მყიდველზეა მიყიდული ან უცხოეთის ბაზარზე გაიყიდება ან სხვა ქვეყანაში გადამუშავდება.

ექსპორტიორი □ პირი ან ორგანიზაცია, რომელსაც საქონელი საზღვარგარეთ გააქვს.

ექსპორტირება □ საქონლის საზღვარგარეთ გატანა გასაყიდად.

ექსპორტული კრედიტი □ კრედიტი, რომელიც მყიდველებს ან მათ ბანკებს გაყიდვების დაფინანსების მიზნით ეძლევა, როგორც ექსპორტის წახალისების საშუალება.

ექსპორტული ლიზინგი □ საგარეო ეკონომიკური გარიგება, რომლის დროსაც ფირმა უცხოელ მოიჯარეს თავის ქვეყანაში სხვა ფირმისაგან ნაყიდ მოწყობილობას აძლევს.

ექსპორტული ლიცენზია □ განსაზღვრული სახის საქონლის ექსპორტის უფლება, რომელსაც უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები საწარმოებზე (ფირმებზე), სხვა ექსპორტიორებზე გასცემენ.

ექსპროპრიაცია (ლათ. expropriatio-ქონების ჩამორთმევა) □ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ქონების იძულებითი ჩამორთმევა უსასყიდლოდ (ქონების კონფისკაცია) ან სასყიდლით (რეკვიზიცია).

ექსტენსიური □ რაიმე პროცესის მხოლოდ რაოდენობრივი და არახარისხობრივი ზრდა. მაგალითად, ეკონომიკის განვითარების ექსტენსური გზა მის გაფართოებას ნიშნავს (საპირისპირო□ ინტენსიური).

ექსტერიერი □ ცხოველის გარეგნული შესახედაობა და აგებულება, რაც შეფასების დროს ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია.

ექსტერიტორიული □ გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში განსაკუთრებული უფლებების, პრივილეგიების მინიჭება. მაგალითად, ზოგიერთი ტერიტორიის ფარგლებში საწარმოები გადასახადებისაგან თავისუფლდება.

ექსტრა □ საუცხოო, საუკეთესო, საქონლის უმაღლესი ხარისხის აღსანიშნავად იხმარება.

ექსტრაპოლაცია □ ეკონომიკური მაჩვენებლების, სიდიდეების მომავალი, მოსალოდნელი მნიშვნელობების განსაზღვრა არსებული მონაცემების საფუძველზე, წარსულ პერიოდში მათი ცვლილებების გათვალისწინებით.

ექსტრაქტი □ გამონაწური. მაგალითად, სამკურნალო ბალახებიდან მექანიკურ გამონაწურს ექსტრაქტს უწოდებენ.

ექსტრემუმი □ სიდიდის უმაღლეს ან უმცირეს მნიშვნელობას აღნიშნავს, მაქსიმალური ან მინიმალური ცნების გაერთიანებისათვის იხმარება.

ექსცესი □ გადახრას ნიშნავს. ხმარობენ ჩვეულებრივი ნორმებიდან გადახვევის, ზედმეტი, წრეგადასაული ემოციების გამომჟღავნების, თავაშვებულობისას.

ექსცედენტი □ რისკების ჯამი, რომელიც ექვემდებარება გადაზღვევას, გარდა ამ რისკების მიმღები კომპანიის მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ დატოვებული თანხისა. როგორც წესი, იზღუდება გარკვეული ლიმიტით, რომელსაც ეწოდება ექსცედენტი.

ეშელონი □ ხალხით ან საქონლით დატვირთული მატარებლის ვაგონთა შემადგენლობა, ავტოკოლონა ან თვითმფრინავთა ჯგუფი, რომელსაც მიაქვს ტვირთი ან მიჰყავს ხალხი მიზნობრივი მიმართულებით.

З

ვა-ბანკი □ 1. ზოგიერთი ბანქოს თამაში; თანხა, რომელიც მებანკის (ბანქოს დამრიგებლის) განკარგულებაშია; ბანქოს ერთგვარი აზარტული თამაში. მოქმედება, რომელიც დიდ რისკებთანაა დაკავშირებული; სიტყვა-

სიტყვით ეს არის მოქმედება ყველაფრის გარისკვით. 2. ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, უკიდურესი კომერციული რისკის გაწევა.

ვადაგადაცილებული სესხები – ბანკისთვის ვადაში დაუბრუნებელი სესხები.

ვადაში გაუნაღდებელი საგადასახადო საბუთების კარტოთეკა – სახსრების უკმარისობის გამო, განსაკუთრებულ აღრიცხვაზე მყოფი გაუნაღდებელი საგადასახადო საბუთების ერთობლიობა.

ვადიანი ანაბარი – დეპოზიტი, რომელსაც ბანკი, ამ სახსრებით სარგებლობისთვის მკაცრად განსაზღვრულ დროში, გარკვეულ დროში დაბრუნების პირობით გასამსჯელოს (სასესხო პროცენტის) გადახდით იღებს.

ვადიანი გარიგება – ფასიანი ქაღალდების (უპირატესად აქციების) გაყიდვის გარიგება, რომლის დროსაც ფასიანი ქაღალდები მყიდველს გარიგების დადების მომენტში გადაეცემა, ხოლო მათი განაღდება რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩვეულებრივ თვის განმავლობაში ხდება.

ვადიანი დეპოზიტი (ანაბარი) – სადეპოზიტო (საანაბრო ანგარიშზე წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრები, რომელსაც ბანკი ურიცხავს პროცენტს და რომელთა გატანა შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

ვაკანსია – (ლათ. Vakans - სიცარიელე) დაუკავებელი სამუშაო ადგილის, თანამდებობის არსებობა, რომელზედაც ახალი მუშაკის მიღება შეიძლება.

ვაკფი – მუსულმანურ ქვეყნებში უძრავი ქონება, რომელიც არ იბეგრება, მაგრამ გაყიდვას არ ექვემდებარება. მისი გადაცემა ხდება ჩუქებით ან მემკვიდრეობით.

ვალდებული პირი (obligor) □ საგადასახადო კოდექსისათვის პირი, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო, ეკისრება გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების შესრულება (საგადასახადო აგენტი, გარდაცვლილი პირის მეუღლე, ქმედუუნარო პირის მეურვე და სხვა).

ვალვაცია □ (ფინანს.) სხვა სახელმწიფო ფულის ერთეულით უცხოური ვალუტის ღირებულების განსაზღვრა.

ვალი □ ფულადი თანხა, რომელიც სესხის სახით განსაზღვრული ვადითა და გარკვეული პირობებით არის აღებული და რომელიც უკან უნდა დაბრუნდეს. პირს, რომელმაც ვალი აიღო, მოვალეს უწოდებენ.

ვალი გრძელვადიანი □ დავალიანება, რომლის დაფარვაც დროის ხანგრძლივი (ჩვეულებრივ, ერთ წელზე მეტი) მონაკვეთის მანძილზეა გათვალისწინებული, ვალი (კრედიტი), რომელიც ხანგრძლივი დროით გაიცემა.

ვალიდურობა (ფრანგ. valide-კანონური ნამდვილი) □ საწყისი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში; ინფორმაციის საიმედოობა, მასში მონაცემთა შეგროვების მეთოდიკის სიზუსტის გამო, შეცდომები გამორიცხულია.

ვალორიზაცია - სახელმწიფო ღონისძიებათა განხორციელების გზით, საქონელზე ან ფასიან ქაღალდებზე ფასების ხელოვნური აწევა.

ვალუტა (იტალ. Valuta - ღირებულება) □ 1. ამა თუ იმ ქვეყნის ფულის ერთეული (ეროვნული ვალუტა), რომელიც მოცემულ სახელმწიფოში გამოიყენება. 2. უცხო სახელმწიფოს ფული.

ვალუტა ბაზისური □ ვალუტა, რომელიც მოცემულ ქვეყანაში სხვა ვალუტების კოტირებისათვის გამოიყენება.

ვალუტა ეროვნული – ვალუტა, რომელსაც მოცემული ქვეყანა (ქვეყნის ცენტრალური ბანკი) უშვებს და რომელიც, პირველ რიგში, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებს.

ვალუტა კლირინგული – ვალუტა ფუნქციონირებს მხოლოდ უნაღდო სახით, წყაროს კი იმ ქვეყნის მიწოდებათა ურთიერთდაკრედიტება წარმოადგენს, რომელთა შორისაც საგადასახდელო შეთანხმება არსებობს.

ვალუტა კონვერტირებადი – ვალუტა, რომელიც ნებისმიერ სხვა ვალუტაზე იცვლება.

ვალუტა მტკიცე, ძლიერი – მყარი ვალუტა, სტაბილური კურსით.

ვალუტის კვოტირება – უცხოური ვალუტის კურსის დადგენა მოცემული ქვეყნის ვალუტასთან შეფარდებით, მოცემულ ქვეყანაში მოქმედი კანონების, ნორმების, წესების საფუძველზე. ვალუტების კოტირება ტარდება სახელმწიფო (ეროვნული) ან მსხვილი კომერციული ბანკების მიერ.

ვანდალიზმი – მატერიალური და კულტურული ფასეულობების უაზრო, ბოროტი განზრახვით განადგურება.

ვარანტი – სასაქონლო საწყობის მიერ საქონლის მიღების დამადასტურებელი მოწმობა, რომლის მიხედვით შეიძლება საქონლის შენახვა ან გაყიდვა.ასევე ნიშნავს ფასიან ქაღალდებზე გაკეთებულ წარწერას, რომლის მიხედვით შეიძლება მისი ხელიდან ხელში გადაცემა.

ვაუჩერი (ინგლ. Vaucher - ხელწერილი) – საპრივატიზებო ბარათი (ჩეკი, დოკუმენტი), რომელიც მისი საპრივატიზებო საწარმოს აქციებზე გაცვლის საშუალებით პრივატიზებაში მონაწილეობის უფლებას იძლევა; წერილობითი მოწმობა, დავალება, გარანტია.

ვაჭრობა (trade) – სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა/გაყიდვისა და მომხმარებლის მომსახურებასთან.

ველფერი (ინგ. Wellfer) – სოციალური დახმარება ფულადი ფორმით.

ვენჩურული ბიზნესი – ბიზნესის სახეობა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკაში ჯერ კიდევ დაუნერგავი ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების, მეცნიერული მიღწევების შედეგების გამოყენებაზე. ბიზნესის ეს სახე დაკავშირებულია დიდ რისკთან, ამის გამო ვენჩურულ ბიზნესს ხშირად უწოდებენ სარისკოს.

ვენჩურული ოპერაციები – ფულადი და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები, დაკავშირებული ტექნიკური სიახლეების დაკრედიტებასა და დაფინანსებასთან. ასეთი ოპერაციები ხორციელდება ძირითადი საინოვაციო ბანკებისა და ვენჩურული კაპიტალისტების მიერ და დაკავშირებულია დიდ რისკთან.

ვენჩურული საწარმო – მცირე ბიზნესის საწარმოები, რომლებიც ძირითადად მეცნიერულ-ტექნიკურ ან საკონსულტაციო-კვლევითი ხასიათის სამუშაოებს ეწევიან. როგორც წესი, ისინი მსხვილი ფირმების დაკვეთით მოქმედებენ.

ვერდიქტი – სასამართლოში ნაფიცი მსაჯულის მიერ სწორი განაჩენის გამოტანა.

ვერიფიკაცია – დედნის დამადასტურებელი მოწმობა.

ვესტა – ყველაზე კაშკაშა მცირე პლანეტა, რომელიც შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. ძველი რომაული მითოლოგიით, ვესტა ოჯახის კერის მფარველი ქალღმერთია.

ვეტო (ლათ. Veto - აკრძალვა) □ აკრძალვა იმ პირების მიერ, რომელთაც აკრძალვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ.

ვექსილი □ საგანგებოდ შედგენილი სავალო ხელწერილი დათქმულ ვადაში ვალად აღებული, ნასესხები თანხის უთუოდ გადახდის შესახებ. თამასუქი.

ვია □ საქონლის გადაზიდვის დროს მარშრუტის მიმართულება პუნქტების აღნიშვნით, რომლებიც ტვირთმა უნდა გაიაროს.

ვივარიუმი □ ადგილი, სადაც თავმოყრილია სადემონსტრაციო (საგამოფენო) ცხოველები.

ვიზა (ლათ. Visus - დანახული, გასინჯული) □ 1. სახელმწიფოში შესვლის, იქიდან გამგზავრების ან მის ტერიტორიაზე გავლის ნებართვა, რომელსაც იძლევა ამ სახელმწიფოს მთავრობა. 2. თანამდებობის პირის წარწერა რაიმე დოკუმენტზე, რაც ნიშნავს, რომ ეს პირი იცნობს დოკუმენტის შინაარსს და ეთანხმება მას.

ვიზიტი □ ჩვეულებრივ სტუმრობას ნიშნავს. საერთოდ მიღებულია უცხო ქვეყნის ხელმძღვანელის, ოფიციალური დელეგაციის ან დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ რომელიმე ქვეყანაში მეგობრული ან საქმიანი მისიით სტუმრობის აღსანიშნავად.

ვილა □ ქალაქგარეთ მდებარე მდიდრული სახლი ან მდიდრული აგარაკი.

ვიმპელი □ სამკუთხა ფორმის სპეციალური ალამი, რომელიც სავაჭრო ფლოტის ყოველ გემს ეძლეოდა.

ვინდიკაცია □ მოსარჩლის მიერ, სასამართლოს წესით, ისეთი საკუთრების უფლების მოთხოვნა, რომელსაც უკანონოდ ფლობს მესამე პირი.

ვირემენტი – საბანკო ოპერაცია: ერთი პირის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადატანა მეორე პირის პირად ანგარიშზე.

ვიტრაჟი – გამჭვირვალე, შუქგამტარი მასალით (მინა ან სხვ.) შესრულებული დეკორაციული ან სიუჟეტიანი კომპოზიცია (სარკმელში, კარებში ან დამოუკიდებელი პანო და სხვ.).

ვიტრინა – შემინული მაღაზიის დიდი ფანჯარა, რომელიც სხვადასხვა გასაყიდი ნიმუშების გამოსაფენად გამოიყენება.

ვიცე-ბროკერი – ბირჟაზე ბროკერის თანაშემწე.

ვიცე-პრეზიდენტი – ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი ფირმაში, კორპორაციაში, რომელიც პრეზიდენტს ცვლის; ხელმძღვანელობს კომპანიის, კორპორაციის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

ვიქსელის კრიტერიუმები – სახელმწიფოს მიერ გამოყენებული საშემოსავლო დაბეგვრის ისეთი სისტემა, რომელიც თანაბარ ზიანს აყენებს ყველა მოქალაქის მატერიალურ კეთილდღეობას; მსოფლიო პრაქტიკაში კარგად ცნობილი „საგადასახადო ტვირთის განაწილების კრიტერიუმი“, რომელიც შვედი ეკონომისტის კ. ვიქსელის სახელს ატარებს.

ვოიაჟორი – მოგზაური. იგივე იხმარება კომივოიაჟორის მნიშვნელობით, მაგრამ კომერციული ფუნქციების შესასრულებლად.

ვოლუნტარიზმი – ეკონომიკური მოვლენების სუბიექტური გაგება. მეურნეობის გაძღოლის პროცესში ობიექტური კანონზომიერების შეცნობისა და გამოყენების ნაცვლად ეყრდნობა სუბიექტურ მოსაზრებებს.

ვონა – ჩრდილოეთ კორეის ფულის ერთეული.

ვუტუმი – ნდობის ან უნდობლობის გამოხატვის სურვილი, რომელიც კენჭისყრით წყდება.

ზ

ზამინდარი – მიწათმფლობელი, მემამულე პაკისტანსა და ინდოეთში.

ზარალი – სამეურნეო საქმიანობის დანაკარგები, გამოსახული ფულად ფორმაში; საწარმოს, მეწარმის ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე, რაც მატერიალური და ფულადი რესურსების შემცირებას იწვევს.

ზარალი ნომინალური – ზარალი, რომელიც დაზარალებულმა მხარემ ისეთ პირობებში უნდა აღადგინოს, როდესაც მას კონტრაგენტის მიერ კონტრაქტის პირობების დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალის სიდიდის ზუსტად შეფასების შესაძლებლობა არა აქვს.

ზარალი პირდაპირი – ზარალი, დანაკარგი, რომელიც კონტრაქ-ტის დარღვევის მიზეზით წარმოიშობა; იგი კონტრაქ-ტის დამრღვევმა დაზარალებულ მხარეს უნდა აუნაზღაუროს.

ზარაფხანა – მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვ. გამომშვები საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს მოოქროების, მოვერცხვლისა და საიუველირო მინან-ქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს. ზარაფხანა შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოს წარმოშო-ბასთან ერთად, როცა მონეტების მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა.

ზედნადები – საქონლის დოკუმენტი, რომლის შესაბამისად საქონელი, მატერიალური ფასეულობა ერთი პირიდან მეორეს გადაეცემა, ზედნადებში მითითებული

საქონლის სახეობა, მისი რაოდენობა, ფასი, საერთო ღირებულება. იგი დამოწმებულია გაცემისა და მიმღების ხელმოწერებით.

ზენიტი – პირდაპირი გაგებით, დამკვირვებლის თავზე დაშვებული შვეული ხაზის უმაღლესი წერტილი, სადაც ეს ხაზი ცის სფეროს კვეთს. რისამე განვითარების მწვერვალი, უმაღლესი წერტილი.

ზეროუ-კოსტ-ოფციონი – გარკვეული სისტემა, რომელსაც იყენებენ ოფციონების ყიდვა-გაყიდვის პროცესში, როდესაც ბანკის კლიენტი რისკის შემცირების მიზნით, თვითონ განსაზღვრავს საანგარიშსწორებო კურსს.

ზლოტი – ფულის ერთეული პოლონეთში.

ზომბიეკონომიკა – ეკონომიკის ის სფერო, რომელსაც ქმნიან გადახდისუუნარო, ფაქტობრივად გაკოტრებული ფირმები, თუმცა, იმავდროულად, განაგრძობენ ფუნქციონირებას. მათი ფუნქციონირების ძირითადი წყაროა დაკრედიტების სისტემა.

ზონა – სარტყელი. იხმარება სხვადასხვა გაგებით. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებში გამოიყენება დედამიწის იმ ზოლის ან სივრცის აღსანიშნავად, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ან განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება.

ზონდაჟი – (ზონდირება) ეკონომიკაში იხმარება წინასწარი მოკვლევის, დაზვერვის ან კიდევ საცდელი მოსინჯვის აღსანიშნავად.

ზრდის ინდექსი – მთელ ეკონომიკაში საქმიანობის სახეების მიხედვით გაანგარიშებული წინა წლის წონით შეწონილი ინდექსი.

ზრდის ტემპი – ეკონომიკურ ანალიზში ფართოდ გამოყენებული მაჩვენებელი. გამოხატავს დროის

გარკვეულ პერიოდში მოცემული სიდიდის რაოდენობრივი პარამეტრების ცვლილებას პროცენტებით, გვიჩვენებს რამდენი იყო და რამდენი გახდა.

ზუმერი – ელექტრომაგნიტური გამთიშველი, რომელიც მუდმივი დენის ქსელში ჩართვისას ავტომატურად რთავს ან თიშავს დენს, იყენებენ რადიოტექნიკასა და ელექტროტექნიკაში, მუშაობის პროცესში თავისებურად ზუზუნებს.

ზღვრული დანახარჯი (marginal cost) – ჯამური დანახარჯის ზრდა, რომელიც გამოწვეულია წარმოების მოცულობის მცირე ზრდით.

ზღვრული პროდუქტი – დამატებითი პროდუქტი, რომელიც იწარმოება რესურსების დამატებითი ერთეულის გამოყენებით.

ზღვრული სადაზღვევო თანხები – შესაძლო უზრუნველყოფის მაქსიმალური ოდენობა რომელიმე ქონების ნებაყოფ-ლობითი დაზღვევისათვის.

ზღვრული სარგებლიანობა – სარგებლიანობის ნამატი, დამა-ტებითი სარგებლიანობა, რომელსაც ღებულობს სიკეთის მომხმარებელი სიკეთის რაოდენობის გაზრდისას ერთ ერთეულზე (ვარაუდით, რომ მოხმარების ყველა დანარჩენი პირობა, სხვა სიკეთის მოხმარება, უცვლელი რჩება).

ზღვრული სიდიდე – ეკონომიკური მაჩვენებლის ზღვრული მნიშვნელობა – ეკონომიკური მაჩვენებლის სიდიდის ნამატი, რომელიც განპირობებულია იმ ფაქტორის ერთეულის გადიდებით, რომელზედაც დამოკიდე-ბულია სიდიდე, მაჩვენებელი.

ზღვრული ფასი (ინგ. Marginal price) □ ბაზარზე სავაჭრო ციკლის, სეზონის განმავლობაში მაქსიმალურად დასაშვები ფასების მომატება ან დაკლება.

ზღვრული შემოსავალი □ შემოსავლის ნამატი საქონლის ერთ ერთეულზე, გაყიდვის გადიდების შედეგად.

თ

თავდებობა □ წერილობითი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თავდები სხვა პირის □ კრედიტორის წინაშე კისრულობს სრულ ან ნაწილობრივ პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულებისათვის. თავდებობა ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა.

თალისმანი □ საგანი, რომელსაც ცრუმორწმუნეთა წარმოდგენით ბედნიერება და წარმატება მოაქვს.

თამასუქი □ ფასიანი ქაღალდი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს ვალდებულებას, გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა, პირადად ან სხვა პირის მეშვეობით.

თამასუქი გარანტირებული □ თამასუქი, რომელიც გაცემულია სამეურნეო გარიგების უზრუნველსაყოფად.

თამასუქი ვადიანი □ თამასუქი, რომელზედაც წინასწარ ფიქსირებულია მისი განაღდების ვადა.

თამასუქი თარიღით □ თამასუქი, რომლის განაღდების ვადა კონკრეტულად მისი გაცემის დღიდან მითითებული დროის შუალედში დგინდება.

თანადაზღვევა □ მზღვეველებს შორის მსხვილი რისკების გათანაბრებისა და განაწილების მეთოდი, რომლის დროსაც თითოეული მათგანი დამზღვევთან ცალ-ცალკე დებს ხელშეკრულებას.

თეზისი □ დებულება ან მტკიცება, რომელსაც იცავს ავტორი ან ორატორი. ხშირად თეზისების სახით ნაშრომებიდან მოკლედ ამოღებულია ძირითადი დებულებანი, რომლებიც ავტორის უმთავრეს პოზიციას ასახავს.

თეთრსაყელოიანები □ არაფიზიკური შრომით დასაქმებული მუშაკები, რომელთა ნახევარზე მეტი ჩაბმულია ინფორმაციულ მომსახურებაში. მათ მიაკუთვნებენ ძირითადად გონებრივი შრომით დაკავებულ მუშა-კებს.

თემიდა □ ძველი ბერძნული მითოლოგიით: მართლმსაჯულების ქალღმერთი, რომელიც გამოხატულია თვალახვეული (მიუკერძოების ნიშნად), ცალ ხელში უჭირავს სას-წორი, მეორეში □ მახვილი. საერთოდ კი მართლმსაჯუ-ლებას ნიშნავს.

თეორემა □ ბერძნულია და პირდაპირი გაგებით განხილვას, მოფიქრებას ნიშნავს. ჩვეულებრივ კი იგულისხმება ისეთი მტკიცება, რომელიც ეყრდნობა თავისთავად ცხად ჭეშმარიტებას ან უკვე ცნობილ დებულებებიდან გამომდინარე ლოგიკას.

თეორია □ ცდების ან საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე გაკეთებული ლოგიკური დასკვნა, რომელიც ცოდნის ამა თუ იმ სფეროში ჩამოყალიბებულია სახელმ-ძღვანელო იდეათა სისტემის სახით. უფრო კონკრე-ტულად კი ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა შემეცნებას ნიშნავს.

თერმოსი □ სპეციალურად მოწყობილი ჭურჭელი, რომელიც იცავს მასში მოთავსებულ პროდუქტს გაცივების ან გათბობისაგან.

თვითანაზღაურება – მეურნეობის გაძღოლის პრინციპი, საწარმოს ფინანსების მდგომარეობა, რომლის დროსაც მისი დანახარჯები მთლიანად საკუთარი შემოსავლებით იფარება.

თვითდაფინანსება – საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის განხორციელება, რომლის დროსაც არა მარტო მიმდინარე პერიოდის დანახარჯები, არამედ კაპიტალური დაბანდებაც საკუთარი წყაროებიდან არის უზრუნველყოფილი.

თვითღირებულება საწარმოო (manufacturing /operational/ production costs) – საქონლის დამზადებაზე, საწარმოს მართვასა და მომსახურებაზე, აგრეთვე მზა პროდუქციის საწყობში გადატანაზე გაწეული ყველა ხარჯის ჯამი წარმოადგენს საწარმოო თვითღირებულებას.

თვითღირებულება სრული (full cost) – საწარმოო თვითღირებულებას დამატებული პროდუქციის რეალიზაციაზე გაწეული ხარჯები.

ი

იარლიყი – გამოშვებული საქონლის ერთეულზე მიკრული ნიშანი, რომელზედაც მითითებულია საქონლის შესახებ მონაცემები (წონა, რაოდენობა, ფასი, დამამზადებელი, დამზადების თარიღი და სხვა). ეტიკეტი.

იდენტიფიკაცია (identification) – ა) ფიზიკური პირის შესაბამისობის დადგენა სასამართლო მტკიცებულებების მიღების მიზნით; ბ) ობიექტის შედარება რაიმე ეტალონთან; გ) პიროვნების ამოცნობა ხელწერის ან სხვა ნიშნებისა და ატრიბუტების მიხედვით.

იდენტური საქონელი (identical product) □ სხვადასხვა საქონელი, რომელსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები, კერძოდ: ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი.

იდეოლოგია □ გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის და მისთ. იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რაც ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში □ ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში და სხვ.

იენა □ იაპონიის ეროვნული ფულის ერთეული.

იერარქია □ მართვის სისტემაში საფეხურებს ნიშნავს. სხვანაირად მას „სამსახურეობრივ კიბეს“ უწოდებენ. მართვის სისტემის იერარქიული წყობა □ დაბალი საფეხურიდან უმაღლესისკენ.

იეროგლიფი □ ბეძნულად: წმინდა ნიშნები, ქვაზე ამოკვეთილი. ფიგურული ნიშნები, რომლებიც ბევრ ქვეყანაში დამწერლობისათვის გამოიყენება.

იზოლაცია □ განცალკევება, გამოყოფა. ხშირად თავისუფლების აღკვეთას ნიშნავს. ტექნიკაში სხვადასხვა გაგებით იხმარება, ხშირად თბოიზოლაციის, ელექტროიზოლაციის, ელექტროიზოლატორის გაგებით და სხვ.

იმატრიკულაცია □ სიაში, ჩამონათვალში შეტანა.

იმიგრაცია □ რომელიმე ქვეყანაში უცხოელთა მუდმივ საცხოვრებლად გადასახლება. პიროვნება იმიგრანტად ითვლება იმ ქვეყნისათვის, სადაც გადასახლდა.

იმიტაცია □ მიბაძვა, მიმსგავსება. საქონლის წარმოების დროს ნატურალური ან ტრადიციული ნედლეულის ნაცვლად (ხშირად ხელოვნური) შემცვლელის გამოყენებით დამზადებული პროდუქციის დასახასიათებლად იყენებენ.

იმიჯი (ინგ. Image) – საქმიანი კაცის სახე, მასზე წარმოდგენა, რომელიც ყალიბდება გარშემომყოფებში რეპუტაცია; ფირმის საქონლის, მომსახურების სახე, რომელიც ბაზარზე ფირმის მდგომარეობას, საფირმო მარკისადმი მყიდველის ერთგულებას განაპირობებს.

იმპერატივი (ლათ. imperativus-მბრძანებლური) – დაჟინებული, კატეგორიული მოთხოვნა; ბრძანება. კანტის მიხედვით, „მოიქეცი ისე, რომ შენი მოქმედება საყოველთაო კანონმდებლობის საფუძველი იყოს“.

იმპერია – მონარქიული სახელმწიფო, რომელსაც სათავეში იმპერატორი უდგას. ეკონომიკაში მონოპოლიური იმპერიები გარკვეული მასშტაბით უმაღლესი იმპერიული ეკონომიკური უფლებამოსილებით სარგებლობენ.

იმპიჩმენტი – ინგლისურად: გაკიცხვა, დადანაშაულება რიგ განვითარებულ ქვეყნებში შემოღებულია უმაღლესი თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის საქმის სასამართლო პასუხისგებაში გადაცემის აღსანიშნავად. იმპიჩმენტის პირობებში დამნაშავე პირის პასუხისგებაში მიცემის საკითხს წყვეტს პარლამენტის ქვედა პალატა, ხოლო განაჩენს გამოიტანს ზედა პალატა.

იმპორტი (ინგლ., import, ლათ. inportare-შემოტანა) – უცხოეთიდან ქვეყანაში უცხოური წარმოების საქონლის შემოტანა. ამიტომ უცხოურ, შემოტანილ საქონელს იმპორტულს უწოდებენ.

იმპორტის ბაჟი – იმპორტის გადასახადი განაკვეთებია 5%, 12% ან ფიქსირებული საქონლის სახეობების მიხედვით.

იმპორტული ინკასო (import encashment) – ინკასო საერთაშორისო ანგარიშსწორებებში ბანკის მიერ ფიზიკური და/ან იურიდიული პირისაგან ფულის მიღება, სხვადასხვა სასაქონლო დოკუმენტით.

იმპორტული ლიზინგი – სავაჭრო ოპერაცია, რომლის დროსაც ლიზინგური კომპანია უცხოური ფირმისაგან შეისყიდის მოწყობილობას და წარუდგენს მას სამამულო მოიჯარეებს.

იმპრესარიო – კერძო მეწარმე, რომელიც სანახაობათა ღონისძიებების ორგანიზაციას ეწევა, ან რომელიმე მსახიობის, არტისტის აგენტი, რომელიც მის მაგივრად საკონცერტო საქმიანობის ორგანიზაციას ახორციელებს.

იმუნიტეტი (ლათ. Imminitas-რაღაცისაგან გათავისუფლება) – ცალკეული პიროვნების ხელშეუხებლობა, მასზე ზოგიერთი კანონის გაუვრცელებლობა. მაგ., დეპუტატის იმუნიტეტი (რაც მდგომარეობს იმაში, რომ არ შეიძლება მისი დაპატიმრება ან პასუხისგებაში მიცემა საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე).

ინდემნიტენტი – ზარალის ანაზღაურება საერთაშორისო სამართალში.

ინდენტი – სავაჭრო ხელშეკრულების სახეობა, რომლის მიხედვით კომისიონერს ევალება გარკვეული საქონლის შესყიდვა და დანიშნულების ადგილზე გადაგზავნა.

ინდექსაცია – ინფლაციის პირობებში, ფულის გაუფასურების გამო, შემოსავლების დონის შენარჩუნების მიზნით განხორციელებული ღონისძიება.

ინდექსი (Index) – რეპრეზენტაციული აქციების, ობლიგაციის, ვალუტების, ყოველდღიური მოხმარების საგნებისა და სხვა ანალოგიური შემადგენლების ჯგუფის შეჯერებული ღირებულების მაჩვენებელი. ინდექსი ჩვეულებრივად საწყისი მნიშვნელობის შესაბამისობაში გამოიხატება, რომელიც საბაზისოდ არის მიღებული.

ინდივიდუალური მეწარმე (individual entrepreneur) – ინდივიდუალური საწარმოს მფლობელი ფიზიკური

პირი, რომლის სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელია სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია, მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე.

ინდივიდუალური საწარმო – ერთი პირის, როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორმა.

ინდივიდუალურ რეჟიმში საგადასახადო დავალების შესრულება – გადამხდელი ბანკის მიერ საგადასახადო დავალების ეროვნული ბანკის დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) სისტემისთვის (უწყვეტ რეჟიმში) დაუყოვნებლივ ინდივიდუალური გადაცემა.

ინდიკატორი – მაორიენტირებელი ეკონომიკური მაჩვენებელი, საზომი, რომელიც, გარკვეული გზით, გასაგებს ხდის რა მიმართულებითაა მოსალოდნელი ეკონომიკური პროცესების განვითარება.

ინდიკატორული დაგეგმვა – ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის ერთ-ერთი სახე, რომელიც გამოიყენება საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. ინდიკატორული დაგეგმვა თვისებრივად განსხვავდება დირექტიული დაგეგმვისაგან, რადგან არ გულისხმობს ეკონომიკურ სტრუქტურებზე სახელმწიფოს მბრძანებლურ ზემოქმედებას.

ინდოსამენტი – ფასიანი ქაღალდი, მეორე გვერდზე წარწერით, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის თანხმობას ამ დოკუმენტის სხვის საკუთრებაში გადასვლის შესახებ. ინდოსამენტი შეიძლება იყოს სახელობითი ან ანონიმური.

ინდუსტრია (ლათ. industria საქმიანობა) – სამანქანო ტექნიკით აღჭურვილი საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა. პირ-

დაპირი გაგებით მოქმედებას, საქმიანობას ნიშნავს. თანამედროვე გაგებით კი იხმარება იმ დარგების აღსანიშნავად, რომლებიც მეურნეობის ინდუსტრიულ დარგებში მაღალი ტექნიკური შეიარაღების დარგები იგულისხმება.

ინდუსტრიული საზოგადოება – სოციოლოგიური და პოლიტ-ეკონომიური კონცეფცია, რომელიც მეოცე საუკუნის 50-იან წლებში აღმოცენდა. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წარმოშობის მარქსისტული შეხედულების საწინააღმდეგო თეორიაა, რომელიც ამტკიცებს, რომ საზოგადოების ტიპი უშუალოდ განისაზღვრება მისი ტექნიკური, ინდუსტრიული განვითარებით და არა კლასობრივი სტრუქტურებით.

ინვესტიცია – საკუთარ ქვეყანაში ან საზღვარგარეთ სხვადასხვა დარგის საწარმოებში, სამეწარმეო პროექტებში, სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში, საინოვაციო პროექტებში კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება, რომელიც დაბანდებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ იძლევა ეფექტს.

ინვესტიციების დაცვა – იურიდიული და ეკონომიკური ნორმები, ღონისძიებანი, რომელთა დანიშნულებაა ინვესტორების, კაპიტალის მეანაბრეების ინტერესების დაცვა.

ინვესტორი (ინგლ. Investor-მეანაბრე) – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას, აბანდებს საკუთარ ნასესხებ ან სხვა მიზიდულ სახსრებს ინვესტიციურ პროექტებში.

ინიექცია – გაძლიერების მიზნით გარედან დახმარება. ეკონომიკაში მიღებულია ფინანსური დაძაბულობის პირობებში დაკრედიტების აღსანიშნავად.

ინიციალი □ სახელის, მამის სახელისა და გვარის პირველი ასოები.

ინიციატივა თაოსნობა, წამოწყება. რომელიმე ახალ საქმეში პირველი თაოსნობის გამოჩენა. დამოუკიდებელი აქტიური მოქმედება.

ინკასო (collection) □ საბანკო ოპერაცია, რომლის დროსაც ბანკი კლიენტის დავალებით და მის მიერ წარმოდგენილი ფულად-სასაქონლო ან საანგარიშო დოკუმენტების საფუძველზე იღებს ამ უკანასკნელის კუთვნილ ფულად სახსრებს.

ინკვიზიტორი □ 1. ინკვიზიციის სასამართლოს წევრი, ინკვიზიციის მსაჯული; 2. ულმობელი, მწამებელი, დაუნდობელი პიროვნება.

ინკოგნიტო □ ფარულად, გაუმჟღავნებლად მოქმედება. პირი, რომელიც ცდილობს ფარულად, სხვისთვის შეუმჩნევლად იმოქმედოს, ამისათვის თავის ვინაობას მალავს და სხვის სახელს ატარებს.

ინკორპორაცია □ რაიმე შემადგენლობაში (კავშირში, საზოგადოებაში) ჩარიცხვა, შემოერთება, კორპორაციის წევრად მიღება.

ინკრუსტაცია □ რაიმე საგნის ზედაპირზე სხვადსხვა მასალისაგან დამზადებული დეტალების ჩაჭედვა (ჩამაგრება).

ინოვაცია □ განახლება სიახლის დანერგვა, შემოტანა. ინოვაცია ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში, როდესაც მიღწევები ინერგება ეკონომიკაში ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ინჟინერინგი □ ინჟინრულ-საკონსულტაციო მომსახურება კვლევითი, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საანგარიშო-ანალიზური ხასიათის სამუშაოები, პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება, წარმოების

ორგანიზაციისა და მართვის სფეროში რეკომენდა-
ციების შემუშავება.

ინსაიდერი (insider) – კომპანიის თანამშრომელი ან ხელმძ-
ღვანელი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელსაც
საზოგადოებისათვის დახურულ კორპორაციულ ინ-
ფორმაციასთან ხელი მიუწვდება.

ინსინუაცია – მონაჭორი, რომელიმე პირის ავტორიტეტის
შელახვის მიზნით ცილისმწამებლური ბრალდების
შეთხზვა, ცილისწამება.

ინსპექტორი – ზედამხედველი, მეთვალყურე. თანამდებობის
პირი, რომელსაც ევალება რომელიმე სფეროში კანონ-
მდებლობის დაცვა ან გარკვეულ პირთა მოვალეობის
შესრულებისადმი კონტროლი, ახსნა-განმარტებისა და
ინსტრუქტაჟის ჩატარება.

ინსტანცია – მართვის იერარქიულ სისტემაში, ყოველი დონის
მიხედვით თანმიმდევრული დაქვემდებარებითი საფე-
ხური, რომლის მიხედვით ქვემდგომი რგოლი
ზემდგომს ემორჩილება.

ინსტინქტი – ორგანიზმის თანდაყოლილი რთული რეაქციების
ერთობლიობა, რომელიც უცვლელად ვლინდება
გარეგანი ან შინაგანი გაღიზიანების საპასუხად.

ინსტიტუტი – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა,
რომელიც აწესრიგებს ერთმანეთთან დაკავშირებულ
საზოგადოებრივ ურთიერთობებს. მაგალითად, ოჯახის,
ქორწინების ინსტიტუტი და სხვ. სპეციალური
უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი
დაწესებულებების სახელწოდება.

ინსტრუმენტი – იარაღი. არსებობს სამუშაო ინსტრუმენტი,
მუსიკალური ინსტრუმენტი. სამედიცინო ინსტრუმენტი
და სხვა. რაიმე სამუშაოს შესასრულებელი დამხმარე
საშუალებები.

ინსტრუქტაჟი – ინსტრუქციების მიცემა.

ინსტრუქტორი – პიროვნება, რომელიც რაიმე საქმის ორგანიზაციის დროს სახელმძღვანელო მითითებებს იძლევა.

ინსტრუქცია – შესასრულებლად აუცილებელი წესების კრებული, სახელმძღვანელო მითითებანი.

ინტეგრაცია – სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის საფუძველზე წარმოშობილი საერთაშორისო სამეურნეო კომპლექსების ურთიერთდაახლოების, შეთანაწყობისა და შეზრდის ობიექტურად განპირობებული, შეგნებულად რეგულირებადი პროცესი.

ინტენსივობა (ფრანგ. Intensif, ლათ. Infencio-დაძაბვა, გაძლიერება) მუშაობის, წარმოების დაძაბულობა, რომელიც თითოეული გამოყენებული ფაქტორის, რესურსის უჯეგების საზომით ხასიათდება.

ინტენსიური – გაძლიერებული, გადიდებული, შედეგიანი (საპირისპირო-ექსტენსიური).

ინტენსიფიკაცია – წარმოების ინტენსივობის ამაღლება რესურსული პოტენციალის თითოეული ერთეულის უფრო სრული გამოყენების გზით; მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, მასალების უკეთესად გამოყენების, ძირითადი ფონდების უკუგების გაზრდის ხარჯზე.

ინტერვალი – ორ სიდიდეს შორის განსხვავება. მაგალითად, მანძილის ერთი წერტილიდან მეორემდე, დროის ერთი მომენტიდან მეორემდე.

ინტერვენცია ერთი სუბიექტის ეკონომიკური ზემოქმედება მეორე სუბიექტის საქმეებსა და მოქმედებებზე, რომელიც ტარდება მოქმედების სფეროში შეღწევით, მასში საკუთარი ფულადი სახსრების დაბანდებითა და განლაგებით.

ინტერვიუ – თანამდებობის პირთან, პოლიტიკურ მოღვაწესთან, გამოჩენილ პიროვნებასთან ჟურნალისტის საუბარი მისი შემდგომი პუბლიკაციის მიზნით.

ინტერიერი – შენობის, სათავსის შიგა გაფორმება, მოწყობა.

ინტერნაციონალი – საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც სხვადასხვა მოტივის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. ინტერნაციონალური საერთაშორისო მნიშვნელობას აღნიშნავს.

ინტერპრეტაცია – ამა თუ იმ ტექსტის, მოსაზრების, დებულების განმარტება, რისამე აზრის ღრმად გაანალიზება და ახსნა.

ინტონაცია – მეტყველების რიტმული მელოდიური წყობა, ლაპარაკის დროს ხმის ამაღლება და დადაბლება.

ინფლაცია (inflation) – 1. ქაღალდის ფულის გაუფასურება (როცა ბრუნვაში უშვებენ იმაზე მეტს, რაც საჭიროა საქონელბრუნვის მოთხოვნილებით. 2. ქაღალდის ფულის მიმოქცევის არხების პირთამდე ავსება და ამის შემდეგ მისი გაუფასურება. ინფლაციას მოსდევს ფასების ზრდა და ცხოვრების დონის დაქვეითება. ინფლაციას განაპირობებს მიზეზთა კომპლექსი, რომელთა შორის მთავარია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დაფარვის მიზნით სახელმწიფო იძულებულია განახორციელოს ემისიით არასაწარმო ხარჯების, განსაკუთრებით სამხედრო ხარჯის ზრდა; სასაქონლო დეფიციტი, რაც იწვევს წარმოებასა და მოთხოვნილებას შორის დისპროპორციას და სხვ.

ინფლაციური კურსი – საკრედიტო რისკი, რომელიც აღმოცენდება ახალ ბაზრებზე გასვლისას, რომელიც გამოწვეულია წარმოების ხარჯების გაუთვალისწინებელ ზრდასთან.

ინფორმაცია – შეტყობინება, ცნობა. 1. ცნობის გადაცემა, 2. რაიმე ცნობის მიღება უფრო ვიწრო გაგებით და სხვ. ცივილიზაციამ შეიმუშავა ინფორმაციის მიღების, შენახვისა და გადაცემის მრავალგვარი საშუალება.

ინფრასტრუქტურა – მეურნეობის დამხმარე და მომსახურე დარგები, რომლებიც ხელს უწყობენ სამრეწველო დარ-გების ნორმალურ ფუნქციონირებას (სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სისტემა, კომუნალური მეურნეობა და სხვ.).

ინფრაქცია – კონტრაქტში, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული პირობების დარღვევა ერთი მხარის მიერ.

ინციდენტი – შემთხვევა, ჩვეულებრივ არასასიამოვნო, არა-ჩვეულებრივი ხასიათის შემთხვევა, გაუგებრობა.

იპოთეკა (hipotheke - დაგირავება, გირაო) – უძრავი ქონების დაგირავება, უმთავრესად მიწისა და ნაგებობებისა, იპოთეკური სესხის მიღების მიზნით.

იპოთეკური კრედიტი – გრძელვადიანი სესხი უძრავი ქონების, მიწის, საწარმოო და საცხოვრებელი შენობების, ნაგებო-ბების დაგირავებით.

იჟი – სასამართლოს ან არბიტრაჟის წესით წაყენებული მოთხოვნა იმ ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც გათვალისწინებულია კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით, ან იურიდიული ძალის მქონე სხვა რაიმე დოკუმენტით.

იჯარა (ლათ. orrendare - გაქირავება) – მეპატრონის მიერ ქონე-ბის (მიწის) გაცემა დროებითი სარგებლობისათვის სხვა პირზე, სახელშეკრულებო პირობებით, ქირის აღებით.

კ

კაბალა □ უუფლებო დამოკიდებულება ვინმეზე.

კაბარე □ პატარა რესტორანი ან კაფე, სადაც ეწყობა სხვადასხვა სახის სანახაობა (სიმღერა, ცეკვა და სხვ.).

კაბოტაჟი (cabotage) □ მგზავრებისა და ტვირთის გადაყვანა/გადატანა ერთი და იგივე ზღვის სანაპირო წყლებში, უპირატესად ერთი სახელმწიფოს პორტებს შორის.

კადასტრი (ფრანგ. Cadastre ფურცელი, რეესტრი) □ მონაცემები ქვეყნის, სახელმწიფოს ეკონომიკური რესურსების შესახებ ოფიციალურად შედგენილი და სისტემატიზებული, პერიოდული ან უწყვეტი დაკვირვების საფუძველზე. კადასტრის მონაცემები გამოიყენება გადასახადების დასაანგარიშებლად და ობიექტის ღირებულების შესაფასებლად.

კადრი □ 1. რაიმე წარმოების, დაწესებულების, პარტიული ან პროფკავშირული ორგანიზაციის ძირითადი შემადგენლობა: ამა თუ იმ დარგის მომზადებული მუშაკები. 2. კინოფირის ნაწილი, რომელიც ცალკეულ სცენას ასახავს.

კაზინო □ აზარტული თამაშების სახლი, სამორინე, სადაც საესტრადო წარმოდგენებიც იმართება.

კაზუსი □ შემთხვევა, ცალკეული ფაქტი, რომელსაც გარეგნულად დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები აქვს, მაგრამ სინამდვილეში აკლია დანაშაულის ელემენტები და ამიტომ არადასჯადია.

კაიუტ კომპანია □ გემზე საერთო სადგომი, სადაც ეკიპაჟის წევრები სადილობენ, ისვენებენ და ა.შ.

კალენდარი □ საცნობარო ტაბულა ან წიგნაკი, რომელშიც თანმიმდევრობით ჩამოთვლილია წელიწადის ყველა დღე, აღნიშნულია დასვენების დღეები, დღესასწაულები, მნიშვნელოვანი თარიღები და სხვ.

კალენდარული სპრედი (Calendar spread) – ოფციონების შეძენისა და გაყიდვის საინვესტიციო სტრატეგია ერთი და იგივე საბაზრო ფასიან ქაღალდზე, როდესაც აღნიშნულ ოფციონებს გამოყენების ერთნაირი ფასი, მაგრამ დაფარვის სხვადასხვა ვადები გააჩნია.

კალენდარული წელი (civil year) – კალენდრის მიხედვით მკაცრად გამოთვლილი წელი, აგრეთვე მისი თანხვდომი სააღრიცხვო და საანგარიშო პერიოდი. სამეურნეო და ფინანსური წელი კალენდრულ წელს შესაძლებელია არ დაემთხვეს.

კალკულაცია (ლათ. Calculation - ანგარიში, გამოთვლა) – ცხრილის ფორმით წარმოდგენილი დანახარჯების საბუღალტრო გაანგარიშება ერთეული ნაკეთობის ან ნაკეთობათა პარტიის წარმოებასა და გასაღებაზე, აგრეთვე სამუშაოებისა და მომსახურების განხორციელებაზე. კალკულაციის წარმოების საშუალება დანახარჯების განსაზღვრისა და პროდუქციის თვითღირებულების დადგენის საფუძველზე.

კამბისტი – ვალუტის გადამცვლელი დილერი, კამბისტი; უცხოური ვალუტის, წონისა და ზომების საინფორმაციო წიგნაკი, სია.

კამპანია – მუშაობა, რომელიც ტარდება გარკვეულ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან სამეურნეო ამოცანის შესასრულებლად.

კამუფლაჟი – შენიღბვა. მაგალითად, სამხედრო ტექნიკის შეღებვა გარემო პირობების მიხედვით, რათა მოწინააღმდეგემ ვერ შეამჩნიოს იგი. საქონლის შეღებვა სხვადსხვა მიზნით.

კანბანი – საკარტოთეკო სისტემა, რომელიც იაპონიაში წარმოების ოპერატიული დაგეგმვის სისტემაში გამოიყენება.

კანონი □ 1. სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული აქტი, რომელიც არეგულირებს უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. 2. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა, რომელიც ეხება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. 3. უნდა განვასხვავოთ ქვეყნის იურიდიული კანონები ეკონომიკური კანონებისაგან, რომელთაც ობიექტური, საყოველთაო ხასიათი აქვთ, და მოქმედებენ ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად (მოთხოვნის, მიწოდების, ფულის მიმოქცევის, კლებადი ზღვრული სარგებლიანობის და სხვა კანონები). აგრეთვე იმ პრინციპებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ეკონომიკური სისტემის მთავარ თვისებებს ახასიათებენ (მაგალითად, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები).

კანცელინგი □ მეფრახტეს და მოფრახტეს შორის შეთანხმებით დადგენილი საბოლოო ვადა, რომლისათვისაც გემი მზად უნდა იყოს დასატვირთად. თუ ის დანიშნულ ვადაში არ მივა დატვირთვის პორტში, მოფრახტეს საფრახტო ხელშეკრულების გაუქმების (ჩარტერის კანცელინგის) უფლება აქვს.

კაპიტალდაბანდება (investment/kapital investment) □ ძირითადი საშუალებების კვლავწარმოებისკენ მიმართული ეკონომიკური რესურსების ერთობლიობა.

კაპიტალი (ფრანგ., ინგ. Capital, ლათ. Capitalis - მთავარი) □ ზოგადად სიმდიდრის/მოგების მიღების მიზნით საქონლის, ქონების აქტივების აკუმულირება ეკონომიკაში: ყველაფერი რასაც შემოსავლის მოტანა შეუძლია ან ხალხის მიერ საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის შექმნილი რესურსები.

კაპიტალი ავანსებული – ფულადი კაპიტალი, რომელიც გამოყოფილია, გათვალისწინებულია წარმოების საშუალებების შეძენის, საქმის ორგანიზების, ბიზნესპროექტების განხორციელებისათვის რაც მომავალში მოგების მოტანის იმედს იძლევა.

კაპიტალი აქციონერული (stok capital/equity capital) – სააქციო საზოგადოების კაპიტალი, რომელიც მიიღება აქციებისა და ობლიგაციების ემისიითა და რეალიზაციით.

კაპიტალიზაცია (capitalization) – არის ბიზნესში ინვესტირებული მთელი ფული, მათ შორის სააქციო კაპიტალი (ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი აქციები), გრძელვადიანი სავალო ვალდებულებები (ობლიგაციები), გაუნაწილებელი მოგება და სხვა სარეზერვო ფონდები.

კაპიტალი I კლასის – არის ბანკის ძირითადი კაპიტალი, რომელიც შედგება ძირითადი აქციებისაგან, გაუნაწილებელი მოგებისაგან, აგრეთვე, კონსოლიდირებული შვილობილი კომპანიების არასაკონტროლო აქციების პაკეტისაგან.

კაპიტალი II კლასის – არის ბანკის დამატებითი კაპიტალი; იგი მოიცავს სესხებზე დასაშვებ ზარალს, ასევე სუბორდინირებულ სავალო ინსტრუმენტებს, მათ შორის აქციებით უზრუნველყოფასაც.

კაპიტალი კომპანიის (business capital/capital of a company) – საწარმოს საკუთარი კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგების ჯამი.

კაპიტალი ნასესხები – კაპიტალი, წარმოქმნილი კრედიტების მიღების, ობლიგაციების გამოშვებისა და გაყიდვების, სხვადასხვა სახის ფულადი ვალდებულებებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე.

კაპიტალი პირადი (private/non-state capital) – კაპიტალი, რომელსაც ფლობს ფიზიკური და/ან იურიდიული პირი

და/ან მათი ჯგუფი. ყოველ მათგანს სრული უფლება აქვს განკარგოს ეს სახსრები და/ან ქონებაზე თავისი შეხედულებების მიხედვით და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კაპიტალი საამორტიზაციო – კაპიტალი, რომლის დანიშნულებაა საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზე ძირითადი საშუალებების კვლავწარმოება.

კაპიტალის დაგროვება – დამატებითი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად. კაპიტალის დაგროვება განისაზღვრება მუშების გაძლიერებული ექსპლუატაციით, დამატებითი ღირებულების წილის გაზრდით, რომელიც მიმართულია ღირებულების დაგროვებისათვის, ფუნქცია ფუნქციონირებული კაპიტალის მასშტაბების ზრდისათვის.

კაპიტალი საკუთარი (equityi ownership capital, net worth) – ფირმის მფლობელთა მიერ საწესდებო ფონდში შეტანილი კაპიტალი (სააქციო კაპიტალი), იანგარიშება როგორც სხვაობა საწარმოს აქტივების ჯამსა და მის ვალდებულებებს შორის.

კაპიტალი საფინანსო (sinanciel capital) – კაპიტალი ფასიან ქაღალდებში, რომლის სიდიდე აღემატება ფაქტობრივ კაპიტალს.

კაპიტალის საკმარისობა – არის კაპიტალის ის რაოდენობა, რომელიც ბანკის ზარალის გადასაფარავად იქნება საკმარისი და იგი ბანკის უწყვეტ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკისა და ეროვნული ბანკის მოთხოვნათა შესაბამისად, მისი განსაზღვრა ნორმატივების მეშვეობით ხორციელდება.

კაპიტალი ფულადი (money capital) – სამრეწველო კაპიტალი მისი წრებრუნვის საწყის და დასკვნით ფაზებზე.

კაპიტალი ძირითადი (fixed capital/basic stock) □ ხანგრძლივად ფუნქციონირებადი მატერიალური ფასეულობები: მიწა, ნაგებობები, მანქნები, დანადგარები.

კაპიტოლიუმი □ 1. რომში: ერთ-ერთი გორაკი, რომელზედაც აშენებულია სასახლეები, მუზეუმები და სხვ.; ძველად ამ გორაკზე მოთავსებული იყო იუპიტერის, მინევრასა და იუნონას ტაძარი (შემდეგში თვით ამ ტაძარს ეწოდება კაპიტალიუმი). 2. შენობა ვაშინგტონში, რომელშიც სხდომებს მართავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი.

კაპიტულაცია □ 1. საომარი მოქმედების შეწყვეტა და თავის აღიარება დამარცხებულად. 2. გადატ. უკან დახევა სიძნელეთა წინაშე, საკუთარი პოზიციების დათმობა.

კარანტინი □ 1. გადამდები სნეულებით დაავადებულთა და მათთან ახლო მყოფ პირთა დროებითი იზოლაცია ეპიდემიური დაავადების გავრცელების თავიდან ასაცილებლად. 2. სანიტარული პუნქტი, სადაც სინჯავენ ეპიდემიით მოცული ადგილიდან ჩამოსულ პირებს, გემებს, საქონელს.

კარატი □ ძვ. ბერძნული წონის ერთეული; შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. კარატი არის ასევე ძვირფასი ქვების მასის საზომი. 1907 წელს პარიზის საერთაშორისო კონვენციის განსაზღვრით კარატი უდრის 200მგ.-ს.

კარბონადო □ ესპანურად ნახშირს, შავ ბრილიანტს ნიშნავს. აქვს წვრილმარცვლოვანი აგებულება, იყენებენ ყველაზე მაგარი ქანების ბურღვის ან თვით ძვირფასი ქვების დამუშავების დროს.

კარგო □ ესპანურად ტვირთი. ჩვეუებრივი სანაოსნო (ხომალდის) ტვირთი. ხმარობენ აგრეთვე სატრანსპორტო ტვირთის დაზღვევისას.

კარიერა □ დაწინაურება, სამსახურებრივ ან თანამდებობრივ საფეხურებზე სწრაფი აღმასვლა, საზოგადოებრივ ან პოლიტიკურ მოღვაწეობაში წარმატებებისა და მიღწევების მოპოვება.

კარიერი □ სამთო საწარმო, სადაც დადგმულია მოწყობილობა სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად. არის ქვის, ღორღის, მადნის და სხვ. მომპოვებელი კარიერები.

კარკასი □ ჩონჩხი. რაიმე ნაკეთობის - ხის, ლითონის ან სხვა სახის საშენი მასალისაგან დამზადებული (აშენებული) ჩონჩხი (საყრდენი), რომელიც მთელი კონსტრუქციის ფუძეს წარმოადგენს (სახლის ჩონჩხი, დაზგის საბაზისო საყრდენი კვანძი და სხვ.).

კარმაზინი □ მკვეთრი წითელი ფერის წმინდა მაუდის ქსოვილი.

კარნეოდი □ წითელი ან რუხი ფერის ნახევრად ძვირფასი ქვა.

კარტ-ბლანში □ 1. ხელმოწერილი ქაღალდი, სუფთა ბლანკი, რომლის ტექსტის შევსებას ერთი პირი ანდობს სხვა პირს. 2. განუსაზღვრელი უფლებამოსილება, მოქმედების თავისუფლება.

კარტელი □ მეწარმეთა გაერთიანების მონოპოლიის ერთ-ერთი მთავარი ფორმა, როდესაც მისი მონაწილე საწარმოები, რომლებსაც შენარჩუნებული აქვთ კომერციული და საწარმოო დამოუკიდებლობა, თანხმდებიან პროდუქციის რეალიზაციის, მისი ფასების, ანგარიშსწორების პირობებზე.

კარტოთეკა □ ყუთი, საცავი, უჯრა. აღრიცხვის ან საცნობარო მასალით შევსებული და გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები, რომლებიც მოთავსებულია სპეციალურ ყუთში.

კასაცია □ გაუქმება. სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილების გასაჩივრება და გადასინჯვა ზემდგომ სასამართლო ორგანოში.

კასკა □ ლითონის ქუდი (ზუჩი, ჩაჩქანი), რომელიც ადამიანის თავს იცავს მექანიკური დარტყმებისა და ზემოქმედებისაგან. იყენებენ მეომრები, მეხანძრეები, სამთო დარგის მომუშავენი, მშენებლები, სპორტსმენები და სხვ.

კასკადი □ რადიოელექტრონიკაში გამაძლიერებელი მოწყობილობა.

კასკო □ სატრანსპორტო საშუალებათა მოწყობილობის დაზღვევა.

კასტა □ გვარი, თაობა. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელსაც საქმიანობის გარკვეული სფერო, თავისი ჩვევები და კანონები აქვს.

კასტოდიანები □ აქციების შემნახველები, ნომინალური მფლობელები.

კატაკლიზმი □ ნგრევა, წარღვნა. აღნიშნავს საზოგადოებაში მკვეთრ კატასტროფულ გადატრიალებას, მოულოდნელ და მკვეთრ ცვლილებებს (ბუნებაში...).

კატალოგი □ სია, საგნების დასახელების სისტემატური ჩამონათვალი, რომელიც, სარგებლობის გაადვილების მიზნით. დალაგებულია გარკვეული პრინციპით.

კატასტროფა □ გადატრიალება. შემთხვევა, უეცარი მოვლენა, რომელსაც თან სდევს მძიმე ტრაგიკული შედეგები, მსხვერპლი.

კატეგორია □ განსჯა, განსაზღვრა. 1. ზოგადი ლოგიკური ცნება, რომელიც ასახავს ყოფიერების ერთ ძირითად ფორმას ან ურთიერთობას: მატერიას, დროს, სივრცეს, მოძრაობას,

ერთიანობას და სხვ. 2. ერთგვარ საგანთა, მოვლენათა, ადამიანთა თანრიგი.

კაფე – მცირე სიდიდის რესტორანი, სადაც უპირატესად ჩაით, ყავით, გამაგრილებელი წყლითა და ცივი საუზმით უმასპინძლდებიან.

კენტავრი – ძველ საბერძნეთში უწოდებდნენ მითიურ არსებას, რომელსაც აქვს ცხენის ტანი და ადამიანის გულმკერდი და თავი.

კერამიკა – მეთუნეობის ხელოვნება. გამომწვარი თიხის ნაკეთობა, კერამიკული ნაწარმი.

კერნერი – საზეინკლო ხელსაწყო, ცილინდრული ფორმის ფოლადის წამახვილებული წვერით, რითაც დეტალებზე ნიშნებს ტვირთავენ.

კვადრილიონი – ტრილიონის მომდევნო კლასის თანრიგია, რომელიც ათას ტრილიონს უდრის. რიცხვი, რომელსაც 15 ნული აქვს.

კვაზი – მოჩვენებითი, არანამდვილი. სხვადასხვა სიტყვის თავსართად ხმარობენ, როდესაც საჭიროა ამ სიტყვის ცრუ შინაარსის დახასიათება.

კვალიფიკაცია – პიროვნების ამა თუ იმ პროფესიით მომზადების (დახელოვნების) დონის აღსანიშნავად იხმარება.

კვარტალი – ქალაქის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც მოქცეულია ურთიერთგადამკვეთ ქუჩებს შორის. წელიწადის მეოთხედსაც კვარტალით (სამი თვე) აღნიშნავენ.

კვორუმი – კანონით (ან სხვა რაიმე წესით) კრებაზე დამსწრეთა დადგენილი რაოდენობა, რომელიც აუცილებელია, რომ კრების დადგენილება კანონიერი იყოს.

კვოტა – წილი, ნორმა, ულუფა. დადგენილი წილი, რომელიც გაყოფის შემდეგ წესდება თითოეულზე, ვინც გარიგებაში მონაწილეობს. საერთაშორისო ურთიერთობაში

იხმარება საქონლის, სპეციალისტების, წარმომადგენლების გაცვლისას.

კომბო დაზღვევა – კასკოსა და კარგოს დაზღვევა კომპლექსში, რომელშიც შეიძლება შეყვანილი იყოს სატრანსპორტო საშუალებების მძღოლი და მგზავრები.

კორპორაციული მიდგომა – პრინციპებისა და წესების ნაკრები, რომლითაც საბანკო თანამშრომლობის ქცევა განისაზღვრება. მაგალითად, დაკრედიტების კულტურის რეალიზება ინიცირებისათვის, ანალიზისათვის, გადაწყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის სტანდარტული ინსტრუქციების გამოყენების გზით ხორციელდება.

კოტირება (ფინანს.) – საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა.

კვლავწარმოება – წარმოების დახარჯული რესურსების (მიწის, სამუშაო ძალის, კაპიტალის,...) აღდგენა შემდეგ პროცესში მათი მონაწილეობის მიზნით; კაპიტალის მუდმივი განახლება. მარტივი კვლავწარმოება ითვალისწინებს უცვლელ მასშტაბებიან აღდგენას, ხოლო გაფართოებული – მზარდი მასშტაბებით წარმოებას.

კიბერნეტიკა – მართვის ხელოვნება. მეცნიერება მართვის ზოგადი კანონების შესახებ.

კილო (ბერძ. chiliol ათასი) – მაგრამ ხმარობენ მეტრული განზომილების რომელიმე ერთეულის ათასჯერ გადიდების მიზნით. მაგალითად, კილომეტრი, კილოგრამი და ა. შ. (სას.) იგივეა რაც კილოგრამი.

კიმონო – იაპონური ეროვნული ტანსაცმელი.

კინესკოპი – (გერმ. kineó ვამოძრავებ და skopeó ვუყურებ) – ელექტრონულ სხივური მილი, რომელიც მაგნიტით იმართება. გამოიყენება ტელევიზორებში გამოსახულების მისაღებად.

კიტელი – სამხედრო ფორმის ქურთუკი. უპირატესად სამხედრო პირთა ზედა ტანსაცმელი.

კლანი – ფართო გაგებით საგვარეულო. ნათესაური პრინციპით შეკრული პირნი, რომლებიც რაიმე მიმართულების საქმიანობას ეწევიან.

კლასი – ლათინურად თანრიგს ნიშნავს. ისეთი საგნების ან მოვლენების ერთობლიობა, რომლებსაც საერთო დამახასიათებელი ნიშნები აქვთ.

კლეიმი (ინგლ. Claim-მოთხოვნა) – მყიდველის პრეტენზია გამყიდველისადმი გაყიდული საქონლის ცუდი ხარისხის გამო; სარჩელი, რეკლამაცია, მოთხოვნა ზარალის ასანაზღაურებლად.

კლეიმსი – საჩივარი, პრეტენზია, მოთხოვნა. სავაჭრო პრაქტიკაში მიღებულია მყიდველის მიერ გამყიდველისადმი წაყენებული პრეტენზიების აღსანიშნავად, როდესაც შეძენილ საქონელს ხარისხობრივი ან სხვა სახის წუნი აქვს.

კლერკი – ლათინურად სასულიერო პირს ნიშნავს, თანამედროვე გაგებით კი უწოდებენ დაწესებულების მუშაკს, რომელიც სავაჭრო-სამრეწველო საწარმოს ადმინისტრაციაში, ნოტარიუსის ან ადვოკატის კანტორაში მუშაობს.

კლიენტი – მუდმივი მომხმარებელი, მყიდველი, შემკვეთი, მომსვლელი. პიროვნება, რომელთანაც საქმიანობა აქვს საკრედიტო სავაჭრო, საწარმოო ან სხვა ორგანიზაციას. კლიენტს უწოდებენ იმ პირსაც, რომელიც თავის საქმეს შესასრულებლად სხვას ანდობს.

კლირინგი – უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობაში, როდესაც ქვეყნებს შორის დავალიანება ურთიერთშემხვედრი საგადასახადო ვალდებულების საშუალებით იფარება.

კლირინგული ბანკი – ბანკი, რომელიც საანგარიშსწორებო პალატის წევრია. მომსახურებას უწევს მასში გახსნილ ანგარიშებს (მატერიალური, ფასეულობის მდგომარეობის უწყისების წარმოება, ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება, ანგარიშსწორებისა და გაცემათა განხორციელება).

კლუბი – საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც გარკვეული წრის ადამიანებს პროფესიული, საქმიანი, პოლიტიკური მიზნებით აერთიანებს.

კოალიცია – გაერთიანება, კავშირი, შეთანხმება, როდესაც რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად ნებაყოფლობით ერთიანდებიან. ხშირად ორი ან რამდენიმე ქვეყნის პოლიტიკური კავშირი, რომლებიც რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ კავშირს კრავენ.

კოდი – სისტემა შემოკლებული პირობითი ნიშნებისა და სიგნალების, რომლებიც რაიმე ინფორმაციის გადასაცემად გამოიყენება. მაგალითად, ტელეგრაფით კომერციული ცნობების გადაცემისათვის და სხვ.

კოდექსი – კანონების სისტემატიზებული კრებული, რომელიც სამართლის რომელიმეს სფეროს ეხება. მაგალითად, შრომის დარგში, სისხლის სამართლის დარგში და სხვ.

კოლეგია – ოფიციალურ გამოყოფილ პირთა ჯგუფი, რომელიც რომელიმე ადმინისტრაციულ, სათათბირო ან განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენს.

კოლერი – რაიმე საღებავის ფერი ან ტონი.

კოლექცია – რაიმე სახის ერთნაირი საგნების კრებული, რომელ-საც შესაძლოა ისტორიული, მხატვრული, ბოტანიკური ან სხვა დანიშნულება ჰქონდეს.

კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და აკადემიური უმაღლესი

განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას.

კოლოკვიუმი □ 1. ერთგვარი გამოცდის სახეობა □ მასწავლებლის გასაუბრება სტუდენტებთან. 2. კრება, სადაც ისმენენ და განიხილავენ სამეცნიერო მოხსენებებს.

კოლონია □ შუა საუკუნეებში ქვეყანა რომელიც დაპყრობილია იმპერიალისტური სახელმწიფოს მიერ. უკანასკნელ დრომდე კოლონიურს ისეთ ქვეყნებს უწოდებდნენ, რომლებიც თავიანთი ჩამორჩენილობით უფრო განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური და ხშირად ადმინისტრაციული გავლენის ქვეშ ექცეოდნენ.

კომბინატი □ რამდენიმე სხვადასხვა დარგის საწარმოთა გაერთიანება, ხშირად ნედლეულის, მასალების, ენერგორესურსების კომპლექსურად გამოყენების მიზნით იქმნება.

კომბინეზონი □ სპეცტანსაცმელი, რომელშიც ერთად შეხამებულია შარვალ-ხალათი, მოხერხებულია შრომის პროცესში.

კომერსანტი □ ვაჭარი, პირი, რომელიც კერძო ვაჭრობას ეწევა.

კომერცია □ ლათინურად ვაჭრობას ნიშნავს.

კომერციალიზაცია □ შუალედური ღონისძიების სახით სულ უფრო ფართო გავრცელებას პოულობს სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიების შექმნა. ამ პროცესს ხშირად უწოდებენ „კომერციალიზაციას“ ან „კორპორატიზაციას“, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების აქციონერულ კომპანიებად გარდაქმნას, რომლის აქციებს ფლობენ სახელმწიფო ჰოლდინგური კომპანიები. ამ უკანასკნელთა შემოსავლები უნდა იყოს გამოყენებული ახალი კაპიტალდაბანდებების დაფინანსებისათვის. ინვესტიციების შემოსავლიანობის განსაზღვრის კრიტერიუმის გამოყენებით. მმართველები პასუხისმგებელნი იქნებიან აქტივების ღირებულების მაქსიმიზაციისა-

თვის გრძელვადიან პერსპექტივაში. ამასთან, სახელმწიფო საწარმოები როგორც კომერციული კომპანიები, რომლებსაც არა აქვთ შეღავათები არასახელმწიფო საწარმოებთან, შედარებით მოქმედებენ რა კონკურენტულ გარემოში. ორიენტირებულნი უნდა იყვნენ ბაზარზე. ისინი თეორიულად თავისუფალი იქნებიან საწარმოო პრობლემების გადაწყვეტასა და რესურსების გამოყენებაში მოქმედებენ ბაზრის სიგნალებზე დაყრდნობით. „კომერციალიზაცია“ „სტრუქტურულ გარდაქმნასთან“ შედარებით უფრო მეტ დროს მოითხოვს. ზოგიერთი პოლიტიკოსი, რომელსაც ეჭვი შეაქვს პრივატიზაციის აუცილებლობაში, კომერციალიზაციას განიხილავს, როგორც პრობლემის გადაწყვეტის გრძელვადიან საშუალებას როგორც ეფექტიან კომპრომისს სახელმწიფო საწარმოებისა და კერძო სექტორის განვითარებას შორის.

კომერციული ანგარიში □ სამეურნეო □ მეურნეობის გაძღოლის მეთოდი სამეურნეო საქმიანობაზე გაწეული ფულადი ფორმით გამოხატული დანახარჯებისა და მისი შედეგების თანაზომადობის საფუძველზე.

კომერციული ბანკი □ ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომერციული ვაჭრობა □ კერძო, არასახელმწიფო ვაჭრობა.

კომერციული კრედიტი - სასაქონლო კრედიტის განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც გამყიდველები, საქონლის განვადების მიყიდვის დროს, გადავადებული გადასახადით (კრედიტით გაყიდვა) აძლევენ მყიდველებს. ამ შემთხვევაში კრედიტი საქონლის ფორმას იღებს,

რომლის გადასახდელიც შემდგომში შეიტანება და კრედიტის დაფარვას ნიშნავს.

კომივიაჟორი – სავაჭრო ფირმის მოძრავი წარმომადგენელი, აგენტი, რომელიც მყიდველს გარკვეული ნიმუშების მიხედვით, საქონელს სთავაზობს, დებს ხელშეკრულებას და სხვ.

კომისიონერი – შუამავალი სავაჭრო გარიგებაში, რისთვისაც გარკვეულ გასამრჯელოს უხდიან.

კომიტენტი – პირი, რომელიც დავალებას აძლევს კომისიონერს, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, დადოს გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კოტენტის ხარჯზე.

კომპანია – 1. სავაჭრო ან სამრეწველო ახანაგობა. 2. ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დროს ერთად ატარებენ.

კომპანიის შეძენა – ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის შეძენა პირდაპირი ყიდვით; ასეთ პროცესს შეიძლება წინ უსწრებდეს შესაძენი კომპანიის აქტივების შეძენა, გამოსყიდვა.

კომპანიონი – კომპანიის წევრი, მისი მონაწილე.

კომპენსაცია (ლათ. Compencatio - გაწონასწორება) – დანაკარგების, ზარალის, დანახარჯების ანაზღაურება, ვალის დაბრუნება, დაჯილდოება.

კომპენსაცია მორალური ზიანის - მორალური ზიანის ფულადი კონპენსაცია იმ პირისათვის, რომელსაც მორალური ზიანი მიაყენეს.

კომპენსაცია ნომინალური – კომპენსაცია, რომელიც დანაკარგების აღდგენას საწყის ნომინალამდე უზრუნველყოფს.

კომპენსაცია საგარეო სავაჭრო – კომპენსაციის სახეობა, რომ ქვეყანამ, რომელიც გარკვეული საქონლის შემოზიდვაზე ბაჟს ზრდის, სხვა საქონლის შემოზიდვისას ექსპორ-

ტიორების ზარალის ანაზღაურებისათვის ბაჟი უნდა შეამციროს.

კომპენტენცია – კომპეტენცია ნიშნავს კონკრეტული ამოცანის შესრულებისათვის საჭირო უნარს. იგი მოიცავს უნარების, ცოდნისა და ქცევის ერთობლიობას.

კომპეტენტური (ლათ. Competens – სათანადო) – 1. რაიმე დარგის, რაიმე საკითხის სათანადოდ მცოდნე. 2. ცოდნაზე დამყარებული; საფუძვლიანი, ავტორიტეტული, მაგ., კომპეტენტური აზრი.

კომპილაცია – (ლათ. comp.Latio ძარცვა) – ნაშრომი, რომელიც აგებულია სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალებით და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და დასკვნებს.

კომპლემენტარი – კომანდიტური საზოგადოების წევრი, რომელიც პასუხს აგებს ამხანაგობის მთელი ქონებისათვის.

კომპლექსი – კავშირი, საგნების ან მოვლენების ერთობლიობა, შეხამება. ხშირად ხმარობენ საერთო დანიშნულების შენობა-ნაგებობათა ერთობლიობის აღსანიშნავად, მაგალითად, სამრეწველო, სასპორტო, სასწავლო კომპლექსების სახით და სხვ.

კომპლექტი – სრული, გარკვეული დანიშნულების ერთ მთლიანობაში მყოფი ისეთი საგნების ერთობლიობა, რომლებიც ურთიერთშემვსები და ურთიერთდამხმარე ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენება.

კომპონენტი – შემადგენელი, რაიმე მთელის შემადგენელი ნაწილი.

კომპოსტერი – ხელსაწყო, რომლის მეშვეობით სხვადასხვა დოკუმენტზე, საბანკო ჩეკებზე, ქვითრებზე გაჩხვლეტით აკეთებენ საკონტროლო ნიშნებს.

კომპრადორი – მყიდველი. პირი, რომელიც ადგილობრივ ბაზარსა და უცხოურ კაპიტალს შორის შუამავლობს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთოდ უცხოელ ვაჭარს უწოდებენ.

კომპრომენტირება – რომელიმე პირის დამცირების ან მისთვის ზიანის მიყენების მიზნით. საზოგადოებაში არასასურველი დახასიათების გავრცელება, სახელისა და რეპუტაციის შელახვა.

კომპრომისი – ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება.

კომუნა – „საერთო“, „საზოგადო“ 1. კოლექტივი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად შრომობენ და ქონებაც საერთო აქვთ. 2. საფრანგეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში: ძირეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

კონგლომერატი – თავმოყრა. შეგროვება. სხვადასხვაგვარი ნაწილების ან საგნების (აგრეთვე მსჯელობის, ცნებების) მექანიკური, შემთხვევითი შეერთება. მონოპოლისტური გაერთიანების ერთ-ერთი ფორმა.

კონგრესი – ფართო შემადგენლობის შეხვედრა, შეკრება. (უფრო ხშირად საერთაშორისო ყრილობა). ზოგიერთ ქვეყანაში კი საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) სახელწოდება.

კონდიცია – ამა თუ იმ საქონელზე დაწესებული ნორმის, სტანდარტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებთან შესაბამისობა.

კონდომინიუმი – საერთაშორისო სამართალში მდგომარეობა, როცა ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად ფლობს ამა თუ იმ ტერიტორიას.

კონდორი – ლითონის მონეტა ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში. ბევრ ქვეყანაში უკვე ამოღებულია ხმარებიდან.

კონვეიერი – უწყვეტად მომქმედი სატრანსპორტო საშუალება. უფრო მეტად გამოიყენება სამუშაო ადგილებს შორის

უწყვეტი სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფისათვის.

კონვენცია – ხელშეკრულება, შეთანხმება სპეციალურ საკითხზე. ასეთი ურთიერთობების დამყარება ხდება საერთაშორისო მასშტაბით სახელმწიფოებს, ქვეყნებს, საწარმოო-კომერციულ სისტემებს შორის და სხვ. კონვენცია შეიძლება შემდგომ გადაიზარდოს გარკვეულ სტრუქტურებში, ტრესტებში, სინდიკატებში და სხვ.

კონვერგენცია – მიახლოება, მიმსგავსება. ეკონომიკაში ეს ტერმინი ბიოლოგიიდან შემოვიდა ე.წ. „კონვერგენციის თეორიის სახით“. რომელიც ეწინააღმდეგება ფორმაციების მონაცვლეობის მარქსისტულ-რევოლუციურ „თეორიას“. კონვერგენციის თეორია ამტკიცებს, რომ კაპიტალიზმის წიაღში შეიძლება განვითარდეს ისეთი ურთიერთობანი, რომლებიც თავიანთი ბუნებით შესაძლოა სოციალისტურში გადაიზარდოს და შეიქმნას შეხამებული, ურთიერთშერწყმული სისტემა ე.წ. „ინდუსტრიული საზოგადოების“ სახით.

კონვერსია – პირდაპირი გაგებით ლათინურად გარდაქმნას, შეცვლას ნიშნავს. რამდენიმე გაგებით იხმარება: 1. მოცემული ქვეყნის ვალუტის უცხო ქვეყნის ვალუტაში გადაყვანა; 2. მრეწველობის ან სხვა დარგების სამოქალაქოდან სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანა; 3. სხვადასხვა მიზნით ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შეცვლა და სხვ. აქედან წარმოიქმნა კონვერტირებადი ვალუტის ცნება.

კონვერტირება – შეცვლა, გარდაქმნა. ვალუტის კონვერტირება – ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის გადაცვლა უცხო ქვეყნის ვალუტაზე.

კონიუნქტურა – 1. შექმნილი მდგომარეობა, ვითარება. 2. ეკონომიკაში იგი ძირითადად საბაზრო მექანიზმს უკავშირ-

დება და აღნიშნავს ძირითადი პროცესების მიხედვით გარკვეულ პერიოდში შექმნილ მდგომარეობას.

კონიუნქტურა ბაზრის – ეკონომიკური სიტუაცია ბაზარზე, რომელიც აქტიური, საკმაოდ მტკიცე მოთხოვნით საბაზრო საქონელსა და მომსახურებაზე, მოთხოვნის გადაჭარბებით მიწოდებაზე, უფრო მიმზიდველ საქონელზე ფასების დინამიკის ამაღლებადი ტენდენციით ხასიათდება.

კონიუნქტურა ეკონომიკური – ეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკური აქტიურობის დონე, რომელიც განაკვეთების ფასების, სავალუტო კურსის, ხელფასის, დივიდენდების მოძრაობით, აგრეთვე წარმოებისა და მომხმარებლის დინამიკით ხასიათდება.

კონიუნქტურა მსოფლიო ბაზრის – მსოფლიო სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური, სამეურნეო სიტუაცია, ვაჭრობის პირობები, რომელიც ობიექტურად არის ჩამოყალიბებული და ხასიათდება მოთხოვნისა და მიწოდების დონით, საბაზრო აქტიურობით, ფასებით, გაყიდვის მოცულობით, მათი ცვლილების ტენდენციებით.

კონიუნქტურა საბაზრო მყარი – სიტუაცია ბაზარზე, რომელიც ყიდვა-გაყიდვის გარიგებით სტაბილური დონით ხასიათდება, რომელიც დადგენილ გაწონასწორებულ ფასებთან ახლოა.

კონკრეტული – ეკონომიკაში რეალურად არსებული, საგნობრივად განსაზღვრული, მაგალითად, კონკრეტული საქონელი.

კონკურენტი – პირი, ადამიანთა ჯგუფი, ფირმა, საწარმო, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან იდენტური მიზნის მიღწევაში.

კონკურენცია – ცალკეულ პირებს, საწარმოებს, ასოციაციურ და მონოპოლიურ გაერთიანებებს შორის შეჯიბრება, მეტოქეობა უფრო მაღალი შემოსავლის, მოგების და სხვა

სიკეთის მიღების მიზნით, საქონლის გასაღების ბაზრის დაპყრობისათვის ბრძოლა. კონკურენცია ხელს უწყობს წარმოების შეწონასწორებას, საქონლის ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებასა და ფასის შემცირებას.

კონკურსი – შეჯიბრება. ეკონომიკაში ვაჭრობის ერთ-ერთი ფორმაა, როდესაც კრედიტორი უიმედო მევალის ქონების მართვის უფლებას სხვას გადასცემს, რათა უკეთესად დაკმაყოფილდეს მის მიმართ არსებული პრეტენზიები. საერთოდ, კონკურსები ეწყობა კადრების, მოსწავლეების, თანამდებობის პირთა შერჩევის დროს, უკეთესი პრეტენდენტის გამოსავლენად.

კონსალტინგი – ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და მისი პირდაპირი თარგმანი შეიძლება როგორც კონსულტაციის გაწევა ან რჩევის გაცემა. განისაზღვრება როგორც სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო ან საკანონმდებლო კონსულტაციების გაწევა საწარმოების, ფირმებისა და ორგანიზაციებისათვის, კონსულტაციებში იგულისხმება ინტელექტუალური მომსახურების ისეთი სახეობა, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა რთული პრობლემის გადაწყვეტასთან, იგი არის მაკონტროლებადი ქმედება.

კონსენსუსი – თანხმობა, ერთიანობა, თანამოაზრება, შეთანხმების მიღწევა სხვადასხვა შეთანხმებისა და ხელშეკრულების გაფორმების დროს.

კონსერვატიზმი – (ფრანგულად შენარჩუნება). წარსულის. ძველის დაცვა, სიახლისა და პროგრესისადმი წინააღმდეგობა.

კონსიგნაცია – ისეთი დოკუმენტი, რომლის მიხედვით კომისიონერი, საქონლის მფლობელის დავალებით, ახდენს ამ საქონლის რეალიზაციას. ძირითადად გავრცელებულია საგარეო ვაჭრობაში. საქონლის მფლობელს კი კონსიგნატს უწოდებენ.

კონსიუმერიზმი – სამომხმარებლო ბაზარზე, მომხმარებლის უფლებათა დაცვის მიზნით, ორგანიზებული ღონისძიებები, რომლებსაც მოქალაქეები, ნებაყოფლობითი ორგანიზაციები და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ.

კონსოლიდაცია – განმტკიცება, შემჭიდროება, გაერთიანება. ცალკეული პირების, კოლექტივების, ორგანიზაციებისა და ა.შ. გაერთიანება ერთიანი მიზნებისა და ინტერესებისათვის ბრძოლაში.

კონსოლიდაცია ვალის – საკრედიტო ოპერაცია, რომლის დროსაც მოკლევადიანი მიმდინარე ვალები მუდმივ გრძელვადიან ვალებად გადაიქცევა. იგი გამოიყენება როგორც სახელმწიფო ვალის მართვის მეთოდი.

კონსოლიდირებული ანგარიში – ანგარიში, რომელიც რამდენიმე, ურთიერთდაკავშირებული სამეურნეო სუბიექტის საქმიანობას ასახავს და აკუმულირებას უკეთებს ურთიერთშორის (საგარეო ოპერაციებთან ერთად) გატარებულ ოპერაციებს.

კონსოლიდირებული ბიუჯეტი – ტერიტორიული ერთეულების, რეგიონების ბიუჯეტების გაერთიანება, რომელიც ერთიან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მთლიანობას (ავტონომიას, რესპუბლიკას,სახელმწიფოს) აყალიბებს.

კონსოლიდირებული ვალი – სახელმწიფოს, კომპანიის ვალის ნაწილი, წარმოქმნილი გრძელვადიანი სესხების გამოშვების, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი კრედიტე-

ბის ვალის გაგრძელების, ადრე გამოშვებული სესხების გაერთიანების შედეგად.

კონსორციუმი – რამდენიმე მსხვილი ბანკის ან სამრეწველო კომპანიის მონოპოლიური გაერთიანება რაიმე მსხვილი ოპერაციის ერთობლივად ჩატარების მიზნით. საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის ერთ-ერთი ფორმაა. კონსორციუმი კისრულობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას თავისი დამკვეთების წინაშე.

კონტეინერი – გარკვეული ზომის მრავალჯერადი გამოყენების სათავსი, ყუთი, რომელიც გადასაზიდი ტვირთის (საქონლის) შესაფუთად და ტრანსპორტირებისათვის იხმარება.

კონტინგენტი – 1. რომელიმე დაწესებულების მომუშავეთა შემადგენლობა, რისამე ნორმა. 2. საგარეო ვაჭრობაში ნიშნავს იმ საქონლის ჩამონათვალსა და რაოდენობას, რომლებზედაც დადგენილია ნორმები უცხოეთიდან შემოტანაზე, საზღვარგარეთ გატანაზე ან ტრანზიტზე სათანადო განზომილებით, ღირებულებით, ცალობით, წონითი ერთეულებით და სხვ.

კონტო – ანგარიში. მაგალითად, კონტოკორენტული ანგარიში მიმდინარე ანგარიშს ნიშნავს. არსებობს აგრეთვე კონტოკორენტული ემისია, კონტოკორენტული გადასახდელები და სხვ. ყველგან იგულისხმება მიმდინარე მომენტი.

კონტოკორენტი – ერთიანი ანგარიშის ფორმა, რომელზედაც აღირიცხება ბანკის კლიენტებთან ყველა სახის ოპერაცია, როგორც შემოსული ანაბრების და გადასახადების, ასევე ანგარიშიდან ყველა სახის გასავალი.

კონტრაბალანსი – საბუღალტრო მონაცემების მიხედვით შედგენილი ბალანსის (ან მისი რომელიმე ნაწილის)

შემოწმებისა და ანალიზის მიზნით სხვა მეთოდით შედგენილი ბალანსი.

კონტრაბანდა □ 1. სახელმწიფო საზღვარზე საქონლის მალულად გადატანა (შემოტანა). 2. თვით ფარულად გადატანილი საქონელი.

კონტრაფაქცია □ საფირმო სასაქონლო ნიშნების ნებადაურთველი გამოყენება. სხვისი საფირმო სავაჭრო ნიშნით საკუთარი პროდუქციის გაყიდვა, რასაც შეცდომაში შეჰყავს მყიდველი და რაც ჩქმალავს ამ ნიშნის მფლობელის ინტერესებს.

კონტრაქტი □ იურიდიული მნიშვნელობით: ხელშეკრულება, მოლაპარაკება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს.

კონტრაჰენტი □ პირი ან დაწესებულება, რომელიც მოლაპარაკების დროს იღებს ამა თუ იმ ვალდებულებას ხელშეკრულების პირობებში, ყოველი მისი მონაწილე ერთმანეთის მიმართ კონტრაჰენტია.

კონტრიბუცია □ ომის მიმდინარეობისა და დამთავრების შემდეგ დამარცხებული სახელმწიფოს მიერ (მისი მოსახლეობის მიერ) გამარჯვებულის სასარგებლოდ ფულადი და მატერიალური რესურსების ძალდატანებით გადახდა.

კონტროლი □ შემოწმების მიზნით ჩატარებული ოპერაცია, ვალდებულების შესრულებისადმი ზედამხედველობა, საფინანსო ვალდებულებისადმი შესრულების მეთვალყურეობა.

კონფედერაცია □ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფოების კავშირი, რომლებიც დამოუკიდებლობის (სუვერენიტეტის) ფარგლებში ერთიანდებიან მართვის ერთი ან რამდენიმე ორგანოს საშუალებით.

კონფიგურაცია □ მყარი სხეულის ან ნაგებობის გარეგნული მოხაზულობა.

კონფიდენციალური □ ლათინურად ნდობა. ისეთი საიდუმლოს ან ცნობის შენახვა, რის გამჟღავნებაც არ შეიძლება. კონფიდენციალური შეხვედრა ან შეთანხმება საიდუმლო შეხვედრას, შეთანხმებას ნიშნავს.

კონფისკაცია □ მფლობელისთვის ფულის, ქონების, ფასიანი ქაღალდების, სხვა ფასეულობათა, ასევე საკუთრების ობიექტების იძულებითი ამოღება და უსასყიდლო ჩამორთმევა, რომელიც სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით ან რწმუნებით აღჭურვილი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ხორციელდება.

კონფლიქტი □ შეტაკება. საერთოდ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების, მისწრაფებების, იდეების დაპირისპირება, ურთიერთობათა გართულება და ამის ნიადაგზე მხარეთა უთანხმოება, განხეთქილება. შეხედულებათა შეხლა-შემოხლა.

კონფორმიზმი □ მსგავსი. ერთგვარი. არსებული წესისადმი შეგუება, შემთანხმებლობა, გაბატონებული აზრის პასიურად მიღება; საკუთარი პოზიციის უქონლობა, ყველაფრისადმი არაკრიტიკულად მიდგომა.

კონფრონტაცია □ ურთიერთდაპირისპირება, ურთიერთწინააღმდეგობა. თანამედროვე პირობებში გამოიყენება სხვადასხვა სოციალური წყობის, სახელმწიფოთა ურთიერთდაპირისპირების ან რეგიონალური კონფლიქტების დროს.

კონფუზი □ შეცბუნება. გავრცელებულია შეწუხებული, უხერხული, არასასიამოვნო მდგომარეობის გამოსახატავად.

კონცენტრაცია □ თავმოყრა, შეგროვება, ერთად დაჯგუფება. ეკონომიკაში გამოიყენება სხვადასხვა პროცესის თავმოყრის აღსანიშნავად. მაგალითად, მართვის სისტემის კონცენტრაცია მართვის ფუნქციებისა და ორგანოების ცენტრალიზაციისათვის და სხვ.

კონცერნი □ გაერთიანება, რომელშიც შესული სამეურნეო სისტემები (საწარმოები) ფორმალურ დამოუკიდებლობას იძენენ, ხოლო ფინანსური და საწარმოო-ტექნიკური დამოუკიდებლობა ფაქტობრივად არ გააჩნიათ. კონცერნი იქმნება სხვადასხვა მიზნით: სამეცნიერო-ტექნიკური, ინვესტიციური, საფინანსო, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების წარმოებითი ძალების კონცენტრაციისათვის.

კონცესია (ლათ. conctssio-ნებართვა, დათმობა) □ 1. ხელშეკრულება სახელმწიფოს ან ხელისუფლების ადგილობრივი მართვის ორგანოების კუთვნილი ბუნებრივი სიმდიდრის წყაროების, წარმოებისა და სხვა სამეურნეო ობიექტების ექსპლუატაციაში დროებით გადაცემის შესახებ უცხოელი ფირმების ან კერძო პირებისათვის, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სახელმწიფოს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ კონცენსიის მოქმედება შეუძლია შეწყვიტოს; 2. საზღაური, რომელსაც ბანკები ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ორგანიზაციისათვის იღებენ.

კოოპერატივი □ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა გაერთიანება, სამეწარმეო საქმიანობის ერთობლივად განხორციელებისთვის.

კოოპერაცია □ თანამშრომლობა, თანამედროვე პირობებში იხმარება, როგორც შრომის დანაწილების ერთ-ერთი ფორმა, როდესაც რთულ შრომით პროცესში რამდენიმე

შემსრულებელი მონაწილეობს და ყოველ მათგანს თავისი ფუნქცია აქვს გამოკვეთილი.

კოოპერირება – გაერთიანება კოოპერაციის საწყისზე.

კოოპტაცია – დამატებით არჩევა. რომელიმე არჩევით ორგანოში, არჩევნების საფუძველზე, დაკომპლექტების შემდეგ დამატებითი წევრის შეყვანა ამომრჩეველთა დაუკით-ხავად.

კოორდინაცია – შეთანხმება, მოწესრიგება, ურთიერთშეფარდება. საკოორდინაციო პროცესების მართვისათვის ხშირად სპეციალური ორგანოები იქმნება. პიროვნებას, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს რომელიმე სფეროში, კოორდინატორი ეწოდება.

კოპიო – ლათინურად: სიმრავლე, მარაგი. ქართულად დედნიდან გადაღებული ზუსტი ასლი, პირი.

კორდონი – სასაზღვრო დაცვის შეიარაღებული ნაწილი.

კორესპონდენტი – 1. ბანკის ან სხვა საფინანსო ორგანიზაციის მოსამსახურე, რომელიც საწარმოს ან დაწესებულების სახელით მიმოწერას აწარმოებს, დაწესებულება ან პირი, რომელიც მეორე პირის (ფირმის, ბანკის) საფინანსო ან კომერციულ დავალებას ასრულებს.

კორესპონდენცია – საქმიანი მიმოწერა. მრეწველობის, ვაჭრობის მომსახურების სფეროში მიმოწერასა და წერილობით დოკუმენტებს კომერციული კორესპონდენცია ეწოდება.

კორექტივი – შესწორება, დაზუსტება, ნაწილობრივ შეცვლა.

კორნერი – სასაქონლო ბირჟაზე საქონლის არსებული მარაგის შესყიდვაზე მოკლევადიანი შეთანხმება, შემდგომ უფრო ძვირად გაყიდვის მიზნით. კორნერს მიმართავენ სპეკულაციის მიზნით, როდესაც ამა თუ იმ საქონლის შეზღუდული მარაგია.

კოროზია □ ამოჭმა. ტექნიკაში-ლითონის ზედაპირის დაშლა, ქიმიური ნივთიერების ან სხვა ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, შავი ლითონების კოროზიას იწვევს ჟანგის ან სხვადასხვა მჟავას ზემოქმედება.

კორპორაცია □ აქციონერთა საზოგადოების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა, რომელიც საერთო ეკონომიკური ინტერესების მიხედვით იქმნება. კაპიტალის კონცენტრაციის გზით, თანამედროვე კორპორაციები უდიდეს მასშტაბს აღწევს და მონოპოლიურ პირობებს წარმოშობს.

კორპორაციული მიდგომა □ არის პრინციპებისა და წესების ნაკრები, რომლითაც საბანკო თანამშრომლობის ქცევა განისაზღვრება. მაგალითად, დაკრედიტების კულტურის რეალიზება ინიცირების, ანალიზის, გადაწყვეტილების მიღებისა და ცალკეული კრედიტების მონიტორინგისათვის სტანდარტული ინსტრუქციების გამოყენების გზით ხორციელდება.

კორტეჟი □ საზეიმო სვლა, პროცესია.

კოსმოპოლიტი - „მსოფლიოს მოქალაქე“ კოსმოპოლიტიზმის თვალსაზრისზე მდგომი; ადამიანი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებს არც ერთ ეროვნებას.

კოტეჯი □ პატარა საცხოვრებელი სახლი ქალაქგარეთ, აგარაკზე, მუშათა დასახლებაში და სხვ.

კოტირება □ საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა.

კოქტეილი □ სასმელი, რომელსაც აკეთებენ სხვადასხვა მაგარი სასმლის (კონიაკის, ლიქიორის, ღვინის) შერევით და შაქრისა და სანელებლების დამატებით. *მედიც.* სხვადასხვა წამლის ნარევი.

კოჰორტა □ 1. ძველ რომში: ქვეითი ჯარის რაზმი, რომელიც შეადგენდა ლეგიონის მეათედ ნაწილს. 2. საერთო იდეებით, მიზნებით მჭიდროდ შეკავშირებული ჯგუფი.

კრახი □ ეკონომიკაში გაკოტრება, მთლიანი მარცხი.

კრედიტი □ 1. საქონლის ან ფულის მიცემა სესხად. 2. გარკვეული ხარჯის გასაწევად გაცემული თანხა.

კრედიტის ლიკვიდურობა □ არის ფულადი სახსრების მოდინების ხარისხი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. საპროცენტო განაკვეთის და პროცენტების გადახდის გრაფიკისა და დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის სიდიდით განისაზღვრება.

კრედიტის სტრუქტურა □ არის კრედიტის ძირითადი სტრუქტურა □ პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს: მოცულობას; დაფარვის გრაფიკს; მონიტორინგისადმი მიდგომას; უზრუნველყოფას; დოკუმენტის ჩამონათვალს; ფასს. კრედიტის სტრუქტურის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს მსესხებლის საქმიანობის თავისებურება და კრედიტუნარიანობის დონე წარმოადგენს.

კრედიტორი □ პირი ან დაწესებულება, რომელმაც გასცა საქონელი ან ფული კრედიტად; მევალე.

კრედიტუნარიანობა □ მსესხებლის (ვალის ამღების) მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობის დახასიათება კრედიტის მისაღებად; მისი შესაძლებლობა დროულად და სრულად დააბრუნოს კრედიტი. კრედიტუნარიანობა განისაზღვრება მაჩვენებლებით, რომლებიც ასახავს მის აკურატულობას ადრე აღებული კრედიტის მიხედვით ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით, მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას და მისი გაუმჯობესების პერსპექტივებს, აუცილებლობის შემთხვევაში სხვადასხვა

წყაროდან ფულადი საშუალებების მობილიზაციის უნარს.

კრიზისი □ (ბერძ.) „გადაწყვეტილება“, „განაჩენი“, „გადამწყვეტი ხასიათის ცვლილება“ დიდი გარდატეხა, მკვეთრი ცვლილება; 1. მძიმე გარდამავალი პერიოდი. 2. (*ეკონ.*) კაპიტალისტურ მეურნეობაში: საქონლის პერიოდული ჭარბწარმოება, რომელსაც თან სდევს წვრილ მწარმოებელთა გაღატაკება, წარმოების შეკვეცა და უმუშევრობის ზრდა. 3. რისამე მწვავე ნაკლებობა (განსაკუთრებით ითქმის მოხმარების საგნებზე, პროდუქტებზე).

კრიმინალი □ (ლათ.) დანაშაულებრივი. სისხლის სამართლის დანაშაული.

კრიტერიუმი □ (ბერძ.) მსჯელობის, გადაწყვეტის საშუალება ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, განსაზღვრავენ, რისამე კლასიფიკაციას ახდენენ; საზომი.

კრიტიკა □ (ბერძ.) გარჩევის ხელოვნება, განსჯა. 1. რისამე განხილვა ღირსებისა და ნაკლის გამოსარკვევად, შეფასების მიზნით. 2.უარყოფითი მსჯელობა რისამე შესახებ, ნაკლოვანებებზე მითითება. 3. მეცნიერული შემოწმება, გამოკვლევა რისამე უტყუარობისა; რაიმე ტექსტის ანალიზი.

კრონა □ ფულის ერთეული ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

კროს-კურსი □ ორ ეროვნულ ვალუტას შორის საკურსო თანაფარდობის განსაზღვრა, როდესაც ბაზად გამოყენებულია მესამე ეროვნული ვალუტა.

კრუზეირო □ ბრაზილიის ფულის ერთეული, უდრის ბრაზილიურ 100 ცენტს.

კულაჟი □ გაჟონვა. 1. თხევადი პროდუქტების შესყიდვის დროს მიცემული შეღავათი, ფასდაკლება გაჟონვის გათვალის-

წინებით; თვით გაჟონვა. 2. (გადატ.) არანაყოფიერი ხარჯვა მატერიალურ საშუალებათა, დროისა და შრომისა.

კულისი □ 1. კულისები თეატრის სცენაზე: დეკორაციის ბრტყელი ნაწილები, რომლებიც განლაგებულია სცენის გვერდებზე (ვერტიკალურად) ერთიმეორის მიყოლებით. 2. ხშირად იმ ადგილსაც უწოდებენ სადაც ყოველგვარი სპეკულანტური გარიგებები ხორციელდება.

კულისიე □ არაოფიციალური საბირჟო შუამავალი (მაკლერი, ბროკერი), რომელიც გარიგებებს ბირჟის ოფიციალური მუშაკის გვერდის ავლით წარმოებს.

კულონი □ ქალის სამკაული - ერთი ან რამდენიმე ძვირფასი თვალი, ძეწკვით ყელზე სატარებელი.

კულტი □ თაყვანისცემა. ვისიმე ან რისამე გაღმერთება.

კულუარი □ დარბაზი. ოთახი, ძირითადად საპარლამენტო შენობაში, სხდომათა დარბაზიდან გამოყოფილი, სადაც იმართება არაოფიციალური შეხვედრები, აზრთა გაზიარება შესვენების დროს.

კუმულაცია □ (ფინ.) გადიდება, დაგროვება. აქციების ნაირსახეობა, როდესაც აქციის მფლობელი უარს აცხადებს ყოველწლიურ დივიდენდზე და რამდენიმე წლის შემდეგ მას ერთად იღებს.

კუპაჟი □ შერევა. სხვადასხვა სახის ღვინის მასალის ერთმანეთში შერევა გარკვეული ხარისხის (სტანდარტის) ღვინის დასაყენებლად, მისი გაუმჯობესება.

კუპიურა □ ქაღალდის ფულზე, ობლიგაციებზე, ბანკნოტებზე, აქციებისა და სხვა ფასიან ქაღალდებზე აღნიშნული ნომინალური ღირებულება.

კუპონი □ ფასიანი ქაღალდის ის ნაწილი, რომელიც იჭრება დივიდენდის (პროცენტი) დარიცხვისა და მიღების დროს.

კურატორი □ ზედამხედველი, მეთვალყურე.

კურსი □ ფასიანი ქაღალდების შესაძენი ღირებულება, ერთი ეროვნული ვალუტის მეორესთან (უპირატესად კონვერტირებული) ღირებულებითი (მსყიდველობითი უნარით) შეფარდება.

კურსი გაცვლითი □ კურსი, რომლის მიხედვითაც ერთი სახის ვალუტა იცვლება მეორე სახის ვალუტაზე.

კურსი მყიდველის □ ფასი, რომლის მიხედვითაც გამყიდველი მზად არის გარიგება აწარმოოს.

კურსი ოფიციალური □ კურსი, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები ადგენს; ოფიციალურად გამოცხადებული კურსი.

კურსი საბირჟო □ ფასიანი ქაღალდის გასაყიდი საბაზრო ფასი, რომელიც ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად ჩამოყალიბდება.

კურსი ფასიანი ქაღალდის □ საკურსო ფასი, რომელიც საფონდო ბირჟაზე ფასიან ქაღალდებს ყიდიან და ყიდულობენ.

კურტაჟი □ სავაჭრო გარიგებისათვის საშუამავლო გასამრჯელო, რომელიც შუამავალს (ბროკერს, მაკლერს, ტრეიდერს) ეძლევა.

კურტიე □ ბირჟის აგენტი, შუამავალი, მაკლერი.

ლ

ლაგი □ 1. გემის სვლის სიჩქარისა და გავლილი მანძილის გასაზომი ხელსაწყო. 2. გემის ბორტი.

ლაიტმოტივი □ 1. ძირითადი მოტივი (თემა), რომელიც დროდადრო მეორდება მუსიკალურ ნაწარმოებში (მაგ., ოპერაში); 2. (გადატ.) ძირითადი, სახელმძღვანელო აზრი, რომელიც არაერთხელ მეორდება ხაზგასმით.

ლაჟი □ (ფინანს.) 1. ოქროს ფულის ნომინალური ღირებულების დანამატი, რომელსაც იღებენ ქაღალდის ფულის გაუფასურების დროს. 2. ფასიანი ქაღალდების (აქციების,

ობლიგაციებისა და მისთ.) კურსის აწევა მათ ნორინალურ ღირებულებასთან შეფარდებით.

ლარი □ გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ლატიფუნდია □ მსხვილი კერძო ადგილ-მამული (პირველად ძველ რომში, შემდეგ ფეოდალიზმისა და კაპიტა-ლიზმის პირობებში).

ლეგალური □ კანონით აღიარებული, ნებადართული; ღია, აშკარა. ლ. მარქსიზმი □ რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ანტიპროლეტალური მიმდინარეობა (მე-19 საუკ. 90-იან წლებში), რომელიც ამახინჯებდა მარქსიზმს, ხოლო მის დებულებებს იყენებდა თავისი ბურჟუაზიული ლიბერალიზმის დასაფარავად.

ლეგენდა □ ის, რაც უნდა წაიკითხონ. 1. ხალხური ზეპირი გადმოცემა უპირატესად რელიგიური ხასიათისა; თქმუ-ლება. 2. (*გადატ.*) არაჩვეულებრივი ამბავი, შელამაზე-ბული მოთხრობა ვისიმე ცხოვრების ან რაიმე ამბის შესახებ. 3. მოგონილი, შეთხზული ბიოგრაფია მზვერა-ვისა.

ლეგიტიმური □ კანონიერი.

ლევერიჯი □ ობიექტური ფაქტორი, რომელიც წარმოიქმნება ბალანსის პასივში სასესხო სახსრების გამოჩენასთან ერთად და რომელიც საშუალებას გვაძლევს მივიღოთ დამატებითი მოგება საკუთარ კაპიტალზე.

ლევი □ ფულის ერთეული ბულგარეთში.

ლეი □ ფულის ერთეული რუმინეთში.

ლეკაჟი □ სითხის გაჟონვა, საქონლის შეშრობა ტრანსპორტი-რების დროს.

ლეკი □ ფულის ერთეული ალბანეთში.

ლენდ-ლიზი Lend-Lease ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1941 წელს მიღებული კანონი მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მეომარი ქვეყნებისათვის შეიარაღების, ნედლეულის, სურსათისა და სხვა საქონლის სესხად და იჯარით გადაცემის შესახებ.

ლენდლორდი ინგლისში მიწის მსხვილი მესაკუთრე, მფლობელი, რომელიც მიწას იჯარით (არენდით) აძლევს ფერმერებს.

ლეპტა სპილენძის მონეტა ძველ საბერძნეთში.

ლეფერიდი დიდი მოგების (ან წაგების) პოტენციური შესაძლებლობა. ითვალისწინებენ საბაზრო ფასიანი ქაღალდების შეძენისას.

ლი 1. სიგრძის საზომი (მილიმეტრის ნაწილებიდან 500 მ.-მდე). 2. ფართობის საზომი; ჩინეთში უდრის დაახლოებით 6 კვ. მეტრს, ვიეტნამში 0,04 კვ. მეტრს. 3. წონის საზომი: უდრის 30-იდან 40-მდე მილიგრამს.

ლიბერალიზმი თავისუფალი 1. პოლიტიკური მიმართულება, რომელიც იცავდა ბურჟუაზიის თავისუფლებას ფეოდალურ-ბატონყმურ ეპოქასა და ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში, ხოლო ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობის დამყარებისა და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის განვითარების პირობებში გადაიქცა რეაქციულ მოვლენად. 2. უარყოფით მოვლენებთან შემრიგებლობა, მავნე შემწყნარებლობა. 3. (მოძვ.) ბურჟუაზიისა და თავადაზნაურთა სიტყვახმარებაში: თავისუფალი აზროვნება.

ლიბერალური ეკონომიკა შერეული (მრავალწყობიანი) ეკონომიკა თავისუფალი საბაზრო მექანიზმის გამოყენებით. ლიბერალურ ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრუ-

ლებს საბაზრო ურთიერთობა, რომელიც ადმინისტრაციულ და იდელოგიურ ზემოქმედებას არ განიცდის.

ლიბორი – კრედიტის ღირებულება ანუ ის თანხა, რომელსაც სესხის ამღები უხდის კრედიტორს სესხით სარგებლობისათვის. მისი ძირითადი ელემენტებია: პროცენტული განაკვეთი, საკომისიო დანარიცხი და სადაზღვევო პრემია.

ლიგა – კავშირი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, კავშირი (ცალკეულ პირთა, ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა).

ლივენდს ლეგზი – ანგარიშსწორების ვადების ხელსაყრელი მანევრირება. ძირითადად საგარეო ვაჭრობაში გამოიყენება.

ლიზინგი (liaseng) – ფინანსების ფორმა, რომლის დროსაც სალიზინგო კომპანია (მეიჯარე) ყიდულობს კაპიტალურ მოწყობილობას მწარმოებლისაგან და გასცემს მას იჯარით (მოწყობილობა რჩება სალიზინგო კომპანიის საკუთრებად). კლიენტს (მეიჯარეს), როგორც წესი, უფლება აქვს გამოისყიდოს იგი იჯარის ვადის დასრულებისას ნომინალურ ფასად ან იჯარის ვადის განმავლობაში საბაზრო ფასად. საიჯარო გადასახადის სიდიდე ჩვეულებრივ განისაზღვრება, როგორც მოწყობილობის საწყისი ფასის პროცენტი და გადაიხდება ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ ან კვარტალურად.

ლიზინგი საბანკო – მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების, წარმოებრივი დანიშნულების ნაგებობების გრძელვადიანი იჯარა (6 თვიდან რამდენიმე წლამდე ვადით), რომელიც მოიჯარის მიერ მათი შემდგომი გამოსყიდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ლიზინგი ხორციელდება გრძელვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე.

ლიზინგი ფინანსური – ხელშეკრულება ლიზინგის შესახებ, რომლის თანახმად ლიზინგის მიმღები ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში ლიზინგურ კომპანიას უხდის თანხას, რომელიც უდრის ამორტიზაციის სრულ ღირებულებასა და მოწყობილობის გამოყენებიდან მიღებული მოგების წილს, ღებულობს რა უფლებას გამოისყიდოს მოწყობილობა ნარჩენი ღირებულებით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ, დააბრუნოს მოწყობილობა ან გააგრძელოს ხელშეკრულება.

ლიზჰოლდერი – ფეოდალურ ინგლისში მოიჯარე, რომელიც მოკლე ვადით მიწას იჯარით იღებდა ლენდლორდისაგან (ფეოდალისაგან).

ლიკვიდაცია (liquidation) – ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტა, რომლის საფუძველი შეიძლება იყოს: ა) დაფუძნებისას დადგენილი ვადის გასვლა; ბ) დამფუძნებელთა (საერთო კრების) დადგენილება; გ) სასამართლოს დადგენილება; დ) ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება (სახელმწიფოს საწარმოსათვის).

ლიკვიდაცია გარიგების, კონტრაქტის – გარიგების დასრულება, შეწყვეტა, ადრე ნაყიდი საბირჟო კონტრაქტის გაყიდვა.

ლიკვიდაცია ზარალის – სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრა და გადახდა ქონებრივ დაზღვევასა და პასუხისმგებლობის დაზღვევაში.

ლიკვიდაცია ქონების, ფასეულობის – მატერიალურ-ფინანსური ფასეულობების ნაღდ ფულად ტრანსფორმაცია.

ლიკვიდები – ნაღდი ფული ფირმის სალაროში, აგრეთვე ფირმის განკარგულებაში არსებული სხვა რამ.

ლიკვიდიტეტი – ბანკის აქტივების ოპერაციათა ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მისივე პასივების ოპერაციათა გადახდის უნარიანობას.

ლიკვიდობის კოეფიციენტი – თანაფარდობა კომპანიების ფულადი სახსრებისა და სწრაფად რეალიზებადი აქტივების (აქციების, ობლიგაციების და ა.შ.) ოდენობასა და მათი მოკლევადიანი ვალდებულებების თანხას შორის.

ლიკვიდობის ნორმა – ნაღდი ფულის, დებიტორული დავალიანებებისა და ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების დაჯამებული სიდიდე, გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.

ლიკვიდობის რისკი – ისეთი სიტუაციის წარმოქმნა, როდესაც შეუძლებელია ფინანსური აქტივების სწრაფი კონვერსია საგადასახადო საშუალებებად დანაკარგების გარეშე, ან დამატებითი ვალდებულებების მოზიდვის გარეშე მისაღები ფასები.

ლიკვიდურობა – რეალიზაციის, გაყიდვის, მატერიალურ ფასეულობათა ნაღდ ფულად ქცევის უნარი.

ლიკვიდური აქტივები – არის ნებისმიერი აქტივი, რომელიც სამ შემდეგ პირობას აკმაყოფილებს: 1) ფასის მიერ სტაბილურობას 2) ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევადობას; 3) ბრუნვადობას.

ლიკვიდური და არალიკვიდური აქტივები – მაღალლიკვიდური აქტივების გარდა საკრედიტო ორგანიზაციების სალაროში ნაღდი ფულისა და მოთხოვნამდე ანგარიშებზე სახსრების ნაშთებისა, კონვერტირებადი ვალუტისა, მიეკუთვნება ასევე ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდებიც. ლიკვიდური აქტივები, მაღალლიკვიდურ აქტივებთან ერთად, საკრედიტო დაბანდებებსაც მოიცავს, რომელთა დაფარვა უახლოესი 30 დღის განმავლობაში არის გათვალისწინებული.

ლიკვიდური ნორმატივები – არის ნორმატივები, რომლებიც ლიკვიდურობის კოეფიციენტებზეა დაფუძნებული და

იგი მოკლევადიანი ვალდებულებების მიხედვით ბანკის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს, მათ შორის თანაფარდობებს; აქტივებსა და პასივებს შორის დაფარვის ვადებისა და ძირითადი თანხის დაბრუნების წესის გათვალისწინებით; ლიკვიდურ აქტივებსა და ჯამურ აქტივებს შორის.

ლიკვიდური სახსრები – ნაღდი ფულადი სახსრები, ბანკში მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი, ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები, საბრუნავი კაპიტალის ელემენტები და სხვ, რომელთა გამოყენებაც შეიძლება სესხის აღებისას ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

ლიკვიდობა ჭარბი – საგადასახადო შესაძლებლობათა გადამეტება ფულად ვალდებულებებზე.

ლიმიტედი – კომპანიების (საზოგადოებების) ვალდებულებებზე შეზღუდული პასუხისმგებლობის აღმნიშვნელი ტერმინი, როდესაც პასუხისმგებლობა მხოლოდ სააქციო ან საპაიო კაპიტალის ფარგლებში განისაზღვრება.

ლიმიტი – ზღვარი. ნორმა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება რისამე ხარჯვა, რამეთი სარგებლობა; ზღვრული ნორმა.

ლინდს ენდ ლეგსი – საგარეო სავაჭრო ანგარიშსწორების დაჩქარება ან შენელება, რათა მიღებული იყოს სარგებელი სავალუტო კურსის ცვლილების ხარჯზე.

ლინჩის სასამართლო – ეჭვმიტანილი პირის დასჯა გამძვინვარებული ბრბოს მიერ სასამართლოსა და გამოძიების გარეშე.

ლირა – ფულის ერთეული იტალიასა და თურქეთში.

ლისტინგი (ინგლ.list - სია) – 1. კომპანიის აქციების შეტანა აქციების სიაში, რომელთა კოტირება მოცემულ ბირჟაზე ხორციელდება. ლისტინგი აუცილებელია იმისთვის,

რომ საბირჟო ვაჭრობაზე დაშვებული იქნეს მხოლოდ ის აქციები, რომელმაც ექსპერტული შემოწმება გაიარა; 2. ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაში დაშვების წესი; 3. შეთანხმება ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა და საფონდო ბირჟას ან საფონდო ბაზრის არასაბირჟო მონაწილეს შორის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობისა და კოტირებისათვის მიღების შესახებ.

ლიტერი □ პირობითი ასოთი აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც უფასო ან შეღავათიანი ფასით მგზავრობის უფლებას იძლევა მატარებლით, თვითმფრინავით, გემით.

ლიტრი □ ზომათა მეტრულ სისტემაში სითხის საზომი ერთეული; უდრის 1.000 კუბ. სმ-ს.

ლიფო □ ანაბრების ნაწილის ვადაზე ადრე ამოღებისას პროცენტის გაანგარიშების მეთოდი.

ლიცენზია □ ნების დართვა. 1. საქონლის საზღვარგარეთ გატანის ან იქიდან შემოტანის ნებართვა; ამ ნებართვის დამადასტურებელი საბუთი. 2. რამეთი შეღავათიანად ან უფასოდ სარგებლობის უფლება.

ლობი, ლობიზმი, ლობირება □ ეკონომიურად ძლიერი სტრუქტურების წარმომადგენელთა ჯგუფი, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოსა და სახელმწიფოს მაღალი რანგის ჩინოვნიკებზე ზემოქმედების პრაქტიკას, რომლის მიზანია შესაბამისი ჯგუფების ინტერესების კვალად, სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა (გარკვეული კანონპროექტების, სახელმწიფო შეკვეთების, სუბსიდიების მიღება, რელიგიური ან ქალთა ინტერესების დაცვა და ა.შ.).

ლოგიკა □ მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ, რომლის ფუძემდებლად არისტოტელე ითვლება.

აზროვნება ინდუქციის ან დედუქციის მეშვეობით მოქმედებს. არისტოტელე განსაკუთრებით დედუქციურ მეთოდს აქცევდა დიდ ყურადღებას და მას ,,სილოგიზმს“ უწოდებდა.

ლოგისტიკა – ეკონომიკის განყოფილება, რომელიც მოიცავს მატერიალური და საინფორმაციო ნაკადების (საქონელ-მოძრაობის) ოპტიმალური მართვის პრობლემების კომპლექსს.

ლოგოტიპი – გრაფიკული სიმბოლიკის მთავარი ელემენტია და იოლად მარკირების საშუალებას იძლევა. ლოგოტიპი შეიძლება იყოს სიტყვიერი, გამომსახველობითი და კომბინირებული. სიტყვიერი ლოგოტიპი ჩვეულებრივ კომპანიის სახელს ან აბრევიატურას წარმოადგენს (მაგ.: CNN, CBS, BBC). გამომსახველობითი ლოგოტიპი რაიმე აბსტრაქტული ან კონკრეტული საგნის გამოსახულებაა. კომბინირებულ ლოგოტიპებში ერთდროულად სიტყვიერი და გამომსახველობითი ელემენტები გამოიყენება.

ლოზუნგი – მოწოდება, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის სახელმძღვანელო იდეის შინაარსს, ამოცანას, მოთხოვნას. ტერმინი შეიძლება გამოიყენებოდეს სხვა მნიშვნელობითაც. XX ს-მდე აღნიშნავდა პირობით საიდუმლო სიტყვას, რომელსაც ახმიანებდნენ საკონტროლო გამშვებ პუნქტებზე.

ლოიალური – 1. არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე. ერთგული (ხშირად მხოლოდ გარეგნულად). 2. ვინც წესიერად, კეთილსინდისიერად ექცევა ვინმეს.

ლოიდი – საზღვაო დაზღვევისა და ნაოსნობის საზოგადოება, ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში.

ლოკალიზაცია – რაიმესთვის განსაზღვრული ადგილის მიჩენა; რაიმე მოვლენის, პროცესის გავრცელების შეჩერება, შეზღუდვა.

ლოკო □ გარიგების პირობები, როდესაც საქონლის ფასში არ შედის მყიდველამდე ტრანსპორტის ხარჯები.

ლომბარდი (pawnshop) □ საკრედიტო დაწესებულება, რომელიც იძლევა სესხს მოძრავი ქონების დაგირავებით.

ლორდი □ შუა საუკუნეების ინგლისში, თავდაპირველად ნიშნავდა მიწათმფლობელს, ხოლო შემდგომში □ ტიტულს, რომელიც ენიჭებოდა დიდ ფეოდალს, სენიორს და ფეოდალური იერარქიის მაღალი წრის წარმომადგენლებს. ლორდი ამჟამად ეწოდება, აგრეთვე, ინგლისის პარლამენტის ზედა პალატის, ანუ ლორდთა პალატის წევრს და ზოგიერთი მაღალი თანამდებობის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს (ლორდ-კანცლერი, ლორდ-მერი და ა.შ.).

ლორენცის მრუდე □ გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს შემოსავლების განაწილებაში უთანაბრობის ხარისხს.

ლორო-კონტო □ საკორესპონდენტო ანგარიში, რომელსაც ბანკი ხსნის იმ თანხის გასატარებლად, თავისი კორესპონდენტის დავალებით რომ გაიცემა.

ლოტი □ ეს ფიქსირებული რაოდენობის თანხაა, რომლითაც Forex-ზე ვაჭრობა ფასდება. ამერიკული სისტემის ფარგლებში იგულისხმება უცხოური ვალუტის დოლართან მიმართებაში ფიქსირებული რაოდენობის ყიდვა-გაყიდვა.

ლოცმანი □ გარკვეულ უბანზე გემების გატარების სპეციალისტი, რომელმაც კარგად იცის ნაოსნობის ადგილობრივი პირობები.

ლუიდორი □ ძველებური ფრანგული ოქროს ფული.

ლუსტრა □ ჭერზე ჩამოსაკიდებელი გასანათებელი მოწყობილობა, რომელზედაც რამდენიმე ნათურა ან სანთელია. ჭაღი.

ლუქსი □ (ლათ. სინათლე) 1. განათებულობის საზომი ერთეული. 2. (ფრანგ. ფუფუნება) განსაკუთრებით მდიდრულად მოწყობილი რისამე აღნიშვნა.

მ

მაგისტრი □ ლათ. უფროსი, მასწავლებელი. 1. რევოლუციამდელ რუსეთსა და საზღვარგარეთის ზოგ ქვეყანაში სამეცნიერო ხარისხი; ამ ხარისხის მქონე პირი. 2. შუა საუკუნეებში ბერმონაზვნური ან რაინდული ორდენის მეთაურის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი.

მაგნატი □ (ლათ. დიდებული). 1. ევროპის ზოგ ქვეყანაში (უპირატესად ძველ პოლონეთსა და უნგრეთში) მსხვილი მემამულე. 2. გადატანით ითქმის მსხვილ კაპიტალისტზე. მაგ., ფინანსური კაპიტალის მაგნატები.

მაესტრო □ დიდი ხელოვნის (დირიჟორის, კომპოზიტორის, მხატვრის...), აგრეთვე მოჭადრაკის საპატიო დასახელება (ხშირად □ მიმართვისას).

მაიდანი □ თურქულად მოედანს ნიშნავს, ძირითადად საბაზრო მოედნებს (ფართობს) უწოდებენ.

მაკეტი □ 1. რაიმე ნაკეთობის ნიმუში შემცირებული ზომისა; მოდელი. 2. წიგნის ან ჟურნალის წინასწარი ნიმუში, საცდელი ეგზემპლარი. 3. გაზეთის მასალების გვერდობლივ განლაგების გეგმა.

მაკლერი (broker) □ პირი, რომელიც სისტემატურად და პროფესიულად ეწევა შუამავლობას მყიდველსა და გამყიდველს შორის (საქონელი, მომსახურება, ფასიანი ქაღალდები, დაზღვევა), მიეკუთნება ბირჟის პერსონალს

და გასამრჯელოს, რომლის სიდიდე დამოკიდებულია გარიგების მოცულობაზე, იღებს ორივე მხარისაგან.

მაკრო □ რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; ნიშნავს დიდს, მსხვილს; მაგ., მაკროსკოპული.

მაკროეკონომიკა □ ქვეყნის მთლიანი მეურნეობა; გამოხატავს ეკონომიკის ზოგად მდგომარეობას, განიცდის საბიუჯეტო-საფინანსო, საკრედიტო-ფულადი და სხვა სამთავრობო პოლიტიკის გავლენას.

მალთუსის თეორია □ პირველად ინგლისელი ეკონომისტის თომას მალთუსის (1766-1834) მიერ გამოთქმული, გლობალური შიმშილის საფრთხის შესახებ, ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, დროთა განმავლობაში ერთ სულზე მიწოდებული საკვების ოდენობა შემცირდება, მოსახლეობის ზრდის არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში.

მანგო □ მარადმწვანე ხეების გვარი თუთუბოსებრთა ოჯახისა. გვარში 40-მდე სახეობაა, იზრდება სამხრეთ და სამხრეთ -აღმოსავლეთ აზიის ტროპიკებში. ინდური მანგოს (Mangifera indica) ხის სიმაღლე 10-45 მ აღწევს. აქვს ელიფსური ფოთლები, წვრილი ყვავილები და მომჟავო ან ტკბილი სურნელოვანი კურკიანა ნაყოფი. ტროპიკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხეხილია.

მანდარინი □ მარადმწვანე ციტრუსოვანი ხეხილი; ისხამს ნარინჯისფერ სურნელოვან ტკბილხორციან ნაყოფს.

მანდატი □ ვისიმე რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი. სა-ო კომისია □ ორგანო, რომელიც იქმნება ყრილობაზე, კონგრესზე, კონფერენციაზე, სახალხო დეპუტატების საბჭოს სესიაზე დელეგატების (დეპუტატების) რწმუნებათა შესამოწმებლად.

მანდელ-ფლემინგის მოდელი □ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორი ეკონომისტის მიერ შემუშავებული მოდელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ როგორც ფისკალური, ისე ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან მიღებული ეფექტი დამოკიდებულია სავალუტო კურსის რეჟიმზე.

მანერა □ მოქმედების, ქცევის თავისებურება. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს თავის დაჭერის კარგი ან ცუდი მანერა.

მანია □ თავდავიწყებული გატაცება, რაიმესადმი ძლიერი, თითქმის ავადმყოფური მიდრეკილება. ხშირად მანიით შეპყრობილი ადამიანი დეპრესიულ-ფსიქოზურ მდგომარეობაშიც კი აღმოჩნდება.

მანიპულაცია □ ხელის შრომის დროს რთული ხერხი, რომელიც შესრულების დიდ სიზუსტეს მოითხოვს.

მანკო □ დანაკლისი. ეკონომიკაში გავრცელებულია საქონლის ან სალაროს დანაკლისის აღსანიშნავად.

მანუსკრიპტი □ ხელნაწერი. ხმარობენ ძირითადად ძველი ხელნაწერების აღსანიშნავად.

მანუფაქტურა □ კაპიტალისტური წარმოების ფორმა, რომელიც წინ უსწრებდა მსხვილ მანქანურ ინდუსტრიას; დამყარებული იყო შრომის დანაწილებასა და ხელოსნურ ტექნიკაზე.

მანციპაცია □ ძველი რომაული სამართლის მიხედვით მოწმის თანდასწრებით საკუთრებაზე უფლების გადაცემის წესი. სხვანაირად ქონების დაუფლების დროს საზეიმო ვითარებასაც ნიშნავს.

მარაგი (stock/suppely/reserve) □ წარმოების (მშენებლობის) პროცესის უწყვეტად მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად ნედლეულის, დეტალების, ნახევარფაბრიკატების, მაკომპლექტებელი ნაკეთობების მარაგი.

მარგარინი – საკვები ცხიმეული, რომელიც გარეგნულად კარაქს ჰგავს. კეთდება ცხოველური და მეცნიერული წარმოშობის სხვადასხვა ცხიმისაგან.

მარგო – კიდე, ნაპირი. საქმიანი ქაღალდის მინდორი, რომელიც დატოვებულია სხვადასხვა წარწერის გასაკეთებლად. მარგო უმთავრესად კომერციული ხასიათის წერილებისთვისაა.

მართვადი პასივები – პასივების ის ნაწილი, რომელთა ფორმირების ინიციატივა თვითონ ბანკს ეკუთვნის და რომელთა მეშვეობითაც ბანკს შეუძლია გავლენა იქონიოს სარესურსო ბაზის ვადიანობასა და მდგრადობაზე, აგრეთვე ცვალოს მისი ფორმირების ხარჯები.

მართვა ეკონომიკური (economic management) – საქმიანობა მოიცავს საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას, მმართველობით აღრიცხვას; ხარჯაღრიცხვასა და კალკულაციის შედგენას; საფინანსო დაგეგმვასა და რეგულირებას.

მართვის ორგანოები (governing bodies) – ორგანიზაცია (ფირმა, საწარმო) და მისი ქვედანაყოფები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან მათი კომპეტენციის ფარგლებში მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებები და განახორციელონ მონიტორინგი ამ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

მარკა – გერმანული წარმოშობის სიტყვა, რომელიც რამდენიმე გაგებით იხმარება: 1. საფირმო იარლიყი, რომელიც, როგორც წესი, მაღალხარისხოვან პროდუქციას უკეთდება. 2. ფულის ერთეული გერმანიასა და ფინეთში.

მარკეტინგი (marketing) - ინგ. Market – ბაზარი, ყიდვა-გაყიდვის ადგილი, ფართო საქმიანობა საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროში, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ ბაზარი

სტიმულირე-ბული იყოს საქონლის გასაღებაზე, გაცვლის განვითარე-ბასა და დაჩქარებაზე, მოთხოვნილების უკეთ დაკმაყო-ფილებისა და მოგების მიღებისათვის.

მარკეტინგი განმეორებითი □ რემარკეტინგი, საქონელზე მოთ-ხოვნის შემცირებისას ახალი სარეკლამო კომპანიის ან ახალ მიზნობრივ ბაზარზე რეკლამირებით მოთხოვნის გამოცოცხლება.

მარკეტინგი მიკრო (micro marketing) □ ცალკეული ორგანი-ზაციების დონეზე რეალიზებული მარკეტინგი.

მარკიორი □ ნიშანდება. წარმოებაში იმ პირს უწოდებენ, რომელიც პროდუქციაზე დამღას აკეთებს, ხოლო ტვირთზე, საქონლის პარტიაზე, დამღის გაკეთებას მარკირება ეწოდება.

მარკიტანტი □ ძველად: ვაჭარი, რომელიც ძირითადად სურსათ-სანოვაგეს საკვებ პროდუქტებს (ძირითადად ტკბილე-ულს) და სხვა წვრილმანს ყიდის. ძველ რომში მარკი-ტანტები ლაშქრობის დროს ჯარს თან დაჰყვებოდნენ.

მარკო □ ფულის მონეტის ღირებულება არა ნომინალის მიხედვით, არამედ მისი წონის შესაბამისად.

მაროდიორი □ მძარცველი. პირი, რომელიც ბრძოლის ველზე დახოცილებსა და დაჭრილებს ძარცვავს. ნიშნავს მორალურად გახრწნილ ჯარისკაცსაც, რომელიც ომის დროს მოსახლეობას ძარცვავს.

მარჟა - 1) არის სხვაობა ბანკის საპროცენტო შემოსავალსა და გასავალს შორის, მიღებულ და გადახდილ პროცენტებს შორის. მაგალითად, საპროცენტო მარჟა; 2) შედარებითი სიდიდე-კოეფიციენტი.

მარჯინი □ ტვირთის მინიმალურ რაოდენობასა და იმ ოდენობას შორის სხვაობაა, რომელიც საერთოდ გემის ტვირთ-

ამწეობის მიხედვით შესაძლებელია მიღებულ იქნეს გემით გადასაზიდად.

მატერიალიზმი □ პირდაპირი მნიშვნელობით საგნობრივს ნიშნავს. ფილოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვით სამყარო თავისი ბუნებით მატერიალურია, არსებობს შეგრძნების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, რომ მატერია პირველადია და შემეცნების წყაროს წარმოადგენს, ხოლო შემეცნება მეორადი და წარმოებულია.

მაფია □ იტალიური წარმოშობის სიტყვაა. XVIII საუკუნის ბოლოს სიცილიაში საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც ძირითადად მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს იცავდა, რისთვისაც მიმართავდნენ ტერორისტულ აქტებსა და თავდასხმებს.

მაჰაგონი □ ძვირფასი ხის ჯიში ტროპიკულ ზონაში, გამოიყენება ავეჯის, პარკეტის დასამზადებლად.

მეგაფონი □ ხმის გამაძლიერებელი აპარატი.

მედალიონი □ ოვალური ან მრგვალი ფორმის პატარა ბრტყელი კოლოფისმაგვარი საიუველირო ნაკეთობა, სამკაული, ძირითადად ყელზე იკეთებენ. ხშირად შიგ რაიმე გამოსახულებას (პორტრეტს) დებენ და ისე ატარებენ.

მედიანა □ (შუა, შუათანა), სტატისტიკაში საშუალო ან ცენტრალურ სიდიდეს ნიშნავს.

მედიატორი □ მომრიგებელი, შუამავალი.

მედიო □ საბირჟო გარიგების შესრულების ვადა, რომელსაც აძლევენ თვის შუა პერიოდში. თვის ბოლოსათვის მას ულტიმოს უწოდებენ.

მევახშეობა □ მევახშეობა ანუ საპროცენტო გასესხება გასული საუკუნეებიდან იღებს სათავეს, თუმცა ძველი ჩვეულება თანამედროვე ბიზნეს-საქმიანობაშიც აქტიურად გამოიყენება.

მეზოეკონომიკა – ქვეყნის ეკონომიკის ქვესისტემების ეკონომიკა. შეისწავლის ეკონომიკის ქვესისტემებს სექტორული ეკონომიკის სახით.

მეთოდი – ბერძნულად გამოკვლევას ნიშნავს. ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა გამოკვლევის ესა თუ ის ხერხი (წესი, წესების სისტემა), რომლის მიხედვითაც ხდება მეცნიერული შემეცნებისა და ჭეშმარიტების დადგენა.

მელონი – განსაკუთრებით მაღალი მოგების თანხა, რომელიც განკუთვნილია გასანაწილებლად.

მემორანდუმი – (ლათ. რაც უნდა გახსოვდეს). სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ვაჭრობაში სამახსოვრო ფურცლის სახით იგზავნება რაიმეს შეხსენების მიზნით.

მემორიალი – (იტალ. სამახსოვრო ჩანაწერი). 1. დიპლომატიური დოკუმენტაცია. არსებობს მემორიალური წიგნი, რომელშიც შეიტანება ყოველდღიური საქმიანობა და ღისშესანიშნაობები. 2. ბუღალტერიაში ყოველდღიური სავაჭრო ოპერაციების ჩასაწერი დავთარი.

მენეჯერი – ხელმძღვანელი პირი საკუთარი კაპიტალის გარეშე. ასევე პირი, რომელიც პასუხს აგებს შრომის ორგანიზაციასა და კონტროლზე ორგანიზაციასა ან საწარმოებში. დიდი საწარმოების წარმოშობასთან ერთად მოხდა წარმოების მესაკუთრისა და ხელმძღვანელის ფუნქციათა გამიჯვნა. მენეჯერების სამი რგოლი არსებობს: უფროსი, საშუალო და უმცროსი.

მენეჯმენტი – არის ბიზნეს-ორგანიზაციული მოქმედება, საქმიანობა. მარტივი სიტყვებით ის ნიშნავს: მოქმედება, რომ შეკრიბო ხალხი ერთად სასურველი მიზნების შესასრულებლად.მენეჯმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკის და ტექნოლოგიის, ადამიანური

ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემა.

მერია □ თვითმართველობის ორგანო რიგ ქვეყნებში (აშშ., ინგლისი, საფრანგეთი). პირს, რომელიც მერიის სათავეში დგას, მერი ეწოდება.

მერკანტილიზმი □ პირველი ეკონომიკური მიმართულება, მიმდინარეობა, რომელიც სავაჭრო ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა მეთხუთმეტე მეთქვსმეტე საუკუნეებში. ამ მოძღვრების პრინციპი ასეთი იყო: მოგება წარმოიქმნება მიმოქცევის სფეროში. ფულის საზღვარგარეთ გატანა ამცირებს ქვეყნის სიმდიდრეს, შემოტანა კი □ ამდიდრებს.

მერკური □ 1. ძველრომაული მითოლოგიით ვაჭრობის ღმერთი, ისე როგორც ბერძნულ მითოლოგიაში ჰერმესი. 2. მზის სისტემის ერთ-ერთი უახლოესი პლანეტის სახელწოდება.

მეტა □ ერთობლივი რისკითა და ერთობლივი ანგარიშით დადებული გარიგება. იტალიურად სანახევროს ნიშნავს.

მეტაფორა □ (ბერძ. გადატანა) ფართო გაგებით ცნების სხვაგვარად, გადატანით გამოთქმას ნიშნავს. მოვლენის გადატანითი ასახვა ერთგვაროვნების ან კონტრასტის საფუძველზე ხდება.

მეტისი □ ადამიანი, რომელიც წარმოშობილია ორი სხვადასხვა რასის, კერძოდ, ინდიელებისა და ევროპეიდული რასის წარმომადგენელთა შეუღლების შედეგად.

მეტრდოტელი □ სასტუმროს გამგებელი. აგრეთვე იმ პირებსაც უწოდებენ, რომლებიც განკარგულებით ფუნქციებს ასრულებენ (განაგებენ) რესტორნის დარბაზში.

მეტრი □ სიგრძის საყოველთაო ძირითადი საზომი მეტრულ სისტემაში. უდრის დაახლოებით პარიზის მერიდიანის მეოთხედის ერთ მემილიონედს.

მეტროპოლია □ ბერძნულად სიტყვასიტყვით ქალაქის დედას ნიშნავს. ძველ საბერძნეთში იმ სახელმწიფო ქალაქს (პოლისს) უწოდებდნენ, რომელსაც (უცხო ქვეყნების ტერიტორიაზე) არსებული დასახლებანი (ახალშენები) ემორჩილებოდნენ.

მექთები □ დაწყებითი მუსლიმანური სკოლა ვაჟებისათვის.

მეჩეთი □ მუსლიმანთა სამლოცველო.

მეცენატი □ მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველის (რომაელი პოლიტიკური მოღვაწის □ Maecenass) სახელის მიხედვით, რომელიც მფარველობდა განთქმულ პოეტებს □ ვერგილიუს, ჰორაციუსს და სხვებს.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი მეპ (gross national product) □ მიკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს ქვეყნის ეკონომიკის საბოლოო შედეგს.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) □ დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების ღირებულება.

მიგრაცია □ ერთი ქვეყნიდან მეორეში, ან ერთი ქვეყნის შიგნით ერთი რაიონიდან მეორეში მოსახლეობის გადასახლება.

მიზანტროპია □ კაცთმოძულეობა, ადამიანში მხოლოდ ცუდის დანახვისადმი მიდრეკილება.

მითი □ გადმოცემა, თქმულება. უძველესი ხალხური თქმულებანი სამყაროს, ბუნების შექმნისა და სიცოცხლის წარმოშობის, აგრეთვე ღმერთების შესახებ. იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: მონაჭორი, სიცრუე და სხვ.

მიკრო □ (მცირე, პაწაწა). რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი: აღნიშნავს: 1. ძალიან პატარას, წვრილს, მაგ., მიკროორგანიზმი. 2. ეკონომიკაში მიკრო სტრუქტურა დაბალი დონის სტრუქტურებს ეწოდება.

მიკროეკონომიკა (microeconomics) – ეკონომიკური მეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის: დარგების, ფორმების, შიდამეურნეობის და სხვათა ეკონომიკური ერთეულის ქმედებას ბაზარზე, რის შედეგადაც კონკრეტული საქონლის, მომსახურებაზე, აგრეთვე წარმოების ფაქტორებზე ფორმირდება ფასი.

მიკრონი – მილიმეტრის მეათასედი, მეტრის მემილიონედი.

მინდობილობა (powev of attormey/procuration) – პირის მიერ მეორე პირისათვის წერილობითი სახით გაცემული უფლებამოსილება, რათა ამ უკანასკნელმა მისი სახელით შეასრულოს მინდობილობაში აღნიშნული ქმედებანი.

მინიატურა – შემცირებული სიდიდის ფერწერული საგანი. გავრცელებული გაგებით მინი ძალიან პატარას, მცირეს ნიშნავს.

მინორატი – მემკვიდრეობის ფეოდალური წესი, რომლის მიხედ-ვითაც ქონება მთლიანად გადადის ოჯახის უმცროს წევრზე. ხშირად მემკვიდრეობით ქონებას უწოდებენ.

მინუსი – გამოკლების ან უარყოფითი სიდიდის ნიშანი. ზოგჯერ დანაკლისს უწოდებენ.

მირაჟი – მცდარი თვალთახედვა. ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენა, რომელიც სინათლის სხივის ზემოქმედებით საგნებს გარდაქმნილი ფორმით ასახავს.

მისია – (ლათ. გაგზავნა). სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც სხვა სახელმწიფოში იგზავნება რაიმე დავალებით.

მისტიკა – ზებუნებრივი საოცრების რწმენა. ადამიანი, რომელსაც საოცრებისა და ზებუნებრივი ძალების სჯერა.

მიწოდება – გამყიდველის სურვილი და შესაძლებლობა ბაზარზე გასაყიდად გაიტანოს საქონელი.

მობილიზაცია – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს შექმნილი სამობილიზაციო რესურსებისა და რეზერვების, საომარი ან/და საგანგებო მდგომარეობის საჭიროებისათვის გამოყენებას (მობილიზაცია შეიძლება იყოს როგორც საერთო, ისე ნაწილობრივი).

მოგება – საქონლისა და მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გადამეტება ამ საქონლის წარმოებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებზე.

მოგება ბუღალტრული – მოგება სამეწარმეო საქმიანობიდან, რომელიც გაანგარიშებულია ბუღალტერული დოკუმენტებით, თვით მეწარმის მიერ დოკუმენტურად დაუფიქსირებელი დანახარჯების გაუთვალისწინებლად, მათ რიცხვში ხელიდან გაშვებული სარგებლიანობაც.

მოგება საბალანსო (book profit) – გარკვეული პერიოდის განმავლობაში საწარმოს, ყველა წარმოებრივი და არასაწარმოებრივი საქმიანობიდან მიღებული და მის საბუღალტრო წიგნში დაფიქსირებული მოგება.

მოგება წმინდა – დარჩენილი მოგება, რომელიც ფირმის განკარგულებაში გადასახადების, ანარიცხების აუცილებელი გადასახდელების გადახდის შემდეგ რჩება.

მოგების გადასახადი – იურიდიული პირი საშემოსავლო გადასახადი არსებობს საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაში. დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება – სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვის თანხებს შორის.

მოგების მარჟა (profit margin) – არის ფირმის რენტაბელობა, რომელიც მოგებისა და შემოსავლების თანაფარდობით

განისაზღვრება. არსებობს მოგების მარჟის სამი მახასიათებელი: საოპერაციო მოგების, გადასახადის გადახდამდე მიღებული მოგებისა და სუფთა მოგების მარჟა.

მოდერნი – (ფრანგ. უახლესი, თანამედროვე). ისეთ საქონელს უწოდებენ, რომელსაც თანამედროვე იერსახე და ხარისხობრივი მაჩვენებლები აქვს.

მოდიფიკაცია – განახლება, სახეცვლილება.

მოდუსი – რისამე ნორმა. მაგალითად, ხელისუფლების ორგანოებში წარმომადგენლობის ნორმა.

მოზაიკა – სხვადასხვა ფერის ბუნებრივი საშენი და მოსაპირკეთებელი მასალების ფხვნილისაგან დამზადებული ცემენტის ნაზავით მოპირკეთებული იატაკი ან კედლები.

მონეტა – ლითონის ფულის ნიშანი, სხვადასხვა ლითონისაგან მოჭრილი ფული, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება.

მონეტარიზმი – ფულის მიმოქცევაში რაოდენობრივი თეორია, რომლის მიხედვით განსაზღვრავენ ბრუნვაში მოქცეული ფულის რაოდენობის გავლენას ფასების დონეზე. რაც უფრო მეტად ბრუნავს ფული მით ძლიერია ეკონომიკა. განამტკიცებს მიმოქცევაში მყოფი ფულის ზრდისა და ფასების დონის დინამიკაში არსებულ პროპორციულობას.

მონეტური პარიტეტი (ლათ. Paritas, paritatis-ტოლობა) – ორი ქვეყნის ფულის ერთეული ოქროსა და ვერცხლის შემცველობის თანაფარდობით, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ დადგინდეს თითოეული მათგანის საცვლელი კურსი მეორეს მიმართ.

მონიტორი – ოპერაციული სისტემის სამართავი პროგრამის ნაწილი, რომელიც ახორციელებს გამოსათვლელი პროცესის ერთ-ერთი ფაზის მართვას ელექტროგამომთვლელ მანქანებზე.

მონიტორინგი – ობიექტის შესასწავლად სპეციალურად ორგანიზებული სისტემურ დაკვირვებათა კომპლექსი.

მონოპოლია – რისამე წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება, რაც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა ჯგუფს ან სახელმწიფოს.

მონოპსონია – საბაზრო სტრუქტურის სახეობა, რომლის დროსაც არსებობს გარკვეული საქონლის ერთადერთი მყიდველის მონოპოლია, რომელიც ზღუდავს თავის შესყიდვებს. საბოლოოდ უზრუნველყოფს მყიდველის უპირატესობასა და მონოპოლიურ მოგებას.

მონსტრი – მახინჯი, საოცარი, ურჩხული.

მონტაჟი – მანქანის, კონსტრუქციების ან კომუნიკაციების აწყობა და დადგმა. წარმოებს პროექტების, გეგმების, ნახაზების მიხედვით. მანქანების ამწყობსა და დამდგმელს მემონტაჟე ჰქვია.

მორალი – ზნეობა. ზნეობრივი ყოფაქცევის წესი, რომელიც გარკვეული ნორმების დაცვით განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას საზოგადოების ან სხვა ადამაინების მიმართ. მორალი კულტურისა და იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა.

მორატორიუმი (moratorion) – რაიმე მიზეზთა გამო ეკონომიკური, საწარმოო-სამეცნიერო პროცესის განსაზღვრული დროით შეჩერება.

მოტორი – ლათინურად ამძრავს ნიშნავს.

მოციონი – მოძრაობა, სეირნობა, სიარული.

მულტი – (ლათ. მრავალი). რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი. ნიშნავს მრავალჯერობას. მაგალითად, მულტიმილიონერი, მულტიპლიკაცია და სხვ.

მულტიმილიონერი – პიროვნება, რომელიც მრავალ მილიონად შეფასებულ ქონებას ფლობს. მილიარდერი.

მულტიპლიკაცია – ცალკეული ნახატების გადაღების ჩვენებისას, დახატული პერსონაჟები მოძრაობაში მოდიან და კინოკადრის შთაბეჭდილებას ქმნიან.

მუნიციპალიტეტი – ქალაქის ან სოფლის ადგილობრივი არჩევითი თვითმართველობის ორგანო.

მუსკატი – ყურძნის სურნელოვანი ჯიში, რომლისაგანაც ამავე სახელწოდების ღვინო მზადდება. რეალიზდება შემოაქვს შემოსავალი.

მუსლინი – აბრეშუმის ან ბამბის თხელი, მსუბუქი ქსოვილი, რეალიზაციის შედეგად მომგებიანია.

მწარმოებელი – საწარმო, ორგანიზაცია, კომპანია, პიროვნება, რომლებიც აწარმოებენ, ამზადებენ პროდუქციას, საქონელს, ეწევიან მომსახურებას.

მწარმოებლურობა – წარმოების ეფექტურობის მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს პროდუქციის გამოშვებას გამოყენებული რესურსების, წარმოების ფაქტორების ერთ ერთეულზე გაანგარიშებით.

ნ

ნავიგაცია – ნაოსნობა, ზღვაოსნობა. ფართო გაგებით იხმარება საზღვაო-სატრანსპორტო და საწვრთნო-სანაოსნო კავშირების აღსანიშნავად.

ნაკადი ფულის, საქონლის – ფულის ან საქონლის მასა, რომელიც ბრუნავს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ნაკადური წარმოება – მსხვილმაშტაბური წარმოება, სადაც პროდუქციის გამოშვება ხორციელდება „ნაკადზე“ (ნაკადურად).

ნამდვილი ბაზარი – ბაზარი სადაც დილერს შეუძლია ოპერაციების წარმოება საკმაოდ დიდ თანხაზე, აგრეთვე, სადაც ხდება ფასების კოტირება გაყიდვათა მნიშვნელოვან მოცულობებზე.

ნანსუკი □ ბამბის თხელი, თეთრი ქსოვილი, რომლისაგანაც თეთრეულს ამზადებენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე შემოჰქონდათ ინდიელებს და ვაჭრობდნენ სოფ. ხანში, (ბაღდათის რაიონი ყოფილი მაიაკოვსკი).

ნარკოტიკი □ (ბერძ. გამაბრუებელი). მცენარეული წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება, რომელიც მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, იწვევს დროებით ძილს და აყუჩებს ტკივილს.

ნატურა □ ბუნება, ობიექტური რეალობა. ხშირად ადამიანის ხასიათის, ტემპერამენტის დასახასიათებლადაც გამოიყენება. სავაჭრო ურთიერთობაში იხმარება ისეთი პროდუქტების აღსანიშნავად, რომლებიც უშუალოდ ბუნების ნაყოფია.

ნატურალიზაცია □ სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად. სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება.

ნატურალური მეურნეობა □ მეურნეობის სახეობა, როდესაც მწარმოებელი ამზადებს იმ პროდუქციას, რომელიც მხოლოდ მას სჭირდება. სასაქონლო მეურნეობის ანტიპოდი.

ნაფთალინი □ (ბერძ. ნავთობი). ნავთობისაგან მიღებული მაღალმოლეკულური სპირტი. იგი მყარი კრისტალური წყობის თეთრი ფერის ნივთიერებაა, რომელიც ქვანახშირის ფისისაგან მიიღება, აქვს მკვეთრი სუნი.

ნაღდი ანგარიშწორება □ მყიდველის მიერ საქონლისა და მომსახურების გაყიდვისთანავე ფულით განაღდება ან გამყიდველის მიერ დოკუმენტების გადაცემა მყიდველისათვის ამ საქონლის მისაღებად.

ნაღდი საქონელი □ ფაქტობრივად გამყიდველთან რეალურად არსებული საქონელი, რომელიც შეიძლება მყიდველს

მიეწოდოს, გადაეცეს ნაღდად გადახდის დროს, დაუყოვნებლივ ან შეთანხმებულ ვადაში.

ნაღდი ფული, სახსრები – ფულადი სახსრები თავდაპირველი ფომით ქაღალდის ფულისა და მონეტების, ფულადი ნიშნების სახით, საწარმოს ფულადი სახსრების გარდამავალი ნაშთი – დასახარჯავად გამიზნული, მაგრამ დაუხარჯავი ფინანსური სახსრები.

ნაღდი შემოსავალი – პირადი შემოსავლის ნაწილი, რომელიც რჩება ინდივიდუალური გადასახადების (საშემოსავლოს) გამოკლების შემდეგ; შეჯამებული ფულადი შემოსავალი, რომელსაც მოსახლეობა განაგებს, იყენებს მას თავის შეხედულებისამებრ, ნაღდ შემოსავალს მათ განკარგულებაში არსებულ შემოსავალსაც უწოდებენ.

ნაშთი თავისუფალი – თანხა ბირჟის კლიენტის ცალკეულ საბროკერო ანგარიშზე, რომლის გამოყენება ახალი კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვისათვის ან ანგარიშიდან მოსახსნელად შეიძლება.

ნაშთი მარგინალური (ზღვრული) – ამონაგები გაყიდვიდან, გარკვეული ან მთლიანი დანახარჯების გამოკლებით.

ნაცია – ქართულად ერს ნიშნავს. ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მყარი ერთობა, რომელიც აღმოცენდება ერთი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრების, ფსიქოლოგიური წყობის, ზნეობრივი ტრადიციებისა და რელიგიური რწმენის ერთობლიობის ბაზაზე.

ნაციონალიზაცია (ინგ. Nationaslisation) – კერძო პირების ქონების გასხვისება ან უსასყიდლოდ გადაცემა სახელმწიფო საკუთრებაში.

ნაწარმი კუსტარული – საოჯახო მეურნეობაში ხელის შრომით (და არა საქარხნო წესით) დამზადებული ნაწარმი.

ნეგატივი – უარყოფითი. ფოტოგრაფიაში – საგნის შებრუნებული გამოსახულება ფირზე ან ფირფიტაზე, სადაც სინათლე

და ჩრდილი განაწილებულია სინამდვილის საწინააღ-
მდეგოდ.

ნეგოციანტი □ დიდი ვაჭარი, რომელიც ბითუმად ვაჭრობს, უპირატესად უცხო ქვეყნებთან, სოვდაგარი.

ნევროზი □ ნევრული სისტემის ფუნქციური მოშლა, რომელიც ყალიბდება ადამიანში ფსიქიკური რეაქციის სახით.

ნეიტრალური □ იხმარება ისეთი პირის მიმართ, რომელიც რაიმე დავაში არ მონაწილეობს.

ნეკროლოგი □ იხმარება ისეთი სტატიის სახელწოდებად, რომე-
ლიც შეიცავს ცნობებს გარდაცვლილის ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ.

ნეპტუნი □ რომაულ მითოლოგიაში ზღვის ღმერთი. ბერძნულ მითოლოგიაში მისი შესატყვისი პოსეიდონია.

ნეტო □ (იტალ. წმინდა). იხმარება საქონლის წმინდა წონის (შეუფუთავად, უჭურჭლოდ) აღსანიშნავად (საპირისპირო ბრუტო), ე.ი. შესაფუთი მასალის წონის გარეშე. გავრცელებულია აგრეთვე ყოველგვარი დაქვითვების შემდეგ დარჩენილი შემოსავლის (ხელფასის) აღსანიშნა-
ვად (საპირისპირო ბრუტო).

ნექტარი □ ბერძენულ მითოლოფიაში ღმერთების სასმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ სიახალგაზრდესა და სილამაზეს ანიჭებეს.

ნიგროლი □ გაუწმენდავი ზეთის სახეობა, რომელიც ნავთობი-
საგან მიიღება და შიდაწვის ძრავების შესაზეთად გამოიყენება.

ნიტრატები □ აზოტმჟავას მარილები, რომლებიც ბოლო დროს დიდი რაოდენობით გროვდება ხილის ნაყოფსა და ბოსტნეულში, ითვლება ადამიანის ორგანიზმისათვის არასასარგებლო ნივთიერებებად და ამცირებს ამ პროდუქტების კვებით ღირებულებას.

ნიტროგლიცერინი – ორგანული ნაერთი, გამჭვირვალე ზეთოვანი სითხე მოტკბო გემოთი, ძლიერი შხამი მიიღება გლიცერინში აზოტისა და გოგირდმჟავას ნარევით. ფეთქებადია.

ნიუ – ხელოვნებაში: შიშველი სხეულის გამოსახულება.

ნიუანსი – ოდნავ შესამჩნევი, გარდამავალი ფერი, რისამე ელფერი, შეფერილობა.

ნიშადური – თეთრი კრისტალური ნივთიერება (ამონიუმ-ქლორიდი).

ნიჰილიზმი – (ლათ. nihil არაფერი). ყველაფრის ხელაღებით უარყოფა, საყოველთაოდ აღიარებული ნორმების მიუღებლობა.

ნოვატორი – (ლათ. novator განმაახლებელი). სიახლის დამნერგავი პიროვნება.

ნოვაცია – (ლათ. განახლება, ცვლილება). ორ მხარეს შორის შეთანხმების საფუძველზე, ნაკისრ ვალდებულებათა შეცვლა.

ნოკაუტი – კრივში ისეთი მდგომარეობა, როდესაც მოწინააღმდეგის დარტყმისაგან მოკრივე ძირს არის დავარდნილი და 10 წამის განმავლობაში ვერ დგება ბრძოლის გასაგრძელებლად და ითვლება დამარცხებულად.

ნომინალი – დადგენილი, დაფიქსირებული ფასი.

ნომინალური მფლობელობის ანგარიში – ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიში;

ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიში – ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალის ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიში, რომელიც გამოიყენება, კანონმდებლობისა და ხელშეკრულების/სანოტარო აქტის საფუძველზე, მისი კლიენტის (კლიენტების) ან/და რეგისტრირებული მესაკუთრის (მესაკუთრეების) ნომინალურ

მფლობელობაში გადაცემული ფულადი სახსრების ერთობლივად აღსარიცხავად;

ნონსენსი – უაზრობა, შეუსაბამობა, სისულელე.

ნორმა – დაკანონებული წესი, ნიმუში, საზომი, ადამიანთა ყოფაქცევის გარკვეული წესი.

ნორმატიული აქტი – უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ზოგად წესს და შესასრულებლად სავალდებულოა.

ნოტა – ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიერ მეორის მიმართ ოფიციალური დიპლომატიური წერილობითი დიპლომატიური მიმართვა.

ნოტარიუსი – (ლათ. მწერალი, მდივანი, გადამწერი). თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაში შედის სხვადასხვა იურიდიული აქტის წერილობით გაფორმება.

ნოტისი – გემის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის მზადყოფნის წერილობითი შეტყობინება.

ნოტიფიკაცია – (ლათ. ვაცხადებ, ვაუწყებ). 1. საერთაშორისო სამართალში: ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის რისამე შეტყობინება ნოტის საშუალებით. 2. (ფინანს.) თამასუქის ამღების მიერ, თამასუქის გამცემისათვის შეტყობინება თამასუქის გაპროტესტების შესახებ.

ნოუ-ჰაუ (know how) – სამეცნიერო ტექნიკური, კომერციული და სხვა სახის ცოდნის ერთობლიობა, წარმოების ორგანიზაციისათვის საჭირო რჩევები, საწარმოო და მმართველობითი გამოცდილება გაფორმებული დოკუმენტის სახით, მაგრამ არა დაპატენტებული.

ნუვორიში □ ახლად გამდიდრებული. სპეკულაციის გზით გამდიდრებული ადამიანი.

ნულიფიკაცია □ სახელმწიფოს მიერ გაუფასურებული ეროვნული ფულის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ნუმიზმატიკა □ ფულის ნიშნების (მონეტების) და სხვადასხვა სახის მედლების, ორდენებისა და მისთანათა შემსწავლელი დისციპლინა.

ო

ოაზისი □ უდაბნოში ისეთი ადგილი, სადაც წყალია და მცენარეულობა ხარობს. ხშირად ხმარობენ ისეთი მოვლენის ან ადგილის დასახასიათებლად, რომელიც სასიხარულო გამონაკლისს წარმოადგენს.

ობელისკი □ ძველ ეგვიპტეში უწოდებდნენ ისეთ მონუმენტურ ბოძისმაგვარ ნაგებობას, რომელსაც თლილი ქვის დაკუთხული გვერდები აქვს და ზევითკენ თანდათანობით გაწვრილებულია. ფართოდ გამოიყენება მემორიალურ და დეკორატიულ არქიტექტურაში.

ობერი □ (გერმ, მთავარი, უფროსი). მაგალითად, ობერკონდუქტორი, ე.ი. მთავარი კონდუქტორი.

ობიექტი □ გარემატერიალური სამყაროს შემადგენელი ნაწილი, ადამიანის შემეცნებისა და ზემოქმედების საგანი.

ობიექტი ეკონომიკური (ლათ. Obiectum) □ საწარმოში, ორგანიზაციებში, წარმოების საშუალებები და ფაქტორები, სოციალური სფეროს ელემენტები, რომლებიც ახასიათებენ როგორც ობიექტს,რომელშიც თავმოყრილია ან რომლისკენაც მიმართულია ეკონომიკური ინტერესებისა და ურთიერთობების გარკვეული მხარე.

ობლიგაცია (ლათინურიდან - obligatio - ვალდებულება) □ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფასიანი ქაღალდი.

ობლიგაცია დისკონტური – ობლიგაცია, რომელიც მეორეულ ბაზარზე ნომინალურზე უფრო დაბალი ფასით იყიდება.

ობლიგაცია იპოთეკური – გრძელვადიანი ობლიგაციები მყარი პროცენტით, რომელიც გამოშვებულია უძრავი ქონების უზრუნველყოფით.

ობლიგაცია კონვერტირებადი – ობლიგაციები, რომლებიც შეიძლება გაიცვალოს მათი კომპანიის მიერ გამოშვებულ სხვა ფასიან ქაღალდებზე, პირველ რიგში, აქციებზე.

ობლიგაცია მუდმივი – დაფარვის თარიღის გარეშე.

ობსკურანტიზმი – მეცნიერებისა და სწავლა-განათლებისადმი მტრული დამოკიდებულება, ახლისა და მოწინავის უარყოფა. საერთოდ, ბნელეთის მოციქულობის სინონიმია.

ობსტრუქცია – პროტესტის გამოცხადების ფორმა, რაიმე ღონისძიების (შეთანხმების, ხელშეკრულების) აშკარა საწინააღმდეგო მოქმედება.

ოვაცია – აღტაცება, თანხმობისა და მისალმების კოლექტიური გამოხმაურება, მქუხარე ტაში და სხვ.

ოვერდრაფტი – მოკლევადიანი სესხი, რომელსაც ბანკი, როგორც წესი, საიმედო კლიენტებს აძლევს გარკვეული სასესხო პროცენტის ფარგლებში.

ოვერტაიმი – გემის დატვირთვა-განტვირთვა ზეგანაკვეთურ დროში, ე.ი. მოცემული პორტისთვის არასამუშაო დროს, კვირას, საზეიმო დღეებში, შესვენების დროს. ანაზღაურდება ბაზისურზე მაღალი სატარიფო განაკვეთებით.

ოკეანე – უსაზღვრო, უკიდეგანო ზღვა.

ოკუპაცია – სხვისი ტერიტორიის დაპყრობა სამხედრო ძალით.

ოლიგარქია – მსხვილი მონოპოლისტური კაპიტალის მცირერიცხოვანი წარმომადგენლების პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობა.

ოლიგოპოლია – ისეთი საბაზრო სტრუქტურა, როდესაც რამდენიმე ფირმას აქვს პროდუქციის ძირითადი მასის წარმოებისა და გასაღების მონოპოლია.

ოლიგოპსონია – ბაზარზე შექმნილი სიტუაცია, როდესაც შეზღუდული რაოდენობის მყიდველებს უპირისპირდება გამყიდველთა დიდი რაოდენობა.

ომოლოგაცია – ბაზრის მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის შემოწმება, ბაზრის მდგომარეობის ანალიზი და შეფასება. პროდუქციის შეფასება ხდება მისი ძირითადი პარამეტრების – ხარისხის, ფასის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და ა. შ. მიხედვით.

ონლაინი – ინტერნეტ ქსელში ჩართული.

ოპეკი – ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია, რომელშიც შედის აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ძირითადი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები.

ოპერატიული მართვა – ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა საშუალებით მინიმალური დანახარჯებით ვიღებთ მაქსიმალურ ეფექტს.

ოპერაცია – საფინანსო, სავაჭრო და მისთ. გარიგება.

ოპერაცია „აუთრაიტი“ (ინგლ. Outright) – სავალუტო ოპერაცია, რომელიც პრემიას და დისკონტს მოიცავს, რომლის დროსაც ვალუტის გაცვლითი კურსი წინასწარაა განპირობებული.

ოპოზიცია – ვისამე ან რისამე წინააღმდეგ მოქმედება, სხვისი იდეებისა და აზრების მიმართ წინააღმდეგობა, ურთიერთდაპირისპირება.

ოპტიმიზმი - მომავლის რწმენა, იმედიანობა. საპირისპიროა პესიმიზმი.

ოპტიმუმი – ყველაზე საუკეთესო. ყველაზე ხელსაყრელი პირობების ერთობლიობა.

ოპციონი (option) □ კონტრაქტი, რომელიც კონტრაგენტს აძლევს უფლებას, მაგრამ არ ავალდებულებს იყიდოს (ოპტიონი კოლი) ან გაყიდოს (ოპტიონი პუტი) კონკრეტული აქტივი წინასწარ დადგენილ დღეს და დადგენილ ფასად (ფასი სტრაიკ). საბაზო აქტივის ყიდვა/გაყიდვის უფლებისთვის პირს, რომელიც ყიდის ოპტიონს, მეორე მხარე უხდის პრემიას.

ორგანიზაცია □ 1. რაიმეს მოწყობა, გაერთიანება, შეთანაწყობა. 2. ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან ერთიანი პროგრამით, მიზნით ან ამოცანით.

ორდერი □ წერილობითი განკარგულება, ბრძანება ან მითითება, საბუთი, რომელიც რისამე ნებართვას, რისამე მიღების უფლებას იძლევა. მაგალითად, საკასო ორდერი-საგა-დამხდელო ბრძანება.

ორთოდოქსია □ რომელიმე დარგში გარკვეული პრინციპებისა და დებულებების განუხრელი დაცვა.

ორიგინალი □ თავდაპირველი, დედანი, რომელიც ყველა სხვა მსგავსისაგან გამოირჩევა.

ორკესტრი □ 1. კოლექტივი, სხვადასხვა ინსტრუმენტის დამკვრელი მუსიკოსებისა, რომლებიც ერთად ასრულებენ მუსიკალურ ნაწარმოებებს. 2. ადგილი, სადაც ორკესტრი თავსდება.

ორნამენტი □ ფერწერული, გრაფიკული ან სკულპტურული მხატვრული სამკაული, რომელიც შედგება გეომეტრიული ფიგურების ანდა სტილიზებული ცხოველების, მცენარეების გამოსახულებისგან; ჩუქურთმა.

ოფერტა (ლათ. offertus - შეთავაზებული) □ ერთი პიროვნების (ოფერტის) წერილობითი ან სიტყვიერი წინადადების მიცემა მეორე პიროვნებისათვის (აქცეპტანტისათვის), რომელიც მასთან ხელშეკრულების დადების სურვილის შესახებ შეტყობინებას მოიცავს. თუ ოფერტა მიღებულია

(აქცეპტებულია), აქცეპტანტი მოვალეა წერილობით შეატყობინოს ოფერენტს, მაშინ მხარეთა შეთანხმება ოფიციალურ ძალას იძენს და მოქმედებას იწყებს.

ოფერტი თავისუფალი – ოფერტა, რომელიც ეძლევა (მიეცემა) რამდენიმე მყიდველს და გამოიყენება გამყიდველის მიერ ბაზრის წინასწარი შესწავლისათვის.

ოფერტი მყარი – ოფერტა, რომელიც ეძლევა (მიეცემა) გამყიდველის მიერ ერთ შესაძლო, პოტენციურ მყიდველს, მითითებული ვალით, რომლის განმავლობაშიც გამყიდველი გაყიდვის ვალდებულებით დაკავშირებულ გარიგებაზე დასრულებულად ითვლება, თუ ამ ვადის განმავლობაში მყიდველის აქცეპტი მიიღება.

ოფისი – შენობა (სათავსი), სადაც განლაგებულია მართვის აპარატი, კანტორა, უწყება, სამმართველო.

ოფსაიდი – თამაშგარე მდგომარეობა. ჩვეულებრივ, ფეხბურთის თამაშის დროს აღინიშნება. გამოიყენება საბირჟო ტერმინოლოგიაში.

ოფშორი (offshore) – ფინანსური ცენტრი, რომელიც განლაგების ქვეყნებში რეგისტრირებული უცხოური კომპანიებისთვის სპეციალური და სხვა შეღავათების მიცემის გზით უცხოურ კაპიტალს მიიზიდავს.

ოფშორული კომპანიები – ქვეყნის ოფშორულ ცენტრებში რეგისტრირებული უცხოური კომპანიები, რომელთაც განსაკუთრებული შეღავათი ეძლევათ.

ოფციონი (ლათ.optio - არჩევა,სურვილი, არჩევის ნება) – არჩევის უფლება, რომელიც მიიღება გარკვეული გასამრჯელოთი. ტერმინი ხშირად იხმარება შემდეგი მნიშვნელობით: ა) მოლაპარაკების ერთ-ერთი მხარისათვის, მოლაპარაკების პირობების თანახმად, მინიჭებული უფლება, ამოირჩიოს მის მიერ მიღებული მოვალეობის შესრულების წესები, ფორმები, მოცულობა ან თვით

უარის თქმაც ვალდებულების შესრულებაზე ხელშეკ-
რულებით განპირობებულ გარემოებათა წარმოშობისას.
ბ) შეთანხმება, რომელიც ბირჟაზე ყიდვა-გაყიდვის
გარიგების მონაწილე ერთ-ერთ მხარეს აძლევს ხელშეკ-
რულების ალტერნატიულ (ვარიანტების) პირობებს
შორის ამორჩევის უფლებას.

ოფციონი გამყიდველის – ოფციონი, რომელიც გამყიდველს
აძლევს უფლებას გარკვეული ფიუჩერსული კონტრაქტი
გაყიდოს შეთანხმებულ ფასში შექცევადი პრემიით.

ოფციონი „დაბრუნებით“ – გაყიდვის ოფციონი, რომელიც მის
მფლობელს უფლებას აძლევს ოფციონში მითითებული
საქონელი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში
მაქსიმალურად მაღალ ფასში გაყიდოს.

ოფციონი ევროპული – ოფციონი, რომელიც რეალიზაციის
უფლებას მხოლოდ მისი მოქმედების ვადის გასვლის
მომენტში იძლევა.

ოფციონი მყიდველის – ოფციონი, რომლის დროს მყიდველს
ეძლევა უფლება იყიდოს გარკვეული ფიუჩერსული
კონტრაქტი, შეთანხმებულ ფასში წინასწარი პრემიით.

ოქროს აქცია – პირობითი აქცია, შენარჩუნებული სახელმწიფო
ორგანოს ხელში, რომელიც განაგებს აქციონერულ
საზოგადოებად გარდაქმნილ პრივატიზებულ სახელმ-
წიფო საწარმოს.

ოქროს ბაზრები (gold markets) – წარმოადგენს ოქროთი ვაჭრო-
ბის, მისი გამდიდრების (ფუჭი მინარევების მოცილება)
და ზოდებად ჩამოსხმის მიზნით გაერთიანებულ
ბანკებს და სპეციალიზებულ ფირმებს, ასეთ ბაზრებზე
დაფიქსირებული ოქროს ფასი გვევლინება მსოფლიო
ფასად.

ოქროს ვალუტა – ფულის ერთეული, რომელიც უშუალოდ ოქროზე იცვლება.

ოქროს კვოტა – საერთაშორისო სავალუტო ფონდში შემავალი წევრი ქვეყნის შენატანის ნაწილი, რომლის გადახდაც ოქროთი ხდება.

ოქროს სტანდარტი – ქვეყნის ფულად და სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმა, დაფუძნებული ოქროს,როგორც ფულადი საქონლის გამოყენებაზე.

პ

პაბლიკ რილეიშნზი – საზოგადოებასთან (მომხმარებელთან) მჭიდრო კავშირის დამყარება სოციალური ინფორმაციის სპეციალური სისტემის საფუძველზე, რაც მიზნად ისახავს პროდუქციის წარმოების, რეალიზაციისა და მოხმარების მთელი პროცესის შესახებ ინფორმაციის მართვას საზოგადოების იმ წრის მოზიდვის მიზნით, რომელიც ფირმას აინტერესებს.

პაბლისიტი – პროპაგანდისტული კამპანია, რეკლამის სახელ-წოდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პაგინაცია – წიგნის ან ხელნაწერის, აკინძული საანგარიშგებო დოკუმენტაციის ან სხვა სახის წერილობითი საბუთების გვერდების ნუმერაცია.

პავილიონი – მსუბუქი კონსტრუქციის მცირე ზომის დროები-თი ნაგებობა, რომელიც, როგორც წესი, იდგმება პარკებსა და ბაღებში სხვადასხვა მიზნით: სავაჭროდ, დასასვენებლად, გამოფენისათვის და სხვ.

პაი – ფულადი შენატანის თანხა ან წილი ფირმის, კომპანიის, საზოგადოების, კოოპერატივის საერთო კაპიტალში, ცალკეული ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. პაის სიდიდეზეა დამოკიდებული შემოსავალი, დივი-

დენდი, რომელსაც ღებულობს მეპაიე და ქონების ან ფულადი სახსრების ის ნაწილი, რომელსაც ის მიიღებს კომპანიის ლიკვიდაციის დროს.

პაკჰაუზი – საბაჟოებთან ან რკინიგზის სადგურებთან, ნავსადგურებთან არსებული დახურული საწყობები, მცირე ტვირთის დროებითი შესანახი სათავსები.

პალატა – სასახლე. მიღებულია პარლამენტის ან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ნაწილის სახელწოდება.

პანამა – თანამდებობის პირთა მოსყიდვით დიდი მასშტაბის თაღლითობა, მსხვილი გაფლანგვა. ეს ტერმინი დაკავშირებულია პანამის არხის მშენებლობის დროს მომხდარ კრახთან, რომელიც ერთ-ერთ ფრანგულ კომპანიას 1889 წელს შეემთხვა.

პანაცეა – მოჩვენებითი, ყოვლის განმკურნავი უებარი საშუალება, რომელიც თითქოს ყველაფერში შეიძლება გამოიყენო და შვება იგრძნო.

პანდუსი – მცირე დაქანება, დახრილი ზედაპირი, რომელიც კიბის ნაცვლად გამოიყენება აღმა ან დაღმა სასვლელად.

პანელი – შენობის შიგნით, კედლების ქვედა ნაწილის ხის ან დეკორატიული მასალით მოპირკეთება, მოფიცვრა ან ზეთის საღებავით შეღებვა.

პანთეონი – 1. ძველ საბერძნეთსა და რომში: ტაძარი, რომელიც მიძღვნილი იყო ყველა ღმერთისათვის. 2. სასაფლაო ან აკლდამა, სადაც გამოჩენილ ადამიანებს ასაფლავებენ.

პანი – ტყისა და ჯოგის მფარველი ღმერთი, რომელიც ადამიანებს შიშს გვრიდა. გამოხატულია ადამიანი რქებითა და თხის ფეხებით. აქედან წარმოდგება გამოთქმა – პანიკური შიში.

პარადოქსი – (ბერძ. მოულოდნელი, არაჩვეულებრივი, უცნაური). აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ ცნობილი აღიარებულებისგან. ხშირად ჯანსაღი აზრის საწინააღმდეგოსაც ნიშნავს.

პარეტო – რესურსების ისეთი გადანაწილება, როდესაც ეკონომიკური აგენტების ერთი ნაწილის კეთილდღეობის ზრდა არ ამცირებს მეორე ნაწილის კეთილდღეობის დონეს. პარეტოს თეორია აღიარებულია კეთილდღეობის ახალ ეკონომიკურ თეორიად.

პარიტეტი (parity) – ტერმინი გამოიყენება ორი ან მეტი მხარის რაიმე პარამეტრის მიხედვით ურთიერთობის ტოლობის აღსანიშნავად. საფინანსო ბაზარზე იგი წარმოადგენს ოფიციალურად დამყარებულ კურსს ოქროს, აშშ დოლარის ან სესხების სპეციალური უფლების მიმართ.

პარკი – მოძრავ სატრანსპორტო საშუალებათა სადგომი და სარემონტო ადგილი. საწარმოს ტექნიკურ საშუალებათა შემადგენლობა (დაზგების, მანქანა-მოწყობილობის პარკი და სხვ.).

პარტია – ერთგვაროვანი საგნების (საქონლის) გარკვეული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია გასაგზავნად ან მისაღებად.

პარტნიორი (partner) – სამეწარმეო საზოგადოების ერთ-ერთი წევრი, რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული (წილის შესაბამისი) უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ.

პასაჟი – დახურული გალერეა, რომლის ორივე მხარეს არის მაღაზიების რიგი და გასასვლელი ორ პარალელურ ქუჩაზე გადის.

პასივი (liability) – ა) ბუღალტრული ბალანსის მარჯვენა მხარე – აღნიშნავს საწარმო საშუალებების წარმოქმნისა და დაფინანსების წყაროებს; ბ) საწარმოს ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა.

პატენტი (ლათ. Litteral patentes - სიგელი, patens - აღმოჩენა) – დოკუმენტი, მოწმობა, რომელიც გაიცემა გამომგონე-

ბელზე და ადასტურებს მის ავტორობას და განსაკუთ-
რებულ უფლებას გამოგონებაზე.

პატერნალიზმი (ლათ. paternus - მამობრივი) □ სახელმწიფოს მფარველობითი დამოკიდებულება თავისი მოქალაქეების მიმართ, ფირმებისა □ თავისი მომუშავეებისადმი, ერთი ქვეყნისა □ მეორეს მიმართ; 2. დარწმუნება იმაში, რომ სახელმწიფო, მთავრობა მოვალეა, იზრუნოს მოქალა-ქეებზე, უზრუნველყოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სახელმწიფოს ხარჯზე, მოქალაქეების კეთილდღეობაზე ზრუნვა აიღოს თავის თავზე.

პატრონი □ (ლათ. ქომაგი, დამცველი). პიროვნება, რომელიც სხვის ინტერესებს იცავს; ხშირად წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელსაც უწოდებენ.

პაუშალური თანხა □ სახელმწიფო საწარმოებს, ფიზიკურ პირებს შორის ანგარიშსწორებიდან, ვალდებულებიდან გამომ-დინარე გადასახადების საერთო თანხა. 2. საგადასახადო პრაქტიკაში □ დარიცხული გადასახადების მთლიანი თანხა მათ ცალკეულ სახეებად გაყოფის გარეშე.

პაციფიზმი □ პოლიტიკური მიმართულება, რომელიც გამოდის ყოველგვარი ომის წინააღმდეგ უარყოფს მასების რევოლუციურ მოძრაობას, თვლის, რომ შესაძლებელია საყოველთაო მშვიდობის მიღწევა ომებისა და რევო-ლუციების გარეშე.

პეკულიუმი (ლათ. საკუთრება, ქონება). □ ძველ რომში მონათ-მფლობელები, გარკვეული პირობებით, აძლევდნენ მათზე დამოკიდებულ პირებს უძრავ და მოძრავ ქონებას, დროებით სარგებლობაში, მაგრამ ინარჩუნებდნენ საკუთრების უფლებას ამ ქონებაზე.

პენი □ ფინური ხურდა ფული, უდრის მარკის ერთმეასედს.

პენია – დასჯა. ჯარიმა, რომელიც განისაზღვრება რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობის ან დადგენილი, შეთანხმებული ვადის დარღვევის შემთხვევაში.

პერგამენტი – განსაკუთრებული წესით დამუშავებული თიკნის ან ბატკნის ტყავი, რომელსაც საკრავ ინსტრუმენტებზე გადასაკრავად ხმარობენ. უძველეს დროში ქაღალდის მაგივრად იყენებდნენ საწერად.

პერიოდი – დროის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს რაიმე დასრულებულ პროცესს.

პესიმიზმი – თვალსაზრისი, რომელიც განმსჭვალულია უიმედობით, მომავლისადმი უნდობლობით, გულგატეხილობით.

პესო – ფულის ერთეული სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ზოგ ქვეყანაში.

პესტა – ფულის ერთეული ესპანეთში, უდრის 100 სენტიმოს.

პეტიცია – კოლექტიური თხოვნა, უფრო ხშირად პეტიციებით ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს მიმართავენ.

პიასტრი – წვრილი ფულის ერთეული ახლო აღმოსავლეთისა და ინდოჩინეთის ზოგიერთ ქვეყანაში.

პიკეტი – მცირე საყარაულო რაზმი.

პიკნიკი – ქალაქგარეთ მეგობრული გასეირნება საჭმელ-სასმელით.

პიკული – წონის ერთეული ჩინეთსა და სინგაპურში, უდრის დაახლოებით 60-64 კილოგრამს.

პირგასამტეხლო (forleit) – მხარეთა შეთანხმებით, განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

პირველადი კაპიტალი – არის ჩვეულებრივი აქციები, უვადო პრივილეგირებული აქციები, გაუნაწილებელი მოგება, სავალდებულო რეზერვები, აქციებში კონვერტირებადი

სავალო ვალდებულებები, სესხებზე შესაძლო დანაკარგებისაგან ზარალის საკონპენსაციო რეზერვები და შვილობილ კომპანიებში კონსოლიდირებული აქციების ცალკეული პაკეტი.

პირველადი რეზერვები □ იქმნება საბანკო ლიკვიდურობის უზრუნველყოფისათვის და იგი აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებისგან □ სალარო და საკორესპონდენტო ანგარიშების ნაშთებისაგან შედგება.

პირი □ ფიზიკური ან იურიდიული პირი, საქართველოს სამოქა-ლაქო კოდექსის შესაბამისად, საწარმო ან ორგანიზაცია □ საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

პირი ფიზიკური (natural person, physical person) □ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ყოველი მოქალაქე განიხილება, როგორც სამოქალაქო უფლების სუბიექტი. ფიზიკურ პირად გვევლინება კონკრეტული ქვეყნის მოქალაქე, ქვეყანაში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი. ფიზიკური პირი არის უფლებაუნარიანი და ქმედუნარიანი.

პლატფორმა □ 1. რკინიგზის სადგურში ლიანდაგის გასწვრივ შემაღლებულ ადგილას მოწყობილი ბაქანი. 2. საზოგადოებრივ ურთიერთობებში გარკვეული პარტიის სამოქმედო პროგრამა.

პლეადა □ რომელიმე დარგის ერთი ეპოქის გამოჩენილ პირთა ჯგუფი, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ამოცანებით, საერთო შეხედულებებითა და მსოფლმხედველობით.

პლისე □ ქსოვილზე (კაბაზე, საყელოზე და სხვ.) სპეციალური მანქანით ან უთოთი გამოყვანილი წვრილი, ერთმანეთზე მილაგებული ნაკეცები.

პლისი □ ძველებური ხავერდისნაირი ქსოვილი ბამბისა.

პლურალიზმი □ 1. *ფილოს.* იდეალისტური მოძღვრება, რომელიც უარყოფს სამყაროს ერთიანობას და ამტიცებს, რომ მას საფუძვლად უდევს მრავალი ერთმანეთთან დაუკავშირებელი სულიერი არსი. 2. *პოლიტ.* სახელმწიფოს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა.

პოდიუმი □ ბირჟების საოპერაციო დარბაზში ამაღლებული ადგილი, ბაქანი, სადაც ვაჭრობის წამყვანი დგას.

პოლიგლოტი □ ენების მცოდნე.

პორტი □ ნავსადგური. საჰაერო პ. იგივეა, რაც აეროპორტი.

პორტფელი □ 1. ოთხკუთხი ჩანთა (საკეტიანი და სახელურიანი) საქმიანი ქაღალდების, წიგნების, რვეულების სატარებ-ლად. 2. მინისტრის პორტფელი □ მინისტრის თანამდე-ბობა. რედაქციის (ან სარედაქციო) პორტფელი □ რედაქ-ციის, გამომცემლობის მიერ გამოსაცემად მიღებულ ხელნაწერთა ერთობლიობა.

პორტი-ფრანკო (free port) □ ქალაქი, სადაც ნებადართულია უცხოური საქონლის შეტანა/გატანა.

პორტო □ საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები, რომლებიც კლიენ-ტმა უნდა დაფაროს.

პორტშეზი □ მსუბუქი, ადვილად გადასატანი სავარძელი.

პოსეიდონი □ ზღვის ღმერთი (რომაულ მითოლოგიაში მას შეესაბამება ნეპტუნი).

პოსესია □ მიწის არენდით მფლობელობა.

პოსტერი □ ნაბეჭდი ტიპის სხვადასხვა ზომის მქონე ნაწარმი, რომელიც შექმნილია კედელზე დასამაგრებლად. როგორც წესი, პოსტერები შეიცავს როგორც ტექსტურ, ასევე გრაფიკულ ელემენტებს.

პოსტი □ 1. საგუშაგო, სადარაჯო პუნქტი, საიდანაც უთვალ-თვალებენ ან იცავენ რასმე (ვისმე). 2. პირი ან ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დაყენებულია გარკვეულ ადგილას

რისამე დასაცავად ან სათვალთვალოდ. 3. საპასუხის-მგებლო თანამდებობა.

პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება □ სიტყვასიტყვით საზოგა-დოება, რომელიც იქმნება ინდუსტრიული საზოგადოების შემდეგ; დასავლეთის სოციოლოგიაში ფართოდ გავრცელებული ტერმინი თანამედროვე საზოგადოების აღსანიშნავად. პ.ს.-ის კონცეფციის შემუშავებაზე არსე-ბითი თეორიული ზეგავლენა მოახდინა ინდუსტრიული საზოგადოების თეორიებმა (განსაკუთრებით რ. არონისა და უ. როსტოუს კონცეფციებმა). პ.ს-ის კონცეფცია შეიმუშავა ამერიკელმა სოციოლოგმა დ. ბელმა. მისი გამოჩენილი წარმომაგენლები არიან აგრეთვე გ. კანი, ზ. ბჟეზინსკი, ა. ტოფლერი (აშშ) ჟ. ფურასტიე და ა. ტურენი (საფრანგეთი). ზოგადი კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო ისტორია იყოფა ინდუსტრიამდელ (აგრა-რულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგა-დოებებად. ასეთ დაყოფას საფუძვლად უდევს წარმოე-ბის ტექნიკური დონე და შრომის დარგობრივი და პროფესიული დანაწილება. ინდუსტრიამდელ საზოგა-დოებაში განმსაზღვრელი იყო სოფლის მეურნეობის სფერო ეკლესიითა და არმიით, როგორც საზოგადოების მთავარი ინსტიტუტებით; ინდუსტრიულ საზოგადოებაში □ მრეწველობა, კორპორაციითა და ფირმით სათავეში; ხოლო პოსტინდუსტრიულში □ თეორიული ცოდნა უნივერსიტეტით, როგორც მისი წარმოებისა და თავმოყრის ადგილით. მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი როლი საზოგადოებაში განაპირობებს არსებით ცვლილებებას საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში.

პოსტსკრიპტუმი □ დაწერილის შემდეგ მინაწერი წერილის ბოლოს, ხელმოწერის შემდეგ; ჩვეულებრივ აღნიშნავენ ასოებით P. S.

პოსტულატი (postulatum-მტკიცება), რომელიც აღიარებულია რაიმე თეორიის ამოსავალ დებულებად, დასაბუთების გარეშე.

პრაგმატიზმი □ 1. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა (და არა ობიექტურ ჭეშმარიტებას); განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებშია გავრცელებული. 2. ერთგვარი მიმართულება ისტორიის მეცნიერებაში; იფარგლება ამბების გადმოცემით და არ ხსნის ისტორიული განვითარების ობიექტურ კანონებს.

პრაიმ-რეიტი (ინგლ. primate- rate პირველადი განაკვეთი) □ აშშ კომერციული ბანკების მოკლევადიანი უგარანტიო კრედიტის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ეძლევა მუდმივ, საიმედო კლიენტებს, „პირველი კლასის“ მსესხებლებს მინიმალური საპროცენტო განაკვეთით, საიდანაც იწყება სხვა განაკვეთის ათვლა.

პრაქტიკა □ 1. ადამიანთა მოქმედება, რომლითაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ობიექტურ, მატერიალურ სამყაროზე და გარდაქმნიან მას. 2. სტუდენტის, მოსწავლის და სხვ. მიერ თეორიული ცოდნის გამოყენება და საქმეში განმტკიცება, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილი. მაგ., სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა. საწარმოო პრაქტიკა. 3. გამოცდილება, დახელოვნება რაიმე საქმიანობაში.

პრეამბულა □ რაიმე მნიშვნელოვანი აქტის, საერთაშორისო შეთანხმების, ხელშეკრულების შესავალი ნაწილი.

პრევენცია (prevention) □ წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცილებლად.

პრეზენტანტი □ praesentans (praesentantis) წარმდგენი, წარმომდგენი (მაგ., თამასუქისა).

პრეზენტაცია □ წარდგენა, წარმოდგენა.

პრეზუმფცია (prezumption) □ რაიმე ფაქტის სარწმუნოდ აღიარება, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა.

პრეისკურანტი (ფრანგ. Prix - ფასი და curant მიმდინარე) პროდუქციაზე, საქონელზე, მომსახურების ფასების კრებული, ცნობარი.

პრემია □ 1. ფულადი ან ნივთიერი ჯილდო რაიმე დარგში წარმატებისათვის, დამსახურებისათვის. 2. მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დამატებითი ფულადი ანაზღაურება (ხელფასს ზევით) საწარმოო ნორმების გადაჭარბებისათვის. 3. *ფინანს.* განსხვავება ფასიანი ქაღალდის საბირჟო და ნომინალურ ღირებულებას შორის.

პრემიერი □ 1. იგივეა, რაც პრემიერ-მინისტრი. 2. მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობი.

პრეროგატივა (praerogativa) □ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა.

პრესა (presse) □ პერიოდულ გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) ერთობლიობა.

პრესტიჟი □ გავლენა, ავტორიტეტი, ნდობა.

პრეტენზია (claim/complaint) □ პირის უფლება მოსთხოვოს სხვა პირს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისგან თავის შეკავება.

პრეფერენცია (preference) □ უპირატესობის მინიჭება; შეღავათიანი პირობების შეთავაზება (მაგ., ვაჭრობის გაფართოების მიზნით).

პრეფერენციები (ლათ. Praeferentis - უპირატესობა) □ უპირატესობა, შეღავათები, რომლებიც სახელმწიფოებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს ეძლევათ ცალკეული სახის საქმიანობის მხარდასაჭერად; ხორციელდება გადასახადების, ბაჟების შემცირებით, გადახდისაგან გათავისუფ-

ლებით, შეღავათიანი კრედიტების მიცემით. პრეფერენ-ციები ეძლევათ სახელმწიფოს მიერ, აქვთ პირდაპირი დანიშნულება. სახელმწიფოებს შორის პრეფერენციები ეძლევათ როგორც ურთიერთპატივისცემის გამოხატუ-ლება, ისე ცალმხრივად.

პრეცედენტი □ შემთხვევა ან მოქმედება, რომელიც წინათაც მომხდარა და მომავალშიც იგი ანალოგიური შემთხვე-ვის ან მოქმედების ნიმუშის საფუძველი გახდება.

პრივატი □კერძო.

პრივატიზება, დენაციონალიზაცია (privatization) □ ფიზიკური და იურიდიული პირების ან მათი გაერთიენების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენა, რის შედეგადაც სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, ხოლო სახელმწიფო ორგანოები მისი მართვის უფლებას.

პრივილეგია □ განსაკუთრებული უფლება, რომელიც მინიჭე-ბული აქვს ვისმე სხვებისაგან განსხვავებით; უპირატე-სობა.

პრინციპალი (principal) □ ოპერაციაში საკუთარი სახელით და სახსრებით მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი (ბროკერის/შუამავლისაგან განსხვავებით), რომლის სახელითაც მოქმედებს აგენტი. აგრეთვე ძირითადი მოვალე ვალდებულებაში.

პრიორიტეტი □ პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონე-ბაში, გამოკვლევაში და მისთ. უპირველესი მნიშვნელობა, უპირატესობა.

პრობლემა □ რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს ახსნას, შესწავლას, გამოკვლევას.

პროგნოზი □ რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე.

პროგრამა □ მომავალი მუშაობის, მოღვაწეობის და მისთ. გეგმა. იმ ძირითადი პრინციპების, ამოცანების, მიზნების შემცველი დოკუმენტი, რომლებიც დასახული აქვს პოლიტიკურ პარტიას, სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოს, საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან ცალკეულ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოღვაწეს.

პროგრამირება □ პროგრამის შედგენა (მანქანისათვის); დაპროგრამება.

პროგრესი □ წინსვლა, აღმავლობა.

პროდუქტი □ 1. საგანი, ნივთიერება, რომელიც მიღებულია ადამიანის შრომის შედეგად. 2. პროდუქტები □ სურსათ-სანოვაგე. 3. ნივთიერება, რომელიც წარმოიქმნება სხვა ნივთიერებისაგან ქიმიური გზით ან სხვა წესით. 4. რისამე შედეგი, ნაყოფი.

პროდუქცია (product) □ დროის გარკვეულ მონაკვეთში წარმოებული პროდუქტების რაოდენობა.

პროდუცენტი (producens (producentis) მწარმოებელი) □ გარკვეული საქონლის მწარმოებელი ქვეყანა.

პროექტი □ 1. რისამე ასაგებად, დასამზადებლად ან რეკონსტრუქციისათვის დამუშავებული გეგმა. 2. რაიმე დოკუმენტის, აქტის, დადგენილების წინასწარი, სავარაუდო ტექსტი.

პროვიანტი □ (მოძვ.) სურსათი (უპირატესად ჯარისათვის).

პროვიზია □ ჩვეულებრივ, სურსათ-სანოვაგით მომარაგება, გარკვეული მარაგის შექმნა ან შეძენა, თადარიგის დაჭერა.

პროვინცია □ რიგ ქვეყნებში აღნიშნავს ადმინისტრაციულ დარაიონებას, ე.ი. ადმინისტრაციული რაიონის (ერთეულის) გამომხატველია.

პროვოკაცია □ გამოწვევა, ვინმეს მიმართ წამქეზებლური, მოღალატური ქმედება, რომელიც ჩაფიქრებულია მტრული განზრახვით.

პროკურისტი (ლათ. (procure) ვმართავ, განვაგებ ვისიმე სახელით) □ ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყანაში: სავაჭრო ფირმის რწმუნებული, რომელსაც მინდობილი აქვს ყოველგვარი გარიგების დადება.

პროლეტარი □ 1. კაპიტალისტურ საზოგადოებაში: დაქირავებული მუშა, რომელსაც წარმოების საშუალებანი არ გააჩნია. 2. ძველ რომში: მოქალაქე, ღატაკთა წოდების წარმომადგენელი.

პროლონგაცია □ ხელშეკრულების, შეთანხმების, თამასუქის და მისთ. ვადის გაგრძელება.

პრომესი □ დაპირება. ფასიანი ქაღალდების ოპერაციების (ყიდვა-გაყიდვა, გადაცვლა და სხვ.) დროს განსაზღვრული პირობა, რომელიც მფლობელს გარკვეულ საწინდარს აძლევს.

პრომილე □ რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი (პროცენტის მეათედი); აღინიშნება 0%-ით.

პრომოცია □ სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

პრომულგაცია □ რაიმე სახელმწიფოებრივი აქტის გამოქვეყნება.

პროპორცია □ თანაფარდობა, ორი სიდიდის გარკვეული შეფარდება.

პროსპექტი □ სტამბური წესით გამოცმული რეკლამა ფურცლად ან ბროშურად. სავაჭრო ცნობარი საქონლის აღწერითა და შეძენის პირობებით.

პროტესტი □ რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა. სათანადო სასამართლო თუ საპროკურორო ორგანოების წერილობითი წარდგინება სასამართლოს გადაწყვეტილების, განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

პროტექტორატი □ სახელმწიფოთა დამოკიდებულების ერთ-ერთი თანამედროვე ფორმა, რომელიც ძლიერ კაპიტა-ლისტურ სახელმწიფოს საშუალებას აძლევს დაიმორ-ჩილოს უფრო სუსტი.

პროტექცია □ გავლენიანი პირის მიერ გაწეული დახმარება, მფარველობა ვისიმე პირადი საქმეების მოგვარებაში.

პროტექციონიზმი □ 1. კაპიტალისტურ ქვეყნებში: საბაჟო პოლიტიკის სისტემა □ შემოტანილ საქონელზე დიდი ბაჟის დადება, რომლის მიზანია დაიცვას თავისი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უცხოეთის კონკურენციისაგან. 2. პროტექციის მიხედვით შერჩევა კადრებისა და სხვ.

პროტოკოლი □ (ბერძ. ხელნაწერის გრაგნილზე დაწებებული პირველი ფურცელი, რომელზედაც აღნიშნული იყო თარიღი და დამწერის სახელი). დიპლომატიური პ. - ერ-თობლიობა წესებისა, რომლებსაც მისდევენ მთავრობები, საგარეო საქმეთა უწყებანი, დიპლომატები, სხვა ოფიციალური პირები საერთაშორისო ურთიერთობაში.

პროფესია □ ხელოვნება, საქმიანობა, სპეციალობა, რომელსაც გარკვეული მომზადება სჭირდება და რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს.

პროფესიონალი □ პირი, რომელმაც რაიმე საქმიანობა გაიხადა თავის პროფესიად, ვინც მუდმივად ეწევა რაიმე საქმიანობას, მოღვაწეობას.

პროფილაქტიკა □ 1. ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დაავა-დების თავიდან აცილება. 2. ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რისამე დაცვა ნაადრევად გაცვეთისაგან, გაფუჭებისაგან და მისთ.

პროფილი □ სახის ან საგნის გამოსახულება, შესახედაობა გვერდიდან. რაიმე საგნის, რისამე უბნის, ზედაპირის ვერტიკალური ჭრილი. გზის (რკინიგზის) პროფილი -

გზის (რკინიგზის) ზედაპირის აღმართ-დაღმართების მრუდი.

პროფიციტი – ბიუჯეტთან მიმართებით გულისხმობს ვითარებას, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი ჭარბობს გასავლის ნაწილს.

პროფორმა-ანგარიში – წინასწარი ანგარიში, რომელსაც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამყიდველი უგზავნის მყიდველს.

პროცედურა – რისამე შესასრულებლად, განსახილველად საჭირო მოქმედებათა, ღონისძიებათა თანამიმდევრობა.

პროცენტი – სავალო ვალდებულებებთან, მათ შორის: კრედიტებთან (სესხებთან), დეპოზიტებთან, ანაბრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი, აგრეთვე დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო საპენსიო ფონდიდან მიღებული პროცენტი.

პროცენტიანი ქაღალდი – სავალო ვალდებულება, რომლის მიხედვითაც მოვალემ კრედიტორს, მისთვის მიცემული სესხისათვის პროცენტი უნდა გადაუხადოს.

პრუტოკრატია – ხელისუფლების პოლიტიკური წყობა, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართვა მცირერიცხოვანი მდიდრების ხელშია.

პუბლიკაცია – ცალკეულ ნაწარმოებთა, ნაშრომთა გამოქვეყნება, ბეჭდვა.

პული – ავღანური ხურდა ფული. საერთოდ, ფულის სახელწოდება ამ გზით – აღმოსავლეთიდან შემოვიდა საქართველოში.

პულტი – ელექტრონიკაში დახრილი დაფა, რომელზედაც განლაგებულია სასიგნალო აპარატურა, რაიმე პროცესის ცენტრალიზებულად მართვის მიზნით.

პუნქტი (ლათ. Punctum - წერტილი) □ ზომა, რომლითაც განისაზღვრება ფასები, ფასიანი ქაღალდებისა და ვალუტის კურსის მერყეობა ბირჟაზე.

პფენინგი □ ხურდა ფული გერმანიაში, მარკის ერთი მეასედი.

ჟ

ჟენშენი □ ბალახოვანი მცენარე: იზრდება შორეულ აღმოსავლეთში; იყენებენ მედიცინაში.

ჟერმინპიაო □ ჩინურად სიტყვა-სიტყვით სახალხო ფულს ნიშნავს, ჩინეთის ბანკის ბანკნოტი.

ჟეტონი □ ლითონის პატარა ნიშანი, რომელსაც ატარებს საზოგადოების ზოგი წევრი; აძლევენ აგრეთვე რისამე სახსოვრად ან რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ჟირო, ჟიროვჩეკი (იტალიური giro - წრე, ბრუნვა) □ წერილობითი ბრძანება, დავალება კლიენტის მხრიდან ბანკზე განსაზღვრული თანხის გადარიცხვის აუცილობლობის შესახებ კლიენტის ანგარიშიდან მესამე პირის ანგარიშზე, რომლისთვისაც უნდა ფულის გადაცემა კლიენტს.

ჟირობანკი □ ბანკი, რომელიც უნაღდო ანგარიშსწორებას ახორციელებს კლიენტებს შორის. ამჟამად ჟირობანკის ფუნქციები თითქმის მთლიანად გადაეცა კომერციულ ბანკებს.

ჟიური □ სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც გამოყოფილია კონკურსზე, გამოფენასა და მისთანებზე პრემიების, ჯილდოების მისანიჭებლად.

ჟურფიქსი □ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში: კვირის ესა თუ ის დღე, რომელიც სტუმრების მისაღებად ჰქონდათ წინასწარ დანიშნული.

რ

რა □ ძველეგვიპტური მითოლოგიით: მზის ღმერთი სამყაროს შემქმნელი. გამოიხატება ადამიანის სახით, რომელსაც ქორის თავი აქვს.

რაბატი □ საქონელზე ფასჩამოკლება, დათმობა. საქონლის ღირებულების მთელი თანხიდან გარკვეული ნაწილის დაკლება სხვადასხვა მოტივით.

რანტიე □ პირი, რომლიც გასესხებული კაპიტალის სარგებლით ან ფასიანი ქაღალდების დივიდენდებიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს.

რაპორტი □ უმაღლეს, ზემდგომ ორგანოებში: უშუალოდ უფროსისადმი ზეპირი ან წერილობითი სახით მოხსენება (პატაკი) მოვალეობის ან დავალების შესრულების შესახებ.

რარიტეტი (ლათ. Raritas) □ იშვიათობა, იშვიათი ნივთი.

რატიფიკაცია □ სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება, როდესაც ხელშეკრულება დადებულია ორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა შეთანხმების საფუძველზე.

რაუნდი □ სხვადასხვა საერთაშორისო მოლაპარაკებისა და შეთანხმების ცალკეული ეტაპი. იხმარება სავაჭრო მოლაპარაკების დროსაც.

რაციონალური □ მიზანშეწონილი, გონივრული, დასაბუთებული.

რეაბილიტაცია (ლათ. Rehabilitatio - აღდგენა) □ უდანაშაულოდ დაზარალებულის უფლებებისა და რეპუტაციის აღდგენა, რაც შეთავსებულია მის მიერ გაწეული ზარალის კომპენსაციასთან.

რეაგირება □ მიღებულ შთაბეჭდილებაზე საპასუხო მოქმედება, გარე ზემოქმედებაზე რაიმე სახის უკუქმედება, საპასუხო შეტევა.

რეალი □ ძველებური ესპანური ვერცხლის ფული.

რეალიზაცია (ლათ. Realis - ნივთობრივი) □ წარმოებული ან გასაყიდი საქონლის და მომსახურების გაყიდვა, რომელსაც თან ახლავს ფულადი ამონაღების მიღება, ზრახვის შესრულება, შედეგის მიღება.

რეალიზაცია კომერციული □ პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ეტაპი, რომელიც მარკეტინგის გეგმისა და დასკვნითი ნაწილის რეალიზაციას, საქონლის სრულმასშტაბიან წარმოებასა და გაყიდვას მოიცავს.

რეალიზებული პროდუქცია □ პროდუქციის მოცულობა ფულად გამოსახულებაში, რომელიც გაიყიდა საწარმოს მიერ გარკვეული პერიოდისათვის და განაღდებულია მყიდ-ველის მიერ.

რეალური საკასო ნაშთი □ ფულის ფაქტობრივი ნაშთი სალა-როში.

რეგალია □ შუა საუკუნეებში მეფეებისა და მსხვილი ფეოდა-ლების მონოპოლიური უფლებანი გადასახდელებზე, ბაჟებსა და სხვა სახის შემოსავლებზე.

რეგიონი □ ქვეყნის ტერიტორიული ნაწილი, სადაც განლაგე-ბულია რიგი ადმინისტრაციული ან მსხვილი ტერი-ტორიული ერთეულები (ბუნებრივი, ეკონომიკური და სხვ.), რომლებიც ერთიანი ნიშნით ხასიათდებიან.

რეგისტრაცია □ დავთარში ჩაწერა, სიაში შეტანა (აღნიშვნა, გატარება), ხელახალი აღწერა და ნუსხის შედგენა აღრიცხვის მიზნით.

რეგრესი (ლათ. Regresus - უკუსვლა) □ ეკონომიკაში გამოიხა-ტება ორგანიზაციის დონის შემცირებით, ახასიათებს მაჩვენებლების უძრაობა, დაბრუნება ძველი, დრომოჭმული ფორმებისა და სტრუქტურებისაკენ. 2. ანაზღაურებაზე უკუმოთხოვნა, გადახდილი თანხის დაბრუნება, რომელიც წარედგინება რეგრესანტის მიერ რეგრესატს. ასეთი მოთხოვნას უწოდებენ რეგრესის სარჩელს.

რედუქცია □ 1. რთული წარმოებული პროცესის უფრო მარტივში გადაყვანა; 2. ვალუტაზე, ფასიან ქაღალდებზე კურსის და საქონელზე ფასების დაცემა.

რედუცირება (გერმ. reduzieren - შემცირება, შეკვეთა) □ მონეტის ფასის შემცირება მასში ძვირფასი ლითონის შემცველობის შემცირებით.

რეექსპორტი □ საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის გადაუმუშავებლად გაყიდვა ან მესამე ქვეყანაში გადატანა.

რევალვაცია (ლათ. re - ამაღლება, valeo - მნიშვნელობის ქონა) – 1. ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ოფიციალური გაზრდა ეკონომიკის რეგულირების ერთ-ერთი საშუალებაა. მისი საპირისპიროა დევალვაცია. რევალვაცია ზრდის ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის კურსს სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით. ამავე დროს, იწვევს საექსპერტო საქონლის ფასების ზრდას საზღვარგარეთის ვალუტაზე, რითაც ამცირებს ქვეყნის საკონკურენციო შესაძლებლობას მსოფლიო ბაზარზე. 2. სალაროს ნაღდი ფულის გადაფასება; აღნიშნავს ეროვნულ ვალუტაში ოქროს და ვალუტის საერთო თანხის დაზუსტებას, რომელიც ირიცხება ცენტრალური ბანკის ბალანსზე; 3. ბალანსის დაფასება, კერძოდ, მისი ძირითადი კაპიტალისა და რეზერვების, რომ გათვალისწინებული იყოს ფულის გაუფასურების ეფექტი, შესაძლებელი ხდება შეფასდეს ქონება, რომელიც ფირმის აქტივს შეადგენს.

რევანში □ სამაგიეროს გადახდა, მიზღვა ბრძოლაში ან თამაშში დამარცხებისათვის; განმეორებითი ბრძოლა ან თამაში წინათ გამარჯვებულის დამარცხების მიზნით.

რევერსია □ ქონების დაბრუნება წინანდელი პატრონისათვის.

რევიზია □ 1. რომელიმე დაწესებულების, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის მუშაობის გამორკვევა მოქმედების

სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით. 2. რაიმე მოძღვრების, თეორიის დებულებათა ისე გადასინჯვა და შეცვლა, რომ არსებითად დამახინჯდეს ამ მოძღვრების დედააზრი.

რევოკაცია □ 1. ელჩის ან სხვა წარმომადგენლის გამოწვევა სხვა სახელმწიფოდან თავის ქვეყანაში. 2. (ვაჭრ.) წინათ გაცემული განკარგულების, ბრძანების გაუქმება.

რევოლვერული კრედიტი □ განახლებადი კრედიტი, რომელიც გაიცემა დავალიანებისა და მისი დაფარვის ვადების დადგენილი ლიმიტის ფარგლებში ავტომატურად, ე.ი. საკრედიტო მხარეების დამატებითი შეთანხმების გარეშე.

რეზერვი მარაგი, წყარო, საიდანაც იძენენ ახალ ძალებს, საშუალებებს; საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებელი, თადარიგში არსებული მარაგი, საშუალებები, ცოცხალი ძალა.

რეზერვუარი □ მიწისზედა ან მიწისქვეშა ხელოვნური საცავი, ან განცალკევებული, ლითოლოგიური საზღვრებით შეზღუდული გეოლოგიური სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება ნედლეულის, თხევადი გაზის, ნავთობქიმიური პროდუქტების, ასევე ნავთობისა და გაზის ოპერაციებისათვის საჭირო ნივთიერებათა მოსაგროვებლად და შესანახად.

რეზიდენტი □ მოცემულ ქვეყანაში მუდმივად რეგისტრირებული ან მუდმივად მაცხოვრებელი იურიდიული ან ფიზიკური პირი.

რეზიუმე □ შრომის, მოხსენების, სტატიის და მისთ. მოკლე შინაარსი, დასკვნა.

რეზონი □ გონივრული საფუძველი რისამე; აზრი.

რეინვესტიცია – პირველადი ინვესტიციიდან მიღებული სახსრების (შემოსავლის სახით) ხელმეორედ, დამატებით დაბანდება.

რეინჟინირინგი – 1. წარმოების, ფირმის, კომპანიის გამოცოცხლების პროცესი ინჟირინინგის ახალ დონეზე აყვანის მეშვეობით; 2. საქმიანობა მოდერნიზაციაზე მოქმედ ობიექტზე ადრე განხორციელებული ტექნიკური გადაწყვეტილებების მეშვეობით.

რეისი – რაიმე სატრანსპორტო საშუალების განსაზღვრული, რეგულარული მარშრუტი.

რეიტინგი – არის სისტემა, რომელიც ბანკის კაპიტალის საკმარისობის, აქტივების მდგომარეობის, მართვის ხარისხის, მოგებისა და ლიკვიდურობის დინამიკის შესაბამისად განხორციელებული ექსპერტული შეფასების ბაზაზეა დადგენილი.

რეკაპიტულაცია – 1. ნათქვამის გამეორება ძალიან მოკლედ; 2. შორეული წინაპრების ნიშან-თვისებათა გამეორება თანამედროვე ორგანიზმში, მის სტრუქტურაში, ფუნქციებში და სხვ. 3. სავაჭრო დავთრებისა და ანგარიშების შემოწმება.

რეკეტი – მუქარისა და ძალადობის მეშვეობით სხვისი შემოსავლის დანაშაულებრივი გამოძალვა.

რეკვიზიტები დოკუმენტების (ლათ. Reguisitum - აუცილებელი) – 1. სავალდებულო მონაცემები, ცნობები, რომელსაც უნდა შეიცავდეს აქტი, დოკუმენტი რათა ჰქონდეს ნამდვილი იურიდიული ძალა, წარმოადგენდეს ოპერაციების განხორციელების საფუძველს; 2. სამისამართო მონაცემები, ტელეფონები, რომელსაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე აცნობებს მეორეს კავშირის შენარჩუნებისათვის; იგი თავსდება ორგანიზაციის საფირმო ბლანკზე.

რეკვიზიცია – სახელმწიფო ან სამხედრო ხელისუფლების მიერ კერძო პირთა ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ სამუდამოდ ან დროებით საკუთრებაში არსებული ქონების ჩამორთმევა.

რეკლამა – განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერი შესაძლო ფორმით, მათ შორის უწყებების, ნიშნების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების, წერილების, კატალოგების, ფასების ნუსხათა ჩვენებით, სურათების, ფოტოების გამოფენით, კინოფილმების დემონსტრაციით, აუდიო- ან ტელეგადაცემებით, კომპიუტერული ქსელებით, სხვადასხვა ჩანაწერის გავრცელებით და ნებისმიერი სხვა მსგავსი სახით; საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისთვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების საქონლის, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესების ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას.

რეკლამა ინფორმაციული – რეკლამა, რომელიც საწყის მოთხოვნას ქმნის და მომხმარებელს საქონლის არსებობისა და თვისებების შესახებ ინფორმაციას აძლევს.

რეკლამაცია – ხმამაღალი შეპასუხება, შედავება, დაწუნება. პრეტენზია პროდუქციის დამამზადებლის მიმართ, მისი დაბალი ხარისხის ან დაუკომპლექტებლობის გამო, რაც გაფორმებულია სათანადო აქტით.

რეკომენდაცია – ვისიმე მუშაობის, საქმიანობის კეთილგანწყობილი, დადებითი (წერილობითი ან ზეპირი) დახა-

სიათება, სამუშაოზე ან რაიმე ორგანიზაციაში მისაღებად.

რეკონვერსია □ სამხედრო მრეწველობის სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაზე გადაყვანა.

რეკონსტრუქცია □ გაუმჯობესების მიზნით, რაიმე დარდაქმნა, ახალ პრინციპზე გადაყვანა, კვლავაღჭურვა.

რეკულარიზაცია □ საეკლესიო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა.

რემისია □ კომერციული ფასდაკლება ანგარიშის მიხედვით გადახდის დროს, თანხის დასამრგვალებლად (კლების მიმართულებით).

რემიტენტი □ თამასუქის პირველმფლობელი. პირი, რომლის სასარგებლოდ გამოწერილია გადასაგზავნი თამასუქი.

რემონტი □ რომელიმე საგნის გაცვეთილი ნაწილის აღდგენა, მისი თავდაპირველ მდგომარეობაში მოყვანა, შეკეთება.

რენეგატი □ მოღალატე, განდგომილი.

რენოვაცია (ლათ. Renovatio - განახლება) □ ეკონომიკური პროცესის ამორტიზაციის ფონდის ხარჯზე, მორალური და ფიზიკური ცვეთის შედეგად მანქანების, მოწყობილობის შეცვლა თანამედროვე, პროგრესული ტექნოლოგიის ძირითადი საშუალებებით.

რენომე □ რეპუტაცია, დიდება, აღიარება.

რენტაბელური □ ისეთი ღონისძიება, რომელიც ამართლებს დანახარჯებს, სამეურნეო მოსაზრებით მიზანშეწონილი, მომგებიანი, შემოსავლიანი.

რენტინგი □ მანქანა-მოწყობილობების მოკლევადიანი იჯარით აღება მათი საბოლოოდ გამოსყიდვის უფლების გარეშე.

რეორგანიზაცია □ გადაკეთება, გადაწყობა, გარდაქმნა.

რეპორტი □ ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების გაყიდვა იმ პირობით, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხდება მათი უკუგამოსყიდვა ახალი, უფრო მაღალი კურსით.

რეპრივატიზაცია □ ადრე კერძო პირების საკუთრებაში არსებული, შემდგომ ნაციონალიზებული სახელმწიფო ქონების კერძო საკუთრებაში დაბრუნება.

რეპროდუქცია □ საზოგადოებრივი წარმოების განმეორებითი პროცესი; აღწარმოება, კვლავწარმოება. სხვადასხვა გამოსახულების (სურათის, ნახატის, ნაბეჭდი ტექსტისა და მისთ.) ხელახლა გადაღება და გამრავლება ფოტოგრაფიული ან პოლიგრაფიული საშუალებით. მეხსიერებაში შემონახული რისამე აღდგენა, გახსენება.

რეპუტაცია □ შექმნილი საერთო აზრი ვინმეს, რაიმეს, ადამიანის, ფირმის ან საქონლის ხარისხის, ღირსების და ნაკლოვანებების შესახებ.

რეჟიმი □ 1. სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი. 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვებისა და სხვ. მტკიცედ დადგენილი წესი, განაწესი. 3. რისამე მუშაობის, მოქმედების, არსებობის პირობები. მაგ., მანქანის მუშაობის რეჟიმი. მდინარის რეჟიმი – პირობები, რომლებიც განსაზღვრავს წყლის დინების ცვალებადობას მრავალი წლის, სეზონისა თუ დღე-ღამის განმავლობაში. 4. რაიმე მიზნისათვის საჭირო წესთა, ღონისძიებათა სისტემა. მაგ., ეკონომიის რეჟიმი.

რესპექტი □ პატივი, პატივისცემა.

რესპუბლიკა - სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით; ასეთი მმართველობის მქონე ქვეყანა.

რესტავრაცია □ ჟამთა ვითარებაში დაზიანებული არქიტექტურული ძეგლის, ხელოვნების ნაწარმოების, არქეოლოგიური ნივთებისა და სხვ. აღდგენა პირვანდელი სახით. ძველი დამხობილი პოლიტიკური წყობილების აღდგენა.

რესტანტი □ 1. ფინანს. ვალი, რომელიც ირიცხება ბალანსის დასკვნის დროისათვის. 2. (ეკონ.) ჩაწოლილი საქონელი; ნარჩენები.

რესტრიქცია □ წარმოების, გაყიდვისა და ექსპორტის შეზღუდვა, რომელსაც მიმართავენ მონოპოლიები (განსაკუთრებით საერთაშორისო კარტელები) საქონელზე ფასების აწევისა და მაქსიმალური მოგების მიზნით.

რესურსი □ 1. რისამე მარაგი. 2. ფულადი სახსრები. 3. ტექნიკური მოწყობილობის (მანქანის, სისტემის) ნამუშევარი იქამდე, სანამ ეს მოწყობილობა მიაღწევს ზღვრულ მდგომარეობას, რომლის დროსაც მისი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელია ან არ არის სასურველი ეფექტურობის შემცირების ან ადამიანისათვის გაზრდილი საფრთხის გამო (სხვანაირად: ტექნიკური რესურსი).

რეტრატა □ 1. შექცევადი გადასაყვანი თამასუქი, 2. მოთხოვნა თამასუქის თანხის დაბრუნებასა და პროცენტის გადახდაზე.

რეფაქცია □ ფასჩამოკლება იმ შემთხვევაში, თუ საქონელი დაბალი ხარისხისა გამოდგა ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით.

რეფერატი □ 1. მოკლე წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა მეცნიერული ნაშრომისა და სხვ. 2. მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

რეფერენდუმი □ საერთო-სახალხო კენჭისყრა, რომელიც ახალი კონსტიტუციის, სხვა მნიშვნელოვანი კანონების მიღებასთან ან მათში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით ტარდება.

რეფერენტი (ლათ. Referens - შემტყობინებელი) □ თანამდებობის პირი, რომელიც ამზადებს მოხსენებებს ხელმძღვანელი-

სათვის, ატარებს კონსულტაციებს განსაზღვრულ საკითხებზე, იძლევა რეკომენდაციებს.

რეფინანსირება □ 1. ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი (მეთოდი), რომლის ფორმას, რიგსა და პირობებს იგი თავადვე ადგენს; 2. ვადაგასასვლელი ან შეცვლილი სასესხო პირობების მქონე ფასიანი ქაღალდების ნაცვლად ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვება; 3. ვალის, სესხის პროლონგაცია და (ან) მისი თანხის გაზრდა; 4. კრედიტის პირობების (დაფარვის გრაფიკი, საპროცენტო განაკვეთი) შეცვლა.

რეფორმა □ რისამე გარდაქმნა, შეცვლა, გადაკეთება.

რეფრიჟერატორი □ სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც შეიძლება გადატანილ იქნეს მალფუჭებადი პროდუქტები.

რეცენზია □ სტატია, ცნობა, პერიოდულ პრესაში, რომლის მიზანია რომელიმე სამეცნიერო ან მხატვრული ნაწარმოების, სპექტაკლის, კინოფილმის და ა.შ. კრიტიკული განხილვა.

რეციდივი □ რაიმეს ხელმეორედ გამოვლენა (ჩვ.ნეგატიურის); წინათ განზრახ დანაშაულისათვის ნასამართლები პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა.

რეციპიენტი □ გადასახდელის ან სუბსიდიის მიმღები. გამოიყ-ენება აგრეთვე იმ პირის აღსანიშნავადაც, ვისთვისაც განკუთვნილია ესა თუ ის ინფორმაცია.

რეციტირება □ მსმენელთა წინაშე ხმამაღალი კითხვა, დეკლა-მირება.

რიალი □ ირანის, აგრეთვე იემენის, ფულის ერთეული, უდრის 100 დინარს.

რიელი □ კამპუჩიის ფულის ერთეული, 100 სენტის ტოლი.

რიმესა □ თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული.

რინგი – კაპიტალისტების ხანმოკლე გაერთიანება ამა თუ იმ საქონელზე ფასის ასაწევად (ამ მიზნით საქონელს ერთად შეისყიდიან და საწყობებში გააჩერებენ ხოლმე ხელსაყრელ მომენტამდე).

რიქსტაგი – შვეციის პარლამენტი.

რობოტი – მანქანა რომელსაც განსაზღვრული პროგრამის მიხედვით შეუძლია სხვადასხვა ამოცანის დამოუკიდებლად შესრულება. ტერმინი შემოიტანა ჩეხმა მწერალმა კარელ ჩაპეკმა.

როგორც წესი, რობოტის პროგრამულ უზრუნველყოფაში წინასწარაა ჩადებული გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები, მაგრამ იგი ასევე შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებსაც, კერძოდ, თვითსწავლებად სისტემებს, რომელთაც, რა თქმა უნდა, აქვთ თავისი შესაძლებლობების საზღვრები.

როიალტი – გადასახადი, რომელსაც პირი იხდის კონკრეტული ფასეულობის დროებით გამოყენებისათვის (მაგ.: სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სარგებლობის უფლების საფასური, პატენტის გამოყენების საფასური, ნოუჰაუთი მიღებული შემოსავალი და სხვა).

როლგანგი – კონვეირის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ცილინდრული გორგოლაჭებისაგან შედგება და ცალობრივი ტვირთების გადასაადგილებლად გამოიყენება.

როლ-ოვერნული კრედიტი – საშუალო ან გრძელვადიანი კრედიტი რომელიც მცოცავი განაკვეთით გაიცემა და დროის ყოველ ტოლ მონაკვეთში (3-6 თვე) ფიქსირდება. განსაზღვრული საბაზრო განაკვეთის ზევით მარჟა უცვლელი რჩება კრედიტის მთელი ვადის განმავლობაში.

რუდიმენტი – 1. იგივეა, რაც რუდიმენტული ორგანო. 2. რაიმე გამქრალი მოვლენის ნაშთი, კვალი.

რუკზაგი □ ზურგჩანთა. სხვადასხვა ნივთის ან სურსათ-სანოვაგის ჩასალაგებლად.

რულეტი □ 1. დანაყოფებიანი ვიწრო ლენტი (ფოლადისა, ტილოსი ან მუშამბისა), რომელიც დახვეულია ლილვზე და მოთავსებულია ბუდეში; იყენებენ მცირე მანძილის გასაზომად. 2. სპეციალური მოწყობილობა აზარტული თამაშისათვის – დანომრილი დანაყოფების მქონე მბრუნავი წრე, რომელშიც აგორებენ ბურთულას; წაგებ-მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ სად გაჩერდება ბურთულა. 3. გულიანი ხვეული ნამცხვარი.

რუპია □ ფულის ერთეული ინდოეთში, პაკისტანსა და აზიის რიგ ქვეყნებში.

რუპორი □ ხმის გამაძლიერებელი ხელსაწყო. იყენებენ საჯარო ვაჭრობის დროს.

რურალიზაცია □ ურბანიზაციის საპირისპირო პროცესი, რო-დესაც ხდება მოსახლეობის გადანაცვლება ქალაქიდან სოფლად. თანამედროვე პირობებში დამახასიათებელია განვითარებული ქვეყნებისათვის.

რუტინა □ დრომოჭმული წესებისა და ზნე-ჩვეულებებისადმი თაყვანისცემა, სიახლის გრძნობების უქონლობა. უძრაობა, ჩამორჩენილობა.

ს

საავანსო ანგარიში □ ავანსის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. მასში საქვეანგარიშო მიღებული თანხები, ფაქტობრივად გაწეული ხარჯები. საქვეანგარიშო თანხის ნაშთი ან გადახარჯვა აღინიშნება.

საავანსო გადასახდელი □ ფულადი სახსრების შეტანა, გადა-სახდელის გაღება საქონლის, სამუშაოს, მომსახურების განხორციელებისათვის მათ მიღებამდე ან შესრულე-ბამდე.

საანგარიშო პალატა – უმაღლესი ორგანო ფინანსური კონტროლის განხორციელებისათვის, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ფუნქციონირებს.

სააქციპტო სახლი – საბანკო დაწესებულება, რომელიც საგარეო ვაჭრობის დაკრედიტებაზეა დასპეციალიზებული.

სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორი – არის ბანკის ერთობლივი აქტების თანაფარდობა მის სააქციო კაპიტალთან.

სააღრიცხვო დოკუმენტაცია – პირველადი დოკუმენტი (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადების დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

საბაზისო წელი – ზრდის ტემპების, ცვლილებების დინამიკის ეკონომიკური ინდექსების განსაზღვრის დროს ათვლის საწყის წერტილად მიღებული წელი.

საბაზრო ეკონომიკა – ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალი მეწარმეობის პრინციპებზე, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებებზე, საბაზრო ფასწარმოქმნაზე, სამეურნეო საქმიანობაში სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევის პრინციპებზე.

საბაზრო ინფრასტრუქტურა – დაწესებულებებისა და ორგანიზაციების (ბანკების, ბირჟების, ბაზრობების, სადაზღვევო კომპანიების, საკონსულტაციო და საინფორმაციო მარკეტინგული ფირმების და ა.შ) სისტემა, რომელიც ბაზარზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალ მოძრაობას უზრუნველყოფს.

საბაზრო რისკები – წარმოიშობა იმაზე დამოკიდებულებით, თუ როგორ ხდება კონიუნქტურის გაუთვალისწინებელი და

არასასიამოვნო ცვლილებები საკრედიტო ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ძვირფასი ლითონების ბაზარზე. საბაზრო რისკის სპეციფიკური ელემენტია სავალუტო რისკი.

საბაზრო ჩავარდნა – სიტუაცია, როდესაც ბაზარი საკუთარი ძალებით ვერ ახერხებს რესურსების ეფექტიანად გადანაწილებას.

საბაზრო ძალა – ადამიანების, კოლექტივების ინტერესები და განზრახვები, რომლებიც ბაზრის, საბაზრო კონკურენციის, ბაზარზე ზემოქმედებით წარმოიშობა და ავალდებულებს მათ სრულყონ წარმოება, აამაღლონ ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი.

საბანკო ანგარიში – ბანკში პირის ფულადი სახსრების აღრიცხვის უნიკალური საშუალება.

საბანკო აუდიტი – არის აუდიტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც ბანკების შემოწმების სპეციფიკას ითვალისწინებს. საქართველოში აუდიტი 4 სახეობად არის დაყოფილი: საერთო აუდიტი (კომერციული კომპანიების აუდიტი); სადაზღვევო კომპანიების აუდიტი; ბანკების და საკრედიტო დაწესებულებების აუდიტი; საინვესტიციო ინსტიტუტების და და არასაბიუჯეტო ფონდების აუდიტი. ბანკების აუდიტის რეგლამენტირება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივას წარმოადგენს. იგი თავისი კომისიების მეშვეობით ახორციელებს: საბანკო აუდიტის სპეციალისტების ატესტაციას; საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების აუდიტორული საქმიანობის წარმოების უფლებაზე ლიცენზიების გაცემას.

საბანკო კანომდებლობა – საქართველოს ორგანული კანონი – „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, საქართვე-

ლოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები.

საბანკო კრედიტი (bank credit) – საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემი აძლევს ან მოვალეა მისცეს მსესხებლის სასყიდლიანი კრედიტი სესხის ფორმით.

საბანკო ლიკვიდური სახსრები – შედგება ნაღდი ფულის, მოკითხვამდე ანაბრების ანგარიშზე არსებული ნაშთის, სხვადასხვა მოკლევადიანი დეპოზიტების, კერძო და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, კომერციული თამასუქისა და ბანკის სხვა ადვილად რეალიზებადი სახსრებისაგან.

საბანკო მარკეტინგი – არის საბანკო მომსახურებისა და საბანკო პროდუქტების მომხმარებლისათვის შექმნის, გავრცელებისა და მიწოდების განხორციელებასთან და დაგეგმასთან დაკავშირებული მიდგომა, როდესაც მოხმარებისა და ბანკის ურთიერთსასარგებლო ინტერესების დაცვასთან ერთად. ეს უკანასკნელი (ბანკი) წარმატებას აღწევს მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევაში.

საბანკო პლასტიკური ბარათი – საგადასახადო ინსტრუმენტი, რომელიც არის საანგარიშსწორებო საშუალება საქონელზე ან მიღებულ მომსახურებაზე გადახდის განსახორციელებლად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების საწარმოებლად.

საბანკო პროდუქტი – არის ცაკლეული საბანკო მომსახურება ან საბანკო მომსახურების ნაკრები, რომელსაც ბანკები თავიანთი კლიენტებისათვის ტიპური პირობებით ახორციელებს, მაგალითად: პროგრამული კრედიტი,

მიზნობრივი ანაბარი, დეპოზიტური სერთიფიკატი, პლასტიკური ბარათები.

საბანკო სისტემა – სხვადასხვა სახის ურთიერთდაკავშირებული ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებების ერთობ-ლიობა, რომლებიც ერთიანი საფინანსო საკრედიტო მექანიზმის ჩარჩოებში მოქმედებს. ორდონიან საბანკო სისტემაში პირველ დონეზე ცენტრალური ბანკი იმყოფება, ხოლო მეორეზე – კომერციული ბანკების და სხვა საანგარიშსწორებო – საკრედიტო დაწესებულებების ქსელი.

საბანკო სისტემის ინსტიტუციური სქემა – მოიცავს იმ ცალ-კეული ელემენტების, ორგანიზაციული სტრუქტურების (დაწესებულებების და ორგანიზაციების) ერთობლიობას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობენ საბანკო საქმიანობაში, აგრეთვე მათ შემადგენლობას, ამოცანებს, ფუნქციებს და ოპერაციებს, სფეროებს, ურთიერთკავშირსა და იერარქიას. საბანკო სისტემის აგების ინსტიტუციური სქემა რამდენიმე პრინციპს ეყრდნობა: იერარქიულს, ფუნქციურ-მარეგულირე-ბელს,ორგანიზაციულ-იერარქიულს.

საბანკო სისტემის ლიკვიდობა – ფართო გაგებით არის ნაციონალური საბანკო სისტემა ისეთი ორგანიზაცია, ერთიანი ბაზა, რომლის დროსაც ღირებულებების თავისდროული და უსაფრთხო გადაადგილების უზ-რუნველყოფა ხდება ეროვნული ეკონომიკის ჩარჩოებში. ვიწრო გაგებით, საბანკო ლიკვიდობის ქვეშ გულისხ-მობენ მიმოქცევაში ფულადი მასის და არახანგრძლივი ვადების რეალიზაციის სხვა აქტივებს.

საბანკო ტიპის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციები – ვიწრო სპეციალიზებული დაწესებულებები, განსაკუთრებული

ფორმის ორგანიზაციით, რომელიც აუცილებლად ახორციელებს ბანკების დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობის შემცველ, მაგრამ არასრული მოცულობის ერთ ან რამდენიმე ოპერაციას.

საბანკო წესი – საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული წესები.

საბაჟო გადასახდელები (customs taxes) – ცნება „საბაჟო გადასახდელები“ ნიშნავს გადასახდელებისა და მოსაკრებლების ერთობლიობას.

საბაჟო კონტროლი (customs control) – საბაჟო კანონმდებლობის შესრულების უზრუნველსაყოფად საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო ზედამხედველობის მიერ დაქვემდებარებული საქონლის მიმართ კოდექსით გათვალისიწნებული პროცედურების განხორციელება.

საბაჟო რეჟიმი – საბაჟო საზღვრის საქონლითა და სატრანსპორტო საშუალებებით გადაკვეთის წესი (დებულებათა ერთობლიობა განსაზღვრავს იმ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სტატუსს, რომლებიც გადაკვეთენ საბაჟო საზღვარს).

საბაჟო საზღვარი (customs border) – პირობითი ხაზი, რომელიც გამოყოფს საბაჟო ტერიტორიას, საბაჟო ზონებს და თავისუფალი საწყობების პერიმეტრებს.

საბაჟო ღირებულება (customs value) – საქონლის ფასი საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას, რომლის საფუძველზედაც გაიანგარიშება საბაჟო გადასახადი.

საბირჟო ბრუნვა (market tonover) – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ფასიანი ქაღალდების ან საქონლის რეალიზაციაზე დადებული გარიგებების მოცულობა.

საბიუჯეტო დეფიციტი (deficiency of the budget) – დანახარჯების ჯამი აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანს; სალაროს დეფიციტი დანახარჯების მეტობა შემოსა-

ვალზე, დავალიანების აქტივებზე, დანაკლისი სალაროს ანგარიშზე.

საბიუჯეტო ორგანიზაცია – მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას დადგენილი ნორმების, სტანდარტებისა და წესების შესაბამისად.

საბიუჯეტო პროფიციტი (budget surplus) – ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მეტობა ხარჯვით ნაწილზე.

საბრუნავი ფონდები (circulating assets) – საწარმოს წარმოებრივი ნაწილი, რომელიც სრულად მოიხმარება ერთ საწარმოო ციკლში და რომელსაც სრულად გადააქვს თავისი ღირებულება დამზადებულ პროდუქტზე.

საგადასახადო ბალანსი – საზღვარგარეთიდან მიღებულ ყველა შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა. ასახავს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ ოპერაციას - საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადების მოძრაობას.

საგადასახადო ბალანსის აქტიური სალდო (trade surflus) – ექსპორტის გადამეტება იმპორტზე.

საგადასახადო ბალანსის პასიური სალდო (trade deficit) – სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. იმპორტის გადამეტება ექსპორტზე.

საგადასახადო დავალება – ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადასახადო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისთვის, სახსრების მიღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ.

საგადასახადო საბუთი – ინფორმაციის მატერიალურ მატარებელზე (ელექტრონული მატარებელი, ქაღალდის ბლანკი ან სხვა) გაფორმებული საბუთი, რომელიც წარედგინება ბანკს ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

საგადასახადო საბუთის შესრულება – ვალდებულებების შესაბამისად, ფულადი სახსრების გადახდის განხორციელების პროცესი; ბანკის მიერ გადამხდელის დავალების რეალური შესრულება.

საგადასახადო საბუთის შესრულების დაყოვნება (შეჩერება) – ბანკისგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზების გამო ანგარიშსწორების პროცესის შეფერხება-დაყოვნება.

საგადასახადო სისტემა – საგადასახადო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციულ-ტექნიკური ფორმების ფულადი სახსრების ანგარიშსწორების, ინსტუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობა.

საგადასახადო ფასიანი ქაღალდების სისტემა – (GPSS) საქართველოს ეროვნული ბანკის საგადასახადო და ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც მოიცავს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ანგარიშსწორების (CSD) სისტემებს.

საგარეო ვალი (external delt) – ქვეყნის მიერ უცხოური ქვეყნების მთავრობებისგან, საერთაშორისო საფინანსო ორგანოებისაგან და სხვა მიღებული და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები, რომელიც ქვეყანას აძლევს მოხმარებისა და ინვესტიციების იმაზე მეტ შესაძლებლობას, ვიდრე ეს ძალუძს მის ეკონომიკას.

სადაზღვევო აქტი – დოკუმენტი, რომელიც გაფორმებულია სადაზღვევო კომპანიის მიერ დადგენილი წესით და

ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ფაქტს და მოხდენის მიზეზს, გვიჩვენებს ზარალის ოდენობას, რომლის საფუძველზეც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება.

სადაზღვევო ზარალი – დაზღვეული ქონებისთვის სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი.

სადაზღვევო კარტელი – ეს არის მოლაპარაკების საფუძველზე საწარმოების ჰორიზონტალურ პრინციპზე დაფუძნებული გრძელვადიანი გაერთიანება, როდესაც ისინი ინარჩუნებენ იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ ნაწილობრივ კარგავენ სამეურნეო დამოუკიდებულობას.

სადაზღვევო კონსორციუმი – ეს არის საწარმოთა დროებითი (დროში შეზღუდული) ჰორიზონტალური გაერთიანება გარკვეული ამოცანების გადაჭრის მიზნით. კონსორციუმის ფარგლებში სადაზღვევო კომპანიები იყოფენ რისკს თანადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე.

სადაზღვევო კონცერნი – ეს არის ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ ჰორიზონტალურად, ვერტიკალურად ან დიაგონალურად გაერთიანებული საწარმოები (საზოგადოებები), რომელთაც დაკარგული აქვთ სამეურნეო, მაგრამ შენარჩუნებული აქვთ იურიდიული დამოუკიდებლობა.

სადაზღვევო პოლისი (insurance policy) – დადგენილი ფორმის იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც გასცემს მზღვეველი იმის დასტურად, რომ მასსა და დაზღვეულს შორის დადებულია სადაზღვევო ხელშეკრულება.

სადაზღვევო საქმიანობა – დაზღვევისა და გადაზღვევის გაფორმებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა.

სადაზღვევო ტარიფი – დაკავშირებულია სადაზღვევო შენატანებთან და გულისხმობს სადაზღვევო თანხის ან დაზღვევის ობიექტის ერთეულიდან სადაზღვევო შენატანის განაკვეთს.

სადაზღვევო შემთხვევა (insurance accident) შემთხვევა, რომლის შედეგად წარმოიშობა მზღვეველის ვალდებულება დაზღვეულზე, გასცეს სადაზღვევო გასაცემელი.

სადაზღვევო შენატანი – დაზღვევის გადასახადი, რომლის გადახდა დადგენილი პერიოდებით ევალება დამზღვევს, მზღვეველის სასარგებლოდ, მათ შორის გაფორმებულ სადაზღვევო ხელშეკრულებაში დათქმული პირობების შესაბამისად.

სადეპოზიტო ანგარიში – ანგარიში ბანკში, რომელზედაც შეიტანება ფული და მიიღება შემოსავალი პროცენტის სახით. თანხის გამოტანა შესაძლებელია წინასწარი შეტყობინების (ჩვეულებრივ, 7 დღე) შემდეგ მიმდინარე ანგარიშზე გადარიცხვის გზით.

საემისიო ბანკი – სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულება, ცენტრალური ბანკი, რომელსაც მინიჭებული აქვს საბანკო ბილეთების გამოშვების, ფულის მიმოქცევის, კრედიტისა და სავალუტო კურსის რეგულირებისა და კონტროლის, ოქროს სავალუტო რეზერვის დაცვის მონოპოლური უფლება.

საერთაშორისო ბიზნესი – სამეწარმეო საქმიანობა, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის ფირმები ერთობლივად მონაწილეობენ და საერთაშორისო კაპიტალი გამოიყენება.

საერთაშორისო ვაჭრობა – სავაჭრო კავშირების, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ერთმანეთთან მოვაჭრე საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა ერთობლიობა.

საერთაშორისო კრედიტი – კრედიტები, რომლებიც ერთი ქვეყნის სახელმწიფო ბანკების, ფირმების, სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მიეცემა სხვა ქვეყნების მთავრობებს, ბანკებს, ფირმებს.

საერთაშორისო საბანკო ლიკვიდობა – მდგომარეობს საერთაშორისო საბანკო თანამეგობრობის, სხვადასხვა ქვეყნის კომერციული ბანკების მონაწილეთა უნარსა და შესაძლებლობაში, შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები, გადაადგილონ ღირებულება მსოფლიო მასშტაბით.

საერთო შემოსავალი – გაყიდული საქონლის რაოდენობის ნამრავლი საქონლის ერთეულის საშუალო ფასზე, ფულადი ამონაგები გაყიდვიდან.

საერთო ხარჯები – მუდმივი (რომელიც არაა დაკავშირებული გამოშვებული პროდუქციის მოცულობასთან) და ცვალებადი (რომელიც დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე) ხარჯების ერთობლიობა; სრული ხარჯები.

სავალო მოთხოვნა – საქონლის გამყიდველის, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტი, რომელიც დავალიანების განაღდებს გადამხდელის, საქონლის შეძენის მხრიდან მოითხოვს.

სავალო სარჩელი – დებიტორის სასამართლო დევნა, რომელმაც აღებულ კრედიტებზე ვალდებულება არ შეასრულა.

სავალუტო აუდიტი – არის საკრედიტო პორტფელის პერიოდული ანალიზის განხორციელება ისეთი პირის მიერ, რომელიც კლიენტების დაკრედიტების პროცესში უშუალოდ არ არის ჩართული.

სავალუტო ბაზარი – სფერო, სადაც მიმდინარეობს უცხოეთის ვალუტის ყიდვა-გაყიდვა მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.

სავალუტო დეფიციტი – სახელმწიფო სავალუტო რესურსების ნაკლებობა სავალუტო ბაზრის რეგულირების უზრუნველყოფის, ანგარიშსწორებისა და გადასახდელების განხორციელებისათვის.

სავალუტო კავშირი – ქვეყანათა ჯგუფი, რომლებსაც მათი ეროვნული ვალუტეს კურსის ურთიერთცვალებადობის საზღვრები დადგენილი აქვთ.

სავალუტო პოლიტიკა – სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ქვეყნის შიგნითა და გარეთ სახელმწიფოს მოქმედების ხაზს ასახავს, რასაც ვალუტაზე, ვალუტის კურსზე, სავალუტო ორგანიზაციებზე ზემოქმედების საშუალებით ახორციელებს.

სავალუტო რესურსები – ფინანსური ფულადი რესურსები უცხოეთის ვალუტისა და მისი მიღების შესაძლო წყაროების სახით.

სავალუტო რისკი – აქტივების ფორმირებისა და უცხოეთის სახელმწიფოების ვალუტების გამოყენების სახსრების წყაროების მოზიდვისას წარმოშობა. სავალუტო რისკის ორ ძირითად შემადგენელს წარმოადგენს: გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად უცხოურ ვალუტაში დაბანდების გაუფასურების რისკი; კონვენტირების რისკი, რომელიც უცხოურ ვალუტაში მის ვალდებულებებს შორის უტოლობის შემთხვევაში წარმოიშობა.

სავაჭრო კრედიტი (ინგლ. trade credit) – კრედიტით საქონლის შეძენა იმისათვის, რათა პირმა შემდგომში იგი გაყიდოს მისი ღირებულებებისა და პროცენტის გადახდით; მოკლევადიანი სესხების გავრცელებული ფორმა, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბითუმო და საცალო ვაჭრობაში.

სავაჭრო მარკა – სავაჭრო საწარმოს (ფირმის) ორიგინალურად გაფორმებული სპეციალური განმასხვავებელი ნიშანი,

რომელიც შესაძლებელია განთავსდეს მოცემული ფირმის შეკვეთით დამზადებულ გასაყიდ საქონელთან.

სავაჭრო რეესტრი (პოლონ. Regestr, ლათ-დან registrum - სია, ჩამონათვალი) □ სავაჭრო ფირმების ნუსხა, რომელშიც შეიტანება ოფიციალურად რეგისტრირებული ფირმები.

სავაჭრო ფასნამატი, წანამატი □ საქონლის საბითუმო ფასზე წანამატი, რაც სავაჭრო ორგანიზაციების მიერ ხარჯების დაფარვისა და საშუალო მოგების მიღებისათვის აუცილებელია.

სავაჭრო შუამავალი □ დამაკავშირებელი რგოლი საქონლის მწარმოებელსა და მომხმარებელს, გამყიდველსა და მყიდველს შორის, რომელიც სავაჭრო პროცესებს, ვაჭრობის განვითარებას უწყობს ხელს.

სავაჭრო ჩვეულება, უზანცია, უზანსი (ფრანგ. Usance, ლათ-დან usans - ჩვეულება) □ საქმიან პრაქტიკაში მუდმივად გამოყენებული, საყოველთაოდ მიღებული წესი, დებულება, წესრიგი; სავაჭრო ჩვეულებას მიმართავენ იმ შემთხვევაში როცა რაიმე ხელშეკრულებით ან გარიგებით გათვალისწინებული არ არის.

საზოგადოებრივი სიკეთე, მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები □ სახელმწიფოს მიერ თანაბარ საწყისებზე მისი მოქალაქეებისათვის მიცემული საქონელი და მომსახურება.

სათამასუქო გრაცია □ თამასუქის მიხედვით ფულის გადახდის დადგენილი გადავადება მასში მითითებული ვადის გასვლის შემთხვევაში.

სათამასუქო რეკვიზიტები □ აუცილებელი ცნობები, მონაცემები, რომლებსაც თამასუქი, როგორც დოკუმენტი (გაცემის ადგილი და თარიღი, სასესხო ვალდებულებათა თანხა, გადახდის ვადა და ადგილი, მონაცემები

კრედიტორის შესახებ, მონაცემები თამასუქის გამცემზე და მისი ხელმოწერა) უნდა მოიცავდეს.

საინვესტიციო ბანკი – სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტი, რომელიც ახდენს გრძელვადიანი სასესხო კაპიტალის მობილიზაციას და შემდეგ გასცემს მას ობლიგაციების ან სხვა სახის სასესხო ვალდებულებათა გამოშვებისა და გავრცელების მიზნით.

საინკასო ბანკი – სპეციალიზებული ბანკი, რომლის ძირითადი ოპერაციები ტარდება ვენჩერული კაპიტალის, უახლესი დამუშავებების, ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის დასაკრედიტებლად. ძირითად რესურსებს ბანკი იღებს საკუთარი საშუალებებისა და კლიენტების ანაბრების ანგარიშზე. ასეთი ბანკის კრედიტები ძირითადად გრძელვადიან ხასიათს ატარებს.

საინკასო დავალება – დოკუმენტი,რომელიც ასრულებს საგადასახადო მოთხოვნის როლს, დგება და წარედგინება საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ბანკს იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ენიჭებათ უფლება და აქვთ საფუძველი, რომ გადამხდელს უდავოდ გადაახდევინონ სახსრები.

საიჯარო საწარმო – საწარმო, რომელიც აღებულია იჯარით მესაკუთრისაგან (სახელმწიფოსაგან) მოიჯარეების ჯგუფის მიერ, მაგალითად, საწარმოს კოლექტივის სახით.

საიჯარო ქირა – იჯარით აღებული ქონების გამოყენების უფლების ფულადი გადასახადი. მისი სიდიდე საიჯარო ხელშეკრულებით განისაზღვრება. ჩვეულებრივ, იგი მიიღება ქონების გამოყენების საამორტიზაციო ანარიცხების თანხისა და მოგების ნაწილის ტოლ სიდიდედ. მიწისა და სახელმწიფო ქონებაზე საიჯარო ქირის სიდიდე სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება განისაზღვროს.

საკასო ბრუნვა – ნაღდი სახსრების ბრუნვა, რომელმაც გაიარეს დაწესებულების, ორგანიზაციისა და საწარმოს სალაროები.

საკომუნიკაციო პოლიტიკა - არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია: ა) მომხმარებლის წინაშე ძირითად მიზნობრივ ბაზრებსა და საბანკო მომსახურების სეგმენტებზე ბანკის იმიჯის გაუმჯობესება და კორექტირება. ბ) ცალკეულ საბანკო პროდუქტის შესაბამის მიზნობრივ სეგმენტებზე დამკვიდრება ჩვეულებრივად რეკლამის, საზოგადოებასთან კავშირისა და კლიენტთან საკუთარი კომუნიკაციების მეშვეობით ხორციელდება.

საკორესპონდენტო ანგარიში – ანგარიში, რომელსაც ერთი ბანკი ხსნის მეორეში და რომელიც გამოიყენება ბანკებს შორის ანგარიშსწორებისათვის.

საკორესპონდენტო ურთიერთობა – სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლის შესაბამისად ბანკს უფლება აქვს გაუხსნას ანგარიში მეორე ბანკს და აწარმოოს კანონმდებლობით და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ოპერაციები.

საკრედიტო ბარათი ((ინგ. Credit card) - სახელობითი საგადამხდელო) – საანგარიშსწორებო დოკუმენტი, პერსონიფიცირებული პლასტიკური ბარათი, რომელიც გაიცემა ბანკი ემიტენტის მიერ თავის მეანაბრეებზე უნაღდო გადახდებისათვის, მათ მიერ საქონლისა და მომსახურების შეძენის საცალო ვაჭრობის ქსელში, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული მოწყობილობით და რომელსაც შეუძლია გადასცეს შეკითხვა საანგარიშსწორებო პროცესინგურ ცენტრს. ბანკი ემიტენტი აკეთებს საკრედიტო ბარათის პერსონალიზაციას: მასზე დაისმევა იდენტიფიკაციის ნომერი, მფლობელის გვარი, ამასთან, ხშირად ემბოსინგის (ამოტვიფრის) მეთოდით;

მფლობელს მოკლევადიანი კრედიტი ეძლევა ნაყიდი საქონლის განაღდების მომენტში; კრედიტის სიდიდე დამოკიდებულია ბარათის ტიპზე (ჩვეულებრივი, ოქროსი, კორპორაციული). საკრედიტო ბარათი ადასტურებს, რომ მის მფლობელს გახსნილი აქვს მიმდინარე ანგარიში, ხოლო სეანსის დროს პროცესინგური ცენტრის მიერ ტარდება აუტენტიკაცია, დასტურდება ანგარიშზე სახსრების არსებობა იმ ოდენობით, რაც საკმარისია ნაყიდი ნივთის გასანაღდებლად. სახსრების ჩამოწერა ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ცალკეული სახის ბარათებისათვის დაწესებულია გადასახდელების ზღვრული თანხა. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო საფინანსო ჯგუფების საკრედიტო ბარათები, როგორიცაა: ვიზა, მასტერკარდი; ამერიკული ამერიკან ექსპრესი, ევროქარდი. საკრედიტო ბარათის გამოგონებას მიაწერენ ამერიკელ ჯ.ბიგინსს, რომელმაც ის შექმნა 1946 წ, როდესაც ნიუ-იორკის ეროვნულ ბანკში მუშაობდა.

საკრედიტო დაწესებულება ახორციელებს სესხის გაცემის, უზრუნველყოფის შემოწმებისა და დაბრუნებადობის საფინანსო კონტროლს. სახელმწიფო კომისიები, კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები აწარმოებენ საფინანსო კონტროლს სპეციალური სარევიზორო აპარატის მეშვეობით.

საკრედიტო ინსტრუქცია არის საკრედიტო პროდუქტების რეალიზაციის საერთო ალგორითმის განმამტკიცებელი თანმიმდევრული ქმედებების (ნაბიჯების) აღწერილობა. იგი მხოლოდ ერთი კონკრეტული საკრედიტო საქმიანობის მიმართულების რეგლამენტირებას ახორციელებს, მაგრამ ამასთან, იგი უფრო მეტი ზომიერებით განსაზღვრული პრაქტიკული ქმედებების გამომხატველია.

საკრედიტო ისტორია – არის ბანკის პოტენციურ მსესხებლებთან მუშაობის ადრინდელი გამოცდილების შესახებ ინფორმაცია, რომელიც, როგორც წესი, ბანკის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მოიძიება.

საკრედიტო მონიტორინგი – არის მსესხებლის კრედიტუნარიანობისა და კრედიტის ხარისხის სხვა შემადგენლობის ცვლილებებზე ზედამხედველობის ღონისძიებათა სისტემა იმის განსაზღვრის მიზნით, თუ პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში რა ქმედებები უნდა იქნეს განხორციელებული. იგი მსესხებლის შესახებ ოპერატიული ინფორმაციის მიღებასა და ანალიზზეა დაფუძნებული. პრაქტიკაში ტერმინები „საკრედიტო მონიტორინგი“, „საკრედიტო ადმინისტრაცია“ და „საკრედიტო განხილვა“ ურთიერთდაკავშირებულ სინონიმებადაა მიჩნეული.

საკრედიტო ორგანიზაცია – არის იურიდიული პირი, რომელსაც ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე საბანკო ოპერაციების განხორციელების უფლება გააჩნია და თავისი საქმიანობის მთავარი მიზნის მოგების მიღების რეალიზაცია შეუძლია. საკრედიტო ორგანიზაციები საბანკო და არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციებად დაიყოფა.

საკრედიტო პოლიტიკა – ბანკის საკრედიტო საქმიანობის ამოცანებისა და პრიორიტეტების, ძირითადი მიმართულებების, მათი რეალიზაციის საშუალებების პრინციპებისა და თანმიმდევრობის განმსაზღვრელია.

საკრედიტო პორტფელი – არის ბანკის მთლიანი საკრედიტო დაბანდება.

საკრედიტო რეიტინგების სისტემა – არის მოდელი, რომელიც პოტენციური და არსებული მსესხებლების კრედიტ-

უნარიანობის ხარისხის მიხედვით რანჟირებისათვის გამოიყენება.

საკრედიტო რისკი – ფართო გაგებით კონტრაგენტების, პირველ რიგში, მსესხებლის მიერ, თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ფინანსური დანაკარგების წარმოშობის შესაძლებლობას ნიშნავს. საკრედიტო რისკი, როგორც კონტრაგენტების საბალანსო, ასევე ბალანსგარეშე ვალდებულების მიმართ წარმოიშვა. როგორც წესი, იგი (მთლიანად ან ნაწილობრივ) დავალიანების ძირითადი თანხისა და მათზე პროცენტების ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში დაუბრუნებლობაში ვლინდება.

საკრედიტო საქმე (ფაილი)– არის საბუთების დავთარი ან მონაცემების კომპიუტერული ბაზის ფაილი, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულებებს და ბანკის ცალკეულ მსესხებელთან ურთიერთობის ამსახველ ყველაზე თანმხლებ დოკუმენტს მოიცავს.

საკუთრება (property, ownership) – ფიზიკური/იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონება და/ან საფინანსო საშუალება. განასხვავებენ სახელმწიფო,პირად, აქციონერულ, ინდივიდუალურ, წილობრივ, ერთობლივ, საერთო, შრომით, კოლექტიურ, კოოპერატიულ და კერძო საკუთრებას.

სალდო, ნაშთი (balance) – შემოსავალსა და გასავალს (ხარჯებს) შორის დროის გარკვეულ პერიოდში წარმოქმნილი სხვაობა. საბუღალტრო აღრიცხვაში – სალდო ნაშთით. იმ საბუღალტრო ანგარიშისა, რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა დებეტისა და კრედიტის ანგარიშების ჩანაწერებს შორის.

სამართლებრივი რისკი – მოიცავს აქტივების გაუფასურების ან ვალდებულებების გაფართოების რისკებს, რომლებიც

გამოწვეულია არასწორი იურიდიული გადაწყვეტილებებით, არასწორად შედგენილი იურიდიული დოკუმენტაციით. გარდა ამისა, შეიძლება შეიცვალოს ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესებთან დაკავშირებული კანონმდებლობაც.

სანაცია □ 1. კაპიტალისტურ ქვეყნებში: ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია გაკოტრების პირას მყოფი ცალკეული კომპანიების, ბანკების, ტრესტების და მისთანათა გადარჩენა. 2. 1926-1939 წწ.-ში: სახელწოდება პოლონეთში არსებული რეაქციული რეჟიმისა, რომელიც დამყარდა „გაჯანსაღების“ ცრუ ლოზუნგით.

სანტიმი □ წვრილი ფული, ფრანკის მეასედი (საფრანგეთში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ლუქსემბურგში).

სანქცია □ 1. ზემდგომი ორგანოს მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს. 2. იძულების, ზემოქმედების ზომა კანონის დარღვევისათვის. 3. საერთაშორისო სამართალში: ზემოქმედების ზომა, რომელსაც მიმართავენ ხელშეკრულების დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ. 4. მოწონება, დადასტურება, თანხმობა.

საოპერაციო რისკი □ გამოწვეულია შიდა საბანკო კონტროლის პროცესისა და ბანკის მართვაში დარღვევების გამო, აგრეთვე შესაძლო ჩავარდნებით ოპერაციულ სისტემებში, განსაკუთრებით იმ სფეროში, სადაც ხდება გადახდები და მონაცემთა ელექტრონული დამუშავება.

საპროცენტო რისკი □ განპირობებულია ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, საპროცენტო განაკვეთების არასასურველი ცვლილებებით, საკრედიტო და საფინანსო ბაზარზე.

სარჟა □ ძირითადად სასარჩულე ქსოვილი.

სასაქონლო მეურნეობა (commodity economy) – სამეურნეო ურთიერთობათა ტიპი, სადაც წარმოება ბაზარზე არის

ორიენტირებული, ხოლო მწარმოებელთა და მომხმარე-ბელთა ურთიერთკავშირი საქონლის ყიდვა-გაყიდვის საშუალებით ხორციელდება.

საურავი (fine) – სანქცია, რომელიც დაერიცხება პირს საფინანსო ვალდებულებების არადროული და/ან არასრულად შესრულებისთვის. ჯარიმის სიდიდე იანგარიშება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (საურავი ერიცხება მხოლოდ დავალიანების თანხას)

საფინანსო ბაზარი (financial market) – საფინანსო აქტივების შექმნისა და გაცვლის მიზნით ორგანიზებული ინსტი-ტუციური სტრუქტურა. საფინანსო ბაზრის ფუნქციებია: კაპიტალის მობილიზაცია, კრედიტის შეთავაზება, ფულის გაცვლითი ოპერაციების ორგანიზება და სასაქონლო წარმოებაში საფინანსო საშუალებების რაციონალური განლაგება.

საფინანსო ბაზრის ფუნქციები – კაპიტალის მობილიზაცია, კრედიტის შეთავაზება, ფულის გაცვლითი ოპერაციების ორგანიზება და სასაქონლო წარმოებაში საფინანსო საშუალებების რაციონალური განლაგება.

საფინანსო კონტროლი – საქონლისა და მომსახურების საბაზრო კონტროლი, სადაც იგი გამოდის როგორც ეფექტური მსყიდველობითი მოთხოვნა. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმებიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ფული.

საფონდო ბირჟა – ორგანიზებული ბაზარი, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით, უზრუნ-ველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ (ლისტინგი) ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგე-ბების შესრულების ორგანიზებას, დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად, ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

სახელმწიფო ლიკვიდური სახსრები – მოიცავს ცენტრალური ბანკის სტაბილიზაციის ფონდის რეზერვებს, რომლებიც აუცილებელია საზღვარგარეთ დაგეგმილი სასაქონლო და საკრედიტო ოპერაციების მომსახურებისათვის. ოფიციალურ რეზერვებს მიეკუთვნება ოქროს მარაგი და კონვერტირებადი უცხოური ვალუტა, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების სარეზერვო პოზიცია და სახელმწიფოთაშორისი მოკლევადიანი კრედიტის სპეციალური სახე.

სახელობითი (სრული) – „სახელობითი“ ღირებულება, რომელიც აღნიშნულია ფასიან ქაღალდებზე, ქაღალდის ფულის ნიშნებზე, საქონელზე.

სეგმენტი – მონაკვეთი. საბაზრო ეკონომიკაში სეგმენტად ბაზრის რომელიმე სფეროს გულისხმობენ.

სეიფი – ლითონის ცეცხლგამძლე კარადა ან ყუთი დოკუმენტების, ფასიანი ქაღალდების, ძვირფასეულობის შესანახად. *ბანკში* ოთახი, სარდაფი, სადაც ასეთი კარადები ან ყუთები დგას. *მუზეუმში* ცეცხლგამძლე ოთახი, სადაც განსაკუთრებით ძვირფასი, უნიკალური ექსპონატებია დაცული.

სეკვესტრი – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა; ყადაღა.

სეკრეტერი – ერთგვარი საწერი მაგიდა ან კარადა, რომელსაც აქვს გადმოსაწევი ან გამოსაწევი ფიცარი საწერად.

სენატი – 1. ძვ. რომში უმაღლესი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო. ზოგი ქვეყნის (მაგ., ამერიკის შეერთებული შტატების, ბელგიის) პარლამენტის ზედა პალატა.

სენიორატი – მემკვიდრეობითი სამართლის სისტემა, რომელიც გულისხმობს უძრავი ქონების დაუნაწილებლობას.

სერვისი – მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

სერტიფიკატი – წერილობითი მოწმობა. სახელმწიფო სესხის განსაკუთრებული სახეობის ბილეთების სახელწოდება.

სექცია – გაყოფა, ნაწილი. მაგალითად, მაღაზიის ის განყოფილება, სადაც ერთგვაროვანი საქონელი იყიდება.

სვინგი – კლირინგული ანგარიშსწორების დროს ურთიერთდაკრედიტების ზღვარი. კლირინგულ შეთანხმებებში ჩაიდება მოთხოვნები, რომლებიც სვინგის გადაჭარბების დროს კრედიტორის მხარეს შეუძლია წარუდგინოს მოვალეს.

სვიტჩი – საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული ოფიციალურ კურსთან ფასდაკლებით დარჩენილი საქონლის რეალიზაცია მესამე ქვეყნისათვის კლირინგული ან სხვ. სახის ორმხრივი ანგარიშსწორების გზით.

სვიფტი – საერთაშორისო ანგარიშსწორების პროცესის დაჩქარება სხვადასხვა საშუალების, კომპიუტერული ქსელისა და კავშირის სხვა სისტემების გამოყენებით.

სვოპი – გაცვლა. საქონლის, ვალის, ვალუტის გაცვლა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ხორციელდება ცენტრალურ ბანკებს შორის.

სინდიკატი (გვიანდ.ლათ. sindicatus<sindicus – განვიხილავ, ვამოწმებ) – 1. კარტელური ტიპის მონოპოლისტური შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია მონაწილეებს შორის კონკურენციის გადალახვა საქონლის რეალიზაციისა და ნედლეულის შესყიდვის სფეროში და შესაბამისად მონოპოლიური მოგების მიღება. სინდიკატი აფუძნებს საერთო სავაჭრო ამხანაგობას, ხელშეკრულებას დებს გაყიდვაზე სინდიკატის ყოველ წევრთან. სინდიკატის შექმნა ბანკებსაც შეუძლიათ. საბანკო სინდიკატის წევრები შეისყიდიან ფასიან ქაღალდებს, გამოშვებულს ჯგუფის ნებისმიერი მონაწილის მიერ. 2. საინვესტიციო დილერების ჯგუფი, რომლებიც თანახ-

მანი არიან, შეიძინონ ფასიანი ქაღალდების ახალი გამოშვება ინვესტორებს შორის გასავრცელებლად.

სინთეზი – შენაერთი, შეთანაწყობა, შეხამება, შედგენა. მოვლენის ან საგნის შესწავლის მეთოდი, როდესაც იგი განიხილება ერთ მთლიანობაში.

სინონიმი – ისეთი სიტყვები, რომლებიც გამოთქმით სხვადასხვაა, მაგრამ შინაარსით ერთი და იგივეა ან ახლო დგანან ერთმანეთთან.

სინქრონი – რამდენიმე მოვლენის ან პროცესის დროში ზუსტად დამთხვევა.

სიტი – ლონდონის ცენტრალური ნაწილი, სადაც განლაგებულია მსხვილი სამრეწველო, სავაჭრო, საფინანსო, სადაზღვევო, სანაოსნო და სხვა სახის კომერციული დაწესებულებების მართვის ორგანოები.

სიტუაცია – მდგომარეობა, გარემოებათა ერთობლიობა, რომელიც რთულ გარემოცვას ან რთულ პირობებს ქმნის.

სიტჩი (ინგ. Switch - გადასვლა, გადართვა) – 1. ადრე მიღებული ვალდებულებების ლიკვიდაცია და ოპერაციების დამთავრება ერთი სახის ფასიანი ქაღალდებით და ვალუტით და გადასვლა სხვა სახის გარიგებებზე. 2. მესამე ქვეყანაზე დარჩენილი ვალის დათმობა ორ ქვეყანას შორის ორმხრივი ანგარიშსწორების მიხედვით; ოფიციალურ კურსთან შედარებით დაკლება; 3. ოპერაციები, მოქმედებები, ბლოკირებული, გაყინული ანგარიშების გამოსაყენებლად.

სიფი – სამი სიტყვის ნაერთი: ღირებულება, დაზღვევა და ფრახტი. საგარეო ვაჭრობაში საქონლის მიწოდების პირობების განმსაზღვრელია, რომლის დროსაც გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ფრახტი და საქონელი გადაიტანოს ნავსადგურამდე, დააზღვიოს იგი და დატვირთოს გემზე დადგენილ ვადებში.

სკოტლენდ-იარდი – ლონდონის პოლიციის ცენტრალური სამმართველო.

სკუდი – ძველებური იტალიური ვერცხლის ან ოქროს მონეტა, შენარჩუნებულია 5 ლირის ღირებულების ფულის ნიშნის სახელწოდებად.

სლოგანი – სარეკლამო იდეის მოკლე და ნათელი გამოხატვა. სარეკლამო ლოზუნგი.

სოციალიზმი – ლათინურად საზოგადოებრივს, ამხანაგურს ნიშნავს. მარქსისტული იდეოლოგიით, სოციალიზმი არის სახელმწიფოებრივი წყობილება, სადაც ბატონობს საზოგადოებრივი საკუთრება და მოსპობილია ადამიანთა ექსპლუატაცია.

სპეკულაცია – მოგების მიზნით საქონლის უკანონო შესყიდვა და უფრო ძვირად გაყიდვა. საბირჟო გარიგება, როდესაც ხდება სხვადასხვა სახის ფასეულობის ყიდვა-გაყიდვა საკურსო განსხვავების მიღების მიზნით.

სპეციალიზებული კომერციული ბანკები – საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც შეიმუშავებს და პრაქტიკაში ახორციელებს საქმიანობის განსაზღვრულ პრიორიტეტებს.

სპონსორი – გარანტიის მიმცემი და დამფინანსებელი. პირი ან დაწესებულება, რომელიც ეხმარება გარკვეული მიმართულების საქმიანობის წამოწყებას, აფინანსებს და რეკლამას უწევს მის შესრულებას.

სტაბილიზაცია – მყარი მდგომარეობის შექმნა, განმტკიცება, მოწესრიგება.

სტაგნაცია – ეკონომიკაში გამოიყენება წარმოების, ვაჭრობისა და სხვა ეკონომიკური პროცესების განვითარების შეჩერების, უძრაობის აღსანიშნავად.

სტაგფლაცია – ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, როდესაც ერთდროულად მოქმედებს სტაგნაცია და ინფლაცია.

სტადია – განვითარების რომელიმე პერიოდი, საფეხური.

სტანდარტი – ნაკეთობის ისეთი სახე, რომელიც გარკვეულ პირობებში აკმაყოფილებს ხარისხის, ქიმიური შედგენილობის, ფიზიკური თვისებების, წონის, ზომისა და სხვა მონაცემების მიხედვით.

სტატუსი ორგანიზაციის, პიროვნების (ლათ.status - მდგომარეობა) – საწარმოს, მეწარმის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება და განისაზღვრება მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, წესდებით, მოწმობით რეგისტრაციის შესახებ, უფლებებით და ვალდებულებებით, პასუხისმგებლობით, უფლებამოსილებით, რომელშიც გამოდიან საკანონმდებლო ნორმატიული აქტებიდან.

სტელაჟი – 1. პირობითი საბირჟო გარიგება, როდესაც ერთი მხარე მოლაპარაკებულია შეისყიდოს გარკვეული რაოდენობის ფასეულობანი კურსის მიხედვით, მაგრამ პრემიის წინასწარ დაუდგენელი სიდიდის განუსაზღვრავად. 2. რამდენიმე სართულად მოწყობილი თაროები.

სტენდი – თარო (დახლი), სადაც გამოფენილია ექსპონატები, საქონლის ნიმუშები და სხვ.

სტენოგრაფია – ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩანაწერის ხერხი, სადაც გამოყენებულია განსაკუთრებული ნიშნები და შემოკლებანი.

სტერეოტიპი – 1. მყარი ანაბეჭდი. ლითონის, რეზინის ან პლასტმასის მთლიანი საბეჭდი ფორმა, რომელიც ანაბეჭდების ასლს წარმოადგენს. 2. ეკონომიკაში – ეს არის გარდამავალ პერიოდში ძველი ურთიერთობის გადმოტანა.

სტერლინგი – შუა საუკუნეებში ინგლისში გავრცელებული ვერცხლის ფული. თანამედროვე პირობებში წარმოადგენს ინგლისური ვალუტის საფუძველს ვერცხლისა და

ოქროს ვალუტის სინჯის დაკანონებული სტანდარტის სახით.

სტივიდორი □ ნავსადგურის მტვირთავს უწოდებენ. ხშირად იხმარება სატრანსპორტო-საექსპლუატაციო ფირმის აღსანიშნავად.

სტიმული □ 1. მოქმედებისათვის აღმგზნები, ბიძგის მიმცემი, წამახალისებელი. 2. ეკონომიკაში შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის მიმართავენ მატერიალურ სტიმულირებას.

სტორნი □ ანგარიშის გადაყვანა. საბუღალტრო დავთარში ჩანაწერი, რომელიც ასწორებს ადრე შეცდომით აღნიშნულ ჩანაწერებს.

სტოტინკა □ ბულგარული ხურდა (წვრილი) ფული, რომელიც ლევის ერთ მეასედს უდრის.

სუ □ ძველებური ფრანგული ხურდა ფული.

სუბანგარიში (ლათ. sub ქვეშ და პოლ. arenda) □ მოიჯარის მიერ იჯარით გადაცემა მესამე პირისათვის, რომლის დროსაც მოიჯარე ხდება იჯარით გამცემი ამ პირის მიმართ, რომელიც მოიჯარის როლში გამოდის.

სუბარენდა □ ქვეარენდა. ძირითადი დამქირავებლის მიერ არენდით აღებული ქონების მესამე პირზე გადაცემას ნიშნავს.

სუბვენცია □ დახმარება. სახელმწიფოს მიერ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგები ან მსხვილი სამეურნეო სტრუქტურებისათვის ფინანსური დახმარების ფორმა.

სუბიჯარა □ ქვეიჯარა.

სუბორდინაცია □ დაბალი თანამდებობის პირის თანამდებობით უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი პირისადმი დაქვემდებარება. სამსახურებრივი წესრიგის დაცვა.

სუბსიდია (ლათ. Subsidium - დახმარება, მხარდაჭერა) – დახმარება ფულადი ან მატერიალური ფორმით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებიდან ან სპეციალური ფონდებიდან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ადგილობრივ, სხვა სახელმწიფოებს მიეცემა.

სუბსტანცია – ყველა მოვლენისა და საგნის არსი, საფუძველი, საყრდენი.

სუვენირი – სამახსოვრო ნივთი, რომელიც დაკავშირებულია რაიმე მოგონებასთან. სახსოვარი.

სუვერენიტეტი – უზენაესი ხელისუფლების მქონე. სახელმწიფო, რომელსაც სხვა სახელმწიფოებისაგან სრული დამოუკიდებლობა აქვს.

სუპერმარკეტი – ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის (მეტწილად სასურსათო) თვითმომსახურების დიდი მაღაზია.

სხვაობა საბაზისო – რეალურ საქონელზე ფასსა და ფიუჩერსული კონტრაქტის ფასს შორის სხვაობა.

სხვაობა საგადასახადო – გადასახადის მთლიანად არგადახდილი ან ზედმეტად გადახდილი თანხა; იგი წარმოეშობა ორგანიზაციებს, რომლებიც გადასახადს საშუალო პროცენტის მიხედვით იხდიან.

ტ

ტაბელი (ლათ. tabula - ცხრილის დაფა) – 1. ობიექტებისა და პირების სია, ჩამონათვალი, რომელიც შექმნილია გარკვეული წესით; 2. დოკუმენტი, რომელშიც აღირიცხება მუშაკების სამუშაოზე მისვლა, საერთო ნამუშევარი დრო.

ტაიმ-შიტი – საზღვარგარეთ საზღვაო გადაზიდვის დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული დატვირთვა-გადმოტვირთვის დრო.

ტაიმ-ჩარტერი – გარკვეული კალენდარული ვადით (როგორც წესი, არა უმეტეს 10 თვისა) სავაჭრო გემის იჯარით დაქირავების ხელშეკრულება.

ტალონი (ფრანგ. talon) – 1. ქაღალდი, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას მიიღოს სიკეთე, ფასეულობა, ნივთები ან შევიდეს, გაიაროს გარკვეულ ადგილზე.

ტანკერი – სატვირთო გემი, რომელსაც უტაროდ გადააქვს თხევადი ტვირთი, ძირითადად ნავთობი, საწვავი, ღვინო და სხვ.

ტანტიემი – დამატებითი ანაზღაურების სახე, გაიცემა სამეურნეო-საფინანსო და საწარმოო სისტემის წმინდა მოგებიდან. ეძლევა ძირითადად ხელმძღვანელ და მაღალი თანამდებობის მუშაკებს.

ტარა – 1. სასაქონლო შეფუთვა. 2. საქონლის შესაფუთი მასალის წონა. 3. საქონლის შეფუთულ და წმინდა წონას შორის სხვაობა.

ტარგეტირება [ინგლ. ტარგეტ - მიზანი] – ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება, რასაც თავის პოლიტიკაში იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ტარიფი (ფრანგ. tarif) – გადახდის განაკვეთი სხვადასხვაგვარი მომსახურებისათვის, რომელიც საწარმოებსა და მოსახლეობას გაეწევა; მათ სატარიფო განაკვეთსაც უწოდებენ.

ტარიფიკაცია [ფრანგ. ტარიფიცტიონ] – რისამე ტარიფის დადგენა.

ტაქსა (გერმ. Taxe, ლათ-დან taxare - შეფასდეს) – ტარიფების, ფასების ანაზღაურების მკაფიოდ დადგენილი დონე.

ტეილორიზმი – შრომის ორგანიზაციის სისტემა, რომლის ნიშანდობლივი თვისებაა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გამოყენება.

ტელ-კედი – საერთაშორისო ვაჭრობაში მიღებული წესი, რომლის თანახმად მყიდველმა გამყიდველის მიერ მიწოდებული საქონელი უპრეტენზიოდ უნდა მიიღოს.

ტელეშოპინგი – საცალო ვაჭრობის ორგანიზაცია ტელეკომუნიკაციურ საშუალებათა გამოყენებით. ვაჭრობის პროგრესული მეთოდი, რომლის საშუალებით მიიღწევა მომსახურების მაღალი დონე.

ტენდენცია – მიმართება, მისწრაფება. რაიმესადმი მისწრაფება ან მიდრეკილება. მიმართულება, რომელშიც მოვლენა ვითარდება.

ტერიტორია – მიწის, წყლის, ტყის სივრცე, რომელსაც გარკვეული საზღვრები აქვს.

ტერორი – ლათინურად შიშს, საშინელებას ნიშნავს. ძალადობის გამოყენება პიროვნების ფიზიკურად განადგურებამდეც კი.

ტერცია – წამის მესამოცედი ნაწილი.

ტესტი [ინგლ. ტესტ.] – 1. რაიმეს მუშაობის ხარისხის შემოწმება. 2. გამოცდის ჩატარების საშუალება.

ტექნიკა (ბერძნულად: ოსტატობა, ხელოვნება). თანამედროვე გაგებით, წარმოების განხორციელებისათვის საჭირო საშუალებანი, რომლებიც ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც შრომის იარაღები.

ტექნოლოგია – ცოდნის ერთობლიობა, რომელიც საჭიროა საწარმოო პროცესების განხორციელებისათვის.

ტექნოპოლისი – თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ინოვაციური პროცესების დასაჩქარებლად იქმნება.

ტვირთი □ საქონელი გადაზიდვის, ტრანსპორტირების, გადაადგილების პროცესში.

ტვირთბრუნვა □ ტრასპორტის მუშაობის ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც უდრის განსაზღვრულ დროში გადაზიდული ტვირთის წონის ნამრავლს გადაზიდვის მანძილზე.

ტვირთნაკადი □ გარკვეული ოდენობის ტვირთის ორ პუნქტს შორის მიმართული გადაადგილება კონკრეტული სატრანსპორტო საშუალებით.

ტირაჟი (ფრანგ. Tirage, tirer-დან - წევა) – 1. ობლიგაციების და ლატარიის ბილეთების მორიგი გათამაშება, რომელიც ტარდება იმისთვის, რათა გამოვლინდეს ფასიანი ქაღალდების დასაფარი ნორმები და სესიები ან ის ნორმები და სესიები, რომელთაც მოგება ხვდათ. 2. ერთი სახელმწიფოს ან ერთი ავტორის ბეჭვდითი გამოცემის ეგზემპლიარების რაოდენობა.

ტო □ იაპონიაში სითხის საზომი ერთეული, უდრის 18,4 ლიტრს.

ტოკიო-რაუნდი □ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ სახელმწიფოთა გენერალური შეთანხმება, რომელიც ძირითადად საერთაშორისო ტარიფებს, ბაჟებსა და ვაჭრობას ეხებოდა.

ტონა □ წონისა და მასის საზომი ერთეული, უდრის 1000 კილოგრამს.

ტოპიკსი □ ფასიანი ქაღალდების ფასების სპეციალური ინდექსი ტოკიოს საფონდო ბირჟაზე.

ტოტალიზატორი □ დოღის დროს გამართული თამაში ფულზე. მექანიკური საანგარიშო მანქანა, რომელიც გამოიყენება დოღის ან სხვა სახის საცხენოსნო შეჯიბრებაში: ანგარიშობენ იმ თანხას, რომელიც დადებულია თითეულ ცხენზე.

ტოტალური □ სრული, ყოვლისმომცველი, საყოველთაო.

ტოუ □ სითხის საზომი ერთეული, უდრის 10,3 ლიტრს.

ტრალი □ 1. მცირე სიდიდის თევზსაჭერი გემი. 2. თევზსაჭერი იარაღი.

ტრამპი □ სატვირთო გემი სხვადასხვა ტვირთის ნებისმიერი მიმართულებით გადასაზიდად.

ტრანზიტი □ ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრთა გადაყვანა ერთი ქვეყნიდან მეორეში მესამე სახელმწიფოს გავლით.

ტრანსაქცია (ლათ. transactio - შესრულება, ხელშეკრულება) □ 1. სა-ბანკო ოპერაცია, რომლითაც ხდება ფულადი სახსრების გადაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე; 2. გარიგება, შეთანხმება, რომელსაც თან ახლავს ურთიერთდათმობა.

ტრანსეროვნული მონოპოლიები □ ერთპიროვნული და სააქციო საწარმოთა მსხვილი გაერთიანებანი, რომლებიც მსოფ-ლიო მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგს აკონტ-როლებს.

ტრანსპორტი (ლათ. trans -გადაღმა, და portare -ზიდვა) □ ერ-თობლიობა საშუალებების, რომელთა დანიშნულება ადამიანების, ტვირთის და ინფორმაციის ერთი ადგი-ლიდან მეორეში გადატანაა.

ტრანსფერი □ ტრანსფერი (ინგ. transfer, ფრანგ. transfers გადა-ცემა, ლათინურიდან transferre - გატანა, გადაგზავნა) – 1. უცხოური ვალუტის (ან ოქროს) ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაგზავნა; საბანკო ოპერაციები ორი ან რამოდენიმე ქვეყნის ვალუტის შემხვედრი გადაგზავნი-სათვის; 2. ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის ფასიანი ქაღალდების ფლობის უფლების გადაცემა; 3. გარიგების მიხედვით საზღაურის ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანა.

ტრანსფერტული გადასახადები □ ფულადი გაცემა სახელმწიფო ბიუჯეტიდან კერძო მეწარმოებაზე, რაც დაკავშირებუ-

ლი არ არის მათ მიერ სახელმწიფო სამსახურის შესრულებასთან, არამედ ხორციელდება სახსრების გადანაწილების წესით, ბიუჯეტის საშუალებით, უფრო მეტად ხელმოკლე მოქალაქეების სასარგებლოდ; სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გადანაწილების ერთ-ერთი სქემა. ტრანსფერტის სამი გავრცელებული სახე არსებობს: სუბსიდიები კერძო მეწარმეებს, სახელმწიფო ვალისათვის პროცენტების გადახდა, სახელმწიფო ფულადი გაცემა სოციალური საჭიროებისათვის (პენსიები, დახმარებები და სხვა)

ტრანსფერტული მომსახურება – ხელშეკრულება კომერციული ბანკების ტრასტ-განყოფილებებთან ან ბროკერების ფირმებთან, რომლებიც თავის თავზე იღებენ მომსახურებას ფასიან ქაღალდებზე, საკუთრების უფლების გადაცემისათვის.

ტრანსფერტული ფასი – შიდასაფირმო - ფასი, რომელიც გამოიყენება საქონლის გაცვლის დროს ტრანსნაციონალური კორპორაციების, ერთობლივი საწარმოების, მათი ქვედანაყოფების ჩარჩოებში სხვადასხვა ქვეყნებში; ჩვეულებრივ, ფართოდ არ ხმაურდება.

ტრასანტი – პირი, რომელიც გასცემს გადასაპირებელ თამასუქს (ტრატას).

ტრასტი – იურიდიული დოკუმენტი ან იურიდიული ქმედება, რომელიც აძლევს ნდობითი საკუთრების მართვის იურიდიულ ფუნქციას ერთ პირს მეორეს მხრიდან, მინდობილობა; საკუთრების ნდობითი მართვის პროცესი.

ტრატა (იტალ. Tratta) – გადასაგზავნი თამასუქი, საგარეო ვაჭრობის ძირითადი საანგარიშსწორებო დოკუმენტი.

ტრატა საბანკო – გადასაპირებელი თამასუქი, რომლითაც გადახდა ხდება მოთხოვნისთანავე. იგი წარედგინება

ბანკის მიერ და, როგორც წესი, უთანაბრდება ნაღდ ფულად საშუალებებს, რომლითაც გადახდა ხდება მოთხოვნისთანავე.

ტრატა სავაჭრო – ტრატა, რომელსაც გამყიდველი გადასცემს ბანკს.

ტრაქტატი – საერთაშორისო ხელშეკრულება.

ტრაქტაცია – საქონლის ყიდვაზე ან გაყიდვაზე წინასწარი განაცხადი, შეტყობინება, რომელიც მიზნად ისახავს მოსალოდნელი მყიდველის ან გამყიდველის გამომჟღავნებას შესაბამის გარიგებათა გასაფორმებლად.

ტრედიუნიონი – ინგლისსა და ინგლისურენოვან ქვეყნებში ეროვნული პროფკავშირების სახელწოდება (ტრედ-პროფესიას, ხელობას, ხოლო იუნიონ კავშირს ნიშნავს).

ტრეველერსჩეკი – საგზაო ქვითარი, ფულის აკრედიტივის განსაკუთრებული სახეობა, რომლითაც სარგებლობენ მოგზაურობის დროს. ამ დოკუმენტით ფულის გამოტანა შეიძლება ნებისმიერ პუნქტში, სადაც ბანკი არსებობს.

ტრეიდერი – საბროკერო ფირმის მუშაკი, რომელიც ბირჟის დარბაზში საქმიანობს და უშუალოდ კლიენტის დავალებას ასრულებს, მონაწილეობს ყიდვა-გაყიდვის პროცესში.

ტრეიდერი სავაჭრო დარბაზი – სავაჭრო ფირმის თანამშრომელი, რომელსაც უშუალოდ მინდობილი აქვს შეასრულოს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შეკვეთები.

ტრენდი – ეკონომიკური მაჩვენებლების ცვალებადობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ტრესტი (trust) – საწარმოთა გაერთიანების ფორმა, ტრესტში გაერთიანებული საწარმოები კარგავენ სამეურნეო და

იურიდიულ დამოკიდებულებას და მოქმედებენ ერთიანი გეგმის შესაბამისად.

ტრიგერი – საკრედიტო შეთანხმების პირობები, რომლის დროსაც ავტომატურად დგება რაიმე შედეგი, მაგ., კრედიტის ვადამდე დაფარვის მოთხოვნა.

ტრიესუნცია – ინგლისური ოქროს მონეტიანი გირვანქის 1/12 ნაწილი, გამოდის როგორც წონის საზომი 31,1035გრ. მასით.

ტრილიონი – ათასი მილიარდი.

ტრიმესტრი – წლის მეოთხედი, კვარტალი.

ტრიპლიკატი – 1. სამ ეგზემპლარად შედგენილი დოკუმენტი. 2. საერთაშორისო ვაჭრობაში კონტრაქტის მესამე ეგზემპლარის ბეჭდით დამოწმება.

ტროფეი – ომის დროს დამარცხებული მოწინააღმდეგისათვის ჩამორთმეული ქონება, ძირითადად სამხედრო საჭურველი.

ტუგრიკი – მონღოლური ფულის ერთეული.

უ

უარყოფითი დანაზოგი – საკრედიტო, სასესხო დავალიანების ზრდა.

უარყოფითი მოთხოვნა – ნეგატიური მოთხოვნა, მოთხოვნის არარსებობა.

უვადო რენტა – ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ყოველწლიურად მუდმივი შემოსავალი მოაქვს.

უზო – სავაჭრო წესით დადგენილი ტარის წონა.

უიტ ჰოლი – ლონდონის ერთ-ერთი ქუჩა, სადაც განლაგებულია რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება. გადატანითი მნიშვნელობით იხმარება დიდი ბრიტანეთის მთავრობის აღსანიშნავად.

უკუდემპინგი □ საქონლის გაყიდვა საზღვარგარეთ, შიგა ფასზე უფრო ძვირად მონოპოლიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მოგების ამოღების მიზნით.

ულტიმატუმი □ საერთაშორისო ურთიერთობაში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისადმი კატეგორიულ, შემდგომი დავისა და წინააღმდეგობის გამომრიცხავ წინადადებას გულისხმობს. მოთხოვნა რომელსაც მუქარა ახლავს.

ულტიმო □ კომერციული და საბაჟო ტერმინოლოგიისათვის უკანასკნელი, ბოლო დღე.

ულტრა ვირესი (ლათ.ultra vires-შესაძლებლობის ზევით) □ საქმიანობა, რომელიც გარკვეულ უფლებებს აღემატება და უფლებამოსილებათა ჩარჩოებს გარეთაა გამოსული.

უნაღდო ანგარიშსწორება □ ანგარიშსწორება საგადასახადო საბუთებით ნაღდი ფულის გამოყენების გარეშე.

უნივერსამი □ მსხვილი სავაჭრო ობიექტი, რომელიც სხვადასხვა დასახელებისა და დანიშნულების საქონლით ვაჭრობს. უნივერმაღისაგან განსხვავებით, რომელიც საქონლის გარკვეული ჯგუფის უპირატესად მსუბუქი მრეწველობის, პროდუქციით ვაჭრობს, უნივერსამში საქონლის უფრო ფართო წრეა, მათ შორის სასურსათო საქონელიც.

უნიკალური □ (უნიკუმი) ერთადერთი, განსაკუთრებული, ძალიან იშვიათი რამ, გამონაკლისი.

უნიტარული სახელმწიფო □ სახელმწიფო მოწყობა ფედერაციული დაყოფის გარეშე.

უნცია □ ინგლისური სავაჭრო გირვანქის ერთი მეთექვსმეტედი უდრის 31,1035 გრამს, ხოლო მონეტური გირვანქის □ ერთი მეთორმეტედი.

უოლ-სტრიტი - ნიუ-იორკის ერთ-ერთი ქუჩა, სადაც განლაგებულია მსხვილი ბანკები, საფონდო ბირჟა და მსხვილ სამრეწველო მონოპოლიურ გაერთიანებათა მართვის ორგანოები.

ურბანიზაცია – დიდ ქალაქებში მოსახლეობისა და მრეწველობის თავმოყრა; ძირითადად სოფლის მოსახლეობის შემცირების ხარჯზე.

უტილი – გამოსაყენებლად გამოუსადეგარი, მაგრამ ნედლეულად ვარგისი ნივთები.

უტილიზაცია – სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნარჩენების შეგროვება და მათი გადამუშავება დამატებითი პროდუქციის (სარგებლობის) მიღების მიზნით.

უქაღალდო ანგარიშსწორება – (უქაღალდო ტექნოლოგია) უნაღდო ანგარიშსწორება ელექტრონული საბუთების საფუძველზე (ქაღალდის საგადასახადო საბუთების გამოყენების გარეშე).

უცხოური ვალუტა – სხვა ქვეყნების ფულის ერთეული.

უძრავი ანაბრები – ანაბრები, რომლებზედაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ოპერაციები არ განხორციელებულა.

უძრავი ქონება – მიწისა და სხვა ბუნებრივი სავარგულები, სხვა ქონება, რომელიც მიწასთანაა მიმაგრებული, მჭიდროდ დაკავშირებულია მასთან (შენობები, ნაგებობები, ობიექტები). უძრავ ქონებას ასევე მიეკუთნება მიწაზე ქონებრივი უფლება.

უწყისი – სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სიის სახით: სააღრიცხვო რეესტრი.

ფ

ფაბრიკა – მანქანური წესით ნედლეულის გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმო.

ფალსიფიკაცია – საქონლის, პროდუქციის გაყალბება, ფაქტების მოვლენების გაყალბება; კეთილშობილი ლითონის რაოდენობის შემცირება, სტანდარტულ ფულად ერთეულში.

ფარული ეკონომიკა – არარეალური, ოფიციალურად არარეგისტრირებული, სტატისტიკურად აღურიცხავი ეკონომიკური საქმიანობა.

ფარული ვაჭრობა – ვაჭრობა, რომელიც წინასწარი გამოცხადებისა და მყიდველების ფართო ხელმისაწვდომობის გარეშე ტარდება.

ფასდაკლება – საქონლის მიმღების მიერ მის გამგზავნთან, გამყიდველთან ანგარიშწორების წესი, რომელიც პატარა პარტიებითა და მცირე თანხების საქონლის გაგზავნისას სამეურნეო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებთან ანგარიშსწორებისას გამოიყენება.

ფასების დაკლება – საქონლის ინტენსიური გაყიდვა მასზე ფასების დაკლების, შემცირების მიზნით.

ფასების მასშტაბი – გაზომვის ხერხი, საშუალება, საქონლის ღირებულების გამოხატვა ფულის ერთეულში.

ფასების ჭერი – საქონელსა და მომსახურებაზე კანონმდებლობით დაწესებული ფასების მაქსიმალური დონე.

ფასი (price) – თანხა, რომელსაც ვიხდით საქონლის და/ან მომსახურების შეძენისას (ჩვეულებრივ, ფასს ფულადი სახე აქვს).

ფასი გამყიდველის – ფასი რომლის მიხედვითაც საქონლის გამყიდველები მოცემულ ბაზარზე ყიდიან საქონელს; იგი გაყიდვის მოცულობაზე, გამყიდველის ხარჯებსა და სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული.

ფასი გასაყიდი – 1. ფასი, რომლის მიხედვითაც საწარმოო გასცემს, აძლევს თავის საქონელს მომხმარებელს. 2. დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ გაცემული პროდუქციის ფასი.

ფასი დემპინგური – ანტიდემპინგური კანონის მიხედვით: საექსპორტო ფასი, რომელიც საშინაო ბაზრის ან მსოფლიო ფასთან შედარებით ნაკლებია.

ფასი ემისიის – აქციის ფასი, რომელიც დადგენილია ფართო საჯარო გაყიდვისათვის ემისიის დამთავრებისთანავე.

ფასი ზღვრული – 1. ფასის მაქსიმალური დასაშვები გაზრდა ან შემცირება ბაზარზე სავაჭრო ციკლის, სეზონის განმავლობაში. 2. ბროკერის მიერ შემზღუდავი პირობებით შეკვეთილი ფასი.

ფასი კარტელური – კარტელის წევრების მიერ დადგენილი მონოპოლიური ფასი კონკურენტების დამარცხების მიზნით.

ფასი კლირინგით – ყოველდღიური ფასი, რომლითაც ანგარიშსწორების პალატა მის წევრებს შორის ყველა გარიგებაზე გაანგარიშებებს ახორციელებს.

ფასი კონვერსიის – 1. ფასი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ობლიგაციების გაცვლა იმავე ემიტენტის აქციებსა და სხვა ქაღალდებზე. 2. ღირებულება, წარმოქმნილი ერთი ფირმის ფასიანი ქაღალდების სხვაზე გაცვლის დროს.

ფასი კონვერტირებადი – აქციის ფასი კონვერტირებად ვალუტაში, რომელიც განსაზღვრულია ემისიის მომენტში და შემდგომი ტრანსაქციებისათვის ეკვივალენტს წარმოადგენს.

ფასი კოტირების – კოტირების საფუძველზე განსაზღვრული ფასი, რომელიც ჩვეულებრივ, ორიენტირად გამოიყენება.

ფასი კრედიტის – პროცენტული საკრედიტო განაცვეთი, რომელიც შეესაბამება სასესხო პროცენტის ეკონომიკურ ბუნებას, განაკვეთი კრედიტისათვის.

ფასი მართვადი □ ფასი დადგენილი მოთხოვნისა და მიწოდების შესწავლის საფუძველზე, ძლიერი მონოპოლიზებული ბაზრის პირობებში.

ფასი მიმდინარე (current price) □ მიმდინარე პერიოდში მოქმედი ფასი.

ფასი მიწოდების □ საქონლის ფასის მინიმალური ზღვარი, რომელიც საკმარისია, გამყიდველის მიერ საქონლის (მომსახურება, სამუშაო) ბაზარზე გასაყიდად გატანისთვის. ამ ფასს ქვემოთ საქონლის საბაზრო ფასი შეუძლებელია დაეცეს.

ფასი მოთხოვნის □ 1. საბაზრო ფასი, მოთხოვნისა და მიწოდების ისეთი მდგომარეობის პირობებში, როდესაც მყიდველის ბაზარი ყალიბდება. 2. ფასი, რომლის დროსაც მყიდველები მოცემულ ბაზარზე მზად არიან იყიდონ საქონელი.

ფასი მონოპოლიური □ მონოპოლისტების მონოპოლიური გაერთიანებების მიერ ბაზარზე ზემოგების მიღების მიზნით დადგენილი ფასი.

ფასი მოხმარების □ გასაყიდი ფასისა და მომხმარებლის ღირებულების ჯამი, საქონლის გამოყენებისა და ექსპლუატაციის პერიოდში.

ფასი მსოფლიო □ მსოფლიო ბაზარზე რეალიზებული საქონლის ერთეულის ინტერნაციონალური ღირებულების ფულა-დი გამოხატულება. მაგ.: ბარელი ნავთობის, ტონა ხორბლის ფასი.

ფასი მცოცავი □ ფასი, რომელიც წესდება დამზადების ხანგრძლივვადიან ნაწარმზე, რაც გაიანგარიშება სრიალის პრინციპის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს წარმოების ხარჯებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ნაწარმის დამზადების ციკლის პერიოდში, მაგ.: შენობის, გემის მშენებლობისათვის.

ფასი სიფი □ ფასი, რომელშიც ჩართულია გამყიდველის ყველა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია ტვირთების გადაზიდვასთან, საბაჟო მოსაკრებლების გადახდასა და საქონლის დაზღვევასთან, საქონლის მყიდველამდე მიტანამდეც კი.

ფასი სპოტი (ინგლ. spot price) □ ფასი, რომლის მიხედვითაც საქონელი დაუყოვნებელი განაღდებით იყიდება.

ფასი სრული □ ფასი საბაზისო ფასზე ყველა წანამატით.

ფასი საცალო (retail price) □ სავაჭრო ქსელში საქონლის/მომსახურების სარიალიზაციო ანუ საბოლოო მოხმარებისათვის გამიზნული ფასი, რომელიც მოიცავს საწარმოს საბითუმო (გასაცემ) ფასს და სავაჭრო (საშუამავლო) ფასნამატს.

ფაქსი □ პროგრამირებადი ხელსაწყო.

ფაქსიმილე □ ფაქსით ელექტრონული ხელმოწერა.

ფაქტურა □ დამუშავება, აგებულება. დამუშავების ხასიათი, რაც განსაზღვრავს რისამე (მაგ., ქსოვილის, მინის) გარეგნულ სახეს. გასაყიდად გაგზავნილ საქონელს დართული სია, რომელშიც აღნიშნულია საქონლის სახელწოდება, რაოდენობა, გასაყიდი ფასი და სხვ.

ფერმა □ კერძო მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო, რომელიც საკუთარი არენდით ან იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე ეწყობა. ფერმერი ამ საწარმოს მფლობელია.

ფერტილური □ ნაყოფიერი, ნაყოფის, მემკვიდრეობის მომცემი, (ორგანიზმი) მაგ., ფერტილური ასაკის ქალი (მამაკაცი).

ფიზიოკრატები □ მე-18 ს.-ის მეორე ნახევრის ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტები, რომლებსაც მიწა და მიწათმოქმედება მიაჩნდათ ქვეყნის სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ.

ფილერი – უნგრული ხურდა ფული, უდრის ფორინტის ერთ მეასედს.

ფილი – ერაყის ხურდა ფული, უდრის დინარის ერთ მეასედს.

ფილიალი – რაიმე დაწესებულების ან ორგანიზაციის განყოფილება, რომელიც მოთავსებულია სხვაგან და აქვს ერთგვარი დამოუკიდებლობა.

ფილიპსის მრუდი – 1. ინფლაციური მოთხოვნის მოდელში ასახული მრუდი, რომელიც გამოხატავს ურთიერთკავშირს ინფლაციასა და უმუშევრობას შორის. 2. ფუნქცია, რომელიც ახასიათებს და გრაფიკულად გამოხატავს დამოკიდებულებას უმუშევრობის დონის დინამიკასა და ფასების დონის დინამიკას შორის. იგი შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების შემაერთებელი წრეა.

ფინანსები – ფულადი სახსრები, როგორც სახალხო-სამეურნეო ბრუნვის ელემენტი.

ფინანსური ლიზინგი – არის ლიზინგური ხელშეკრულება ვადით, რომელიც მიახლოებით აქტივების მომსახურების ვადის ტოლია. საოპერაციო ლიზინგისგან განსხვავებით, აქტივის ტექნიკურ მომსახურებას ლიცენზიით იღებს თავისთავზე. ლიცენზიის სახით მოცემული პრაქტიკის ჩარჩოებში, როგორც წესი, საფინანსო ინსტიტუტები გამოდიან.

ფინანსური რისკი – არის საბანკო რისკების ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფი. იგი მოიცავს რისკებს, რომლებიც მოცულობებში, შემოსავლიანობაში, აქტივებსა და პასივების ღირებულებასა და სტრუქტურაში გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

ფირმა (იტალ. firma) – საწარმოს, კომპანიის, სამეურნეო ორგანიზაციის, კომერციული ორგანიზაციის ზოგადი სახელწოდება.

ფისკა – სახელმწიფო ხაზინა.

ფისკალური – რაც ფისკის ინტერესებს ეხება; სახაზინო.

ფიურერსები – არის გარიგებები, რომლებიც საბირჟო საქონლის (საქონლური ფიურჩერსები) ან ფულადი სახსრების (ფინანსური ფიუჩერსები) მიწოდებაზე სტანდარტულ კონტაქტებთან მიმართებაში უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაცემას ითვალისწინებს.

ფიუჩერსი – არის კონტრაქტი, რომლის მიხედვით მატერიალური და არამატერიალური პროდუქტის დადგენილი რაოდენობის მიწოდების თარიღი დგინდება. აღნიშნულ პროდუქტებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები, ისეთები, როგორიცაა ხორბლეული და ლითონი, აგრეთვე ფინანსური ინსტრუმენტები.

ფიუჩერსული ოპერაციები – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა. გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე, გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით.

ფიფო – მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების აღრიცხვის მეთოდი, როდესაც ბუღალტრული აღრიცხვა ხდება პირველად შემოსული პროდუქციის ფასის მიხედვით.

ფიქსი – საქონლის დადგენილი ფასი. ზუსტად განსაზღვრული თანხა რაიმე სახის სამუშაოს ანაზღაურებისა, გასამრჯელოსი.

ფიქციური – რაც ფიქციას წარმოადგენს; არანამდვილი, ყალბი, მოსაჩვენებელი, ფიქციური კაპიტალი – კაპიტალი, რომელიც არსებობს გარკვეული შემოსავლის მომცემი ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების და მისთ.) სახით.

ფორდიზმი – წარმოების ორგანიზაციის მეთოდი, განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში, რომელიც ჰენრი

ფორდის სახელს უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ფ. და პ. უმთავრესად წარმოების პროცესს უკავშირდება, ისინი ხშირად გამოიყენება მათთან დაკავშირებულ სოციალურ და პოლიტიკურ შედეგებთან მიმართებაში. ფორდის დიად წამოწყებად ითვლება სტანდარტიზებული პროდუქციის მასობრივი წარმოება, რომელიც ფასის საყოველთაო ხელმისაწვდომობის მეშვეობით მასობრივ მოხმარებას წარმოშობს.

ფორვარდი – სავალუტო ან სხვა სახის გარიგებისას ისეთი ანგარიშსწორება, რომელიც გარიგებიდან 2 სამუშაო დღის მანძილზე სრულდება.

ფორვარდული ოპერაციები – ისეთი ოპერაციები, რომლებიც ბირჟის გვერდის ავლით კავშირის საშუალებებით (ტელეფონი, ტელექსი) სრულდება, მათი დაჩქარების მიზნით.

ფორინტი – უნგრეთის ფულის ერთეული, შემოღებულია 1946 წლიდან.

ფორმაცია – გარკვეული სტადია, საფეხური რისამე განვითარებაში. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია - ისტორიული განვითარების მოცემულ საფეხურზე არსებული ადამიანთა საზოგადოება, რომლისთვისაც დამახასიათებელია საწარმოო ურთიერთობათა გარკვეული სისტემა

ფორმულა – მოკლე და ზუსტი სიტყვიერი განსაზღვრა რისამე. რიცხვებით ან ასოებით გამოხატული და მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა (მათემატიკური ფორმულა). ლათინური ასოების (სიმბოლოების) საშუალებით აღნიშვნა მოლეკულის შემადგენლობისა, ქიმიური პროცესისა (ქიმიური ფორმულა).

ფორსირება – გაძლიერება. რისამე დაჩქარება, რისამე ტემპის გაძლიერება.

ფორს-მაჟორი – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია; გადაულახავი დაბრკოლება.

ფორფეტირება – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს, ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების და სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით, რომლის დროსაც გარანტად გამოდის იმპორტიორი ქვეყნის ბანკი.

ფრანკი – საფრანგეთის, ბელგიის, შვეიცარიის, ლუქსემბურგისა და მონაკოს ფულის ერთეული.

ფრანკო – საგარეო ვაჭრობაში: ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საქონლის დატვირთვას და გაგზავნას გამყიდველის ხარჯით. ფრანკო-ვაგონი – ისეთი გარიგება, როდესაც საქონლის სადგურში მიტანისა და ვაგონის დატვირთვის ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, გამგზავნი.

ფრანკო-გადამზიდავი (ადგილის დასახელება) – ტერმინი გამოიყენება არა მარტო საზღვაო, არამედ ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალებით ტვირთის ტრანსპორტირებისას. ტერმინის შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია მიიტანოს ტვირთი კონტრაქტში მითითებულ პუნქტში და გადასცეს მყიდველს, ან ექსპედიტორს, ან გადამზიდავს, მყიდველის მითითებით.

ფრანკო გემბანის დასკვნა – ტერმინი გამოიყენება მხოლოდ საზღვაო/სამდინარო გადაზიდვებისას, დაუშვებელია გამოთქმა „FAS აეროპორტი ქუთაისი“.

ფრანკო ქარხანა – (ადგილის დასახელება) ტერმინი ნიშნავს, რომ გამყიდველი გადასცემს მყიდველს საქონელს მზად (სათანადოდ შეფუთულს, გამზადებულს სატრანსპორტო საშუალებაზე დასატვირთავად) საკუთარ საწარმოში და ამის შემდეგ არ გაიღებს არავითარ ხარჯს, ანუ ამის შემდეგ ყველა ხარჯს და რისკს ეწევა მყიდველი.

ტერმინი ყველა სახეობის ტრანსპორტიოსთვის არის მისაღები.

ფრანშიზი – მიწოდებული საქონლის იმ რაოდენობიდან გადახრის საზღვარი, რომელიც ხელშეკრულებაშია ნაჩვენები; გამოიხატება პროცენტებით.

ფრანჩაიზინგი – მსხვილი და წვრილი მეწარმეობის შერეული ფორმა, რომლის მიხედვითაც მსხვილი კორპორაციები, „მშობლიური“ კომპანიები (ფრანჩაიზერები) ხელშეკრულებას დებენ წვრილ ფირმებთან – „შვილობილ“ კომპანიებთან, ბიზნესმენებთან (ფრანჩაიზებთან) დებენ ხელშეკრულებას უფლებისა და პრივილეგიის მოსაპოვებლად, რათა ფრანჩაიზერის სახელით იმოქმედონ.

ფრახტი – 1. გემით ტვირთის გადაზიდვის ქირა, საფასური. 2. დაქირავებული (დაფრახტული) გემით გადაზიდული ტვირთი.

ფულადი ბაზარი – არის მოკლევადიანი (ერთ წლამდე) საფინანსო ინსტრუმენტების ბაზარი. საკრედიტო პოლიტიკა შემდეგ საკვანძო მომენტებს უნდა გამოხატავდეს: საკრედიტო საქმიანობის ორგანიზაციას; საკრედიტო პორტფელის მართვას; დაკრედიტებაზე კონტროლის უფლებამოსილებების განაწილების პრინციპებს; რეზერვირების კრედიტებზე შესაძლო დანაკარგების შემთხვევისათვის და ა. შ. დაკრედიტების სტანდარტები და საკრედიტო ინსტრუქციები საკრედიტო საქმიანობის უფრო დეტალურ რეგლამენტირებას მოიცავენ.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა – ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომელიც საბანკო და საფინანსო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე კონტროლს ითვალისწინებს და იგი ხელს უწყობს ფულის მიწოდების და საკრედიტო რესურსების

დონის საერთო ეროვნული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

ქ

ქველმოქმედება – უსასყიდლო დახმარების გაწევა გასაჭირში მყოფი პირებისა და ორგანიზაციებისათვის, ადამიანთა უზრუნველყოფა სიკეთითა და მომსახურებით ქველმოქმედების ხარჯზე.

ქირა იჯარის – იჯარით აღებული ქონების გამოყენებულის ფულადი საზღაური.

ქონება – მატერიალური ფასეულობა, ნივთი, რომელიც იურიდიული ან ფიზიკური პირის მფლობელობაშია; ასხვავებენ მოძრავ, გადასაადგილებელ და უძრავ ქონებას. მიწისა და მასზე არსებული ობიექტების სახით: ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი უფლებები და მოვალეობანი.

ქოუზის თეორემა – რ. ქოუზის მიერ წამოყენებული ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით უარყოფითი გარე ეფექტები არ იწვევს რესურსების არარაციონალურ ალოკაციას, თუკი არ არსებობს ტრანსაქციური ხარჯები. თუ მხარეები უდანახარჯოდ შეთანხმდებიან რესურსების განაწილებაზე, მაშინ ისინი გადაჭრიან გარე ეფექტების პრობლემებს.

ქრემატისტიკა – ფულის კეთების, ქონების მოპოვების ხელოვნება. სხვაგვარად – კაპიტალის დაბანდებისა და დაგროვების ხელოვნება.

ღ

ღია ანგარიში – ანგარიშსწორების განსაკუთრებული ფორმა, რომელიც საკრედიტო ურთიერთობას ეფუძნება. მყიდ-

ველს გახსნილი აქვს ანგარიში, რომლისგანაც ჩამოიწერება გაგზავნილი საქონლის ღირებულება, როგორც კი გამყიდველი შესაბამის დოკუმენტს წარადგენს.

ღია ვაჭრობა – ვაჭრობა, აუქციონები, რომელთა შესახებ ფართოდ ატყობინებენ მასში მონაწილეობის მსურველებს და რომელზედაც მონაწილეები თავისუფლად დაიშვებიან.

ღია პოზიცია – ვაჭრობის პროცესში ისეთი მომენტი, როდესაც ყიდვა-გაყიდვას შორის შეუსაბამობა ჩნდება, ე.ი. პირველი ჭარბობს მეორეს ან პირუკუ.

ღირებულება საქონლის ფასი; ფულადი სახსრების დანახარჯი საქონლის შესაძენად, სამუშაოებისა და მომსახურების შესასრულებლად, სიკეთის მისაღებად; შრომითი ღირებულების თეორიაში – საქონელში განივთებული შრომა.

ყ

ყადაღა – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რაიმე კერძო ქონების გამოყენების შეზღუდვა ან აკრძალვა; ყადაღა.

ყადაღის დადება – მოვალის ქონების აღწერა და ქონების განკარგვის ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულების დადების აკრძალვის გამოცხადება ან/და ქონების შესანახად გადაცემა.

ყადრი – არაბულად: ღირებულება, ფასი. იტყვიან, ფულის ყადრი არ იცისო, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნებამ არ იცის ფულის ფასი.

ყავლი – (არაბულად: დროს, ვადას ნიშნავს). ნივთს ყავლი გაუვიდა – ეს ნიშნავს ნივთის სამსახურის (ხმარების), გამოსადეგობის ვადის გასვლას.

ყაზაბი – ხარბი ვაჭარი. წარმოდგება შავი ფულის (ლითონისა) აღმოსავლური სახელწოდება ყაზაბეკისაგან.

ყასაბი – არაბულად: გამყიდველი.

ყუა □ ფურცლის ნაწილი, რომელიც საქვითრო წიგნაკში ქვითრის მოხევის შემდეგ რჩება.

ყურსი □ (არაბულად მკვრივს, დამძიმებულს, ლითონის ზოდს ნიშნავს). დაყურსული დამძიმებულის, დატვირთულის გაგებით იხმარება.

შ

შავი ბაზარი □ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით ფუნქციონირებადი ბაზარი. ფარული ეკონომიკის ერთ-ერთი ატრიბუტი.

შეკვრა □ საერთო პაკეტი სხვადასხვა გამოშვების კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ერთობლიობის სახით, რომელიც საინვესტიციო დილერის მიერ გასაყიდად ერთიან ფასშია შემოთავაზებული.

შემკვეთი □ იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც შეკვეთას აძლევს სხვა პირს □ დამამზადებელს, გამყიდველს, საქონლისა და მომსახურების მიმწოდებელს (მენარდეს).

შეფი (ინგ. Chief) □ უფროსი, საწარმოს, დაწესებულების მეთაური.

შიპჩანდლერი □ ორგანიზაცია ან ფირმა, რომელიც სურსათს აწვდის გემებს და ამარაგებს მათ ტექნიკით.

ჩ

ჩაკეტილი ბაზარი □ ბაზრის ისეთი მდგომარეობა, როდესაც მყიდველის კურსი უტოლდება გამყიდველის კურსს.

ჩაკეტილი ეკონომიკა □ ეკონომიკა, რომელიც ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში გარე სამყაროსაგან ფაქტობრივად იზოლირებულია; ეკონომიკა, რომელიც ფართოდ არ მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში.

ჩამოწერა □ საწარმოს (ფირმის) სასაქონლო ან ფულად ფასეულობათა მიკუთვნება ზარალზე ბალანსიდან მისი ამოღებით, საბალანსო აღრიცხვიდან მოხსნით.

ჩარტერი (ინგ.charter- გემის დაფრახტვა) □ ხელშეკრულებაზე სატრანსპორტო საშუალების მფლობელსა და დამქირავებელს (დამფრახტველს) შორის სატრანსპორტო საშუალების (გემის, თვითმფრინავის) ან მისი ნაწილის იჯარით აღების შესახებ განსაზღვრულ ვალთან ერთი რეისისათვის.

ჩარტიზმი [ინგლ. chartism] □ მე-19 ს.-ის 30-40-იან წლებში ინგლისში: მუშათა რევოლუციური მოძრაობა, რომლის მიზანი იყო პოლიტიკურ უფლებათა მოპოვება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ჩარტისტი □ ჩარტიზმის მომხრე, მონაწილე.

ჩეინი □ ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული, 20,1 მეტრს უდრის.

ჩეკი □ დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მეანაბრის განკარგულებას ბანკისადმი, რათა მან მიმდინარე ანგარიშიდან გადაუხადოს ან გადაურიცხოს წარმდგენს გარკვეული თანხა. სალაროში წარსადგენი ქვითარი, რომელზედაც აღნიშნულია საქონელში გადასახდელი თანხის რაოდენობა; აგრეთვე სალაროდან მიღებული ტალონი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონლის ფასი გადახდილია.

ც

ცაიტნოტი □ დროის მწვავე უკმარისობა.

ცალმხრივი ბაზარი □ ბაზარი, სადაც მხოლოდ მყიდველის კურსის კოტირება ხდება.

ცედენტი □ კომპანია, რომელიც გადასცემს რისკს გადაზღვევაზე.

ცენზი (ლათ. census) □ 1. პირობები, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას, ისარგებლოს ამა თუ იმ პოლიტიკური უფლებით; რაიმე უფლების გამოყენებაზე პირის დაშვების შემზღუდავი პირობები; 2. სტატისტიკური აღწერა; 2. რეგულარული ფიქსირებული ღალა ფეოდალიზმის პერიოდში დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში.

ცენზურა □ ბეჭდვით ორგანოებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემა, ასევე ასეთი ზედამხედველობის განმახორციელებელი დაწესებულება; ნებისმიერი სახის ნაწარმოების (სპექტაკლი, ტელე-რადიოსაშუალებებით ეთერში გაშვება) გადახედვა (გასინჯვა), რომელიც ხორციელდება გამოქვეყნებისათვის სპეციალური ნებართვის მიღების მიზნით.

ცენტი □ რიგი ქვეყნების ხურდა ფული, მაგალითად, ამერიკული დოლარის მეასედი ნაწილი.

ცესია (ლათ.cessia-გადაცემა) □ საკუთრების ფლობის ან საკუთრების მიღების უფლების სხვა პირებზე გადაცემა. მაგალითად, კრედიტორს (ცედენტს) ვალის მიღების უფლება შეუძლია სხვა პირს (ცესიონარს) გადასცეს.

ცესიონარი □ მემკვიდრე, რომელსაც ფინანსური ოპერაციების ჩატარების ან მემკვიდრეობის უფლება გადაეცემა; სადაზღვევო კომპანია, რომელიც ხელახალი დაზღვევის რისკს (გადამზღვევი) თავის თავზე იღებს.

ცივილიზაცია □ საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების თანამედროვე კულტურა, განათლება.

ცირკულარი – წერილობითი განკარგულება, რომელიც ეგზავნებათ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს ან ხელქვეითს თანამდებობის პირებს.

ციფრული ხელმოწერა – ელექტრონული ხელმოწერის ნაირსახეობა, რომელიც მიღებულია ელექტრონულ მონაცემთა კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად, ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით, ლოგიკურად უკავშირდება ელექტრონულ დოკუმენტს და აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: დაკავშირებულია მხოლოდ ხელმოწერასთან, მისი მეშვეობით შესაძლებელია ხელმოწერის ვინაობის დადგენა, იგი შექმნილია ხელმოწერის სრული კონტროლის ქვეშ დახურული მისაღების მეშვეობით, ისე დაკავშირებული მონაცემებთან, რომ იძლევა იმის აღმოჩენის საშუალებას, მოხდა თუ არა ცვლილება ამ მონაცემებში.

ციფრული ხელმოწერის მფლობელი – პირი, რომელსაც აქვს ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატი და ამ დებულების და სისტემის წესების მოთხოვნათა შესაბამისად ელექტრონულ დოკუმენტს ციფრულად აწერს ხელს.

ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების კომპრომეტირება – ნებისმიერი შემთხვევა ან/და ქმედება, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს დახურული გასაღების არასანქცირებული გამოყენება.

ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატის გამცემი – საქართველოს ეროვნული ბანკი.

ციფრული ხელმოწერის სერთიფიკატი – ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც გაცემულია სერთიფიკატის გამცემის მიერ და შეიცავს ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს, იძლევა ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმებისა და ვინაობის დადგენის საშუალებას.

ძ

ძაიბაცუ – თანამედროვე იაპონიის მონოპოლიები, ფინანსური ოლიგარქია.

ძინი – ჩინეთში წონის ერთეული, უდრის 604,5 გრამს.

ძირითადი განაკვეთი – 1. კრედიტების განაკვეთი, რომელსაც აქვეყნებს ეროვნული ბანკი და წარმოადგენს ქვეყანაში კრედიტის ფასის ორიენტირს. 2. პიროვნება, რომელიც მუშაობს ორგანიზაციაში, საწარმოში ძირითად (საშტატო) ერთეულზე (შტატში).

წ

წარმოება – რესურსების (ნედლეულის) მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესი.

წელი – დროის მონაკვეთი, რომელიც შედგება ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისგან.

წესდება – კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული და დამტკიცებული დოკუმენტი, დებულებათა კრებული, იურიდიული პირის საქმიანობის წესები, რომელიც განსაზღვრავს მის სტრუქტურას, საქმიანობის სახეებს, სხვა პირებსა და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობებს, უფლებებსა და მოვალეობებს.

წმინდა შემოსავალი – საწარმოს მთლიანი შემოსავალის ნაწილი, რომელიც რჩება მის განკარგულებაში, ბიუჯეტში გადასახადების გადახდის შემდგომ.

ჭ

ჭარბი მიწოდება – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მიწოდება აღემატება მოთხოვნას. წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როცა საბაზრო ფასი წონასწორობის ფასზე მაღლა აიწევს. ეს სტიმულს აძლევს მწარმოებლებს, გაზარდონ

საქონლის წარმოება. გარკვეულ წერტილში წარმოებული იქნება იმაზე მეტი, ვიდრე მომხმარებლებს სურთ, რომ შეიძინონ. წარმოიქმნება ჭარბი მიწოდება, რაც გამოიწვევს ფასის შემცირებას.

ჭარბი მოთხოვნა – მოთხოვნა, რომელიც მნიშვნელოვნად აჭარბებს მიწოდებას, რაც გამოიწვევს საქონლის დეფიციტს და მისი ფასის ზრდას.

ჭარბი რეზერვი – სარეზერვო მარაგის მინიმალური დონის ნაჭარბი, რომელსაც ბანკები აუცილებელი წესით უნდა ინახავდნენ ნაღდი ფულის სახით, საკუთარ საცავებსა ან ანაბრების სახით, ქვეყნის ცენტრალურ ბანკში.

ჭარბწარმოება – ეკონომიკური ვითარება, როდესაც არსებული ფასების პირობებში საქონლის მიწოდება აღემატება მოთხოვნას.

ხ

ხაზინა – სპეციალური სახელმწიფო ფინანსური ორგანო, რომელიც, ჩვეულებრივ, ფინანსთა სამინისტროსთან არსებობს და მის შემადგენლობაში შედის. თურქულ ენაზე იგი ფულის საცავს ნიშნავს.

ხაზინადარი – თანამდებობის პირი, რომელიც ორგანიზებას უკეთებს სახელმწიფო შემოსავლების მიღებას, გადასახადების მოდინებას, ამ ოპერაციების აღრიცხვას აწარმოებს და მისი მსვლელობის კონტროლს ახორციელებს.

ხარაჯა – სიტყვა არაბულიდან წარმოდგება. მუსულმანურ ქვეყნებში: მიწის სარგებლობის გადასახადი, რომელიც არამუსულმანთათვის წესდება. ხარკი.

ხარჯთაღრიცხვა – საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრების შემოსავალ-გასავლის (დანახარჯების) გეგმა, რომელიც დაყოფილია ცალკეულ ელემენტებად და მუხლებად.

ხეირი – სიტყვა არაბულიდან წარმოსდგება. მოგება, გამორჩენა. რაიმე სარგებლობის მიღება.

ხელფასი – ფულადი ანაზღაურება შრომისათვის; შრომით შექმნილი პროდუქტის ღირებულების ნაწილი, მისი გაყიდვით მიღებული შემოსავალი, რომელიც გაიცემა მუშაკზე იმ საწარმოს, დაწესებულების მიერ, სადაც იგი მუშაობს ან სხვა დამქირავებლის მიერ.

ხელშეკრულება – ორი ან რამდენიმე პირის (ეკონომიკური სუბიექტების) ნებაყოფლობითი შეთანხმება, რომელიც იდება თითოეული მათგანის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე სხვა მონაწილეთა მიმართ.

ხეჯირება – არის სავალუტო, საკრედიტო და რიგი რისკის სხვა სახეობების შემცირების მეთოდი, რომელსაც ინვესტორის მიერ რისკის პოზიციის განაზღვრული ფაქტორებისადმი მიმართებაში საპირისპირო პოზიცია აქვს დაკავებული. თუ რისკის ფაქტორი თავისთავს გამოავლენს, მაშინ ერთ-ერთი დაბანდების შემოსავლიანობა შემცირდება, ხოლო მეორესი კი – გაიზრდება. ხეჯირებაში ფართოდ გამოიყენება ფიუჩერსები, სვოპები და ოფციონები.

ჯ

ჯარიმა – ფულადი გადასახდელი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები მოქმედი კანონმდებლობის, დადებული ხელშეკრულების ან დადგენილი წესების დარღვევისათვის. ჯარიმის გადახდა არ ათავსიუფლებს გადამხდელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ჯობერი – ლონდონის საფონდო ბირჟის დილერი, რომელსაც არა აქვს ბროკერის ფუნქციათა შესრულებისა და ისეთ

კლიენტთან გარიგების უფლება, რომელიც ბირჟის წევრი არ არის.

ჯუთი – ერთწლოვანი ბოჭკოვანი მცენარე, რომელიც ძირითადად შუა აზიის სამხრეთ რაიონებში ხარობს.

ჯუმლი – ჯამი, შენაჯამები. დოკუმენტი, რომელიც შეიცავს გარკვეული წესით შეკრებილ ფაქტებს, ცნობებს, მონაცემებს.

ჰ

ჰარმონია – 1. მთელის ნაწილების სწორი შეხამება; შეთანხმებულობა, თანაზომიერება. 2. ტონების კანონზომიერი შეხამება ერთდროული ბგერადობის დროს. 3. მუსიკის თეორიის ნაწილი – მოძღვრება კომპოზიციაში თანაბგერადობის სწორი აგების შესახებ. 4. ერთსულოვნება.

ჰიპერინფლაცია – ძალიან მაღალი ინფლაცია. ხშირად განისაზღვრება, როგორც ინფლაცია, რომლის ყოველთვიური დონე, დროის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში აღემატება 50 პროცენტს.

ჰისტოგრამა – ემპირიული სტატისტიკური განაწილების მაჩვენებელი დიაგრამა.

ჰოლდინგი – აქციონერული კომპანია, რომელიც ფლობს სხვა კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს მათი საქმიანობის კონტროლისა და მართვის მიზნით.

ჰონორი – გაზვიადებული წარმოდგენა საკუთარ ღირსებაზე; ყოყოჩობა, მედიდურობა, ქედმაღლობა.